

## სს „საქართველოს რკინიგზა“

### სს „საქართველოს რკინიგზა“-ს მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში

შემსრულებელი  
შპს „გამა კონსალტინგი“

დირექტორი

ზ. მგალობლიშვილი

თბილისი 2019

**სარჩევი**

<b>1 შესავალი.....</b>	<b>5</b>
<b>2 ანგარიშის შემუშავების პროცესში საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ჩამონათვალი.....</b>	<b>6</b>
2.1 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონები.....	6
2.2 საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები.....	7
<b>3 სს „საქართველოს რკინიგზას საქმიანობის მოკლ მიმოხილვა.....</b>	<b>9</b>
3.1 სს „საქართველოს რკინიგზა“-ს სტრუქტურა .....	10
3.1.1 ინფრასტრუქტურის ფილიალი .....	10
3.1.1.1 ელექტრომომარაგების დეპარტამენტი.....	10
3.1.1.2 სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების (სცბ) დეპარტამენტი .....	13
3.1.1.3 სალიანდაგო დეპარტამენტი.....	13
3.1.2 სატვირთო გადაზიდვების ფილიალი.....	14
3.1.2.1 სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტი .....	14
3.1.2.2 სავაგონო და სალოკომოტივო დეპარტამენტი.....	14
3.1.3 მგზავრთა გადაყვანის ფილიალი .....	15
<b>4 აუდიტის შედეგები .....</b>	<b>15</b>
4.1 სალიანდაგო დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის ობიექტები .....	15
4.1.1 აღმოსავლეთ სალიანდაგო სამმართველო .....	15
4.1.1.1 აღმოსავლეთ სალიანდაგო სამმართველოს კახეთის რეგიონი .....	17
4.1.2 უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველო .....	18
4.1.3 დასავლეთ სალიანდაგო სამმართველო.....	20
4.1.3.1 დასავლეთ სალიანდაგო სამმართველოს აჭარის რეგიონი .....	22
4.1.3.2 დასავლეთ სალიანდაგო სამმართველოს გურიის რეგიონი .....	23
4.1.3.3 დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს ზესტაფონის რეგიონი .....	25
4.1.3.4 დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს სამეგრელოს რეგიონი .....	27
4.1.3.5 დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს სამტრედიის რეგიონი .....	28
4.1.4 ლიანდაგის სარემონტო-სამშენებლო სამმართველო.....	30
4.1.4.1 ბროწეულას მექანიზებული ბაზა .....	30
4.1.4.2 გომის სარემონტო ბაზა .....	31
4.2 სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების (სცბ) დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის ობიექტები .....	32
4.2.1 თბილისის სცბ-ის სამმართველო .....	32
4.2.2 სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ხაშურის სამმართველო.....	33
4.3 ელექტრომომარაგების დეპარტამენტის ინფრასტრუქტურა.....	34
4.3.1 აღმოსავლეთ ელექტრომომარაგების სამმართველო .....	34
4.3.1.1 გურჯაანის საკონტაქტო ქსელის რაიონი.....	36
4.3.1.2 კასპის საკონტაქტო ქსელის რაიონი. ....	36
4.3.1.3 მარნეულის საკონტაქტო ქსელის რაიონი.....	37
4.3.1.4 მდაროს საკონტაქტო ქსელის რაიონი .....	38
4.3.1.5 რუსთავის საკონტაქტო ქსელის რაიონი. ....	39
4.3.1.6 საგარეჯოს საკონტაქტო ქსელის რაიონი .....	40
4.3.1.7 ბოლნისის წევის ქვესადგური. ....	41
4.3.1.8 გურჯაანის წევის ქვესადგური. ....	42
4.3.1.9 დედოფლისწყაროს წევის ქვესადგური.....	44
4.3.1.10 ვაზიანის წევის ქვესადგური .....	45
4.3.1.11 კაჭრეთის წევის ქვესადგური .....	46
4.3.1.12 კუმისის წევის ქვესადგური.....	47
4.3.1.13 მარნეულის წევის ქვესადგური.....	49
4.3.1.14 მდაროს წევის ქვესადგური .....	50
4.3.1.15 საგარეჯოს წევის ქვესადგური .....	51
4.3.2 უღელტეხილის ელექტრომომარაგების სამმართველო .....	53
4.3.2.1 აწყურის წევის ქვესადგური .....	54
4.3.2.2 ბორჯომის წევის ქვესადგური.....	55

4.3.2.3	გორის წევის ქვესადგური.....	57
4.3.2.4	მოლითის წევის ქვესადგური .....	58
4.3.2.5	აგარის საკონტაქტო ქსელის რაიონი.....	60
4.3.2.6	აწყურის საკონტაქტო ქსელის რაიონი.....	61
4.3.2.7	გორის საკონტაქტო ქსელის რაიონი .....	62
4.3.2.8	წიფას საკონტაქტო ქსელის რაიონი .....	62
4.3.2.9	ხარაგაულის საკონტაქტო ქსელის რაიონი.....	63
4.3.3	დასავლეთის ენერგომომარაგების სამმართველო.....	64
4.3.3.1	დასავლეთ ენერგომომარაგების სამმართველო.....	64
4.3.3.2	აბაშის წევის ქვესადგური.....	66
4.3.3.3	ბათუმის წევის ქვესადგური .....	67
4.3.3.4	ზესტაფონის წევის ქვესადგური .....	69
4.3.3.5	კოლხეთის წევის ქვესადგური .....	70
4.3.3.6	ნატანების წევის ქვესადგური .....	71
4.3.3.7	სამტრედია 2-ის ქვესადგური .....	72
4.3.3.8	სუფსის წევის ქვესადგური.....	73
4.3.3.9	ტყიბულის მოძრავი წევის ქვესადგური.....	74
4.3.3.10	ხრესილის წევის ქვესადგური .....	76
4.3.3.11	ბათუმის საკონტაქტო ქსელის რაიონი .....	77
4.3.3.12	ზესტაფონის საკონტაქტო ქსელის რაიონი .....	78
4.3.3.13	ინგირის საკონტაქტო ქსელის რაიონი .....	79
4.3.3.14	ლანჩხუთის საკონტაქტო ქსელის რაიონი .....	80
4.3.3.15	ნატანების საკონტაქტო ქსელის რაიონი .....	81
4.3.3.16	სამტრედია 1-ის საკონტაქტო ქსელის რაიონი .....	82
4.3.3.17	სენაკის საკონტაქტო ქსელის რაიონი .....	84
4.3.3.18	ფოთის საკონტაქტო ქსელის რაიონი.....	84
4.3.3.19	ქუთაისი 2-ის საკონტაქტო ქსელი რაიონი .....	85
4.3.3.20	ჭიათურის საკონტაქტო ქსელის რაიონი .....	86
4.3.3.21	ხრესილის საკონტაქტო ქსელის რაიონი.....	87
4.4	სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის ინფრასტრუქტურა.....	88
4.4.1	ხაშურის სავაგონო დეპო .....	88
4.4.2	თბილისის ვაგონების სარემონტო დეპო .....	89
4.4.3	სატვირთო გადაზიდვების ფილიალის ხაშურის სალოკომოტივო დეპო .....	91
4.4.4	სამტრედიის სავაგონო დეპო.....	93
4.4.5	ფოთის ვაგონების მიმდინარე-ახსნითი შეკეთების საამქრო .....	95
4.4.6	ფოთის ვაგონების სამრეცხაო პუნქტი.....	97
4.4.7	ფოთის ვაგონების ტექნომსახურების პუნქტი .....	99
4.4.8	ქუთაისის ვაგონების ტექნომსახურების პუნქტი .....	99
4.4.9	სამტრედიის სალოკომოტივო დეპო.....	100
4.4.10	ბათუმის მოსაბრუნებელი პუნქტი .....	104
4.4.11	გურჯაანის მოსაბრუნებელი პუნქტი .....	105
4.4.12	ზესტაფონის მოსაბრუნებელი პუნქტი .....	106
4.4.13	ფოთის მოსაბრუნებელი პუნქტი.....	107
4.4.14	ქუთაისის მოსაბრუნებელი პუნქტი .....	109
4.4.15	სატვირთო სადგურები .....	110
4.4.15.1	სადგური კაჭრეთი (სატვირთო) .....	110
4.4.15.2	სადგური მარნეული (სატვირთო).....	110
4.4.15.3	სადგური რუსთავი.(სატვირთო) .....	111
4.4.15.4	სადგური საგარეჯო (სატვირთო) .....	112
4.4.15.5	სადგური სამტრედია 1-ის ტექნიკური კანტორა .....	112
4.4.15.6	სადგური ქუთაისი I (სატვირთო).....	113
4.4.15.7	სადგური ქუთაისი II (სატვირთო) .....	114
4.4.15.8	სატვირთო გადაზიდვების სადგური სამტრედია .....	114
4.4.15.9	სადგური ფოთი (სატვირთო) .....	116
4.4.15.10	სადგურ ფოთის კომერციული განყოფილება.....	116

4.4.15.11	სადგური შორაპანი (სატვირთ)	117
4.4.15.12	სადგური აგარა (სატვირთო)	118
4.4.15.13	სადგური გურჯაანი (სატვირთო)	118
4.4.15.14	სადგური ზესტაფონი (სატვირთო)	119
4.4.15.15	სადგური ბროწეულა (სატვირთო)	120
4.4.15.16	სადგური დედოფლისწყარო (სატვირთო)	120
4.4.15.17	სადგური რიონი (სატვირთო)	121
4.4.15.18	სადგური ბათუმი (სატვირთო)	122
4.5	მგზავრთა გადაყვანის ფილიალის ინფრასტრუქტურა	123
4.5.1	თბილისის სალოკომოტივო დეპო	123
4.5.2	მგზავრთა გადაყვანის ფილიალის თბილისის სავაგონო-საექსპლუატაციო დეპო	125
4.5.3	მგზავრთა გადაყვანის ფილიალის ქუთაისის სალოკომოტივო დეპო	126
4.5.4	ბათუმის სავაგონო დეპო	128
4.5.5	სადგურები	130
4.5.5.1	სამტრედიის სამგზავრო სადგური	130
4.5.5.2	წიფის რკინიგზის სადგური	131
4.5.5.3	სადგური გორი	132
4.5.5.4	სადგური ვალე	132
4.5.5.5	სადგური კავთისხევი	133
4.5.5.6	სადგური მარელისი	133
4.6	სარკინიგზო მაგისტრალების დერეფნებში არსებული მდინარეების და ბუნებრივი ხეების გადაკვეთის წერტილების აუდიტის შედეგები	134
<b>5</b>	<b>საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი გარემოზე ზემოქმედების რისკების ანალიზი</b>	<b>135</b>
5.1	ზოგადი მიმოხილვა	135
5.2	ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე	135
5.3	ზემოქმედება წყლის გარემოზე	138
5.3.1	წყალმომარაგება	139
5.3.1.1	წყლის ნიმუშების ანალიზი	142
5.3.2	ჩამდინარე წყლები	144
5.3.2.1	ზემოქმედების შემცირების ღონისძიებები	150
5.4	ნიადაგის/გრუნტის ნავთობპროდუქტებით და ზეთებით დაბინძურება	150
5.4.1	ნიადაგში და გრუნტში დამაბინძურებელი ნვთიერებების ანალიზი	153
5.4.1.1	შემარბილებელი ღონისძიებები	155
5.5	ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე	156
<b>6</b>	<b>დანართები</b>	<b>157</b>
6.1	დანართი N1	157

## 1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სს „საქართველოს რკინიგზა“-ს მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშს.

საქართველოს რკინიგზა ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ერთერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, რომელიც ევროპას უმოკლესი გზით აკავშირებს აზიასთან. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოს რკინიგზა დაკავშირებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რკინიგზასთან, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტვირთნაკადების ზრდის და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების თვალსაზრისით.

საქართველოს რკინიგზის ისტორია იწყება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა 1872 წლის 10 ოქტომბერს გაიხსნა ფოთი-თბილისის ახლად აშენებული სარკინიგზო მაგისტრალი. ამის შემდეგ საქართველოში სწრაფი ტემპით დაიწყო სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარება და თანმიმდევრობით აშენდა ახალი სარკინიგზო მაგისტრალები, მათ შორის: რიონი-ქუთაისი 1877 წელს, რიონი-ტყიბული 1887 წელს, ზესტაფონი-ჭიათურა 1895 წელს, ხაშური - ბორჯომი 1894 წელს და ასე შემდეგ.

1883 წელს ექსპლუატაციაში გადაეცა ბაქო-თბილისის სარკინიგზო ხაზი, ხოლო 1899 საქართველოსა და სომხეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზი. აზერბაიჯანის დედაქალის შავი ზღვის ნავსადგურებთან დაკავშირება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან ამით საფუძველი ჩაეყარა კასპიის ზღვის საბადოს ნავთობის ევროპის ქვეყნებში ექსპორტის დაწყებას.

საქართველოს რკინიგზის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. აქტიურ ფაზაშია ხაშური-ზესტაფონის მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის განხორციელების სამუშაოები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ამ მონაკვეთზე მოძრავი შემადგენლობების მოძრაობის უსაფრთხოებას, შემადგენლობების მოძრაობის სიჩქარეს და შესაბამისად გაიზრდება მონაკვეთის გამტარუნარიანობა.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-91 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქმიანობები რომელთა განხორციელებაც დაწყებულია 2015 წლის 1 ივნისამდე და რომლებსაც არ აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, საჭიროებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ, სათანადო გადაწყვეტილების მიღებას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სს „საქართველოს რკინიგზა“-ს საქმიანობა დაწყებული აქვს კანონით განსაზღვრულ თარიღზე გაცილებით ადრე და არ გააჩნია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, სააქციო საზოგადოება ვალდებულია, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მისაღებად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარუდგინოს ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში, აგრეთვე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი.

წინამდებარე ანგარიშის მომზადების მიზნით ჩატარებული აუდიტის პროცესში, შესწავლილი იქნა საქართველოს რკინიგზის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ძირითადი დამხმარე ინფრასტრუქტურის ობიექტები, ასევე სარკინიგზო მაგისტრალების დერეფნებში მდებარე მდინარეების და ბუნებრივი ხეების გადაკვეთის წერტილები. აუდიტის შედეგების მიხედვით განისაზღვრა გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკები და ცალკე დოკუმენტის სახით მომზადებულია მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი.

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგი“-ს მიერ.

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს და საკონსულტაციო კომპანია - შპს „გამა კონსალტინგი“-ს შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1.

საქმიანობის განმზორციელებელი კომპანია	სს „საქართველოს რკინიგზა“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქვეყნის ტერიტორია.
საქმიანობის სახე	მგზავრთა გადაყვანის და სატვირთო ოპერაციების შესრულების მიზნით ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება
საიდენტიფიკაციო ნომერი	202886010
სს „საქართველოს რკინიგზა“-ს ოპერაციათა მართვის დეპარტამენტის უფროსი	აკაკი საღირაშვილი
საკონტაქტო პირი	ნინო ჩობანიანი
ელექტრონული ფოსტა	nino.Chobaniani@railway.ge
საკონტაქტო ტელეფონი	+995 591 19 91 49
საკონსულტაციო კომპანია	შპს „გამა კონსალტინგი“
შპს „გამა კონსალტინგი“-ს დირექტორი	ზ. მგალობლიშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	2 61 44 34; 2 60 15 27

**2 ანგარიშის შემუშავების პროცესში საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ჩამონათვალი**

საქართველოს გარემოსდაცვითი სამართალი მოიცავს კონსტიტუციას, გარემოსდაცვით კანონებს, საერთაშორისო შეთანხმებებს, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, პრეზიდენტის ბრძანებულებებს, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს, მინისტრების ბრძანებებს, ინსტრუქციებს, რეგულაციებს და სხვა. საქართველო მიერთებულია საერთაშორისო, მათ შორის გარემოსდაცვით საერთაშორისო კონვენციებს.

**2.1 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონები**

გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში გათვალისწინებულია საქართველოს შემდეგი გარემოსდაცვითი კანონები (იხილეთ ცხრილი 2.1.1.).

ცხრილი 2.1.1. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა

მიღების თარიღი	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი	სარეგისტრაციო კოდი
1994	საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ	370.010.000.05.001.000.080
1995	საქართველოს კონსტიტუცია	010.010.000.01.001.000.116
1996	საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ	360.000.000.05.001.000.184
1997	საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ	410.000.000.05.001.000.186
1997	საქართველოს კანონი წყლის შესახებ	400.000.000.05.001.000.253
1999	საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	420.000.000.05.001.000.595
2003	საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ	370.010.000.05.001.001.274

2007	საქართველოს კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ	360.130.000.05.001.003.079
2007	საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ	360.160.000.05.001.003.078
2007	საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ	470.000.000.05.001.002.920
2014	საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ	140070000.05.001.017468
2014	ნარჩენების მართვის კოდექსი	360160000.05.001.017608

**2.2 საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები**

წინამდებარე ანგარიშის დამუშავების პროცესში გარემო ობიექტების (ნიადაგი, წყალი, ჰაერი) ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებული შემდეგი გარემოსდაცვითი სტანდარტები (იხ. ცხრილი 2.2.1.):

**ცხრილი 2.2.1. გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა**

მიღების თარიღი	ნორმატიული დოკუმენტის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №414 დადგენილებით.	300160070.10.003.017621
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №425 დადგენილებით.	300160070.10.003.017650
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის შესახებ“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №21 დადგენილებით.	300160070.10.003.017590
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №8 დადგენილებით.	300160070.10.003.017603
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №408 დადგენილებით.	300160070.10.003.017622
06/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №42 დადგენილებით.	300160070.10.003.017588
03/01/2014	გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი - დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით.	300160070.10.003.017608
14/01/2014	ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №54 დადგენილებით.	300160070.10.003.017673
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან	300160070.10.003.017660

	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკა”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №435 დადგენილებით.	
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის შესახებ”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №423 დადგენილებით.	300160070.10.003.017645
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „კარიერების უსაფრთხოების შესახებ”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №450 დადგენილებით.	300160070.10.003.017633
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის” და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის” დებულებები, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №415 დადგენილებით.	300160070.10.003.017618
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით.	300160070.10.003.017647
15/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების შესახებ”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №70 დადგენილებით.	300160070.10.003.017688
15/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - სასმელი წყლის შესახებ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №58 დადგენილებით.	300160070.10.003.017676
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №445 დადგენილებით.	300160070.10.003.017646
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების შესახებ”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №28 დადგენილებით.	300160070.10.003.017585
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „წყალდაცვითი ზოლის შესახებ”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებით.	300160070.10.003.017640
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების ) შესახებ. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N445 დადგენილებით	300160070.10.003.017646
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების მეთოდიკა” დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №26 დადგენილებით.	300160070.10.003.017615
13/08/2010	„ტყის მოვლისა და აღდგენის წესი”. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №241 დადგენილებით.	-
20/08/2010	„ტყითსარგებლობის წესი”. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №242 დადგენილებით.	-
17/02/2015	„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი”.	040030000.10.003.018446



	დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №61 დადგენილებით.	
29/12/2014	„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის მწვანე ზონის და საკურორტო ზონის ტერიტორიების ნუსხისა და მასზე მიკუთვნებული კვარტლების ჩამონათვალი“. დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №161 ბრძანებით.	360050000.22.023.016284
04/08/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი“. დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №211 ბრძანებით	360160000.22.023.016334
11/08/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „ნაგავსაყრელების მოწყობის ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N421 დადგენილებით.	300160070.10.003.018807
17/08/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N426 დადგენილებით.	300230000.10.003.018812
11/06/2015	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №201 „ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედეგისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესების შესახებ“	360140000.22.023.016324

**3 სს „საქართველოს რკინიგზას საქმიანობის მოკლ მიმოხილვა**

საქართველოს რკინიგზა თანამედროვე ტიპის მსხვილი, მექანიზირებული სატრანსპორტო ორგანიზაციაა, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს, როგორც სტრატეგიული ამოცანების განხორციელების, ასევე საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდის საქმეში. მასზე მოდის ქვეყნის იმპორტ-ექსპორტის სატრანსპორტო ოპერაციების მნიშვნელოვანი წილი. საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო დღეს საქართველოს რკინიგზა ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც უმოკლესი გზით ევროპას ცენტრალურ აზიასთან აკავშირებს.

საქართველოს რკინიგზის საერთო სიგრძე შეადგენს 2083.99 კმ, მათ შორის: საექსპლუატაციო სიგრძე 1145.53 კმ, მთავარი ლიანდაგის გაშლილი სიგრძე 1441.66 კმ, ერთლიანდაგიანი მონაკვეთების სიგრძე 850 კმ, ორლიანდაგიანი მონაკვეთების სიგრძე 194.84 კმ, სადგურების ლიანდაგების სიგრძე 563.16 კმ, ხოლო მისასვლელი ლიანდაგების სიგრძე 79.17 კმ.

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს საქმიანობის სფეროა მგზავრთა გადაყვანა, სატვირთო გადაზიდვები, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოვლა/შენახვა და მუდმივი განახლება, ეს უკანასკნელი ითვალისწინებს:

- სარკინიგზო ხაზების ტექნიკური მდგომარეობის სისტემატურ მონიტორინგს და საჭიროების მიხედვით მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარებას;
- მოძრავი შემადგენლობების (ლოკომოტივები, სამგზავრო და სატვირთო ვაგონები) სარემონტო სამუშაოების ჩატარებას;

- სარკინიგზო ხაზების ელექტრომომარაგების სისტემების ტექნიკური მგომარეობის მონიტორინგს და საჭიროების მიხედვით მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამოშაოების ჩატარებას;
- მოძრავი შემადგენლობების სწრაფცვლადი მარაგნაწილების წარმოებას და სხვა.

### 3.1 სს „საქართველოს რკინიგზა“-ს სტრუქტურა

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაქვემდებარებული ინფრასტრუქტურული ობიექტები განთავსებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს ძირითადი სტრუქტურული ფილიალებია: ინფრასტრუქტურის ფილიალი, სატვირთო გადაზიდვების ფილიალი, მგზავრთა გადაყვანის ფილიალი და სხვა.

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს სტრუქტურის სქემა მოცემულია ნახაზზე 3.1.1., ხოლო სარკინიგზო ინფრასტრუქტურის განლაგების სქემა ნახაზზე 3.1.2.

#### 3.1.1 ინფრასტრუქტურის ფილიალი

ინფრასტრუქტურის ფილიალი თავის მხრივ შედგება: ენერგომომარაგების დეპარტამენტისგან, სალიანდაგო დეპარტამენტისგან, სცბ-ს (სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია, ბლოკირება) დეპარტამენტისგან და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისგან.


##### 3.1.1.1 ელექტრომომარაგების დეპარტამენტი

ელექტრომომარაგების დეპარტამენტში გამოიყოფა საექსპლუატაციო და სარემონტო მიმართულება. საექსპლუატაციო მიმართულება აერთიანებს აღმოსავლეთის, დასავლეთის და უღელტეხილის სამმართველოებს, ხოლო სარემონტო მიმართულება-ელექტროსამონტაჟო სამმართველოს. საექსპლუატაციო მიმართულების თითოეული სამმართველოს დაქვემდებარებაშია შედეგი სტრუქტურული ერთეულები:

- ადმინისტრაციული შენობა (ცენტრალური საწყობი);
- სარემონტო-სარევიზიო უბანი;
- საგზაო ელექტროტექნიკური ლაბორატორია (ერთი);
- ელექტრომომარაგების რაიონი;
- ცენტრი;
- საკონტაქტო ქსელის რაიონი;
- წვევის ქვესადგური.

ძირითადი დანიშნულებაა სარკინიგზო მაგისტრალების ელექტრომომარაგება, სცბ-ს მოწყობილობათა ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა და ელექტრო უსაფრთხოება.

ნახაზი 3.3.1. სს „საქართველოს რკინიგზა“-ს სტრუქტურა



- სს "ჯორჯიან რეილვეი კორპორეშნი"
- სს "რეილვეი ფრონტი მენეჯმენტი"
- სს "ჯიარ ტრანზიტ ლინი"
- სს "ტრასი კავკასიუს ტერმინალი"
- სს "ჯორჯია ტრაიზიტი"
- სს "ჯიარ ტრანს-პოფეჩია"



### 3.1.1.2 სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების (სცბ) დეპარტამენტი

სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების (სცბ) დეპარტამენტი აერთიანებს აღმოსავლეთის (თბილისის სცბ), უღელტეხილის (ხაშურის სცბ) და დასავლეთის (სამტრედიის სცბ).

სცბ-ს სამმართველოების დაქვემდებარებაშია:

- 2 ლაბორატორია (თბილისის და სამტრედიის ლაბორატორია);
- შესაბამისი ჯგუფები;
- მექანიკოსები.

დეპარტამენტი უზრუნველყოფს რკინიგზის უსაფრთხო, უწყვეტ და შეუფერხებელ მუშაობას. ძირითადი დანიშნულებაა სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების მოწყობილობების მომსახურება. სცბ-ს მოწყობილობების მომსახურების სამუშაო პროცესის ორგანიზება; სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობების პრინციპული სქემების გამოყენება; სცბ-ს მოწყობილობათა ელექტრული და მექანიკური პარამეტრების გაზომვა; სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების მოწყობილობების საზეინკლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოების წარმოება; სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებში მიკროპროცესორული ტექნიკის გამოყენება; სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების საგადასარბენო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურება; სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სცბ-ს სასადგურო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურება; სცბ-ს მოწყობილობების რემონტი-მონტაჟი.

### 3.1.1.3 სალიანდაგო დეპარტამენტი

სალიანდაგო დეპარტამენტში გამოიყოფა საექსპლუატაციო და სარემონტო მიმართულება. საექსპლუატაციო მიმართულება აერთიანებს აღმოსავლეთის, დასავლეთის და უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოებს, ხოლო სარემონტო მიმართულება - ლიანდაგის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს.

საექსპლუატაციო მიმართულების თითოეული სამმართველო იყოფა რეგიონებად. რეგიონები თავის მხრივ საოსტატოებად (ლიანდაგის საოსტატო, გვირაბების საოსტატო, მიწის ვაკისების საოსტატო, ხელოვნური ნაგებობების საოსტატო.), რომელსაც ხელმძღვანელობს ლიანდაგის ოსტატი. საოსტატოები იყოფა სახაზო განყოფილებებად - ბრიგადებად, რომელსაც ხელმძღვანელობს ლიანდაგის ბრიგადირი. ბრიგადაში შემავალი ლიანდაგის მონტიორები ზემდგომების ხელმძღვანელობით ასრულებენ სალიანდაგო სამუშაოებს.

აღმოსავლეთის სამმართველო აერთიანებს 3 რეგიონს, დასავლეთის სამმართველო 5 რეგიონს, უღელტეხილის სამმართველო აერთიანებს 2 უბანსა და ერთ რეგიონს.

სარემონტო მიმართულების ლიანდაგის სარემონტო-სამშენებლო სამმართველო აერთიანებს **თბილისის, ბროწეულას და გომის სამშენებლო-სარემონტო ბაზებს**. გომის სამშენებლო-სარემონტო ბაზა უზრუნველყოფს ლიანდაგის მიწის ვაკისის მომზადებას, ხოლო თბილისის და ბროწეულას სამშენებლო-სარემონტო ბაზები უზრუნველყოფს ლიანდაგის დაგებას.

სალიანდაგო დეპარტამენტში ცალკეა გამოყოფილი **საცავ ტყე-ნარგავთა სამმართველო**, რომელსაც გააჩნია სანერგე მეურნეობა (ძირითადი ბაზა არის თბილისში, სანერგე მეურნეობებია -მარნეულსა და იანეთში) და ძირითადი დანიშნულებაა ლიანდაგის გასწვრივი ხაზის გამწვანება.

დეპარტამენტის ძირითადი დანიშნულებაა სალიანდაგო მეურნეობის მართვა. ლიანდაგის, მიწის ვაკისის, ხელოვნური ნაგებობების მიმდინარე მოვლა-შენახვა და ასევე მათი შეკეთებაც. ლიანდაგის სარემონტო-სამშენებლო სამმართველო ასრულებს აღნიშნული ობიექტების კაპიტალურ შეკეთების სამუშაოების ძირითად მოცულობას.

### 3.1.2 სატვირთო გადაზიდვების ფილიალი

სატვირთო გადაზიდვების ფილიალი აერთიანებს სატვირთო გადაზიდვების სადგურებს, სავაგონო დეპარტამენტს, სალოკომოტივო დეპარტამენტს და სალოკომოტივო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ მოსაბრუნებელ პუნქტებს.

#### 3.1.2.1 სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტი

სატვირთო გადაზიდვების სადგურები უზრუნველყოფს სატვირთო გადაზიდვებს.

სადგურის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სატვირთო მატარებლების მიღება-გაგზავნა, განფორმირება, ფორმირება, დაცლა-დატვირთვა.

ძირითადი სადგურებია: სადგური ბათუმი, სადგური ფოთი, სადგური სამტრედია I, სადგური სამტრედია II, ქუთაისი II, სადგური ხაშური, სადგური თბილისის სატვირთო, სადგური თბილისის საკვანძო და მახარისხებელი სადგურები.

#### 3.1.2.2 სავაგონო და სალოკომოტივო დეპარტამენტი

დეპარტამენტი უზრუნველყოფს მოძრავი შედგენილობის (ვაგონები, ლოკომოტივები, რკინიგზისა მოტორვაგონიანი სექციები და სხვ.) ექსპლუატაციასა და რემონტს.

სავაგონო დეპოს ძირითად დანიშნულებას სატვირთო ვაგონების ტექნიკური შეკეთება/რემონტი და სამგზავრო ვაგონების ტექნიკურ-სანიტარული მომზადება წარმოადგენს. სამუშაოები აგრეთვე მოიცავს ვაგონების გაწმენდას, ვაგონებიდან შეგროვებული ნარჩენების გატანას.

სალოკომოტივო დეპო უზრუნველყოფს ლოკომოტივების ტექნიკური დგომარეობის კონტროლს და საჭიროების შემთხვევაში მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას. დეპოში არის ლიანდაგები მოძრავი შემადგენლობის თავშესაფრად და ყველა სახის რემონტის ჩასატარებლად (ტექნიკური დათვალიერება, შეკეთება და სხვა ოპერაციები).

დეპოში ფუნქციონირებს საამქროები (პერიოდული შემოწმების საამქრო, ტექნიკური მომსახურების საამქრო, ელექტრომექანიკური (ლითონმჭრელი, საავტომატო), თუჯის ხუნდების ჩამოსხმის საამქრო და სხვ.)

#### ძირითადი დეპოებია:

- თბილისის სავაგონო, თბილისის საექსპლუატაციო, ხაშურის სავაგონო, სამტრედიის სავაგონო, ბათუმის სავაგონო დეპოები.
- თბილისის მახარისხებელი სალოკომოტივო, ხაშურის სალოკომოტივო, სამტრედიის სალოკომოტივო დეპოები.

დეპოების დაქვემდებარებაში მყოფ ინფრასტრუქტურულ ობიექტებს წარმოადგენს: ზესტაფონის, ფოთის, ბათუმის, გურჯაანის მოსაბრუნებელი პუნქტები; ფოთის ვაგონების მიმდინარე-ახსნითი შეკეთების საამქრო, ფოთის ვაგონების სამრეცხაო, თბილისის თბომავლების საამქრო.

### 3.1.3 მგზავრთა გადაყვანის ფილიალი

მგზავრთა გადაყვანის ფილიალის დაქვემდებარებაში არსებული სამგზავრო სადგურები და დეპოები ემსახურება მგზავრთა გადაყვანას. მის დაქვემდებარებაშია თბილისის, ქუთაისის სალოკომოტივო და თბილისის ვაგონების საექსპლუატაციო დეპოები, რკინიგზის სამგზავრო სადგურები და ბაქნები.

## 4 აუდიტის შედეგები

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის და საქმიანობის პროცესში გარემოზე შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების გეგმა-გრაფიკის მომზადების მიზნით, შპს „გამა კონსალტინგი“-ს მიერ შესწავლილი იქნა სააქციო საზოგადოებას დაქვემდებარებული ინფრასტრუქტურის ყველა ობიექტის და მათ შორის ხაზოვანი ნაგებობების მდგომარეობა. კვლევა ტარდებოდა შპს „გამა კონსალტინგი“-ს ექსპერტების და მოწვეული სპეციალისტების მიერ, მათ შორის: სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში ირიცხებოდა: ეკოლოგი, ჰიდროგეოლოგი, გეოლოგი, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სპეციალისტი, ბიოლოგი და სხვა.

კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა სს „საქართველოს რკინიგზა“-ს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სპეციფიკა და ცალკეული ერთეულისათვის შეფასდა გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკები, მათ შორის:

- ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე;
- ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების რისკები;
- ზემოქმედება წყლის გარემოზე;
- ნიადაგის და გრუნტის დაბინძურების რისკები;
- ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების რისკები;
- ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები და სხვა.

სამუშაოს შესრულების პროცესში, ინსტრუმენტული გაზომვები და გარემო ობიექტების სინჯების კვლევა ჩატარდება სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“-ს ლაბორატორიაში. აღნიშნული კვლევების თაობაზე ლაბორატორია აკრედიტირებულია საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ (სერტიფიკატი GAC-TL-0067). ლაბორატორიას გავლილი აქვს აკრედიტაცია სსტ ისო/იეკ-17025:2010-ის მოთხოვნების შესაბამისად.

კვლევის შედეგები სს „საქართველოს რკინიგზა“-ს სტრუქტურული ერთეულებს მიხედვით განხილულია ქვემოთ მოცემულ პარაგრაფებში.

## 4.1 სალიანდაგო დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის ობიექტები

### 4.1.1 აღმოსავლეთ სალიანდაგო სამმართველო

სალიანდაგო დეპარტამენტის ძირითადი დანიშნულებას სალიანდაგო მეურნეობის მართვა წარმოადგენს. უშუალოდ სალიანდაგო დეპარტამენტის დაქვემდებარებაშია სალიანდაგო მეურნეობის ძირითადი საწარმოები: სალიანდაგო სამმართველოები და ლიანდაგის სარემონტო-სამშენებლო სამმართველო.

სალიანდაგო სამმართველოების მოვალეობაა ლიანდაგის, მიწის ვაკისის, ხელოვნური ნაგებობების მიმდინარე მოვლა-შენახვა და ასევე ნაწილობრივ მათი შეკეთებაც. ლიანდაგის სარემონტო-სამშენებლო სამმართველო ასრულებს აღნიშნული ობიექტების შეკეთების სამუშაოების ძირითად მოცულობას.

სალიანდაგო სამმართველოები იყოფა რეგიონებად. რეგიონები თავის მხრივ საოსტატოებად, რომელსაც ხელმძღვანელობს ლიანდაგის ოსტატი. საოსტატოები იყოფა სახაზო განყოფილებებად—ბრიგადებად, რომელსაც ხელმძღვანელობს ლიანდაგის ბრიგადირი. ბრიგადაში შემავალი ლიანდაგის მონტიორები ზემდგომების ხელმძღვანელობით ასრულებენ სალიანდაგო სამუშაოებს.

ლიანდაგის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების პროცესში სალიანდაგო სამმართველოს ტერიტორიაზე ხდება ამოღებული ლიანდაგების დამუშავება. ლითონის დეტალების ნაწილი რომელიც ვარგისია გამოიყენება მეორადად, ხოლო დანარჩენი ბარდება ჯართში. ხოლო შპალების გამოყენება ხდება მეორადად (ძველვარგისი შპალი). მეორად შპალებიდან ჭრიან საღ ნაწილებს და გამოიყენებენ განმეორებით. შემდგომი გამოყენებისათვის ვარგისი შპალები (ე.წ. ძველვარგისი შპალი) გამოიყენება მეორადად.

აღმოსავლეთ სალიანდაგო სამმართველო მდებარეობს ქ. თბილისში, ზესტაფონის ქუჩა N26-ში. სამმართველოს ტერიტორიაზე განლაგებულია მექანიკური სახელოსნო, სამჭედლო და ხის დამამუშავებელი საამქრო. სამჭედლოში ლითონის თერმული დამამუშავებისათვის დამონტაჟებულია 2 ადნობი ღუმელი, ხოლო სადურგლო სადურგლო საამქროში 4 ერთეული ხის დასამუშავებელი დაზგა.

სამმართველოს ტერიტორიაზე განთავსებულია ბენზინგასამართი სადგური, რომელიც დღეისათვის არ ფუნქციონირებს. ბენზინგასამართი მოედნის მიმდებარედ განთავსებულია 60 ტონიანი დიზელის რეზერვუარი. საწვავის გასამართი პუნქტის ქვემოთ განთავსებულია დამატებითი 2 რეზერვუარი საერთო ტევადობით 14 ტონა.

სამმართველოს არ გააჩნია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ატმოსფერული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების ნორმატიული დოკუმენტაცია.

სამმართველოს ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია ნავთობპროდუქტების 2 რეზერვუარი საერთო ტევადობით 9 ტონა (თითოეული 4,5 ტ). დღეისათვის, აღნიშულ რეზერვუარებში ინახება დაახლოებით 5 ტონა ნავთი.

სამმართველოს ტერიტორიაზე ასევე Ac1A მოდელის რეაქტიული თოვლწმენდი, რომელიც არის ყველა სალიანდაგო სამმართველოში (ზესტაფონი -1 ერთ, ხაშური - 2 ერთ). რეაქტიული თოვლწმენდი გამოიყენება სარკინიგზო მაგისტრალების თოვლის საფარისგან გასაწმენდად.

ადმინისტრაციული შენობის ეზოში გადის რკინიგზის ჩიხი. რკინიგზის ხაზის გრუნტის ნაწილი დაბინძურებულია დაღვრილი ნავთობპროდუქტებით. ადმინისტრაციული შენობის ეზოში განთავსებულია ხის ნარჩენები. უვარგისი და მეორადი შპალების ნაწილები და ლითონის ნარჩენები. ტერიტორიის მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა მოცემულია სურათზე 4.1.1.1.



**სურათი 4.1.1.1. აღმოსავლეთ სალიანდაგო სამმართველოს ტერიტორიის ხედები**



ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული  
ლიანდაგის მონაკვეთი



გაუქმებული ბენზინგასამართი სადგური

**4.1.1.1 აღმოსავლეთ სალიანდაგო სამმართველოს კახეთის რეგიონი**

კახეთის რეგიონის სათაო სამსახურის მდებარეობს ქ. გურჯაანში, გურამიშვილის ქ. №7-ში. დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით შეადგენს 9000 მ<sup>2</sup>-ს. ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X-566691, Y-4621760;
2. X-566723, Y-4621785;
3. X-566591, Y-4621897;
4. X-566566, Y-4621874;
5. X-566577, Y-4621861;
6. X-566573, Y-4621850;
7. X-566649, Y-4621781;
8. X-566660, Y-4621783;

კახეთის რეგიონის სათაო სამსახურის ინფრასტრუქტურა მოძველებულია, შენობა-ნაგებობები ძველია. ტერიტორია მთლიანად შემოღობილია. ტერიტორიაზე არის ღამის განათება და გამწვანება - დაახლოებით 20 %. ერთერთი შენობის უკან არის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პატარა ნაგავსაყრელი, სადაც დროებით აგროვებენ და შემდგომ საკუთარი ძალებით გააქვთ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

ობიექტის საქმიანობიდან გამომდინარე, ტერიტორიაზე ნარჩენის სახით გროვდება ხის შპალები, რელსები და სხვა ლითონის ჯართი. რელსებს იყენებენ მეორადად ლიანდაგის მოვლა/შენახვისათვის საჭირო დეტალების დასამზადებლად. შპალები თუ გროვდება ნარჩენის სახით იყენებენ საწვავად, რაც მიუღებელია. არ არის დანერგილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი და არ გააჩნიათ ამისათვის საჭირო სპეციალური მარკირებული კონტეინერები. ნარჩენების გატანაზე ხელშეკრულება არ აქვთ გაფორმებულ მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პ/პირი.

ტერიტორიაზე განთავსებულის საწვავის მიწისქვეშა ლითონის რეზერვუარი, დაახლოებით 30 მ<sup>3</sup> მოცულობის, რომლის გამოყენება ამჟამად არ ხდება. სადნობი ღუმელი არ არის, ტერიტორიაზე არის ერთი სახერხი დანადგარი, რომელსაც არ იყენებენ. შედუღების სამუშაოები სრულდება ეზოს ტერიტორიაზე ღია სივრცეში. თვითრად დაახლოებით 50-60 კგ ელექტროდის

გამოყენება ხდება. ობიექტს არ გააჩნია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ემისიების ნორმატიული დოკუმენტაცია.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ქ. გურჯაანის წყალმომარაგების ქსელიდან. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 16 მ<sup>3</sup> მოცულობის საასენიზაციო ორმოში, რომლის განტვირთვის თაობაზე ადგილობრივ სამსახურთან ხელშეკრულება გაფორმებული არ აქვთ.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა არ არსებობს. სანიაღვრე წყლების დაბინძურების წყაროს წარმოადგენს სარელსო ტრანსპორტი. ობიექტზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ უბანს წარმოადგენდა სარელსო ტრანსპორტის, დრეზინების სადგომი, სადაც მათი შეკეთება და საწვავით გამართვა ხდება. დაბინძურებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით შეადგენს 3-4 მ<sup>2</sup>-ს, დაბინძურების სიღრმე დაახლოებით შეადგენდა 3 სმ-ს.

ტერიტორიაზე განთავსებულია ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული კასრები, სადაც შეიმჩნევა ნავთობპროდუქტებით გრუნტის ზედაპირული დაბინძურება. დაახლოებით 2 მ<sup>2</sup> ფართობზე.

**სურათი 4.1.1.1.1. დაბინძურებული უბნები**



**4.1.2 უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველო**

უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს ძირითადი ინფრასტრუქტურა განთავსებულია ქ. ხაშურში, ოქტომბრის ქუჩა N206-ში. სამმართველოს სამოქმედო არეალი ვრცელდება გორიდან-ზესტაფონამდე და მოიცავს 114 კმ-იანი ორლიანდაგიან მთავარ ხაზს 2 განშტოებით, მათ შორის:

- I-ხაშური-ვალეს ხაზი;
- II-ცხინვალის ხაზი;
- დაბა სურამის ხაზი (ამჟამად გაუქმებულია).

სალიანდაგო რელსების დამუშავების პროცესში გამოიყენება საპოხი მასალა, ამცირებს ცვეთას. წვიმის დროს საპოხი მასალა ხვდება ლიანდაგზე.

ლიანდაგის ვაკისის მცენარეული საფარისგან (ბალახისაგან) დაცვის მიზნით სალიანდაგო ხაზების დამუშავება ხდება ჰერბიციდის გამოყენებით. წლის განმავლობაში, სალიანდაგო ხაზების დასამუშავებლად გამოიყენება დაახლოებით 5 ტონა ჰერბიციდი, აქედან ≈1300 კგ/წელ უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს საზღვრებში.

ხაშურის სალიანდაგო სამმართველოს ტერიტორიაზე განთავსებულია საწყოები, სახელოსნო, სახერხი და საბრიგადიროს მუშებისთვის განკუთვნილი ვაგონ-კონტინერები.

სამმართველოს ტერიტორიაზე განთავსებულია ჩამოწერილი ტექნიკის საწყოები. საწყოებში დასაწყობებულია უვარგისი ხელსაწყოები, გაფუჭებული კომპიუტერები, ელექტროაგრეგატები, სკამები, გაფუჭებული დეფექტოსკოპიის აპარატები და სხვ.

ტერიტორიაზე არის მეორე საწყოებიც სადაც დასაწყობებულია გამოცვლილი რკინა-ბეტონის შპალის „ჰენდროლის“ ტიპის სამაგრისები. სამაგრისების სანაყარო მოწყობილია საწყოების ეზოშიც. დასაწყობებული სამაგრისების საერთო მოცულობაა დაახლოებით 175 ტონაა.

სახელოსნოში ფუნქციონირებს საშემდუღებლო საამქრო, სამჭედლო სადაც მუშაობს 1 ელექტრო ური, 2 ჩარხი და 1 დაზგა. სახელოსნოში გამართულად მუშაობს სავენტილაციო სისტემა.

სადურგლო მოწყობილია ეზოში. საამქროში დასაწყობებულია ქვანახშირის ზეთით დაბინძურებული ხის შპალები.

სადურგლო საამქროს მიმდებარედ ამოღებულია ორმო სადაც იყრება ნახერხი და შემდეგ გააქვთ ტერიტორიიდან.

წვიმის დროს ორმო ივსება წყლით, შპალების ნახერხი დაბინძურებულია ქვანახშირის ზეთით, შესაბამისად წვიმის დროს ორმოში დაგროვილი წყალიც დაბინძურებულია ნავთობპროდუქტებით.

ტერიტორიაზე მოწყობილია საწვავის 10 ტონიანი 2 გაუქმებული რეზერვუარი. დღეისთვის, დიზელის შემოტანა ხდება 10 ლიტრიანი კასრებით. დიზელის შესანახად გამოყენებული დასვრილი კასრები განთავსებულია სახელოსნოს მიმდებარედ ეზოში.

სამმართველოს არ გააჩნია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ატმოსფერული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების ნორმატიული დოკუმენტაცია.

ეზოში მოწყობილია 30 ტ მოცულობის წყლის ავზი, რომელიც გამოიყენება სახანძრო მიზნებისთვის.

სამმართველოს საკუთრებაშია მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები: 7 სატვირთო, 5 მსუბუქი ავტომობილი, სალიანდაგო ტექნიკა - რეაქტიული თოვლმწმენდები (2 ერთ) და თოვლამდები (3) მანქანები. რეაქტიული თოვლმწმენდები მუშაობს საავიაციო ნავთზე და წვავს 1200 ლ/სთ-ში. საავიაციო ნავთის შემოტანაც ხდება ტალონების საშუალებით და დასაწყობებულია საწყოების ტერიტორიაზე 200 ლიტრიან კასრებში.

საწყოებს ტერიტორიაზე გადის სარკინიგზო ხაზი. სარკინიგზო ხაზის გრუნტი დაბინძურებულია ნავთობპროდუქტებით და საჭიროებს გაწმენდას.

**სურათი 4.1.2.1. უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს ტერიტორიის ხედები**



ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული  
ლიანდაგის მონაკვეთი



ნახერხის შესაგროვებელი ორმო

**4.1.3 დასავლეთ სალიანდაგო სამმართველო**

დასავლეთ სალიანდაგო სამმართველო მდებარეობს ქ. სამტრედიაში დუნდუას ქუჩა №2-ში. სამმართველოს დაქვემდებარებაშია:

- 5 რეგიონი: აჭარის, გურიის, სამეგრელოს, სამტრედიის და ზესტაფონის.
- რეგიონებს დაქვემდებარებული 20 საოსტატო.
- საოსტატოებს დაქვემდებარებული 52 საბრიგადირო.

სამმართველოს მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით შეადგენს 8000 მ<sup>2</sup>-ს. ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X-280069; Y-4670678;
2. X-280050; Y-4670678
3. X-280037; Y-4670617;
4. X-280001; Y-4670630
5. X-280024; Y-4670778;
6. X-280068; Y-4670761.

სამმართველოს მომსახურების ზონის ფარგლებში ლიანდაგის ხაზის სიგრძე დაახლოებით შეადგენს 800 კმ-ს. ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სამტრედიის რეგიონის ადმინისტრაცია, მეორე სართულზე კი სალიანდაგო სამმართველოს ადმინისტრაცია. შესაბამისად, ქვემოთ აღწერილი ინფორმაცია საერთოა სამმართველოსთვის და სამტრედიის რეგიონისთვის ვინაიდან ერთ ტერიტორიაზეა განთავსებული და აქვთ საერთო ეზო და ადმინისტრაციული შენობა. სალიანდაგო სამმართველოსთან ახლოს არის სამტრედიის სავაგონო დეპო და დასავლეთის ენერგომომარაგების სამმართველო.

ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებულია სახარატო, სადურგლო და ლითონის დამუშავების სააქრო, არის შედუღების პოსტიც. ტერიტორიაზე არის ასევე საკმაოდ ძველი სადნობი ღუმელი, რომელიც მუშაობს ქვანახშირზე (ტყიბულის).

სამმართველოს გააჩნია შესაბამისი სარელსო ტრანსპორტი-თოვლის საწმენდი და ე.წ დრეზინები.

ობიექტის ტერიტორიაზე უმეტესად არის ბეტონის საფარი, მოწყობილია პატარა სკვერი ეზოში, მრგვალი მაგიდით და სკამებით, ათეულამდე ხით, ბუჩქებით და ყვავილებით. გამწვანება დაახლოებით ტერიტორიის 15 %-ია. მთლიანად შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით.

ტერიტორიაზე ნარჩენების სახით იყო განთავსებული ძველი შპალები, ლითონის ჯართი, ნახერხის ბურბუშელა, საბურავები, სამშენებლო მასალების ნარჩენები და სხვ.

ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ძირითადი ნარჩენებია ლითონის ჯართი, გამოყენებული შპალები და სხვ. წარმოქმნილი ნარჩენების დასაწყობებისათვის არ არის გამოყოფილი სპეციალური სათავსი და განთავსებულია ღიად ეზოს ტერიტორიაზე. სამმართველოში არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პ/პირი.

ტერიტორიაზე საწვავის რეზერვუარები არ არის, ავტომობილების საწვავით გამართვა ხდება ავტოგასამართ სადგურზე სპეციალური ბარათებით. ადგილზე მხოლოდ სარელსო ტრანსპორტისთვის შემოაქვთ საწვავი, საჭირო რაოდენობით.

ტერიტორიაზე არის სადნობი ღუმელი, რომელიც საკმაოდ მოძველებულია, სადნობ ღუმელში გამოყენებულ ენერჯის წყაროს წარმოადგენს ქვანახშირი (ტყიბულის). ნამწვი აირების გაფრქვევა ხდება 50 სმ-ის დიამეტრის 14 მ სიმაღლის მილით. ღუმელი გამოიყენება ლითონის სადნობად და ლიანდაგის მოვლისათვის საჭირო დეტალების დასამზადებლად. ღუმელი თვეში საშუალოდ 800 კგ ნახშირს მოიხმარს.

სადურგლო საამქროში ერთი სახერხი დანადგარი დგას. ვენტილაცია არ არის. თვიურად დაახლოებით 20-30 შპალის-ჯამში 1მ<sup>3</sup> მასალის დამუშავება ხდება.

არის სახარატო საამქრო, სადაც სამი დანადგარია განთავსებული. არის სახარატო ჩარხი და საღარავი დაზგა. სახარატოში თვიურად 1 ტონამდე მასალის დამუშავება ხდება. ვენტილაციის სისტემა არ არის.

ტერიტორიაზე არის შედუღების საამქრო/პოსტი, სადაც თვიურად დაახლოებით 200 კგ-მდე ელექტროდის გამოყენება ხდება. სავენტილაციო სისტემა არ არის მოწყობილი.

სამმართველოს არ გააჩნია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ატმოსფერული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების ნორმატიული დოკუმენტაცია.

სამმართველოს არ გააჩნია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ატმოსფერული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების ნორმატიული დოკუმენტაცია.

ტექნოლოგიური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება. შესაბამისად საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ქ. სამტრედიის საკანალიზაციო კოლექტორში.

ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების არინება ხდება არხის საშუალებით, რომელიც ჩართულია ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში

სამმართველოს ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტებით ძირითადად დაბინძურებულია სალიანდაგო ხაზის 60-70 მ სიგრძის მონაკვეთი და მიმდებარე უბნები. დაბინძურებული ფენის სიღრმე საშუალოდ შეადგენს 10 სმ-ს. სალიანდაგო ხაზთან ახლოს არის მაზუთით დაბინძურების ტერიტორია, დაახლოებით 15 მ<sup>2</sup> ფართობის და 20 სმ სიღრმის.

**სურათი 4.1.3.1. დასავლეთ სალიანდაგო სამმართველოს ტერიტორიის ხედები**



**4.1.3.1 დასავლეთ სალიანდაგო სამმართველოს აჭარის რეგიონი**

აჭარის რეგიონი მდებარეობს ქ. ბათუმში, ქიქავას ქუჩა №1-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით შეადგენს 4200 მ<sup>2</sup>-ს. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X-721172; Y-4613698;
2. X-721165; Y-4613729;
3. X-721257; Y-4613742;
4. X-721266; Y-4613718.

აჭარის რეგიონის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ლიანდაგის მიმდინარე მოვლა-შენახვა. ის აერთიანებს 2 საოსტატოს (ბათუმი, ქობულეთი), რომლის დაქვემდებარებაშია 7 საბრიგადირო (6-ლიანდაგის შემკეთებელი და 1 -ხელოვნური ნაგებობების).

აჭარის რეგიონის ტერიტორიაზე წარმოდგენილია-ადმინისტრაციული შენობა, სახელოსნოები, ტექნიკის 2 სადგომი, საწყობები. რეგიონს ემსახურება შესაბამისი ტრანსპორტი, როგორც მსუბუქი ისე სატვირთო.

ობიექტის ინფრასტრუქტურა ძველია, ეზოს ტერიტორია დაფარულია ბეტონის საფარით და შემოღობილია. არის ღამის განათება და გამწვანებულია ტერიტორიის დაახლოებით 10 %.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტერიტორიაზე ნარჩენის სახით გროვდება ნახშირი მცირე რაოდენობით, ლითონის ჯართი მცირე რაოდენობით და სხვ.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული -მშს „ბათუმის სანდასუფთავება“-სთან. ტერიტორიაზე განთავსებულია ურნები საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის. არ არის განთავსებული საწარმოო ნარჩენების შესაგროვებელი მარკირებული კონტეინერები. არ არის დანერგილი ნარჩენების სეგრეგირებული შეგროვების მეთოდი. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი

რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებულია საწვავის მიწისზედა ლითონის რეზერვუარები (1 - 1.5ტ, 2- 1 ტ, 1-4.2ტ, 1-0.74ტ), რომლებიც გამოიყენება დიზელის საწვავის შესანახად.

ტერიტორიაზე არის სამჭედლო ღუმელი, რომელიც გამოიყენება ლითონის დამუშავებისათვის. ენერჯის წყაროდ გამოიყენება ნახშირი. გამოყენებული ნახშირის რაოდენობა თვეში დაახლოებით 80 კგ-ა. სამჭედლოში არის 7-8 მეტრი სიმაღლის, 40 სმ დიამეტრის მქონე მილი, საიდანაც გაიფრქვევა ნამწვი აირები. მოქმედებს სადურგლო საამქრო, სადაც წარმოდგენილია ჰორიზონტალური ხერხი სალაშინით და ერთი საჩარხი დანადგარი, დამუშავებული მასალის რაოდენობა თვეში დაახლოებით 2 მ<sup>3</sup> შეიძლება იყოს. სადურგლო ოთახში არ არის ვენტილაციის სისტემა.

ლითონის დამუშავების საამქრო წარმოდგენილია 3 ჩარხ-დანადგარით, რომლებიც განკუთვნილია ლითონის დამუშავებისათვის. ვენტილაციის სისტემა არ არის

შედულების უბანზე სავენტილაციო დანადგარი დამონტაჟებულია კედელში დაახლოებით 2 მ-ის სიმაღლეზე. გამოყენებული ელექტროდების რაოდენობა თვეში დაახლოებით 10 კგ-ა.

რეგიონს არ გააჩნია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ატმოსფერული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების ნორმატიული დოკუმენტაცია.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ქალაქის წყალმომარაგების ქსელიდან. საკანალიზაციო წყლები ჩართულია, ასევე ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში.

ტექნიკურ მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება და შესაბამისად საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს

რეგიონის ტერიტორიაზე ნიადაგის და გრუნტის დაბინძურების ფაქტები აუდიტის პერიოდში დაფიქსირებული არ ყოფილა.

#### 4.1.3.2 დასავლეთ სალიანდაგო სამმართველოს გურიის რეგიონი

გურიის რეგიონი მდებარეობს ქ. ლანჩხუთში, სოფი მგელაძის ქ. №1-ში. მის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი შეადგენს დაახლოებით 1.6 ჰა-ს, რომლის ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X-256355; Y-4663931;
2. X-256426; Y-4663999;
3. X-256378; Y-4664025;
4. X-256196; Y-4664049;
5. X-256140; Y-4664039;
6. X-256135; Y-4664029;
7. X-256233; Y-4664001;

გურიის რეგიონის დაქვემდებარებაშია 3 საოსტატო და 8 საბრიგადირო. რეგიონის სამუშაო არეალი ვრცელდება რიონის ხიდიდან ნატანები-ჩაქვის ტერიტორიამდე.

რეგიონის ადმინისტრაციული შენობა და სახელოსნოები რამდენიმე წლის გარემონტებულია შესაბამისად ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია. ტერიტორიაზე მოწყობილია ღამის განათება და შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით.

ობიექტის საქმიანობიდან გამომდინარე, ტერიტორიაზე ნარჩენის სახით გროვდება ლითონის ჯართი, ლითონის ბურბუშელა და სხვა. ლითონის ჯართი საწყობდება ტერიტორიაზე და შემდგომ გააქვს კონტრაქტორ კომპანიას. ტერიტორიაზე აღინიშნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე ხელშეკრულება არ აქვთ გაფორმებული მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. არ არის დანერგილი ნარჩენების სეგრეგირებული შეგროვების მეთოდი და ტერიტორიაზე არ არის განთავსებული ნარჩენების შესაგროვებელი სათანადოდ მარკირებული კონტეინერები. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პ/პირი.

რეგიონის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სადურგლო, სახარატო საამქროები და შედუღების პოსტი. სადურგლოში განთავსებულია ერთი სახერხი და სალაშინი. თვითრად დაახლოებით 5 მ3 მასალის დამუშავება/დამზადება ხდება. სადურგლოში მოწყობილია ვენტილაციის სისტემა. გაფრქვევა ხდება 40X40 სმ კვადრატული მილით, დაახლოებით 3 მეტრის სიმაღლეზე.

სახარატოში განთავსებულია 2 ჩარხ-დანადგარი- საჩარხი სახარატო დაზგა და საბურღი. თვითრად შესაძლოა დამუშავდეს 100 ერთეული დეტალი, ლითონის დამუშავების შედეგად წარმოიქმნება ლითონის ბურბუშელას ნარჩენები.

შედუღების პოსტზე დამონტაჟებულია სავენტილაციო სისტემა. ნამწვი აირების გაფრქვევა ხდება 40X40 სმ კვადრატული მილით, დაახლოებით 3.5 მეტრის სიმაღლეზე. თვითრად გამოყენებული ელექტროდების რაოდენობა დაახლოებით 50 კგ-ა.

რეგიონს არ გააჩნია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ატმოსფერული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების ნორმატიული დოკუმენტაცია.

შენობა ნაგებობების გასათბობად გამოყენებულია ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ქ. ლანჩხუთის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება 60 ტონიან ლითონის რეზერვუარში, რომლის განტვირთვა ხდება შესაბამის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტექნიკურ მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება და შესაბამისად საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს. არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შესაგროვებელი სისტემა, გრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროები არ ყოფილა იდენტიფიცირებული.

ტერიტორიაზე მოწყობილია ბეტონის არხი, რომელიც შემდგომში ჩაედინება პატარა ღელეში. არხი ამოვსებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, ნაშალი მასალით.

ობიექტზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბანი შეიმჩნეოდა მცირე ფართობზე (დაახლოებით 1მ<sup>2</sup>-ფართობზე).



**სურათი 4.1.3.2.1. გურიის რეგიონის ტერიტორიის ერთერთი კუთხე****4.1.3.3 დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს ზესტაფონის რეგიონი**

ზესტაფონის რეგიონის ძირითადი ინფრასტრუქტურა მდებარეობს ქ. ზესტაფონში, აბესაძის ქ. №1-ში. ტერიტორიის ფართობი დაახლოებით შეადგენს 3400 მ<sup>2</sup>-ს, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-337377; Y-4663658;
2. X-337370; Y-4663611;
3. X-337407; Y-4663605;
4. X-337409; Y-4663624;
5. X-337452; Y-4663623;
6. X-337452; Y-4663658;
7. X-337386; Y-4663662;
8. X-337385; Y-4663657;

ზესტაფონის რეგიონის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ლიანდაგის მიმდინარე მოვლა-შენახვა. რეგიონი აერთიანებს 8 საოსტატოს (5 საოსტატო და 3 დამხმარე (ხიდები, დეფექტოსკოპია და სახელოსნო) და 21 საბრიგადიროს.

ზესტაფონის რეგიონის ტერიტორიაზე წარმოდგენილია -ადმინისტრაციული შენობა (2 სართული), დამხმარე სახელოსნოები და მომსახურე პერსონალის ოთახები.

რეგიონის ტერიტორიაზე შემოდის 2 სალიანდაგო ხაზი, ერთი სარელსო ტრანსპორტის სადგომად გამოიყენება, ხოლო მეორე ტექნიკის სამომხრად სამუშაოების შესასრულებლად. ობიექტის ინფრასტრუქტურა ძველია, ეზოს ტერიტორიის ნაწილი მობეტონებულია და შემოღობილია. არის ღამის განათება და გამწვანება -დაახლოებით 10 %-ით. ტერიტორიაზე დასაწყობებულია ლითონი ჯართი, რომელიც ძირითადად ლიანდაგის რელსებით არის წარმოდგენილი.

ობიექტის საქმიანობიდან გამომდინარე, ტერიტორიაზე ნარჩენის სახით გროვდება ხის ბურბუშელა, ლითონის ჯართი, ხის შპალები და სხვ. ლითონის ჯართი საწყობდება ტერიტორიაზე შემდგომ გააქვს კონტრაქტორ კომპანიას ხელშეკრულების საფუძველზე.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები გროვდება ტერიტორიაზე და გატანა ხდება ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ნარჩენების განთავსება ხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. არ არის დანერგილი ნარჩენების სეგრეგირებული შეგროვების მეთოდი და

ტერიტორიაზე არ არის განთავსებული ნარჩენების შესაგროვებელი სათანადოდ მარკირებული კონტეინერები. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პ/პირი.

რეგიონის ტერიტორიაზე არის სადურგლო საამქრო, სადაც წარმოდგენილია ჰორიზონტალური სახერხი სალაშინი და სარანდი ჩარხი. საამქროს გამოყენებას სისტემატიური ხასიათი არ აქვს, შესაბამისად დამუშავებული მასალის რაოდენობა მინიმალურია. სადურგლო ოთახში არ არის ვენტილაციის სისტემა.

ლითონის დამუშავების საამქროში წარმოდგენილია სახარატო ჩარხი, საბურღი ჩარხი, რომლებიც განკუთვნილია ლითონის დამუშავებისათვის. ვენტილაციის სისტემა არ არის.

შედულების პოსტი არის, სახელოსნოს შენობაში. ვენტილაციის სისტემა არ არის. თვითრად გამოყენებული ელექტროდების რაოდენობა დაახლოებით 20 კგ-ა.

რეგიონს არ გააჩნია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ატმოსფერული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების ნორმატიული დოკუმენტაცია.

შენობა ნაგებობების გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით და შეშის ღუმელით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ტერიტორიაზე არის წყლის 2 რეზერვუარი დაახლოებით 50 და 60 ტ ტევადობით. რეზერვუარების გამოყენება ამჟამად არ ხდება. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ქ. ზესტაფონის საკანალიზაციო კოლექტორში.

ობიექტზე წყლის გამოყენება ხდება თბომავლის გაგრილების სისტემაში ჩასამატებლად და ჰერბიციდის ხსნარის მოსამზადებლად, ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენებული წყლის რაოდენობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. ქალაქის საკანალიზაციო სისტემაში ასევე ჩართულია საწარმოო ჩამდინარე წყლები. ობიექტის ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა, მაგრამ არის სანიაღვრე ბეტონის არხი, რომელიც დაბინძურებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. არხი უერთდება ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორს.

ობიექტზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები გვხვდება სარელსო ტრანსპორტის სამოძრაო ზოლში, დაბინძურებულია ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით.

დაბინძურებული ნიადაგის ფართობი დაახლოებით 30მ<sup>2</sup>, სიღრმე დაახლოებით 16 სმ-ია. დაბინძურებული ტერიტორიიდან აღებულ იქნა ნიადაგის სინჯი.

**სურათი 4.1.3.3.1. ზესტაფონის რეგიონის ტერიტორიის ხედები**





#### 4.1.3.4 დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს სამეგრელოს რეგიონი

სამეგრელოს რეგიონი მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ინგირის ტერიტორიაზე. დაკავებული ფართობი დაახლოებით შეადგენს 300 მ<sup>2</sup>-ს, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-730969; Y-4708777;
2. X-730980; Y-4708781;
3. X-730988; Y-4708759;
4. X-730977; Y-4708755;

რეგიონი აერთიანებს 6 საოსტატოს, რომლის დაქვემდებარებაშიც 12 ბრიგადაა. რეგიონის სამუშაო არეალი მოიცავს დაახლოებით ჯვარიდან-სამტრედიის მისასვლელამდე ტერიტორიას, ასევე სენაკი ფოთის მთავარ მიმართულებას.

ერთ საამქროშია განთავსებული შედუღების პოსტი- საშემდუღებლო სამუშაოებისათვის, ჰორიზონტალური სახერხი სალაშინით სადურგლო სამუშაოებისათვის და ლითონის დამუშავების უბანი.

ობიექტის ინფრასტრუქტურა მოძველებულია, სახელოსნო წარმოდგენილია ერთი ძველი შენობით, ტერიტორია შემოღობილი არ არის. არის ღამის განათება და გამწვანება -დაახლოებით 5 %.

ობიექტის საქმიანობიდან გამომდინარე, ტერიტორიაზე ნარჩენის სახით გროვდება ლიანდაგის რელსები და სხვა ლითონის ჯართი. ლითონის ჯართს იყენებენ მეორადად ლიანდაგის მოვლა/შენახვისათვის საჭირო დეტალების დასამზადებლად.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე ხელშეკრულება არ არის გაფორმებული დასუფთავების სამსახურთან. არ არის დანერგილი ნარჩენების სეგრეგირებული შეგროვების მეთოდი და ტერიტორიაზე არ არის განთავსებული ნარჩენების შესაგროვებელი სათანადოდ მარკირებული კონტეინერები. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე კ/პირი.

სამღებრო საამქრო არ არის ტერიტორიაზე, თუმცა სახელოსნოში არის ოთახი, სადაც დასაწყობებული აქვთ საღებავები, რომლებსაც გამოიყენებენ ხიდებისა და ბოძების შესაღებად. ოთახში ვენტილაციის სისტემა არ არის.

შედუღების პოსტი არის, შედუღება სახელოსნოშივე ხდება, არ არის მოწყობილი ვენტილაციის სისტემა და გაფრქვევა ხდება პირდაპირ, თვითრად დაახლოებით 20 კგ ელექტროდის გამოყენება ხდება.

რეგიონს არ გააჩნია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ატმოსფერული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების ნორმატიული დოკუმენტაცია.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება დასახლებული პუნქტის ჭაბურღილიდან.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება ორმოში, დაახლოებით 30 მ<sup>3</sup> მოცულობის საასენიზაციო ორმოში.

ობიექტზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება. ეკოლოგიურად ცუდი მდგომარეობაა სახელოსნოს შენობაში, სადაც არ არის ვენტილაცია შესაბამისი პირობები სამუშაოების განხორციელებისათვის. სახელოსნო შენობაში დასაწყობებულია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ლითონის კასრები და რეზერვუარები.

#### 4.1.3.5 დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს სამტრედიის რეგიონი

სამტრედიის რეგიონის ძირითადი ინფრასტრუქტურა მდებარეობს ქ. სამტრედიაში თამაზ დუნდუას ქ. №2-ში. დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით შეადგენს 8000 მ<sup>2</sup>-ს. ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X-280069; Y-4670678;
2. X-280050; Y-4670678
3. X-280037; Y-4670617;
4. X-280001; Y-4670630
5. X-280024; Y-4670778;
6. X-280068; Y-4670761

ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სამტრედიის რეგიონის ადმინისტრაცია, მეორე სართულზე კი სალიანდაგო სამმართველოს ადმინისტრაცია. შესაბამისად, ქვემოთ აღწერილი ინფორმაცია საერთოა სამმართველოსთვის და სამტრედიის რეგიონისთვის ვინაიდან ერთ ტერიტორიაზეა განთავსებული და აქვთ საერთო ეზო და ადმინისტრაციული შენობა.

ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებულია სახარატო, სადურგლო და ლითონის დამუშავების საამქრო, არის შედუღების პოსტიც. ტერიტორიაზე არის ასევე საკმაოდ ძველი სადნობი ღუმელი, რომელიც მუშაობს ქვანახშირზე (ტყიბულის). სამსახური უზრუნველყოფილია შესაბამისი სარელსო და საგზაო სატრანსპორტო საშუალებებით.

ობიექტის ტერიტორიაზე უმეტესად არის ბეტონის საფარი, მოწყობილია პატარა სკვერი ეზოში, ათეულამდე ხით, ბუჩქებით და ყვავილებით. გამწვანება დაახლოებით ტერიტორიის 15 %-ია. ტერიტორია მთლიანად შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. ტერიტორიაზე ნარჩენების სახით იყო განთავსებული ძველი შპალები, ლითონის ჯართი, ნახერხის ბურბუმელა, გამოუყენებელი საბურავები, სამშენებლო მასალების ნარჩენები და სხვ.

ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ძირითადი ნარჩენებია ლითონის ჯართი, ძველი შპალები და სხვ. წარმოქმნილი ნარჩენების დასაწყობებისათვის არ არის გამოყოფილი სპეციალური სათავსი და განთავსებულია ღიად ეზოს ტერიტორიაზე. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხელშეკრულების საფუძველზე ხდება ქ. სამტრედიის სანიტარიული დასუფთავების სამსახურის მიერ. ობიექტზე არ ხდება ნარჩენების დახარისხებული შეგროვება, შესაბამისად არ აქვთ ნარჩენების შესაგროვებელი მარკირებული კონტეინერები. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პ/პირი.

ტერიტორიაზე საწვავის რეზერვუარები არ არის, ავტომობილების საწვავით გამართვა ხდება ავტოგასამართ სადგურზე სპეციალური ბარათებით. ადგილზე მხოლოდ სარელსო ტრანსპორტისთვის შემოაქვთ საჭირო რაოდენობის საწვავი ლითონის კასრებით.

ტერიტორიაზე არის სადნობი ღუმელი, რომელიც საკმაოდ მოძველებულია, სადნობ ღუმელში გამოყენებულ ენერჯის წყაროს წარმოადგენს ქვანახშირი (ტყიბულის). ნამწვი აირების გაფრქვევა ხდება 50 სმ-ის დიამეტრის 14 მ სიმაღლის მილით. ღუმელი გამოიყენება ლიანდაგის მოვლისათვის საჭირო დეტალების დასამზადებლად. ღუმელი თვეში საშუალოდ 800 კგ ნახშირს მოიხმარს.

სადურგლო საამქროში დგას ერთი სახერხი დანადგარი. ვენტილაცია არ არის. თვიურად დაახლოებით 20-30 შპალის-ჯამში 1მ<sup>3</sup> მასალის დამუშავება ხდება.

არის სახარატო საამქრო, სადაც სამი დანადგარია განთავსებული. არის სახარატო ჩარხი და საღარავი დაზგა. სახარატოში თვიურად 1 ტონამდე მასალის დამუშავება ხდება. ვენტილაციის სისტემა არ არის. ობიექტს სამღებრო საამქრო არ გააჩნია.

ტერიტორიაზე არის შედუღების საამქრო/პოსტი, სადაც თვიურად დაახლოებით 200 კგ-მდე ელექტროდის გამოყენება ხდება. სავენტილაციო სისტემა არ არის მოწყობილი. შენობა-ნაგებობების გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ემისიის წყაროებზე არ გააჩნიათ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმებული ნორმატიული დოკუმენტაცია.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ქ. სამტრედიის წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში. ტექნოლოგიური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება და შესაბამისად საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს.

ტერიტორიაზე არის პატარა არხი სანიაღვრე წყლებისთვის, რომელიც ჩაედინება ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში. არხი დაბინძურებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დამაბინძურებელ წყაროებს წარმოადგენს სარელსო ტრანსპორტის მოძრაობის ზოლი და ტექნიკის სადგომები.

ობიექტის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტებით დაბინძურების ადგილები ძირითადად სალიანდაგო ხაზს მიუყვება (დაახლოებით 60-70 მ სიგრძის სალიანდაგო ხაზი). განსაკუთრებით დაბინძურებულია ერთი სალიანდაგო ხაზი დაახლოებით 30 მეტრის სიგრძეზე, დაბინძურების სიღრმე დაახლოებით შეადგენს 10 სმ-ს. სალიანდაგო ხაზთან ახლოს არის მაზუთით დაბინძურების ტერიტორია, დაახლოებით 15 მ<sup>2</sup> ფართობის და 20 სმ სიღრმის. მაზუთით დაბინძურების ტერიტორიიდან აღებულ იქნა ნიადაგის სინჯი

**სურათი 4.1.3.5.1.** ტერიტორიაზე არსებული დაბინძურებული ადგილები



#### 4.1.4 ლიანდაგის სარემონტო-სამშენებლო სამმართველო

##### 4.1.4.1 ბროწეულას მექანიზებული ბაზა

ბროწეულას მექანიზებული ბაზა მდებარეობს წყალტუბოს რაიონის სოფ. ბროწეულას ტერიტორიაზე. დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით შეადგენს 8.5 ჰა-ს. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X-306752; Y-4674782;
2. X-306756; Y-4674707;
3. X-306214; Y-4674673;
4. X-306053; Y-4674755;
5. X-306074; Y-4674816;
6. X-306257; Y-4674824;
7. X-306277; Y-4674860;
8. X-306421; Y-4674830;
9. X-306447; Y-4674804;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ლიანდაგის კაპიტალური შეკეთება. ემსახურება დასავლეთ საქართველოს სალიანდაგო ხაზს. ბაზას გააჩნია საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებები, კერძოდ: 2 ლიანდაგდამგები, ერთი ამწე, ერთი ღორღსაწმენდი (RM), ლიანდაგის გასასწორებელი ტექნიკა და სხვა (ჯოჯგინა ამწე, ვპრ, კჟდ ამწეები) ტექნიკის ყველა სახეობა მუშაობს დიზელის საწვავზე.

ბაზის ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით, ტერიტორიის ზედაპირი დაფარულია ხრემის ფენით, მოწყობილია დამის განათება. რაც შეეხება გამწვანებას ტერიტორიაზე არის ათეულამდე ხე, და ამდენივე კვიპაროსის ნერგები.

ტერიტორია ტექნოგენურია, განთავსებულია რამდენიმე შენობა მომუშავე პერსონალისთვის, ტერიტორიაზე არის საწვავი რეზერვუარების საწყობი, მოწყობილია საშხაპე მომსახურე პერსონალისთვის, ტერიტორიაზე განთავსებულია ტექნიკა, რომელიც ლიანდაგის კაპიტალურ შეკეთებას ემსახურება.

ტერიტორიაზე განთავსებულია დიდი რაოდენობით ლითონის ჯართი, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია რელსებით და მისი დეტალებით. ტერიტორიაზე ზოგიერთ ადგილას მიმოფანტულია საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ლითონის ჯართის დასაწყობებისათვის ტერიტორიაზე გამოყოფილია სათავსები რომელიც, ხის შპალებით არის შეკრული და ღიად არის განთავსებული გრუნტზე. ნარჩენის სახით წარმოქმნილი აკუმულატორები კომპანიის ბალანსზეა და საწყობდება ტერიტორიაზე. წარმოქმნილი ლითონის ჯართი ტენდერის საფუძველზე გაქვს შესაბამის კომპანიას.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები თვითონ გააქვთ მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე. არ ხდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, არ გააჩნიათ შესაბამისი მარკირებული კონტეინერები. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პ/პირი.

ტერიტორიაზე არსებულ ვაგონში განთავსებულია 2 ერთეული 3800 და 1600 ლიტრი ტევადობის დიზელის საწვავის რეზერვუარი.

სამღებრო საამქრო არ არის, თუმცა საღებავის გამოყენება ხდება საჭიროებისამებრ (მცირე რაოდენობით).

შედულების საამქრო არ არის, თუმცა შედულება მიმდინარეობს საჭიროებისამებრ (მცირე ინტენსივობით), თვიურად გახარჯული ელექტროდების რაოდენობა დაახლოებით 13-14 კგ-ა.

ადმინისტრაციულ შენობაში არის დიზელზე მომუშავე საქვაბე.-ACK2-30 ტიპის დანადგარი. 35 KW, წლიურად საწვავის ხარჯი შეადგენს 5000-6000 ლიტრს საშუალოდ. გაფრქვევა ხდება 15 სმ დიამეტრის და 4 მეტრის სიმაღლის მილით.

ბაზას არ გააჩნია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ატმოსფერული ემისიების ნორმატიული დოკუმენტაცია.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ადმინისტრაციულ შენობის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ცენტრალურ საკანალიზაციო კოლექტორში, ხოლო ბაზის ტერიტორიაზე, მომსახურე პერსონალისთვის მოწყობილ აბანოსა და საპირფარეოს ჩამდინარე წყლებისთვის მოწყობილია საასენიზაციო ორმო დაახლოებით 20 მ<sup>3</sup> მოცულობის. დაცლა ხდება დაახლოებით, წელიწადში ერთხელ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურთან.

ბაზის ტერიტორიაზე საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს.

ბაზის ტერიტორიაზე სანიაღვრე სისტემა არ არის მოწყობილი. ტერიტორიას გარშემორტყმული აქვს არხი, რომელიც მეტ-ნაკლებად იცავს ტერიტორიას ტერიტორიის გარეთ არსებული სანიაღვრე წყლებისგან.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ტერიტორიაზე დასაწყობებული ლიანდაგის რელსები და სხვა დეტალები, შპალები, რომლებიც დაბინძურებულია ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით.

ბაზის ტერიტორია სადაც დასაწყობებულია ლიანდაგის რელსები და სხვა დეტალები ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით არის დაბინძურებული, შესაბამისად გარკვეული დოზით დაბინძურებულია ნიადაგის გრუნტი, ვინაიდან ტექნოგენური ტერიტორია და აღნიშნულ საქმიანობა წლებია მიმდინარეობს.

მნიშვნელოვანი დაბინძურებები არ შეიმჩნევა ტერიტორიაზე.

#### 4.1.4.2 გომის სარემონტო ბაზა

გომის სარემონტო ბაზა მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. გომის ტერიტორიაზე, მისი საქმიანობის სფეროა სარკინიგზო მაგისტრალის ხელოვნური ნაგებობების სარემონტო სამუშაოების წარმოება, რისთვისაც უზრუნველყოფილია საჭირო ტექნიკური საშუალებებით.

ბაზის ტერიტორიაზე განთავსებულია ადმინისტრაციული შენობა, მოქმედი და ჩამოწერილი ტექნიკის სადგომები. ტერიტორიაზე შემოდის სარკინიგზო ხაზი. სარკინიგზო ხაზის ნაწილში განთავსებულია ჩამოწერილი ვაგონები.

ბაზი ტერიტორია შემოღობილია, მოწყობილია ღამის განათება. წყალმომარაგება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან. ჩამდინარე წყლების შეგროვება ხდება საასენიზაციო ორმოში.

არ ხდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, არ გააჩნიათ შესაბამისი მარკირებული კონტეინერები. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პ/პირი. აუდიტის პერიოდში ნარჩენებით დაბინძურებული უბნები არ ყოფილა დაფიქსირებული.

ბაზის ტერიტორიაზე საწარმოო საამქროები განთავსებული არ არის. არ გააჩნიათ საწვავის რეზერვუარები.

## 4.2 სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების (სცბ) დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის ობიექტები

### 4.2.1 თბილისის სცბ-ის სამმართველო

თბილისის სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სამმართველო მდებარეობს სს „საქართველოს რკინიგზა“-ს ადმინისტრაციული შენობაში ქ. თბილისში თამარ მეფის გამზირი N15.

თბილისის სცბ-ს ძირითად სისტემებს განეკუთვნება:

- ისრებისა და შუქნიშნების ელექტრული ცენტრალიზაცია;
- გადასარბენებზე მატარებელთა მოძრაობის ინტერვალური რეგულირების სისტემები;
- დისპეტჩერული ცენტრალიზაცია და მატარებელთა მოძრაობის დისპეტჩერული კონტროლი;
- სიგნალიზაცია ხელოვნურ ნაგებობებზე და გადასასვლელებზე;
- ღერძების მთვლელების საფუძველზე აგებული უბნის მდგომარეობის მაკონტროლებელი სისტემები;
- ავტომატური სალოკომოტივო სიგნალიზაციის საგზაო მოწყობილობები და დამუხრუჭების ავტომატური მართვა;
- სცბ-ს მოწყობილობათა ტექნიკური ექსპლუატაცია მახარისხებელ გორაკებზე;
- სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მდგომარეობის ავტომატური კონტროლის საშუალებანი.

ჩამოთვლილი სისტემები თავის მხრივ შეიცავენ საგზაო აღჭურვილობას, როგორებიცაა, საისრო ამძრავები, შუქნიშნები, დროსელ-ტრანსფორმატორები, საკაბელო ქსელები და ა.შ. საპოსტო მოწყობილობებს: მართვის აპარატები, სტატივები, რელეები, ტრანსფორმატორების და სხვა კვების წყაროს ბლოკები, მოდულები, სადენები, კაბელები და სხვა.

შენობაში განთავსებულია სცბ-ს ადმინისტრაციული ნაწილი, 1 საამქრო და მცირე საწყობი. საამქროში ძირითადად მიმდინარეობს მოწყობილობების საზეინკლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოების წარმოება. ასევე დეტალების საპოხი მასალებით დამუშავება. საპოხი მასალები შემოდის 200 ლიტრიანი ავზებით წელიწადში 3-ჯერ. საამქროს ნაწილს იყენებენ სამღებროდ. სამღებრო სამუშაოების დროს გამოყენებული დაცლილი საღებავების ტარა გამოიყენება საპოხი მასალების შესანახად. სატრანსფორმატორო ზეთების გამოცვლა ხდება წელიწადში ერთხელ.

საამქროს ნაწილში განთავსებულია სააკუმულატორო ნაწილი. სააკუმულატოროში მიმდინარეობს ტყვიაშემცველ აკუმულატორებში გოგირდმჟავას დამატება. გოგირდმჟავა შემოდის 20 ლიტრიანი კასრებით.

დაცლილი საღებავის ტარები, გოგირდმჟავას დაცლილი კასრები, გამოუსადეგარი დეტალები გადააქვთ ცენტრალურ საწყობში რომელიც განთავსებულია ქ. თბილისში ზესტაფონის ქ. N27-ში.

სამმართველოს არ აქვს ატმოსფერული ემისიების საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ნორმატიული დოკუმენტაცია.

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს ადმინისტრაციული შენობის განყოფილებებში ჩამოწერილი ტექნიკა გადადის სამეურნეო საწყობში. სამეურნეო საწყობში ძირითადად ინახება გამოუსადეგარი კომპიუტერები, მონიტორები, პრინტერები, კვების ბლოკები, იუპიესები და სხვ. სამეურნეო საწყობში ადგილის ნაკლებობის გამო აღნიშნული ნარჩენები განთავსებულია საწყობის მიმდებარედ დერეფნებში და კიბეებზე.



სამმართველოში არ არის დანერგილი ნარჩენების შეგროვების სეპარირებული მეთოდი და შესაბამისად არ აქვთ ნარჩენების შესაგროვებელი მარკირებული კონტეინერები. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

#### 4.2.2 სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ხაშურის სამმართველო

სცბ-ის ხაშურის სამმართველო მდებარეობს ქ. ხაშურში, კოსტავას ქ. N24-ში. სცბ-ს ძირითად სისტემებს განეკუთვნება:

- ისრებისა და შუქნიშნების ელექტრული ცენტრალიზაცია;
- გადასარბენებზე მატარებელთა მოძრაობის ინტერვალური რეგულირების სისტემები;
- დისპეტჩერული ცენტრალიზაცია და მატარებელთა მოძრაობის დისპეტჩერული კონტროლი;
- სიგნალიზაცია ხელოვნურ ნაგებობებზე და გადასასვლელებზე;
- ღერძების მთვლელების საფუძველზე აგებული უბნის მდგომარეობის მაკონტროლებელი სისტემები;
- ავტომატური სალოკომოტივო სიგნალიზაციის საგზაო მოწყობილობები და დამუხრუჭების ავტომატური მართვა;
- სცბ-ს მოწყობილობათა ტექნიკური ექსპლუატაცია მახარისხებელ გორაკებზე;
- სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მდგომარეობის ავტომატური კონტროლის საშუალებანი.

ჩამოთვლილი სისტემები თავის მხრივ შეიცავენ საგზაო აღჭურვილობას, როგორებიცაა, საისრო ამძრავები, შუქნიშნები, დროსელ-ტრანსფორმატორები, საკაბელო ქსელები და ა.შ. საპოსტო მოწყობილობებს: მართვის აპარატები, სტატივები, რელეები, ტრანსფორმატორების და სხვა კვების წყაროს ბლოკები, მოდულები, სადენები, კაბელები და სხვა.

ხაშურის სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სამმართველოს სამოქმედო არეალი მოიცავს სარკინიგზო მაგისტრალის მონაკვეთებს ქ. ზესტაფონიდან ქ. კასპამდე და ქ. ხაშურიდან ქ. ახალციხემდე.

სამმართველოს ტერიტორიაზე განთავსებულია სალიანდაგო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობა, სცბ-ს ადმინისტრაციული შენობა, საწყობი და ლაბორატორია. ტერიტორიაზე განთავსებულია ორი დიზელ-გენერატორი.

სამმართველოში ფუნქციონირებს ლაბორატორია. ლაბორატორიაში ძირითადად მიმდინარეობს რელეების, ბლოკების და სხვა დეტალების შემოწმება, შეკეთება და აღდგენა. დეტალები, რომლებიც აღარ ექვემდებარება შეკეთებას ინახება საწყობში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვერცხლისწყლის და სპილენძის შემცველი რელეები. დღეისთვის საწყობში დასაწყობებულია ≈700ც რელე. საწყობში აგრეთვე ინახება მჟავა აკუმულატორები ≈361 ერთეული, ხოლო ტყვიის შემცველი საავტომობილო აკუმულატორები ≈26 ერთეული.

სამართავი პუნქტებიდან ხდება ტყვიის ამოღება. ამოღებული ტყვია ინახება საწყობში და შემდეგ გადაეცემა კონტრაქტორს. დღეისთვის ადგილზე არის ≈55-60 კგ ტყვიის ნარჩენები. აღნიშნული ნარჩენები მიეკუთვნება სახიფათო კლასის ნარჩენებს, შესაბამისად აუცილებელია ნარჩენების გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორზე.

სამმართველო დაქვემდებარებაში არსებული სახელოსნო განთავსებულია ადმინისტრაციული შენობიდან 300-400 მ-ის დაშორებით. სახელოსნოში ფუნქციონირებს 5 ჩარხი, 1 ლითონმჭრელი დანადგარი და 1 საბურღი. სახელოსნოში არ არის წყალგაყვანილობის და სავენტილაციო სისტემები. სამუშაო პროცესში წარმოქმნილი ძირითადი ნარჩენებია ლითონის ნაჭრები, ლითონის წვრილი ბურბუშელა, ხის ნაჭრები, ნახერხი და სხვა.

ჯემპერების (ზღუდარების) გასაპოხად გამოყენებული საპოხი მასალის რეზერვუარი განთავსებულია სახელოსნოს ნაწილში. ტერიტორიაზე შეინიშნება მცირე დაღვრილი ნავთობპროდუქტების კვალი და საჭიროებს გაწმენდას.

სახელოსნოს ეზოში გადახურულ შენობებში განთავსებულია ძველი გამოუსადეგარი დანადგარები, ბლოკების ნაწილები, კაბელები, შუქნიშნის ნაწილები და სხვ. ჯართის ნაწილი განთავსებულია აგრეთვე სახელოსნოს მიმდებარედ ტერიტორიაზე. ადგილზე განთავსებული ჯართის საერთო მოცულობა შეადგენს  $\approx 25-30$  ტონას.

სამმართველოს არ გააჩნია მავნე ნივთიერებათა ატმოსფერული ემისიების დადგენილი წესით შეთანხმებული ნორმატიული დოკუმენტაცია. არ ხდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, არ აქვთ შესაბამისი მარკირების მქონე კონტეინერები. არტ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

### 4.3 ელექტრომომარაგების დეპარტამენტის ინფრასტრუქტურა

#### 4.3.1 აღმოსავლეთ ელექტრომომარაგების სამმართველო

აღმოსავლეთ ელექტრომომარაგების სამმართველოს ცენტრალური ინფრასტრუქტურა განთავსებულია ქ. თბილისში ზესტაფონის ქ. N24. სამმართველოს დაქვემდებარებაში შედის:

- ადმინისტრაციული შენობა (ცენტრალური საწყობი);
- სარემონტო-სარევიზიო უბანი;
- საგზაო ელექტროტექნიკური ლაბორატორია;
- ელექტრომომარაგების რაიონი;
- კასპის ცენტრი
  - კასპის საკონტაქტო ქსელის რაიონი
  - ზაჰესის საკონტაქტო ქსელის რაიონი
  - ზაჰესის წევის ქვესადგური
  - დიდუბის წევის ქვესადგური
- თბილისის ცენტრი
  - თბ. საკვანძოს საკონტაქტო ქსელის რაიონი
  - თბ. საკვანძოს წევის ქვესადგური
- საგარეჯოს ცენტრი
  - საკონტაქტო ქსელის რაიონი
  - კაჭრეთის წევის ქვესადგური
  - იორის წევის ქვესადგური
  - ვაზიანის წევის ქვესადგური
  - საგარეჯოს წევის ქვესადგური
- გურჯაანის ცენტრი
  - მადაროს საკონტაქტო ქსელის რაიონი
  - გურჯაანის საკონტაქტო ქსელის რაიონი
  - მადაროს წევის ქვესადგური
  - დედოფლისწყაროს წევის ქვესადგური
  - გურჯაანის წევის ქვესადგური
- რუსთავის ცენტრი
  - რუსთავის საკონტაქტო ქსელის რაიონი
- მარნეულის ცენტრი
  - მარნეულის საკონტაქტო ქსელის რაიონი
  - მარნეულის წევის ქვესადგური

- კუმისის წვეის ქვესადგური
- ბოლნისის წვეის ქვესადგური
- თეთრიწყაროს ცენტრი
  - თეთრიწყაროს საკონტაქტო ქსელის რაიონი
  - ცხრამძის წვეის ქვესადგური
  - თეთრიწყაროს წვეის ქვესადგური
  - ნადარბაზევის წვეის ქვესადგური
  - ბედენის წვეის ქვესადგური
  - თრიალეთის წვეის ქვესადგური
  - პოკანის წვეის ქვესადგური

სამმართველოს ძირითად ფუნქციას წარმოადგენს რკინიგზის ინფრასტრუქტურის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა და ელექტროუსაფრთხოება. კერძოდ, მაღალი ძაბვის (6,10,30 კვ) დაწვეა მუდმივი (3,3 კვ) ძაბვის მიღწევის მიზნით, რომელიც უზრუნველყოფს ლიანდაგზე მატარებლების უსაფრთხო მოძრაობას. სამმართველოში მუშაობს ავარიული ბრიგადა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გადის რკინიგზის ხაზებზე სამუშაოდ.

სამმართველოს ტერიტორიაზე მოწყობილია მექანიკური საამქრო, სადაც დამონტაჟებულია ლითონის დამუშავების ჩარხები და სამჭედლოს ღუმელი. ცალკე სატავსში მოწყობილია ხის სახერხი დაზგა.

სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის გვერდით არის ცენტრალური საწყობი, სადაც დასაწყობებულია საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო მასალები და ინვენტარი, ასევე ცალკე გამოყოფილი კუთხე ჩამოსაწერი მასალებისა და მოწყობილობების სასაწყობო სათავსები.

ელექტრომომარაგების სამმართველოს დაქვემდებარეში შედის აგრეთვე საგზაო ელექტროტექნიკური ლაბორატორია და სარემონტო-სარევიზიო უბანი. ლაბორატორიაში იგზავნება ზეთები, სადაც ხდება ზეთის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების კვლევა. კვლევის შემდგომ ზეთები იგზავნება სარემონტო-სარევიზიო უბანზე ზეთების გაწმენდის მიზნით. გაწმენდის პროცესის შემდგომ უბანზე რჩება ნალექები, რომლის შემდგომი მართვის პროცედურა არ არის განსაზღვრული.

სამმართველოს ტერიტორიაზე დასაწყობებულია ძველი გამოცვლილი სატრანსფორმატორო ზეთები. ზეთებს კვლევა არ ჩატარებულა პოლიქლორირებული ბიფენოლების შემცველობაზე.

დღეისთვის გამოცვლილი სატრანსფორმატორო ზეთები ინახება კასრებში. ნახმარი ზეთები მიეკუთვნება სახიფათო ნარჩენებს, შესაბამისად აუცილებელია ნარჩენის გადაცემა შემდგომი მართვისათვის მოხდეს მხოლოდ იმ ორგანიზაციებზე, ვისაც გააჩნია ამ საქმიანობაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა.

სამმართველოს სისტემაში არ არის დანერგილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი და არ გააჩნიათ ნარჩენების შესაგროვებელი მარკირებული კონტეინერები. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება ქ. თბილისის დასუფთავების სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.

ადმინისტრაციული შენობის ეზოში გადის სარკინიგზო ხაზი. რკინიგზის ხაზის გრუნტის ნაწილი დაბინძურებულია დაღვრილი ნავთობპროდუქტებით. საჭიროა დასვრილი გრუნტის მოხსნა და რემედიაცია.

შენობის ეზოში განთავსებულია გაფუჭებული ავტომობილები, რომელთა უმეტესობა ექვემდებარება ჩამოწერას და ჯართში ჩაბარებას.

#### 4.3.1.1 გურჯაანის საკონტაქტო ქსელის რაიონი

გურჯაანის საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს ქ. გურჯაანში, თამარაშვილის №12-ში. დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით, 0.7 ჰა-ს. ობიექტის მიერ დაკავებული კუთხის კოორდინატები:

1. X-565841, Y-4622699;
2. X-465895, Y-4622735;
3. X-565941, Y-4622629;
4. X-565901, Y-4622606;

ქსელის რაიონის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. სამუშაოების შესასრულებლად ყავთ სარელსო ტრანსპორტი ე. წ დრეზინა- АГВ.

ობიექტის ინფრასტრუქტურა მოძველებულია, თუმცა კარგად შემონახული. ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. არის ღამის განათება. ეზო მოწესრიგებულია. ტერიტორიაზე გამწვანება დაახლოებით 10 %-ია.

ობიექტზე ძირითადად, საყოფაცხოვრებო ნარჩენები წარმოიქმნება. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ტერიტორიაზე დასაწყობებულია მცირე რაოდენობით ლითონის ჯართი. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე პ/პ ობიექტზე არ არის.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება გურჯაანის მოსაბრუნებელი პუნქტის ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილიდან. აღნიშნული ჭაბურღილიდან აღებულია სინჯი წყლის მოკლე ქიმიური ანალიზისთვის მოსაბრუნებელი პუნქტის ტერიტორიიდან. ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ქ. გურჯაანის საკანალიზაციო კოლექტორში.

ობიექტზე არ მიმდინარეობს ისეთი ტექნოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც წარმოიქმნება საწარმოო ჩამდინარე წყლები.

საკონტაქტო ქსელის რაიონის საქმიანობიდან გამომდინარე ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების ნაკლები რისკია, თუმცა დაბინძურების წყაროს შესაძლოა წარმოადგენდეს ტექნიკის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის შედეგად ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურება მცირე მასშტაბით. რაც შეეხება იგივე ტერიტორიაზე მდებარე ქვესადგურის ტრანსფორმატორებს ავარიული დაღვრის შემთხვევაში აქ მაღალი რისკია სანიაღვრე წყლების დაბინძურების.

სანიაღვრე წყლების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობი 800 მ<sup>2</sup>-ია. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.1.2 კასპის საკონტაქტო ქსელის რაიონი.

ობიექტი მდებარეობს ქ. კასპში, ფარნავაზ მეფის №7-ში. ტერიტორიის ფართობი დაახლოებით შეადგენს 2200 მ<sup>2</sup>-ს. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატები;

1. X-452064; Y-4640894;

2. X-452064; Y-4640889;
3. X-452073; Y-4640884;
4. X-452062; Y-4640862;
5. X-452050; Y-4640867;
6. X-452036; Y-4640848;
7. X-452012; Y-4640866;
8. X-452019; Y-4640907;

ობიექტზე სამუშაოების განხორციელებისთვის გამოიყენება სარელსო ტრანსპორტი ერთი ერთეული ე.წ დრეზინა -АГВ. ობიექტის ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით და მავთულის ღობით. ტერიტორიაზე არის ღამის განათება, გამწვანება დაახლოებით 10 %-ია ტერიტორიაზე.

ობიექტზე საქმიანობიდან გამომდინარე, ძირითადად წარმოიქმნება ლითონის ნარჩენები რომლებიც საწყობდება ეზოში ნიადაგზე. საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსებასა მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე ხორციელდება საკუთარი ძალებით. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვს გაფორმებული. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე კ/პირი.

სასმელ-სამურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. (ქალაქის წყალსადენი). ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 6 მ<sup>3</sup> მოცულობის სასენიზაციო ორმოში, რომელიც ამოშენებულია აგურით. ობიექტზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები ჩადის ამ ორმოში (აბანოსთვის და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულებისთვის გამოყენებული წყალი). დაცლა ხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს ისეთი ტექნოლოგიური პროცესი რომლის დროსაც ადგილი ექნება საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას. სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა მოწყობილი არ არის ტერიტორიაზე.

ტერიტორიაზე არის საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი - ტსზ-25/10. ზეთის ტევადობა ტრანსფორმატორში 115 კგ-ა. შემოღობილი არ არის. გამაფრთხილებელი ნიშნები არ არის.

ობიექტის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტებით და ზეთებით დაბინძურებული უბანი შეიმჩნევა ეზოში, სარელსო ტრანსპორტის სადგომზე. დაბინძურებულია დაახლოებით 6 მ<sup>2</sup> ფართობის ტერიტორია, დაბინძურების სიღრმე დაახლოებით 7-10 სმ. აღნიშნული ტერიტორია მოხრეშილია. დროთა განმავლობაში ხდება დაბინძურებული ფენის მოხსნა და ახლით ჩანაცვლება. აღნიშნული ნარჩენის მართვის შესახებ ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული.

#### 4.3.1.3 მარნეულის საკონტაქტო ქსელის რაიონი

ობიექტი ექვემდებარება მარნეულის ცენტრს, მდებარეობს ქ. მარნეულში, იალღუჯის ქუჩა №20-ში. საკონტაქტო ქსელის რაიონი და ქვესადგური მდებარეობს ერთ ტერიტორიაზე, ერთ შენობაში. ტერიტორიის მთლიანი ფართობი დაახლოებით 5600 მ<sup>2</sup>-ია. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X-484298; Y-4593518;
2. X-484248; Y-4593543;
3. X-484294; Y-4593639;
4. X-484341; Y-4593613;

ობიექტი ემსახურება რკინიგზის საკონტაქტო ქსელის გრძივი და 10 კვ-იანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვას. სარელსო ტრანსპორტით ADM-400-ით ახორციელებენ საკონტაქტო ქსელის გეგმიურ და არაგეგმიურ შეკეთება/მოვლა/შენახვას.

ობიექტის ტერიტორიის შენობები ძველია. ინფრასტრუქტურა ნორმალურია, ეზო გამწვანებულია სხვადასხვა ხე მცენარით და ხეივანით გამწვანება დაახლოებით 15-18%-ია. არის ღამის განათება.

ტერიტორიაზე არის მცირე რაოდენობით ნარჩენები მიმოფანტული. ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ასევე ფერადი ლითონის ნარჩენები, იზოლატორები და სხვა. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ნარჩენების მართვაზე კ/პ არ არის ობიექტზე.

სასმელი წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ქ. მარნეული საკანალიზაციო კოლექტორში.

ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს ისეთი ტექნოლოგიური პროცესი რომლის დროსაც ადგილი ექნება ჩამდინარე წყლების წარმოქმნას.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე.

ობიექტზე ზეთითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.1.4 მაღაროს საკონტაქტო ქსელის რაიონი

ობიექტი ექვემდებარება გურჯაანის ცენტრს და მდებარეობს სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფ. მაღაროს ტერიტორიაზე. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორია დაახლოებით 2200 მ<sup>2</sup>-ია. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X -569654; Y-4601522;
2. X -569623; Y-4601498;
3. X -569606; Y-4601533;
4. X -569590; Y-4601576;
5. X -569600; Y-4601583

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. ობიექტის საქმიანობის მონაკვეთი ვრცელდება სოფ. ბადიაურიდან-დედოფლისწყარომდე, ჯამში-64 კმ. არ ჰყავთ სარელსო ტრანსპორტი (დრეზინა). გადასაადგილებლად და ტვირთის გადასატანად იყენებენ სატვირთო მანქანას.

ტერიტორია შემოღობილია, შენობა დაზიანებულია და ცუდ მდგომარეობაშია. გამწვანება დაახლოებით 5%-ია. არის ღამის განათება. ტერიტორიაზე ნარჩენები განთავსებული არ არის.

ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებია ძირითადად, საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ლითონი ჯართი და იზოლატორები. არ აქვთ ხელშეკრულება მუნიციპალური

დასუფთავების სამსახურთან და ნარჩენები იყრება ტერიტორიის გარეთ განთავსებულ მუნიციპალურ ურნებში. ნარჩენების მართვაზე კ/კ ობიექტზე არ არის.

ობიექტის ტერიტორიაზე არ არის სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგების სისტემა, სასმელი წყალი მოაქვთ დასახლებიდან. წვიმის წყალს აგროვებენ 2 მ<sup>3</sup> მოცულობის ჰორიზონტალურ რეზერვუარში და იყენებენ საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 8მ<sup>3</sup> მოცულობის არა ჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში. დაცლა ხდება საჭიროებისამებრ ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს ისეთი ტექნოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც ადგილი ექნება ჩამდინარე წყლების წარმოქმნას.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების მნიშვნელოვანი დაბინძურების წყარო არ არის.

სანიაღვრე სისტემა არ არის მოწყობილი.

ობიექტის ტერიტორიაზე არის საკუთარი მოხმარების ტსზ ტიპის ტრანსფორმატორი 25/10, რომელშიც ზეთის რაოდენობა არის 125კგ, ტრანსფორმატორი შემოუღობავია, არ არის განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნები.

ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება. არ ფუნქციონირებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროები

#### 4.3.1.5 რუსთავის საკონტაქტო ქსელის რაიონი.

ობიექტი ექვემდებარება რუსთავის ცენტრს და მდებარეობს ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა №9-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის მიახლოებითი ფართობი დაახლოებით 2500მ<sup>2</sup>-ს. დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X -504133; Y-4597163;
2. X -504170; Y-4597188;
3. X -504201; Y-4597146;
4. X -504160; Y-4597122

ობიექტი ემსახურება რკინიგზის საკონტაქტო ქსელის და 6 კვ-იანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვას. აქვს სპეციალური ტექნიკა ე.წ. დრეზინა -АГВ, რომლის მეშვეობითაც ახორციელებენ რკინიგზის საკონტაქტო ქსელის გეგმიურ და არაგეგმიურ სამუშაოებს. ობიექტზე არის ასევე KIA-ს ფირმის ავტომობილი.

ობიექტის შენობა საკამოდ ძველია, ტერიტორია მოპირკეთებულია, დგას ხეხილის და წიწვოვანი ხე-მცენარეები. გამწვანება დაახლოებით 15 %-ია. არის ღამის განათება.

ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომელიც გააქვს ქ. რუსთავის მუნიციპალური დასუფთავების სამსახურს ხელშეკრულების საფუძველზე.

საქმიანობის პროცესში ასევე, წარმოიქმნება ფერადი ლითონის ჯართი და იზოლატორები.

ნარჩენების მართვაზე კ/კ არ ყავთ.

სასმელი წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით, 12 მ<sup>3</sup> მოცულობის არა ჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში, რომლის დაცლა ხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს ისეთი ტექნოლოგიური პროცესი რომლის დროსაც ადგილი ექნება საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას.

სანიაღვრე წყლების სისტემა არ არის მოწყობილი ტერიტორიაზე.

აქვთ საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი- 25/10ზე. ტრანსფორმატორი შემოუღობავია, არ არის განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნები.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე.

ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება. არ ფუნქციონირებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროები

#### 4.3.1.6 საგარეჯოს საკონტაქტო ქსელის რაიონი

ექვემდებარება საგარეჯოს ცენტრს და მდებარეობს ქ. საგარეჯოში, გრიგოლ რობაქიძის ქ. №4-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 3000მ<sup>2</sup>-ია. ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X -530057; Y-4617920;
2. X -530032; Y-4617948;
3. X -530060; Y-4617971;
4. X -530087; Y- 4617973;
5. X -530116; Y-4617995;
6. X -530129; Y-4617980.

ობიექტის სამოქმედო არეალი ვრცელდება სადგურ ლილოდან - სოფ. კაჭრეთამდე, ჯამში 76კმ.

ობიექტის ტერიტორია შემოღობილია, არის ღამის განათება, შენობა და ინფრასტრუქტურა მოძველებულია, ტერიტორიაზე განთავსებული ერთეული ხე-მცენარეები, გამწვანებული ტერიტორია შეადგენს 10-15%-ს.

ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება ძირითადად, საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ლითონის ჯართის და იზოლატორების ნარჩენები. მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან ხელშეკრულება არ არის გაფორმებული. ობიექტზე ნარჩენების მართვაზე კ/კ არ არის.

ტერიტორიაზე არის დაახლოებით 6 მ<sup>2</sup>-ზე საწყობის სათავსი, სადაც ინახება საწვავი. საწყობში ინახება მეორადი ზეთი (დაახლოებით 20 ლ). მეორად ზეთი აღებულია ბალანსზე და ბრუნდება სამმართველოში. საწყობის შენობაში განთავსებულია საწვავის ცარიელი მიწისზედა, რეზერვუარი 1.3 მ<sup>3</sup> მოცულობის, რომელიც დიდი ხანია არ გამოიყენება.

ობიექტზე არ არის თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი. შენობა თბება ელექტროენერგიით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება დასახლებული პუნქტიდან (ჭაბურღილიდან). ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება.



სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 3-3.5 მ<sup>3</sup> მოცულობის არა ჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში. ორმოს დაცლა ხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ობიექტზე არ მიმდინარეობს ისეთი ტექნოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც ადგილი ექნება საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას. არ არის სანიაღვრე სისტემა.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე.

ობიექტის ტერიტორიაზე არის საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი. TM 25/10, ტრანსფორმატორში ზეთის წონა 194კგ-ა. შემოღობილი არ არის.

ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება. არ ფუნქციონირებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროები

#### 4.3.1.7 ბოლნისის წევის ქვესადგური.

ბოლნისის წევის ქვესადგური მდებარეობს ქ. ბოლნისში, სადგური „ბოლნის“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორია შეადგენს დაახლოებით 3 600 მ<sup>2</sup>-ს, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-460499, Y-4587942;
2. X-460507, Y-4587984;
3. X-460601, Y-4587969;
4. X-460597, Y-4587942;
5. X-460549, Y-4587946;
6. X-460545, Y-4587930.

ობიექტი ემსახურება საქართველოს რკინიგზის ხაზის ელექტროენერგიით უზრუნველყოფას. მარნეული-კაზრეთის საერთო ქსელშია ჩართული.

ობიექტის შენობა ძველია. ქვესადგურის ადმინისტრაციის მიერ ათვისებულია მხოლოდ შენობის ნახევარი.

ობიექტის ტერიტორიის შენობები ძველი ამენებულია. ქვესადგურის ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. ეზოს ტერიტორია დაფარულია მწვანე მცენარეული საფარით და რამდენიმე ერთეული მრავალწლოვანი ხე-მცენარეებით, გამწვანება დაახლოებით 15 %-ია. არის ღამის განათება.

ტერიტორიაზე ნარჩენები არ არის განთავსებული. ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები. მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ ხელშეკრულება გაფორმებული. ნარჩენების მართვაზე პ/პ ობიექტზე არ ყავთ.

ქვესადგურის შენობაში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც 55 ერთეული მჟავიანი აკუმულატორია განთავსებული, აკუმულატორების ოთახში არის ვენტილაცია, გაფრქვევა ხდება დაახლოებით 8 მეტრის სიმაღლეზე, 30X30 სმ-ის კვადრატული მილით.

თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი არ არის ობიექტზე. გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან არ ხდება. მომსახურე პერსონალს სასმელი წყალი მოაქვს დასახლებიდან.

ტერიტორიაზე არის დაახლოებით 2 მ დიამეტრის ჭა ჭის წყალი გამოიყენება სამეურნეო დანიშნულებით. ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით, 5 მ<sup>3</sup> მოცულობის არა ჰერმეტიკულ სასენიზაციო ორმოში. დაცლა ხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 800 მ<sup>2</sup>. სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა მოწყობილი არ არის

ქვესადგურის ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. ტერიტორიაზე არის ღამის განათება და გამაფრთხილებელი ნიშნები.

ტერიტორიაზე არის 2 ერთეული წვევის ტრანსფორმატორი (ТЛП-12500/10) და 2 ერთეული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (ТМ-250/10).

წვევის ტრანსფორმატორებში ზეთის ტევადობა დაახლოებით, 10000-12000კგ-მდეა, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში 575კგ.

ზეთიანი ამომრთველები მუშაობს ცვლად დენზე - ვემპე 10 -14 ერთეული. ამომრთველებში ზეთის ტევადობა დაახლოებით 9-10 ლიტრამდეა. მუდმივ დენზე- ვაბ 28-8 ერთეული(არ შეიცავს ზეთს).

•ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს აღმოსავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო საამქროს სპეციალური ჯგუფი. შესაბამისად, წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ობიექტზე ზეთითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული მამტაბური უბნები არ გვხვდება. წვევის ტრანსფორმატორების ძირში მოხრეშილ ტერიტორიაზე შეიმჩნეოდა ზეთებით დაბინძურება მცირე კვალი.

#### 4.3.1.8 გურჯაანის წვევის ქვესადგური.

ქვესადგური მდებარეობს ქ. გურჯაანში თამარაშვილის ქ. №12-ში. დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით შეადგენს 0.7 ჰა-ს, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-565841, Y-4622699;
2. X-465895, Y-4622735;
3. X-565941, Y-4622629;
4. X-565901, Y-4622606;

საქმიანობის სფეროს წარმოადგენს რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა თელავი-წნორის წყალი-გურჯაანის მონაკვეთი.

ობიექტის ინფრასტრუქტურა მოძველებულია, თუმცა კარგად შემონახული. ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. არის ღამის განათება. ეზო მოწესრიგებულია. ტერიტორიაზე გამწვანება დაახლოებით 10 %-ია.

ობიექტზე ძირითადად, წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ტერიტორიაზე დასაწყობებულია მცირე რაოდენობით ლითონის ჯართი. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე კ/კ ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის შენობაში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განლაგებულია 61 ერთეული გოგირდმჟავიანი აკუმულატორი. ოთახში არის ვენტილაცია, გაფრქვევა ხდება დაახლოებით, 8 მ სიმაღლეზე 30X30 სმ კვადრატული მილით.

ტერიტორიაზე საწვავის რეზერვუარები არ არის. თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი არ არის. გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება გურჯაანის მოსაბრუნებელი პუნქტის ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილიდან. აღნიშნული ჭაბურღილიდან აღებულია სინჯი წყლის მოკლე ქიმიური ანალიზისთვის მოსაბრუნებელი პუნქტის ტერიტორიიდან. ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ქ. გურჯაანის საკანალიზაციო კოლექტორში. ობიექტზე არ მიმდინარეობს ისეთი ტექნოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც წარმოიქმნება საწარმოო ჩამდინარე წყლები.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დამბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 800 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. ტერიტორიაზე არის ღამის განათება. არ არის გამოცხადებული გამაფრთხილებელი ნიშნები.

ტერიტორიაზე განთავსებულია 4 წევის (TMP-3500/35), 2 საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (TM-250/10) 220 კვ ძაბვით და 2 ბლოკირების ტრანსფორმატორი (TM-250).

წევის ტრანსფორმატორებში ზეთის ტევადობა 7250 კგ, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორში 330 კგ, ხოლო ბლოკირების ტრანსფორმატორში 150 კგ. ტრანსფორმატორები განთავსებულია ბეტონის შემადგენლობაზე და ქვემოთ ტერიტორია მოხრეშილია.

ზეთიანი ამომრთველებია. ცვლად დენზე-BMF-133 -9 ერთეული. ზეთის ტევადობა თითოეულში დაახლოებით 9-10 ლიტრია. მუდმივი დენის სწრაფმოქმედი ავტომატები:-BAF-43, BAF-28, AB-2/4 (არ შეიცავს ზეთს). 6 კვ ბლოკირების ტრანსფორმატორზე არის BMF-133 -2 ერთეული. ზეთის ტევადობა დაახლოებით 9 ლიტრი თითოეულში.

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს აღმოსავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება. ტრანსფორმატორების განთავსების ტერიტორიაზე ნორმალური მდგომარეობაა.

#### 4.3.1.9 დედოფლისწყაროს წევის ქვესადგური.

ქვესადგური მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროში, შოთა რუსთაველის ქ. №144-ში. დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით შეადგენს 2200 მ<sup>2</sup>-ს, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-593908, Y-4590254;
2. X-593921, Y-4590264;
3. X-593882, Y-4590329;
4. X-593867, Y-4590327;
5. X-593870, Y-4590286.

ქვესადგურის შენობა ძველი აშენებულია. ტერიტორია შემოღობილია. არის ღამის განათება. გამწვანება ტერიტორიაზე დაახლოებით 20 %-ია (რამდენიმე ერთეული მრავალწლოვანი ხე-მცენარე). ეზოს ტერიტორია მოუწესრიგებელია. დაყრილია სხვადასხვა სახის ნარჩენები. ნარჩენები არ არის ტერიტორიაზე განთავსებულია ლითონის ჯართი (მწყობრიდან გამოსული ტრანსფორმატორი, სხვადასხვა ლითონის დეტალები დასხვა.)

ობიექტზე ძირითადად, საყოფაცხოვრებო ნარჩენები წარმოიქმნება. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ტერიტორიაზე არის ლითონის ჯართი. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე კ/კ ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის ერთერთ შემადგენელ ვაგონში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განლაგებულია 10 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი, სადაც ვენტილაციის სისტემა არ არის

ტერიტორიაზე საწვავის რეზერვუარი არ არის. თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი არ არის. გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ტერიტორიაზე ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 2 მ3 მოცულობის არა ჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში. დაცლა მოხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ობიექტზე არ მიმდინარეობს ისეთი ტექნოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც წარმოიქმნება ჩამდინარე წყლები.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დამბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 400 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

ქვესადგურის ტერიტორია შემოღობილია. ტერიტორიაზე არის ღამის განათება და გამაფრთხილებელი ნიშნები.

ტერიტორიაზე არის 2 წევის ტრანსფორმატორი (YTMPY-6200/10), 1ერთეული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (TM 250/10/0.23). წევის ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა 8.48 ტონაა, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში 290 კგ.

ზეთიანი ამომრთველებია. ცვლად დენზე (110კვ)-MKII-1 უჯრედი (3 ცალი) თითოეულში 3 ტ ზეთის ტევადობით. MГ-35 -2უჯრედი- 600 კგ ზეთის ტევადობით. BMГ-135- 8 უჯრედი (24 ერთეული)-თითოეული 11 ლიტრი ზეთის ტევადობით. მუდმივ დენზე - სწრაფმოქმედი ავტომატები BAB-28 -2 ერთეულია და Ab-2/4. (არ შეიცავენ ზეთს).

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს აღმოსავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სპეციალისტები, რომელთაც მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.1.10 ვაზიანის წვეის ქვესადგური

35 კვ ძაბვის გამავალი ტიპის ქვესადგური მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფ. ვაზიანის მიმდებარე ტერიტორიაზე. დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით შეადგენს 5000 მ<sup>2</sup>-ს, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-504756, Y-4615597;
2. X-504762, Y-4515644;
3. X-504845, Y-4615635;
4. X-504841, Y-4615587;

ქვესადგური რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა უზრუნველყოფს ნავთლულიდან იორის ქვესადგურამდე. ობიექტის ინფრასტრუქტურა მოძველებულია. ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. ეზოს ტერიტორიის დაფარულია ბალახეული საფარით. გამწვანება დაახლოებით 10 %-ია. ღამის განათება არ არის. გამწვანება არ არის.

ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე კ/პირი.

აუდიტის პროცესში ტერიტორიაზე ნარჩენებით დაბინძურებული უბნები არ ყოფილა დაფიქსირებული.

ქვესადგურის შენობაში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განლაგებულია დაახლოებით 60 ცალი მჟავიანი აკუმულატორი. აკუმულატორები ამჟამად დაზიანებულია და არ ფუნქციონირებს. ოთახში არის ვენტილაცია, გაფრქვევა ხდებოდა 4 მ სიმაღლეზე, 40X40 სმ კვადრატული მილით.

ტერიტორიაზე არსებულ ლიანდაგზე განთავსებულია დაახლოებით 60 ტონიანი რეზერვუარი (მიწისზედა), რომელიც წარმოდგენილია ვაგონის სახით. ამჟამად რეზერვუარი ცარიელია და მისი გამოყენება არ ხდება.

ქვესადგურის შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ტერიტორიაზე სასმელი წყალმომარაგება არ არის. სასმელი წყალი მოაქვთ დასახლებული პუნქტიდან. ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება.

სამეურნეო-ფეკალური წყლები გროვდება ჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში მოცულობით 4 მ<sup>3</sup>. დაცლა მოხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ობიექტზე არ მიმდინარეობს ისეთი ტექნოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც წარმოიქმნება ჩამდინარე წყლები.

სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 2500 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

ქვესადგურის ინფრასტრუქტურა მოძველებულია. ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. ღამის განათება არ არის ტერიტორიაზე.

ტერიტორიაზე განთავსებულია 1 ძალოვანი (ТМПУ-6300/35), 2 წვევის (ТМП-6300/35) და 2 საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი.

ძალოვან ტრანსფორმატორში ზეთის 5410 კგ-ა, წვევის ტრანსფორმატორებში 3750კგ, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში 380 კგ.

ტრანსფორმატორების განთავსების ტერიტორიებზე მოწყობილია ბეტონის შემოზღუდვა, ტრანსფორმატორების ძირი დაფარულია ხრეშით. ტრანსფორმატორების წინ სივრცეზე განლაგებულია დაახლოებით, 1-1.5 მ<sup>3</sup> სამი ერთეული რკინა-ბეტონის ჭა. მოწოდებული ინფორმაციით აღნიშნული ჭები გათვლილია ავარიული დაღვრებისთვის. დაღვრილი სატრანსფორმატორო ზეთი იკრიბება ქვესადგურის კუთხეში მდებარე დიდი მოცულობის რკინა-ბეტონის რეზერვუარში.

ზეთიანი ამომრთველებია. 12 ერთეული ვაბ -43, ეზოში განთავსებულია ზეთიანი ამომრთველების 9 კომპლექტი-C-35M-630-10 Y1.

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს უღელტეხილის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო ცეხის სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბანი შეიმჩნევა წვევის ტრანსფორმატორის ქვემოთ მოხრემილ ტერიტორიაზე დაახლოებით 5-6 მ<sup>2</sup> ფართობზე.

#### 4.3.1.11 კაჭრეთის წვევის ქვესადგური

კაჭრეთის წვევის ქვესადგური მდებარეობს ქ. გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ კაჭრეთში, სადგური „კაჭრეთის“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი შეადგენს დაახლოებით 3 000მ<sup>2</sup>-ს, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-556585, Y-4609843;
2. X-556593, Y-4609880;
3. X-556536, Y-4609898;
4. X-556524, Y-4609861;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა ძირითადად საგარეჯო-მალარო-გურჯაანის მონაკვეთზე.

ობიექტის ინფრასტრუქტურა მოძველებულია, თუმცა კარგად შემონახული. ტერიტორია მთლიანად შემოღობილია, მოწყობილია ღამის განათება. ეზო მოწესრიგებულია და დაფარულია ბალახეული საფარით, არის რამდენიმე ერთეული მრავალწლოვანი ხე-მცენარეები. ტერიტორიის გამწვანება დაახლოებით 20 %-ს შეადგენს. ნარჩენები არ არის ტერიტორიაზე.

ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რაზეც ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი და მის მართვაზე კ/კ არ არის დანიშნული.

ქვესადგურის შენობაში მოწყობილია სააკუმულატორო ოთახი, სადაც განთავსებულია დაახლოებით 60 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი. ოთახში არის ვენტილაცია, გაფრქვევა ხდება დაახლოებით 9 მ სიმაღლეზე, 30 სმ დიამეტრის მქონე მილით.

ტერიტორიაზე საწვავის რეზერვუარები არ არის. პერსონალი თბება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ობიექტზე არ არის სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგების წყარო. სასმელი წყალი პერსონალს მოაქვს დასახლებული პუნქტიდან. ადგილზე ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 8მ<sup>3</sup> მოცულობის არაჰერმეტიულ სასენიზაციო ორმოში, რაზეც ხელშეკრულება არ არის გაფორმებული ადგილობრივ სამსახურთან. ორმოს განტვირთვა ხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დამბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 100 მ<sup>2</sup>.

ქვესადგურის ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა. ტერიტორიაზე განთავსებულია 2 ერთეული წვეის (TMP-5600/35) და 2 საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (YTMPY-6300/35).

წვეის ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა 7.25 ტონაა, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორში დაახლოებით 5.86 ტ. ტრანსფორმატორებს ზეთის ავარიული დაღვრის შემკრები სისტემა არ აქვს მოწყობილი, ძირი დაფარულია ხრეშით. გამაფრთხილებელი ნიშნები არის განთავსებული.

ქვესადგურის ტერიტორიაზე მოწყობილია ზეთიანი ამომრთველები: ცვლად დენზე-BMF-133 -9 ერთეული, თითოეულში ზეთის ტევადობა დაახლოებით 9-10 ლიტრია. ასევე, მუდმივ დენზე-სწარმოქმედი ავტომატები: BAB-28, BAB-43, BAB -2.4 (არ შეიცავს ზეთს).

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს აღმოსავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო საამქროს სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გადის ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.1.12 კუმისის წვეის ქვესადგური

კუმისის წვეის ქვესადგური მდებარეობს ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ კუმისში, სადგური კუმისის მიმდებარე ტერიტორიაზე, ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 5 000მ<sup>2</sup>-ია.

ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X-487812, Y-4602466;
2. X-487810, Y-4602502;
3. X-487911, Y-4602520;
4. X-487900, Y-4602465;
5. X-487880, Y-4602458;

ქვესადგური ამჟამად არ ფუნქციონირებს. ფუნქციონირების პროცესში ობიექტი საქართველოს რკინიგზის საკონტაქტო ქსელს ამარაგებდა ელექტროენერგიით, ძირითადად ფონიჭალა-მარნეულის მონაკვეთზე.

ქვესადგურის შენობა ძველია, სხვა ინფრასტრუქტურაც მოძველებულია, ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით, მოწყობილია ღამის განათება და განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნები.

ობიექტზე წერტილოვნადაა ნარჩენები განთავსებული ეზოს სხვადასხვა მონაკვეთზე (ძირითადად ლითონის ჯართი). ტერიტორიაზე განთავსებულია ძველი მოძრავი ქვესადგურის ვაგონები ტრანსფორმატორებით, რომლებიც გამოსულია მწყობრიდან.

ქვესადგურში ადგილი აქვს მცირე რაოდენობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნას, რაზეც ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ არის გაფორმებული. ნარჩენების დასაწყობებისათვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვის სფეროში 3/3 დანიშნული არ არის.

ქვესადგურის შენობაში გამოყოფილია სააკუმულატორო ოთახი, სადაც 105 ცალი ტუტე და მჟავიანი აკუმულატორებია განლაგებული (რკინის ქილებიანი აკუმულატორები), რომელიც ამჟამად მწყობრიდან არის გამოსული, ასევე არ ფუნქციონირებს ვენტილაციის სისტემა.

ობიექტზე საწვავის რეზერვუარები არ არის. პერსონალისთვის განკუთვნილი ოთახები თბება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ტერიტორიის სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგების სისტემა არ არსებობს. სასმელი წყალი მომსახურე პერსონალს მოაქვს დასახლებული პუნქტიდან.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 3მ<sup>3</sup> მოცულობის არაჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში, რაზეც ხელშეკრულება ადგილობრივ სამსახურთან გაფორმებული არ არის. ორმოს დაცლა ხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება, შესაბამისად ობიექტზე არ მიმდინარეობს ისეთი ტექნოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც წარმოიქმნება საწარმოო ჩამდინარე წყლები.

ობიექტზე სანიაღვრე წყლების დამბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობი 1500 მ<sup>2</sup>-ია. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

კუმისის წვეის ქვესადგური 110 კვ-ძაბვის და გამავალი ტიპისაა. ტერიტორიაზე განთავსებულია 2 ერთეული ძალოვანი ტრანსფორმატორი (TDH-10000/110) 10კვ ძაბვით, 2 ერთეული წვეის ტრანსფორმატორი (ТДП-12500/110) 3.3კვ ძაბვით, 2 ერთეული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (ТМ-250/10) 0.23 კვ ძაბვით და ერთი ბლოკირების ტრანსფორმატორი (ТМ-63/6) 0.23 კვ ძაბვით.

ძალოვან ტრანსფორმატორებში ზეთის ტევადობა დაახლოებით 8000 კგ-ა, წვეის ტრანსფორმატორებში დაახლოებით 5000 კგ, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში 375 კგ, ბლოკირების ტრანსფორმატორში კი დაახლოებით 250 კგ.

ტრანსფორმატორების განთავსების ტერიტორია მოხრეშილია და აქვს ბეტონის შემოზღუდვა. ავარიული დაღვრებისთვის ტრანსფორმატორების განთავსების ტერიტორიაზე არის დაახლოებით 2 მ<sup>3</sup> მოცულობის რკინა-ბეტონის ჭები რომლებიც ძველი მოწყობილია და საბოლოოდ უერთდება შემკრებ რეზერვუარს.

ქვესადგურში განთავსებულია ზეთიანი ამომრთველები ცვლად დენზე -BMII 10-13- ერთეული. თითოეულში ზეთის ტევადობა დაახლოებით 9 ლიტრია. ასევე, მუდმივი დენის ამომრთველი უზეთო სწრაფმოქმედი ავტომატები - BAB 28 ტიპის 9 ერთეული.



ობიექტზე აღმოსავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო სამქროს ტექნიკური ჯგუფი უზრუნველყოფს ქვესადგურის ტერიტორიაზე სატრანსფორმატორო ზეთების შეტანა/გამოცვლა/გატანას საჭიროების შემთხვევაში.

აუდიტის პროცესში ობიექტზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ დაფიქსირდა.

#### 4.3.1.13 მარნეულის წევის ქვესადგური

ობიექტი მდებარეობს ქ. მარნეულში, იაღლუჯის ქუჩა №20-ში, დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 6 000 მ<sup>2</sup>-ია.

ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X-484249, Y-4593544;
2. X-484295, Y-4593635;
3. X-484340, Y-4593613;
4. X-484296, Y-4593525.

ობიექტი ემსახურება საქართველოს რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ელექტროენერგიით უზრუნველყოფას, ძირითადად ბოლნისი-კუმისი-მარნეულის მონაკვეთზე. აღსანიშნავია, რომ მარნეულის წევის ქვესადგური და მარნეულის საკონტაქტო ქსელის რაიონი განთავსებულია ერთ ტერიტორიაზე და გააჩნიათ საერთო ადმინისტრაციული შენობა.

ობიექტის ეზო მოვლილია, წარმოდგენილია რამდენიმე ერთეული მრავალწლოვანი ხე-მცენარე და ბალახის საფარი, გამწვანებულია ტერიტორიის დაახლოებით 15%. ტერიტორიაზე არ არის ნარჩენები, ეზოში მოწყობილია ღამის განათება და გადახურული მაგიდა სკამებით მომსახურე პერსონალისათვის. ქვესადგურის ტერიტორია შემოღობილია მავთულბადით და განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნები.

ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ არის გაფორმებული. ტერიტორიაზე ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი ასევე, ნარჩენების მართვაზე კ/კ არ არის დანიშნული.

ქვესადგურის შენობაში მოწყობილია სააკუმულატორო ოთახი, სადაც 60 ცალი მჟავიანი აკუმულატორია განთავსებული, ოთახში არის ვენტილაცია, გაფრქვევა ხდება დაახლოებით 8 მეტრის სიმაღლეზე, 30X30 სმ. კვადრატული მილით.

ეზოში, ქვესადგურის შენობის უკან განთავსებულია 3 ტონამდე ტევადობის რკინის 2 მიწისზედა ვერტიკალური რეზერვუარი, რომელიც ცარიელია და არ გამოიყენება.

პერსონალისთვის განკუთვნილი ოთახების გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ქვესადგური სასმელი წყლით მარაგდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან, გრაფიკით.

გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვიურად დაახლოებით 8-10 მ<sup>3</sup>-ს შეადგენს.

ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება შესაბამისად, ტექნიკური პროცესებიდან ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება, ხოლო სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ქ. მარნეულის საკანალიზაციო კოლექტორში.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დამბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 2000 მ<sup>2</sup>. ობიექტზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

10 კვ ჩიხური ტიპის ქვესადგურის ტერიტორიაზე განთავსებულია 3 წევის ტრანსფორმატორი( ერთი -TMP-5700/35 და ორი - TMPY-6200/35) და 2 საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი(TM-250/10 და TM-320/10).

წევის ტრანსფორმატორებში ზეთის ტევადობა დაახლოებით 10-12 ტონამდეა, ხოლო საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში 375კგ. ზეთის ავარიული დაღვრისათვის შემკრები სისტემა არ არის მოწყობილი. ტრანსფორმატორები განთავსებულია ბეტონის შემადღებებზე და ძირი დაფარულია ხრემით.

ქვესადგურში განთავსებულია ზეთიანი ამომრთველებია: ცვლადი დენის - BМП 133 - 14 ერთეული, თითოეულში ზეთის ტევადობა დაახლოებით 9 ლიტრია.

მუდმივი დენის სწრაფმოქმედი ავტომატები -BAБ 28- 8 ერთეული, რომლებიც არ შეიცავს ზეთს;

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს აღმოსავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო ცეხის სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გადის ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ობიექტზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.1.14 მაღაროს წევის ქვესადგური

ქვესადგური მდებარეობს სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ მაღაროში, სადგურ მაღაროს მიმდებარე ტერიტორიაზე. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 9000 მ<sup>2</sup>-ია.

ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატები:

1. X – 569430; Y– 4601941;
2. X –569366; Y–4601893;
3. X –569300; Y–4601980;
4. X –569366; Y–4602026;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, ობიექტი რკინიგზის საკონტაქტო ქსელთან ერთად ელექტროენერგიით ამარაგებენ სიღნაღის სოფლებსაც.

ქვესადგურის ტერიტორიაზე განთავსებულია საქართველოს რკინიგზის და ადგილობრივი დასახლებული პუნქტების მომსახურე ტრანსფორმატორები.

ქვესადგურის შენობა ძველია. ტერიტორია შემოღობილია და მოწყობილია დამის განათება. ეზო მოწესრიგებულია, არის გამწვანება (მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 15%).

ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ არის გაფორმებული და ნარჩენების დროებითი დასაწყობებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე კ/კ ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის შენობაში გამოყოფილია აკუმულატორების ოთახი, სადაც განლაგებულია 60 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი (64 ერთეული რეზერვი, ჯამში 124 ერთეული). ოთახში

მოწყობილია შემწვოვ-გამწვოვი სისტემა. გაფრქვევა ხდება დაახლოებით 2.5 მ სიმაღლეზე, კვადრატული მილით, პარამეტრებით 25X25 სმ.

ობიექტზე თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი არ არის. ოთახები თბება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება სოფლის წყალმომარაგების სისტემიდან (ჭაბურღილიდან) ხდება, გამოყენებული წყლის რაოდენობა უცნობია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 2-3 მ<sup>3</sup> მოცულობის არაჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში. რომლის განტვირთვაც საჭიროებისამებრ ხდება, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ობიექტზე არ მიმდინარეობს ტექნოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც წარმოიქმნება ჩამდინარე წყლები.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 300 მ<sup>2</sup>. ობიექტზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

მაღაროს წევის ქვესადგური შერეული ტიპისაა - 110, 35, 10 კვ ძაბვით.

რკინიგზის საკუთრებაშია 2 წევის ტრანსფორმატორი УТМІІ, 2 ერთეული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (ТМ 250/10). წევის ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა 5.66 ტონაა, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში 290 კგ. ზეთის ავარიული დაღვრის სისტემა არ არის მოწყობილი, ტრანსფორმატორების განთავსების ადგილას გრუნტი მოხრეშილია.

ქვესადგურში განთავსებულია ზეთიანი ამომრთველები. ცვლად დენზე(110კვ)-МКІІ, 1 უჯრედი (3 ცალი) თითოეულში 3 ტ ზეთის ტევადობით. МГ-35 -2უჯრედი- 600 კგ ზეთის ტევადობით. ВМГ-135- 8 უჯრედი (24 ერთეული)-თითოეული 11 ლიტრი ზეთის ტევადობით.

მუდმივ დენზე -სწრაფმოქმედი ავტომატები ВАВ-28 -2 ერთეულია და ВАВ-2/4 მუდმივი დენის ამომრთველები არ შეიცავენ ზეთს.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულია მცირე უბანი ტრანსფორმატორის ძირში განთავსებული ღორღი, დაახლოებით 1.5 მ<sup>2</sup> ფართობზე, დაბინძურების სიღრმე ვერ განისაზღვრა.

#### 4.3.1.15 საგარეჯოს წევის ქვესადგური

ქვესადგური მდებარეობს ქ. საგარეჯოში, ქართველ იუნკერთა ქუჩა №1- ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 1000მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-529304, Y-4617360;
2. X-529086, Y-4617398;
3. X-529341, Y-4617418;
4. X-529361, Y-4617377;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ელექტროენერგით უზრუნველყოფა, კონკრეტულად კაჭრეთი-ვაზიანის მონაკვეთზე.

ობიექტის ინფრასტრუქტურა მოძველებულია, ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით, ეზო მოწესრიგებულია და გაშენებულია სხვადასხვა ჯიშის კულტურული ხემცენარეები, გამწვანება დაახლოებით 20%-ს შეადგენს. ობიექტზე განთავსებულია ძველი მწყობრიდან გამოსული ერთი ვაგონი.

ტერიტორიაზე ნარჩენები არ არის განთავსებული, ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ არის გაფორმებული. ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის სათავსი არ არის გამოყოფილი, ნარჩენების მართვაზე კ/კ არ არის დანიშნული.

ქვესადგურის შენობაში მოწყობილია აკუმულატორების ოთახი, სადაც განლაგებულია დაახლოებით 60 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი. (ამავე რაოდენობის მწყობრიდან გამოსული აკუმულატორია განთავსებული) ოთახში არის ვენტილაცია, გაფრქვევა ხდება დაახლოებით 4 მ სიმაღლის 25X25 სმ-ის კვადრატული მილით. ტერიტორიაზე საწვავის რეზერვუარები არ არის. ოთახების გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ობიექტზე სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება, შესაბამისად ადგილი არ აქვს ტექნიკური პროცესებიდან ჩამდინარე წყლის წარმოქმნას.

წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 400 მ<sup>2</sup>. ობიექტზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

საგარეჯოს წვეის ქვესადგური წარმოადგენს 10კვ ძაბვის გამავალი ტიპის ქვესადგურს. ობიექტზე განთავსებულია 3 წვეის (TMP-5600/35) და 2 საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (TCMA 160/10).

წვეის ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა 7 250 კგ-ა, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორში დაახლოებით 290კგ. ტრანსფორმატორები განთავსებულია ბეტონის შემადლებებზე და ძირი მოხრეშილია.

სატრანსფორმატორო ზეთის ავარიული დაღვრის სისტემა არ არის მოწყობილი.

ქვესადგურში ასევე განთავსებულია ზეთიანი ამომრთველები: BMT-133 - 8 ერთეული. ზეთის ტევადობა თითოეულში დაახლოებით 10 ლ.

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს აღმოსავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო ცენტრის სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.2 უღელტეხილის ელექტრომომარაგების სამმართველო

სამმართველო მდებარეობს ქ. ხაშურში, თამარ მეფის ქ. N13-ში. სს „საქართველოს რკინიგზა“-ს უღელტეხილის ელექტრომომარაგების სამმართველოს დაქვემდებარებაში შედის:

- უღელტეხილის ელექტრომომარაგების სამმართველოს ადმინისტრაციული შენობა;
- სარემონტო-სარევიზიო უბანი (ცენტრალური საწყობი);
- ხაშურის ელექტრომომარაგების რაიონი;
- ხაშურის ცენტრი
  - ხაშურის საკონტაქტო ქსელის რაიონი;
  - ხაშურის ცენტრი. აგარის საკონტაქტო ქსელის რაიონი;
- ხარაგაულის ცენტრი
  - ხარაგაულის საკონტაქტო ქსელის რაიონი;
  - ხარაგაულის ცენტრი. წიფის საკონტაქტო ქსელის რაიონი;
  - ხარაგაულის ცენტრი. მოლითის წვეის ქვესადგური;
- ბორჯომის ცენტრი
  - აწყურის საკონტაქტო ქსელის რაიონი;
  - ბორჯომის წვეის ქვესადგური;
  - აწყურის წვეის ქვესადგური;
- გორის ცენტრი
  - გორის საკონტაქტო ქსელის რაიონი;
  - გორის წვეის ქვესადგური.

სამმართველოს სარემონტო-სარევიზიო უბანი ემსახურება წვეის ქვესადგურებს და ენერგეტიკული მომსახურების სატრანსფორმატორო ნაწილს. სარემონტო-სარევიზიო უბანზე განთავსებულია ადმინისტრაციული შენობა, სადისპეტჩერო პუნქტი, ლაბორატორია, სახელოსნო, ცენტრალური საწყობი და საყარაულო შენობა.

ადმინისტრაციულ შენობაში მოწყობილია ლაბორატორია. ლაბორატორიაში მოწყობილია ელექტროგამომცდელი სტენდი, სადაც მიმდინარეობს ხელსაწყოების ელექტრო გამართულობის შემოწმება.

ლაბორატორიაში ხდება სატრანსფორმატორო ზეთების შემოწმება. შესამოწმებლად ზეთები შემოდის პოლიეთილენის ბოთლებით და შემოწმების შემდეგ ნარჩენი ბრუნდება ზეთის კასრებში.

ადმინისტრაციული შენობის გვერდით ფუნქციონირებს სახელოსნო. სახელოსნოში დამონტაჟებულია 1 საბურღი და 1 საშემდუღებლო დანადგარი. სახელოსნოში არ არის მოწყობილი სავენტილაციო სისტემა.

ეზოს ფარგლებში მოწყობილია მოქმედი და ჩამოწერილი ტექნიკის სადგომები. ტექნიკის სადგომზე განთავსებულია აგრეთვე ტექნიკის გამოუსადეგარი ნაწილები.

ეზოს ტერიტორიის ზედაპირის საფარი დაზიანებულია და საჭიროებს მოასფალტებას.

სამმართველოს არ გააჩნია მავნე ნივთიერებათა ატმოსფერული ემისიების დადგენილი წესით შეთანხმებული ნორმატიული დოკუმენტაცია. არ ხდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, არ აქვთ შესაბამისი მარკირების მქონე კონტეინერები. არტ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

**სურათი 4.3.2.1. სამმართველოს ეზოს ტერიტორიის ერთ-ერთი კუთხე****4.3.2.1 აწყურის წვეის ქვესადგური**

აწყურის წვეის ქვესადგური მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ აწყურში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით, 1 ჰა-ა, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-346627, Y-4620951;
2. X-346668, Y-4621004;
3. X-346729, Y-4620950;
4. X-346685, Y-4620902;

ქვესადგური წარმოადგენს გამავალი (იგივე ხიდური) ტიპის ქვესადგურს 110 კვ ძაბვით. ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა. ასევე აქვთ სამი სარაიონო ფიდერი, საიდანაც ელექტროენერგია მიეწოდება სოფლებს. ქვესადგურის ტერიტორიაზე დასაწყობებულია ახალი ტრანსფორმატორის კომპლექტი, რომელიც ქვესადგურში დამონტაჟდება უახლოეს მომავალში.

ობიექტის ინფრასტრუქტურა ძველია. ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. არის ღამის განათება. ეზო მოწესრიგებულია. ტერიტორიაზე გამწვანება არის (საერთო ჯამში დაახლოებით 20%). ნარჩენები არ არის განთავსებული ტერიტორიაზე.

ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლებიც ქვესადგურის გარეთ მდებარე ურნაში იყრება. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ტერიტორიაზე ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე კ/კ ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის შენობაში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განლაგებულია 55 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი (+5 ერთეული რეზერვშია). აკუმულატორების ოთახში არის ვენტილაციის სისტემა. გაფრქვევა ხდება დაახლოებით 2 მ სიმაღლეზე კვადრატული მილით, რომლის პარამეტრებია- 25X25 სმ.

თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი არ არის ობიექტზე. გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ტერიტორიაზე ხდება სოფელში არსებული ჭაბურღილიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის

რაოდენობა წელიწადში დაახლოებით, 100 მ<sup>3</sup>-ია. უახლოეს მომავალში, სოფელში იგეგმება სოფლის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელის შექმნა.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებისთვის მოწყობილია დრენაჟი, ობიექტზე სანკვანძი მოწყობილია შენობაში, საიდანაც ჩამდინარე წყლები თუჯის მილებით გაედინება დაახლოებით, 30 მ<sup>3</sup> მოცულობის ორმოში, რომელიც ამოვსებულია ქვებით და მობეტონებული აქვს ზედაპირი, შედეგად ჩამდინარე წყალი ჩაიჭონება მიწაში. ორმო ქვესადგურის ტერიტორიიდან დაახლოებით 60-70 მეტრშია მოწყობილი.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დამბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია დაახლოებით, 600-700 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

ტერიტორიაზე განთავსებულია 2 ერთეული ძალოვანი ტრანსფორმატორი TM 6300, 4 ერთეული წვევის ტრანსფორმატორი (TM-5600), 2 ერთეული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (TM 250 და TM-160).

ძალოვან ტრანსფორმატორებში ზეთის ტევადობა 9500 კგ-ა, წვევის ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა 7250 კგ-ა, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში 375 კგ და 280 კგ-ა.

ტრანსფორმატორების განლაგების ტერიტორიაზე ტრანსფორმატორების ძირი დაფარულია ღორღით, დაღვრის შემთხვევაში ზეთი ჩაიჭონება შემოზღუდულ მოცულობაში, რომელიც ამოვსებულია ღორღით.

ზეთიანი ამომრთველებია- BMF-133 -10 ერთეული. ზეთის ტევადობა თითოეულში დაახლოებით 9-10 ლიტრია.

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს უღელტეხილის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო ცეხის სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.2.2 ბორჯომის წვეის ქვესადგური

ბორჯომის წვეის ქვესადგური მდებარეობს ქ. ბორჯომში, ადმაშენებლის №1-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი 1810 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-368362, Y-4634672;
2. X-368370, Y-4634725;
3. X-368392, Y-4634720;
4. X-368395, Y-4634668;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა. ბორჯომის წვეის ქვესადგური ასევე, ბორჯომის „კუკუშკა“ მატარებელს უზრუნველყოფს ელექტროენერგიით.

ქვესადგური მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ობიექტის ინფრასტრუქტურა ძველია, თუმცა კარგად შემონახული. ტერიტორია შემოღობილია. არის ღამის განათება. ეზო მოწესრიგებულია. ტერიტორიაზე გამწვანება დაახლოებით 20%-ია. (არის პატარა ხეივანი, პატარა ბოსტანი და რამდენიმე ერთეული მრავალწლოვანი ხე-მცენარე). ნარჩენები არ არის განთავსებული ტერიტორიაზე.

ობიექტზე ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენები წარმოიქმნება. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე 3/3 ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის შენობაში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განთავსებულია 51 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი. ოთახში არის შემწვავ-გამწვავი სისტემა. გაფრქვევა ხდება დაახლოებით, 3 მ სიმაღლეზე, 25X25 სმ-ის კვადრატული მილით.

გათბობა ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით ხდება.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ტერიტორიაზე ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 4 მ<sup>3</sup>-ია.

ტერიტორიაზე არის დაახლოებით, 100 მ<sup>3</sup> მოცულობის წყლის მიწისქვეშა რეზერვუარი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება სახანძრო მიზნებისთვის.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 2-3 მ<sup>3</sup> მოცულობის ჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში, რომლის დაცლაც ხდება დაახლოებით 4 წელიწადში ერთხელ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დამბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 800 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემაკრები სისტემა.

ქვესადგური წარმოადგენს ჩიხური ტიპის ქვესადგურს 10 კვ ძაბვით. ქვესადგურიდან გამოდის 3,3 კვ მუდმივი დენი რკინიგზის საკონტაქტო ქსელისთვის და 1,65 კვ კონკრეტულად ბორჯომის „კუკუშკა“ მატარებლისთვის.

ტერიტორიაზე სულ განთავსებულია 6 ტრანსფორმატორი: 4 ერთეული წევის ტრანსფორმატორი (ТМРУ-3200/35-2 ერთეული, ТМРУ-3500/35 და ТМРУ-6300/35), 2 ერთეული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (ТСМА-180). წევის ორი ტრანსფორმატორიდან გამოდის 3.3 კვ, ხოლო დანარჩენი ორიდან 1.2 კვ (კუკუშკასთვის).

ორ წევის ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა 5 490 კგ-ა, დანარჩენ ორში 5 400კგ და 5 120 კგ. საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში 300 კგ-ა.

ტრანსფორმატორების განლაგების ტერიტორიას გააჩნია ბეტონის შემოზღუდვა, ტრანსფორმატორების ძირი დაფარულია ღორღით, დაღვრის შემთხვევაში ზეთი ჩაიჭონება შემოზღუდულ მოცულობაში, რომელიც ამოვსებულია ღორღით.

ზეთიანი ამომრთველებია -ცვლად დენზე ВМПЭ-10-1 ერთეული, ВМГ-133 – 7 ერთეული. ზეთის ტევადობა თითოეულში დაახლოებით 9 ლიტრია. სწრაფმოქმედი ავტომატები ВАВ-28 -7 ერთეულია და АВ-2/4 (არ შეიცავენ ზეთს).

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს უღელტეხილის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო ცეხის სპეციალური ჯგუფი,



შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.2.3 გორის წვეის ქვესადგური

გორის წვეის ქვესადგური მდებარეობს ქ. გორში, ელექტროფიკაციის დასახლებაში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 12 000 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-425072, Y-4647517;
2. X-425033, Y-4647530;
3. X-425072, Y-4647517;
4. X-425101, Y-4647581;
5. X-425016, Y-4647604;
6. X-424951, Y-4647592;
7. X-424936, Y-4647533;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, ძირითადად, ქარელიდან-მეტეხამდე.

ობიექტის ინფრასტრუქტურა მოძველებულია, თუმცა კარგად შემონახული. ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. ეზოს ტერიტორია დაფარულია ბალახეული საფარით. ტერიტორიაზე არის რამდენიმე ერთეული მრავალწლოვანი ხე-მცენარე. გამწვანება დაახლოებით 40 %-ია. არის ღამის განათება. ქვესადგურის ეზო მოწესრიგებულია. ტერიტორიაზე ნარჩენები არ არის განთავსებული.

ობიექტზე ძირითადად, საყოფაცხოვრებო ნარჩენები წარმოიქმნება. მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან ხელშეკრულება არ არის გაფორმებული. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე პ/პ ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის შენობაში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განლაგებულია 61 ერთეული მქავიანი აკუმულატორი. აკუმულატორების ოთახში არის ვენტილაცია-შემწოვ-გამწოვი მილი. გაფრქვევა ხდება 25X25 სმ კვადრატული მილით, დაახლოებით 3.5 მ სიმაღლეზე.

ტერიტორიაზე არის დაახლოებით, 30 მ<sup>3</sup> მოცულობის ორი მიწისზედა ჰორიზონტალური რეზერვუარი, რომლებიც ამჟამად ცარიელია და არ იყენებენ.

თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი არ არის. გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ტერიტორიაზე ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

ტექნიკური მიზნებისთვის წყალი გამოიყენება აკუმულატორებისთვის. ადგილზე არის წყლის გამოსახდელი დანადგარი (ტენებზეა), რომლიდანაც ხდიან წყალს აკუმულატორებში ჩასამატებლად (მცირე რაოდენობით). ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენებული წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით, 5 ლიტრი შეიძლება იყოს.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით, 2 მ<sup>3</sup> მოცულობის არაჰერმეტიკულ სასენიზაციო ორმოში. ხელშეკრულება ადგილობრივ სამსახურთან

გაფორმებული არ აქვთ. აბანო ცალკეა მოწყობილი და ჩამდინარე წყლები პირდაპირ იღვრება მიწაზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დამბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 800 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკვრები სისტემა.

ქვესადგური წარმოადგენს ჩიხური ტიპის ქვესადგურს 10 კვ ძაბვით.

ტერიტორიაზე განთავსებულია 2 წვევის ტრანსფორმატორი (YTMPY-3700/10) 10 კვ ძაბვით, 2 საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (TM-250/10) 220 კვ ძაბვით და 1 ბლოკირების ტრანსფორმატორი (TM-100/10 Y1) 6 კვ ძაბვით.

წვევის ტრანსფორმატორებში ზეთის ტევადობა 5 860 კგ-ა, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორში 575 კგ, ხოლო ბლოკირების ტრანსფორმატორში 150 კგ.

ტრანსფორმატორების განლაგების ტერიტორიას გააჩნია ბეტონის შემოზღუდვა, რომელიც ამოვსებულია ქვიშით. დაღვრის შემთხვევაში ზეთი ჩაიჭონება შემოზღუდულ მოცულობაში.

ზეთიანი ამომრთველებია- ცვლად დენზე-BMII-10 -9 ერთეული. ზეთის ტევადობა თითოეულში დაახლოებით 9-10 ლიტრია. მუდმივი დენის სწრაფმოქმედი ავტომატები:-BAF-28-5 ერთეული, AB-2/4 (არ შეიცავს ზეთს). 6 კვ ბლოკირების ტრანსფორმატორზე არის BMF-133 -2 ერთეული. ზეთის ტევადობა თითოეულში დაახლოებით, 5 ლიტრამდეა.

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს უღელტეხილის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო ცეხის სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.2.4 მოლითის წვევის ქვესადგური

მოლითის წვევის ქვესადგური მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელი მოლითში. ობიექტის მიერ დაკავებული ფართობი დაახლოებით 1 ჰა-ა, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-363677, Y-4648806;
2. X-363750, Y-4648901;
3. X-363814, Y-4648862;
4. X-363753, Y-4648788,
5. X-363719, Y-4648776;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა. მოლითის წვევის ქვესადგური რკინიგზის საკონტაქტო ქსელთან ერთად ელექტროენერგიით ამარაგებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებს მარელისიდან-წიფამდე.

ობიექტის ინფრასტრუქტურა მოძველებულია, თუმცა კარგად შემონახული. შენობა ძველი აშენებულია. ტერიტორია შემოღობილია. არის ღამის განათება. ეზო მოწესრიგებულია. ტერიტორიაზე გამწვანება დაახლოებით 20 %-ია. ნარჩენები არ არის ტერიტორიაზე.

ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლებიც ქვესადგურის გარეთ მდებარე ურნაში იყრება. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე 3/3 ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის შენობაში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განლაგებულია 55 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი. ოთახში არის ვენტილაციის სისტემა. გაფრქვევა ხდება დაახლოებით 12 მ სიმაღლეზე 20 სმ დიამეტრის მქონე ფოლადის მილით.

შენობის გათბობა ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით ხდება.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ტერიტორიაზე ხდება წყაროს წყლით, რომელსაც სოფელი იყენებს სასმელად. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა დაახლოებით თვეში 2-3 მ<sup>3</sup>-ია.

ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება ხდება აკუმულატორებისთვის საჭირო წყლის გამოსახდელად. გამოსახდელი დანადგარით წყლის გამოხდა ხდება ტენებით. ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენებული წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 60 ლიტრია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 3-4 მ<sup>3</sup> მოცულობის არაჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში. ხელშეკრულება ადგილობრივ სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. დაცლა მოხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 6000 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

ქვესადგური წარმოადგენს გამავალი ტიპის ქვესადგურს 110 კვ ძაბვით.

ტერიტორიაზე განთავსებულია 2 ერთეული ძალოვანი ტრანსფორმატორი (ТДН 110/10), 2 ერთეული წვეის ტრანსფორმატორი (ТМРУ-1600 და ТДР-12900), 2 ერთეული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (ТМ 63/10) და 1 ბლოკირების ტრანსფორმატორი.

ძალოვან ტრანსფორმატორებში ზეთის ტევადობა 14,95 ტონაა, წვეის ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა 6 ტონაა, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში 375 კგ, ხოლო ბლოკირების ტრანსფორმატორში 375 კგ.

ტრანსფორმატორების განთავსების ტერიტორია მოხრეშილია და აქვს ბეტონის შემოზღუდვა.

ზეთიანი ამომრთველებია- ცვლად დენზე-БМII-10 -3 ერთეული და БМГ-10-3 ერთეული. ზეთის ტევადობა თითოეულში დაახლოებით 9-10 ლიტრია. ზეთიანი ამომრთველი МКII-4 ერთეული, თითოში დაახლოებით 3 ტონა ზეთი ჩადის.

ქვესადგურის ეზოში ბეტონის შემადგენლობაზე (50 სმ სიმაღლეზე) განთავსებულია 10 მ<sup>3</sup> მოცულობის ოთხკუთხედი ფორმის, მიწისზედა რეზერვუარი, სადაც ინახება სატრანსფორმატორო ზეთები, საჭიროებისამებრ იყენებენ და ამატებენ ტრანსფორმატორებში. რეზერვუარს გააჩნია სარქველი. რეზერვუართან შეიმჩნეოდა ზეთებით დაბინძურების კვალი, დაახლოებით 1 მ<sup>2</sup> ფართობზე.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები ტრანსფორმატორების განთავსების ტერიტორიაზე არ გვხვდება. ზეთებით დაბინძურებული ტერიტორია იყო ზეთების შესანახ რეზერვუართან დაახლოებით 10 სმ სიღრმეზე და 1მ<sup>2</sup> ფართობზე.



ზეთებით დაბინძურებული უბანი

#### 4.3.2.5 აგარის საკონტაქტო ქსელის რაიონი

აგარის საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს დაბა აგარაში, ნინოწმინდის №9-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 2800 მ<sup>2</sup>-ია, ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X – 402967; Y- 4654149;
2. X – 403052; Y- 4654135;
3. X – 403056; Y- 4654170;
4. X – 402971; Y- 4654178;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. ობიექტის სამუშაო არეალი მოქცეულია სადგური გომიდან-ბაქან სკრის ჩათლით.

ობიექტზე გააჩნიათ შესაბამისი ტექნიკა, სარელსო ტრანსპორტი -ე.წ. დრეზინა АГВ, რომელიც დიზელის საწვავზე მუშაობს.

ობიექტის ინფრასტრუქტურა მოძველებულია. ეზო შემოღობილია მავთულის ბადით. არის ღამის განათება. ეზოს შესასვლელში არის ვაზის ხეივანი, გამწვანება დაახლოებით 10%-ია. საკონტაქტო ქსელის რაიონის ტერიტორია წარმოდგენილია ბალახოვანი საფარით.

ტერიტორიაზე ნარჩენის სახით არის ლითონის ჯართი და გადამცემი ხაზების იზოლატორები ასევე, მცირე მუნიციპალური ნარჩენები. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი.

წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები იყრება დასახლებული პუნქტის ურნაში, ხელშეკრულება არ არის გაფორმებული მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან.

ლითონის ჯართი, ხის მასალები და საქმიანობის დროს წარმოქმნილი სხვა ჩამოწერილი დეტალები, საწყობდება ტერიტორიაზე. ნარჩენების მართვაზე კ/პ არ არის გამოყოფილი.

სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება ხდება საქართველოს რკინიგზის ჭაბურღილიდან, რომელიც ლიცენზირებულია.

გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვიურად დაახლოებით 20-24 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო - ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში. ობიექტზე საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე.

ტერიტორიაზე არის საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი TM 25/10-ზე. ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა 115 კგ-ა. ტრანსფორმატორი განთავსებულია საკონტაქტო ქსელის რაიონის ეზოს შიგნით, არ არის შემოღობილი. გამაფრთხილებელი ნიშნები არ არის განთავსებული.

ობიექტზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები ფიქსირდება.

#### 4.3.2.6 აწყურის საკონტაქტო ქსელის რაიონი

აწყურის საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. აწყურში, სადგურ აწყურის მიმდებარე ტერიტორიაზე. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 3600 მ<sup>2</sup>-ია. ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X -346460; Y-4620576;
2. X -346468; Y-4620661;
3. X -346507; Y-4620658;
4. X -346503; Y-4620571;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. საქმიანობის არეალი(მონაკვეთი) ვრცელდება ბორჯომიდან ვალემდე, საერთო ჯამში 57 კმ. ობიექტზე არ ჰყავთ სარელსო ტრანსპორტი(დრეზინა), სამუშაოების ჩასატარებლად და გადასადგილებლად გამოიყენება ΓΑ3-ის ტიპის სატვირთო მანქანა.

ობიექტის ტერიტორია მთლიანად შემოღობილია, არის ღამის განათება გამწვანებული ფართობი დაახლოებით 5 % -ია. ტერიტორიაზე ნარჩენები არ არის განთავსებული.

საკონტაქტო ქსელის რაიონში წარმოქმნილი ნარჩენების სახეებია: საყოფაცხოვრებო ნარჩენი, რკინის ჯართი და იზოლატორები. საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებისთვის დროებითი სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე პ/პ არ არის დანიშნული.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან (სოფლის წყალი). გამოყენებული წყლის რაოდენობა არის 0,5მ<sup>3</sup>/თვეში. ობიექტზე არის აბანო რომელსაც არ იყენებენ. ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 3.3 მ<sup>3</sup> მოცულობის ორმოში, პერიოდულ გაწმენდაზე ადგილობრივ სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება. ორმოს დაცლა ხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე.

ობიექტის არის საკუთარი მოხმარების ომ (ომიკი) ტრანსფორმატორი. 10/4-ზე.

ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.2.7 გორის საკონტაქტო ქსელის რაიონი

გორის საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს ქ. გორში, ძველი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 3000მ<sup>2</sup>-ია, დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X –425936; Y–4647392;
2. X –425950; Y–4647446;
3. X –426022; Y–4647430;
4. X –426005; Y–4647389;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. საქმიანობის მონაკვეთი ვრცელდება ქ. გორიდან (სადგური გრაკლი)-ცხინვალამდე, მაგრამ ამჟამად სოფ. ნიქოზამდე. ობიექტზე გააჩნიათ სარელსო ტრანსპორტი (დრეზინა), АГВ-ტიპის, რომელიც მოიხმარს დიზელის საწვავს.

ტერიტორიაზე არის საწყობები, სადაც ელ. გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვისათვის საჭირო იარაღები ინახება.

ობიექტის ტერიტორია ნახევრად შემოღობილია. ღობე ძველი და ცუდ მდგომარეობაშია, არის ღამის განათება. ტერიტორიაზე არის გამწვანება ერთეული ხე-მცენარეების და ვაზის ხეივნის სახით რაც შეადგენს მთლიანი ფართობის დაახლოებით 5%-ს.

საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება მცირე რაოდენობით საყოფაცხოვრებო, სხვადასხვა მეტალის და იზოლატორების ნარჩენები, გატანასთან დაკავშირებით ხელშეკრულება არ არის გაფორმებული მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენის განთავსებისთვის ურნები არ არის, იყრება ქ. გორის მუნიციპალური ნარჩენების ურნაში. ნარჩენების მართვაზე კ/კ არ არის დანიშნული.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან, გამოყენებული წყლის რაოდენობა დაახლოებით 20მ<sup>3</sup>-ს შეადგენს თვეში.

ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 8მ<sup>3</sup> მოცულობის არაჰერმეტიულ ორმოში, რომელიც საჭიროებისამებრ იცლება, ერთჯერადი ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე.

ობიექტზე არის საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი. ТМ 25/10, რომელშიც ზეთის ტევადობა 170 კგ-ა. ტრანსფორმატორი შემოუღობავია. ასევე არ არის განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნები.

ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.2.8 წიფას საკონტაქტო ქსელის რაიონი

საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ წიფას ტერიტორიაზე. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 1000მ<sup>2</sup>-ია, აღნიშნული მიწის ნაკვეთის კუთხის კოორდინატებია:

1. X – 370521; Y– 4650758;

2. X – 370526; Y– 4650753;
3. X – 370460; Y– 4650709;
4. X – 370450; Y– 4650721;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. ობიექტის საქმიანობის არეალი(მონაკვეთი) ვრცელდება ქ. ხაშურიდან - სოფ. მარელისამდე.

საქმიანობისთვის გამოიყენება სარელსო ტექნიკა - AMД, რომელიც მუშაობს დიზელის საწვავზე.

ტერიტორია შემოღობილია, არის ღამის განათება. გამწვანებული ფართობი დაახლოებით 20%-ია. შენობა და ინფრასტრუქტურა მოძველებულია.

ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ძირითადი ნარჩენებია: საყოფაცხოვრებო, ლითონის ჯართი, იზოლატორები და სხვა. ნარჩენები არ არის ტერიტორიაზე განთავსებული. მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან ხელშეკრულება არ არის გაფორმებული. ნარჩენების მართვაზე კ/პ არ არის ობიექტზე.

ობიექტზე თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე გამაცხელებლები. როგორც ყველა საკონტაქტო ქსელის რაიონში, შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით თუმცა, წიფას საკონტაქტო ქსელის რაიონში დამატებით განთავსებულია შეშის ღუმელი.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულებისთვის გამოიყენება წყაროს წყალი, რომელსაც სასმელად იყენებს სოფელი. გამოყენებული სასმელ სამეურნეო წყლის აღრიცხვა არ ხდება, შესაბამისად უცნობია სასმელ-სამეურნეოდ გამოყენებული წყლის რაოდენობა. ობიექტზე ტექნიკური მიზნებისთვის წყალი არ გამოიყენება.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 3მ<sup>3</sup> მოცულობის საასენიზაციო ორმოში, რომლიც იცლება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე. სანიაღვრე სისტემა არ არსებობს.

ობიექტის ტერიტორიაზე საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი არ არის განთავსებული. ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ ფიქსირდება.

#### 4.3.2.9 ხარაგაულის საკონტაქტო ქსელის რაიონი

საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს დაბა ხარაგაუში, კიკნაძის ქუჩა №20-ში. ობიექტის შენობის და ეზოს მიერ დაკავებული დაახლოებითი ფართობი 700მ<sup>2</sup>-ია. ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X – 351640; Y– 4652706;
2. X – 351662; Y– 4652708;
3. X – 351671; Y– 4652696;
4. X – 351664; Y– 4652689;
5. X – 351676; Y– 4652668;
6. X – 351669; Y– 4652665;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. საქმიანობის არეალი (მონაკვეთი) ვრცელდება სოფ.

მარელისიდან-ზესტაფონის შესასვლელამდე. ობიექტს გააჩნია სალიანდაგო ტრანსპორტი (დრეზინა)-DM, რომელიც მოიხმარს ბენზინის საწვავს.

ტერიტორია ნაწილობრივ შემოღობილია, არის დამის განათება. ინფრასტრუქტურა მოძველებულია. ტერიტორიაზე არის რამდენიმე ერთეული ხე, რომელთა რაოდენობაც 5-ს არ აღემატება ასევე პატარა ზომის ხეივანი, გამწვანება დაახლოებით 5%-ია.

ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ძირითადი ნარჩენებია: საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ლითონის ჯართი და იზოლატორები, რისთვისაც არ არის გამოყოფილი სათავსი. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან გაფორმებული არ არის. 3/3 არ არის დანიშნული.

ობიექტი სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მარაგდება ცენტრალიზებული ქსელიდან, ტერიტორიაზე წყლის მარაგისთვის არის ასევე მიწისზედა ჰორიზონტალური პლასტმასის რეზერვუარი, რომლის მოცულობაა 1მ<sup>3</sup>-ია. რეზერვუარის წყალი სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 8მ<sup>3</sup>-ია. ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 2მ<sup>3</sup> მოცულობის არაჰერმეტიკულ საასენეზაციო ორმოში, რომლის დაცლა საჭიროებისამებრ ხდება, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი, რომლის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე. ობიექტზე სანიაღვრე სისტემა არ არსებობს.

ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები დაფიქსირებული არ ყოფილა.

### 4.3.3 დასავლეთის ენერგომომარაგების სამმართველო

#### 4.3.3.1 დასავლეთ ენერგომომარაგების სამმართველო

დასავლეთ ენერგომომარაგების სამმართველო მდებარეობს ქ. სამტრედიაში ბარათაშვილის ქ. №1-ში. სამმართველოს ტერიტორიის ფართობი დაახლოებით შეადგენს 6296 კმ<sup>2</sup>, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X- 280020; Y- 4670842;
2. X- 280007; Y- 4670929
3. X- 280082; Y- 4670949;
4. X- 280090; Y- 4670929.

ენერგომომარაგების სამმართველოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საქართველოს რკინიგზის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ინფრასტრუქტურული ობიექტების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა.

სამმართველოს დაქვემდებარებაშია წვევის ქვესადგურები და საკონტაქტო ქსელის რაიონები დასავლეთ საქართველოს მასშტაბით.

დასავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს ტერიტორია წარმოდგენილია სარემონტო-სარევიზიო უბნით, ელექტრომომარაგების რაიონი-სამტრედიის ჯგუფით და სამტრედიის საკონტაქტო ქსელის რაიონით, რომელსაც ცალკე შენობა გააჩნია ტერიტორიაზე.

- სარემონტო-სარევიზიო უბანი წარმოდგენილია ტექნიკური ჯგუფით, რომელიც უზრუნველყოფს ქვესადგურებზე ზეთების შეცვლა/ჩამატება/გატანის საკითხებს.



- ელექტრომომარაგების რაიონი, სამტრედიის ჯგუფი უზრუნველყოფს საქართველოს სარკინიგზო ხაზის განათებისთვის საჭირო ენერჯის მიწოდებას.
- სამტრედიის საკონტაქტო ქსელის რაიონი უზრუნველყოფს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაციას.

სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში არის ლაბორატორია, სადაც ზეთის შემოწმება ხდება მის ვარგისიანობაზე. ადმინისტრაციის წარმომადგენლობის თქმით ადგილზე მეორადი ზეთები არ ინახება.

ობიექტის ტერიტორია კეთილმოუწყობელია. შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. რაც შეეხება მოპირკეთებას ტერიტორია წარმოდგენილია გრუნტოვანი საფარით. გამწვანება არ არის ტერიტორიაზე. არის ღამის განათება.

ტერიტორიაზე მიმოფანტულია საყოფაცხოვრებო ნარჩენები-პოლიეთილენის ბოთლები, პარკები და სხვა ნარჩენები, ლითონის ჯართი.

ტერიტორიაზე დასაწყობებულია მწყობრიდან გამოსული ტრანსფორმატორები.

სამმართველოს საქმიანობიდან გამომდინარე ძირითად ნარჩენს წარმოადგენს მწყობრიდან გამოსული ტრანსფორმატორები, რომლებიც დასაწყობებულია სამმართველოს ეზოში ღია ცის ქვეშ პირდაპირ ნიადაგზე (ტერიტორიაზე მწყობრიდან გამოსულ ტრანსფორმატორებთან ერთად განთავსებულია მეორადი მუშა ტრანსფორმატორები და ახალი ტრანსფორმატორებიც).

სამმართველოში ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი არარის გამოყოფილი.

ტერიტორიაზე მცირე ფართობის შენობაში (20 მ<sup>2</sup>) მოწყობილია სახარატო საამქრო, სადაც დამონტაჟებულია ერთი ჩარხ-დანადგარი და საჭიროებისამებრ ხდება ლითონის დამუშავება. ფუნქციონირებს ასევე შედუღების პოსტი, სადაც წელიწადში დაახლოებით 70 კგ ელექტროდის გამოყენება ხდება. სავენტილაციო სისტემა არ არის და ნამწვი აირები არაორგანიზებულად გაფრქვევა ატმოსფეროში. გარდა აღნიშნულისა არის ძველი საქვაბე, რომელიც მწყობრიდან არის გამოსული და მისი გამოყენება არ ხდება. გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგება ხდება დაახლოებით 7 მეტრის სიღრმეზე მდებარე ჭაბურღილიდან. გამოყენებული წყლის დღიური ხარჯი დაახლოებით 250 ლიტრია. ჭაბურღილს არ გააჩნია სანიტარული დაცვის ზონა. ჭაბურღილიდან წყალი გროვდება ნახევარ ტონიან მიწისზედა, ჰორიზონტალურ რეზერვუარში. ჭაბურღილიდან მოკლე ქიმიური ანალიზისთვის აღებულ იქნა წყლის სინჯი. სინჯის აღების წერტილის კოორდინატებია X-280034 Y-4670869. ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 2 მ<sup>3</sup> მოცულობის არაჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში, რომელიც პერიოდულად იცლება ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს ისეთი ტექნოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც ადგილი ექნება საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურება შესაძლებელია დაზიანებული ტრანსფორმატორებიდან. ასევე, ტექნიკის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის შედეგად დაღვრილი ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით.

სანიაღვრე წყლების შემკრების სიტემა მოწყობილი არ არის. ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლები გროვდება პატარა არხში, რომელიც სასმელი დანიშნულებით გამოყენებული მიწისქვეშა ჭაბურღილთან არის ახლოს და შემდეგ ეს წყლები მიუყვება რკინიგზის ლიანდაგს არხის სახით.

ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები გვხვდება დრეზინის შემოსასვლელ ლიანდაგზე, პატარა ფართობზე(რამდენიმე წერტილში).

#### 4.3.3.2 აბაშის წვეის ქვესადგური

აბაშის წვეის ქვესადგური მდებარეობს ქ. აბაშაში, თავისუფლების №2-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 1200 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-267959, Y-4677398;
2. X-267900, Y-4677447;
3. X-267862, Y-4677398;
4. X-267911, Y-4677351.

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა. ქვესადგური რკინიგზის ელექტროენერგიით მომარაგების საერთო ქსელშია ჩართული. 110 კვ-იანი მოწყობილობები გამორთულია ქვესადგურში. ჩართულია 10 კვ, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი და ბლოკირების ტრანსფორმატორი მეზობელი წვეის ქვესადგურიდან. ზეთიანი ტრანსფორმატორების ნაწილი ზეთისგან დაცლილია, ხოლო ნაწილში არის ზეთის გარკვეული რაოდენობა. ადგილზე არიან მორიგეები, რომლებიც ყურადღებას აქცევენ ქვესადგურს.

ობიექტის ტერიტორია მთლიანად შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. არის ღამის განათება. ეზო მოწესრიგებულია, დაფარულია მწვანე ბალახეული საფარით. ტერიტორიაზე გამწვანება არის (საერთო ჯამში დაახლოებით 30%). ტერიტორიაზე ნარჩენები არ არის განთავსებული. შენობის ბოლოში ჩამონტაჟებულია ვენტილატორი, რომელიც ემსახურება მთლიანი შენობის(დერეფნის) ვენტილაციას.

ობიექტზე ძირითადად, წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლებიც ქვესადგურის გარეთ მდებარე ურნაში იყრება. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ტერიტორიაზე ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე კ/პ ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის შენობაში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განლაგებულია 56 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი, რომლებიც გამოსულია მწყობრიდან. ოთახში არ არის შემწოვ-გამწოვი სისტემა. ტერიტორიაზე საწვავის რეზერვუარები არ არის. თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი არ არის ტერიტორიაზე. გათბობა ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით ხდება.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ობიექტზე ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით, 1მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება საასენიზაციო ორმოში. საასენიზაციო ორმოს მოცულობა დაახლოებით, 4 მ<sup>3</sup>-ია ორმო არაჰერმეტიკულია, საასენიზაციო ორმო ჯერ არ დაცლილა. არ აქვთ ხელშეკრულება გაფორმებული შესაბამის სამსახურთან.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დამბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დამბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია დაახლოებით, 600 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

ქვესადგური წარმოადგენს გამავალი (იგივე ხიდური) ტიპის ქვესადგურს 110 კვ ძაბვით.

ტერიტორიაზე განთავსებულია 1 ერთეული ძალოვანი ტრანსფორმატორი ТДТН-10000/110, 2 ერთეული წვეის ტრანსფორმატორი (ТМПУ-6300/35), 2 ერთეული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (ТМ 250/10) და 1 ერთეული ბლოკირების ტრანსფორმატორი (ТМ-100/6).

ძალოვან ტრანსფორმატორებში ზეთის ტევადობა 20170 კგ-ა, წვეის ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა 5120 კგ-ა, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში 375, ბლოკირების ტრანსფორმატორში დაახლოებით 350 კგ.

ტრანსფორმატორების განლაგების ტერიტორიას გააჩნია ბეტონის შემოზღუდვა, რომელიც ამოვსებულია ხრეშით, დაღვრის შემთხვევაში ზეთი ჩაიჟონება შემოზღუდულ მოცულობაში. ტერიტორიაზე არის სამი ერთეული ჭა, თითოეული დაახლოებით 1 მეტრი დიამეტრის და 2 მ<sup>3</sup> მოცულობის, რომელიც სავარაუდოდ დაღვრებისთვის არის გათვალისწინებული (მოწოდებული ინფორმაციით).

ზეთიანი ამომრთველებია- БМПЭ-10 -17 ერთეული. ზეთის ტევადობა თითოეულში დაახლოებით 9-10 ლიტრია. სწრაფმოქმედი ავტომატები- БАБ-28 (არ შეიცავს ზეთს).

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს დასავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო ცეხის სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.3.3 ბათუმის წვეის ქვესადგური

ბათუმის წვეის ქვესადგური მდებარეობს ქ. ბათუმში, სახოკიას №14-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 3 000 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-721994, Y-4613169;
2. X-722051, Y-4613157;
3. X-722038, Y-4613108;
4. X-721987, Y-4613119;

ქვესადგური წარმოადგენს ჩიხური ტიპის ქვესადგურს 10 კვ ძაბვით. ტერიტორიაზე 2 ერთეული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი განთავსებულია შენობაში, ხოლო დანარჩენი ეზოში, ღია ცის ქვეშ.

ობიექტის ინფრასტრუქტურა ძველია. ტერიტორია შემოღობილია. არის ღამის განათება. ქვესადგურის ეზო მოწესრიგებულია, დაფარულია მწვანე ბალახეული საფარით. ტერიტორიაზე გამწვანება საერთო ჯამში დაახლოებით 30%-ია.

ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლებიც ქვესადგურის გარეთ მდებარე ურნაში იყრება. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ტერიტორიაზე ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე კ/კ ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის შენობაში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განლაგებულია 52 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი. ოთახში ვენტილაციისთვის ფანჯარაში ჩამონტაჟებულია ვენტილატორი დაახლოებით, 2.5 მეტრის სიმაღლეზე.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ტერიტორიაზე ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა დაახლოებით თვეში 2 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში.

ქვესადგურის გარშემო, დაახლოებით 70 სმ სიგანის არხია გაჭრილი.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია დაახლოებით, 1500 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

ტერიტორიაზე განთავსებულია 2 ერთეული ძალოვანი ტრანსფორმატორი (ТМПУ-6300/35), 2 ერთეული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (ТМ 250/6) და ბლოკირების ტრანსფორმატორები, ერთი ბლოკირების ტრანსფორმატორი ახალია და არ შეიცავს ზეთს (ელეგაზურია).

ძალოვან ტრანსფორმატორებში ზეთის ტევადობა 6300 კგ-ა, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში 375, ბლოკირების ტრანსფორმატორში დაახლოებით 350 კგ.

ტრანსფორმატორების განლაგების ტერიტორიას გააჩნია ბეტონის შემოზღუდვა, რომელიც ამოვსებულია ხრემით, დაღვრის შემთხვევაში ზეთი ჩაიჭონება შემოზღუდულ მოცულობაში.

ზეთიანი ამომრთველებია-4 ერთეული (12 ცალი). ზეთის ტევადობა თითოეულში დაახლოებით 9-10 ლიტრია. სწრაფმოქმედი ავტომატებია- BAB-28, რომლებიც არ შეიცავს ზეთს.

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს დასავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო ცეხის სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე შენობაში განთავსებული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორების ქვეშ შეიმჩნეოდა ნავთობპროდუქტების დაღვრის კვალი, ხრემის (ქვების) მუქი შეფერილობის გამო.



დახურულ შენობაში განთავსებული ტრანსფორმატორი, რომელიც დაბინძურებულია ზეთებით

#### 4.3.3.4 ზესტაფონის წვეის ქვესადგური

ზესტაფონის წვეის ქვესადგური მდებარეობს ქ. ზესტაფონში. ფარნავაზის №6-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 6 000 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-336900, Y-4663470;
2. X-336917, Y-4663511;
3. X-336943, Y-4663523;
4. X-337001, Y-4663500;
5. X-336979, Y-4663433;

ქვესადგური წარმოადგენს გამავალი ტიპის ქვესადგურს 6.6 კვ ძაბვით. ინფრასტრუქტურა მოძველებულია, თუმცა კარგად შემონახული. ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. არის ღამის განათება. ეზო მოწესრიგებულია, დაფარულია მცენარეული საფარით. ტერიტორიაზე არის რამდენიმე ერთეული მრავალწლოვანი ხე-მცენარეები. ტერიტორიაზე გამწვანება დაახლოებით 40-45%-ია.

ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლებიც ქვესადგურის გარეთ მდებარე ურნაში იყრება. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე 3/3 ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის შენობაში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განლაგებულია 108 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი. ოთახში არის სავენტილაციო სისტემა. გაფრქვევა ხდება დაახლოებით 3 მ სიმაღლის 30X30 სმ კვადრატული მილით.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ტერიტორიაზე ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 2-3 მ<sup>3</sup> -ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ქ. ზესტაფონის საკანალიზაციო კოლექტორში.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დამბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 200 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

ტერიტორიაზე განთავსებულია 1 წვეის ტრანსფორმატორი (TMPY-1600/10) 3.3 ვ ძაბვით., 2 საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (TM-400/6 და TM 160/6) 380 ვ ძაბვით და 3 ბლოკირების ტრანსფორმატორი (TM-100/6 -2 ერთეული და TM-63/6-1 ერთეული) 220 ვ ძაბვით.

წვეის ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა 9.5 ტონაა, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში 456 კგ კგ, ხოლო ბლოკირების ტრანსფორმატორებში 155 კგ.

ტრანსფორმატორების ტერიტორია შემოღობილია ბეტონის შემოზღუდვით. მოწყობილია ზეთის შემკრები სისტემა. შესაგროვებელი ლითონის რეზერვუარის ტევადობა დაახლოებით 50 ტონაა, რეზერვუარი წესით უნდა იყოს მიწისქვეშა, მარგამ წყალდიდობის გამო რეზერვუარის ნახევარი მიწის ზემოთ მოექცა და ამჟამად ნახევრად არის მიწაში ჩაფლული.

ქვესადგურში ზეთიანი ამომრთველებია ცვლად დენზე-BMII-10 -8 ერთეული. ზეთის ტევადობა თითოეულში დაახლოებით 9-10 ლიტრია. მუდმივი დენის სწრაფმოქმედი ავტომატები:-BAF-43-13 ერთეული (არ შეიცავს ზეთს).

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს დასავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო ცეხის სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.3.5 კოლხეთის წევის ქვესადგური

კოლხეთის წევის ქვესადგური მდებარეობს ხობის მუნიციპალიტეტში, იმერეთი ქუჩაზე. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 4 000 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-724582, Y-4675660;
2. X-724546, Y-4675694;
3. X-724473, Y-4675658;
4. X-724505, Y-4675619;

ქვესადგური წარმოადგენს გამავალი ტიპის ქვესადგურს, 35 კვ ძაბვით. ქვესადგური სხვა ქვესადგურებთან შედარებით ახალია, ობიექტზე სხვა ქვესადგურებთან შედარებით კარგი მდგომარეობაა. ინფრასტრუქტურა წარმოდგენილია კონტინერული ტიპის ოთახებით.

ტერიტორია შემოღობილია. არის ღამის განათება. მთლიანი ეზოს ტერიტორია მოხრეშილია. გამწვანება არ არის.

ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე პ/პ ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის შენობაში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განლაგებულია 114 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი. ოთახში არის კედელში ჩამონტაჟებულია ვენტილატორი დაახლოებით 3 მეტრის სიმაღლეზე.

შენობის გათბობა ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით ხდება.

ტერიტორიაზე სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალი არ არის. სასმელი წყალი მოაქვთ სახლებიდან.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 4 მ<sup>3</sup> მოცულობის ჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში. ხელშეკრულება ადგილობრივ სამსახურთან არ არის გაფორმებული. დაცლა ხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დამბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 2000 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

ტერიტორიაზე სულ განთავსებულია 6 ტრანსფორმატორი: 2 ერთეული ძალოვანი ტრანსფორმატორი (TM 6300/35) 2 ერთეული წევის ტრანსფორმატორი (TPMII-6300/10), 2 ერთეული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (TM-250/10).

ძალოვან ტრანსფორმატორებში ზეთის ტევადობა 3650 კგ-ა, წევის ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა 4000 კგ-ა., საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში 375 კგ.

ტრანსფორმატორების ძირი დაფარულია ხრემით და გააჩნია ბეტონის შემოზღუდვა. ტრანსფორმატორების განთავსების ტერიტორიაზე არის 1 მ დიამეტრის მქონე 5 ერთეული რკინის ჭა, რომლებიც საბოლოოდ უკავშირდება დიდი მოცულობის რკინის რეზერვუარს (მიწისქვეშა), რომლის მოცულობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

ზეთიანი ამომრთველებია- C-35M-630-10A -3 ერთეული, ზეთის ტევადობა თითოეულში 800 კგ-ა; BМIIЭ-10-9 ერთეული, თითოეულში ზეთის ტევადობა დაახლოებით 9 ლიტრია. სწრაფმოქმედი ავტომატები BAB-28 -7 ერთეულია და Ab-2/4 (არ შეიცავს ზეთს).

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს დასავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო ცეხის სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.3.6 ნატანების წვეის ქვესადგური

ნატანების წვეის ქვესადგური მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელი ნატანებში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 6000 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-733198, Y-4646153;
2. X-733291, Y-4646265;
3. X-733257, Y-4646134;
4. X-733247, Y-4646270;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ელექტროენერგიით მომარაგება. ქვესადგური ელექტროენერგიით ამარაგებს სოფელსაც.

ქვესადგური წარმოადგენს გამავალი ტიპის ქვესადგურს, 35 კვ ძაბვით (გამოდის 3.3 მუდმივი დენი, 10 კვ სოფლის მხარეს). ტერიტორია შემოღობილია ნაწილობრივ, არის ღამის განათება. ეზო მოწესრიგებულია, დაფარულია მწვანე ბალახეული საფარით,. ტერიტორიაზე გამწვანება საერთო ჯამში დაახლოებით 15%-ია.

ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლებიც ქვესადგურის გარეთ მდებარე ურნაში იყრება. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე 3/3 ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის შენობაში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განლაგებულია 55 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი. ოთახში არ არის ვენტილაციის სისტემა. გაფრქვევა ხდება დაახლოებით 3 მ-ის სიმაღლეზე 25X25 სმ-ის მილით.

შენობის გათბობა ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით ხდება.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ტერიტორიაზე ხდება სოფლის წყალმომარაგებიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა დაახლოებით თვეში 1 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 3 მ<sup>3</sup> მოცულობის არაჰერმეტიკულ, საასენიზაციო ორმოში. ჯერ არ დაცლილა (ახალია). ტერიტორიაზე არის აბანო, წარმოქმნილი ჩამდინარე წყალი იღვრება ტერიტორიაზე.

ობიექტზე სანიაღვრე წყლების დამბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 2000 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

ტერიტორიაზე განთავსებულია 1 ერთეული ძალოვანი ტრანსფორმატორი (TMH-1600/35/10), 2 ერთეული წვეის ტრანსფორმატორი (TMIIY-6300/35), 2 ერთეული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (TM 100/35 და TM-200/35) და 1 ერთეული ბლოკირების ტრანსფორმატორი (TM-160/10). ერთი WESTINGHOUSE-ის ტრანსფორმატორი.

ძალოვან ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა 7250 კგ-ა, წვეის ტრანსფორმატორებში 6300 კგ, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში დაახლოებით 210 კგ, ბლოკირების ტრანსფორმატორში დაახლოებით 115 კგ. WESTINGHOUSE-ის ტრანსფორმატორში დაახლოებით 1200კგ.

ტერიტორიაზე ტრანსფორმატორები განლაგებულია ბეტონის შემადღებებზე. დაღვრილი ზეთების შესაგროვებელი მოცულობა არ გააჩნიათ.

ზეთიანი ამომრთველებია- BMIIႤ-10 -7 ერთეული. ზეთის ტევადობა თითოეულში დაახლოებით 9-10 ლიტრია; C-35M-630-10-4 კომპლექტი, თითოეულის ზეთის ტევადობა დაახლოებით 900 კგ-ა; WESTINGHOUSE-ის ამომრთველში ზეთის ტევადობა დაახლოებით 890 ლიტრია.

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს დასავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო ცეხის სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.3.7 სამტრედია 2-ის ქვესადგური

სამტრედია 2-ის ქვესადგური მდებარეობს ქ. სამტრედიაში, გრიბოედოვის ქუჩა №53-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი 5 622 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია :

1. X-283393, Y-4672398;
2. X-283414, Y-4672331;
3. X-283337, Y-4672307;
4. X-283317, Y-4672372;

ქვესადგური წარმოადგენს გამავალი ტიპის ქვესადგურს 110 კვ ძაბვით. ობიექტი შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. არის ღამის განათება, არის მეხამრიდები. ტერიტორიის ეზო დაფარულია ბალახეული საფარით. გამწვანება დაახლოებით 10 %-ია. ტერიტორიაზე ნარჩენები არ არის განთავსებული.

ობიექტზე ძირითადად, საყოფაცხოვრებო ნარჩენები წარმოიქმნება. მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე 3/3 ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის ტერიტორიაზე არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განთავსებულია დაახლოებით 100 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი. შენობაში არის ვენტილაციის სისტემა



(შემწოვ-გამწოვი მილი და ვენტილატორი). გაფრქვევა ხდება 25 სმ დიამეტრის მქონე მილით, დაახლოებით 4 მეტრის სიმაღლეზე.

თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი არ არის ობიექტზე. შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ობიექტის სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება მიწისქვეშა ჭაბურღილიდან, საიდანაც აღებულ იქნა წყლის სინჯი მოკლე ქიმიური ანალიზისათვის (წყლის სინჯი №4. წყლის სინჯის აღების კოორდინატი: X-283355; Y-4672312).

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება არაჰერმეტიულ საასენიზაციო ორმოში. საასენიზაციო ორმოს პარამეტრების დადგენა ვერ მოხერხდა.

დაცლა ხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 2000 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

ქვესადგურის ტერიტორიაზე არის ძალოვანი ტრანსფორმატორები ТДП-12500 და ТДН-1600.

ერთი ტრანსფორმატორის ზეთის ტევადობა 4 500 ლიტრია, მეორესი 12 582 კგ-ა.

ტრანსფორმატორების განლაგების ტერიტორიას გააჩნია ბეტონის შემოზღუდვა, რომელიც ამოვსებულია ხრებით, დაღვრის შემთხვევაში ზეთი ჩაიჟონება შემოზღუდულ მოცულობაში.

ზეთიანი ამომრთველების 2 კომპლექტია- MNNRK-1400, ზეთის ტევადობა თითოეულში დაახლოებით 100 ლიტრია. ქვესადგურის შენობაში 23 ცალი ზეთიანი ამომრთველია, რომლებიდანაც მხოლოდ 8 არის მოქმედი. თითოეულში ზეთის ტევადობა დაახლოებით, 9 ლიტრია.

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს დასავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო ცეხის სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ობიექტის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ არის.

#### 4.3.3.8 სუფსის წვეის ქვესადგური

სუფსის წვეის ქვესადგური მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელი სუფსაში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 2000 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-733524, Y-4659043;
2. X-733537, Y-4659010;
3. X-733586, Y-4659027;
4. X-733576, Y-4659063;

ქვესადგური წარმოადგენს ჩიხური ტიპის ქვესადგურს, 10კვ ძაბვით (გამოდის 3.3 მუდმივი დენი). ობიექტის ინფრასტრუქტურა ძველია. ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით, არის ღამის განათება. ეზო მოწესრიგებულია, დაფარულია მწვანე ბალახეული საფარით. ტერიტორიაზე გამწვანება დაახლოებით 15 %-ია.

ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლებიც ქვესადგურის გარეთ მდებარე ურნაში იყრება. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე კ/კ ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის შენობაში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განლაგებულია 54 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი. ოთახში არ არის გამწოვი სისტემა. გაფრქვევა ხდება 2.5 მ-ის სიმაღლეზე 25X25 სმ-ის მილით.

შენობის გათბობა ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით ხდება.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ტერიტორიაზე ხდება სოფლის ჭაბურღილიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა დაახლოებით თვეში 2 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 3 მ<sup>3</sup> მოცულობის არაჰერმეტიკულ, სასენიზაციო ორმოში. სასენიზაციო ორმო ჯერ არ დაცლილა (ახალია). ხელშეკრულება ადგილობრივ სამსახურთან არ არის გაფორმებული. დაცლა მოხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 1000 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

ტერიტორიაზე განთავსებულია 2 ერთეული წვევის ტრანსფორმატორი (ТМПУ-6300/35), 2 ერთეული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (ТМ 160/10) და 1 ერთეული ბლოკირების ტრანსფორმატორი (ТМ-63/10).

წვევის ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა 7 250 კგ-ა, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში 210 კგ, ბლოკირების ტრანსფორმატორში დაახლოებით 115 კგ.

ტრანსფორმატორების განთავსების ტერიტორია მოხრეშილია და აქვს ბეტონის შემოზღუდვა.

ზეთიანი ამომრთველები- БМПЭ-10 -7 ერთეული. ზეთის ტევადობა თითოეულში დაახლოებით 9-10 ლიტრია. სწრაფმოქმედი ავტომატია- БАБ-43 (არ შეიცავს ზეთს).

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს დასავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო ცეხის სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.3.9 ტყიბულის მოძრავი წვევის ქვესადგური

ტყიბულის მოძრავი წვევის ქვესადგური მდებარეობს ქ. ტყიბულში, გამსახურდიას №26 ბ-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 1000 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-334672, Y-4689725;
2. X-334664, Y-4689738;
3. X-334707, Y-4689767;

## 4. X-334713, Y-4689753;

ქვესადგური წარმოადგენს ჩიხური ტიპის ქვესადგურს 6,6 კვ ძაბვით. ტყიბულის ქვესადგურის ტერიტორიაზე წარმოდგენილი შენობა ამორტიზებულია და არ არის ათვისებული ქვესადგურის ადმინისტრაციის მიერ. ქვესადგურის ადმინისტრაცია ამჟამად მოძრავი წვევის ქვესადგურშია განთავსებული. მოძრავი წვევის ქვესადგური 4 ვაგონით არის წარმოდგენილი.

ობიექტის ტერიტორია მთლიანად შემოღობილია. ტერიტორიაზე განთავსებულია მოძრავი ქვესადგური. ტერიტორიაზე არის შენობაც მაგრამ დაზიანებულია და ამჟამად უფუნქციოა. არის ღამის განათება. ეზო მოწესრიგებულია. ტერიტორიაზე გამწვანება არის (საერთო ჯამში დაახლოებით 10%).

ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე 3/3 ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის შენობაში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განლაგებულია 10 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი. ოთახში ვენტილაცია არ არის.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ტერიტორიაზე არ არის. სასმელი წყალი მოაქვთ დასახლებული პუნქტიდან.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებისთვის მოწყობილია დაახლოებით 3 მ<sup>3</sup> მოცულობის საასენიზაციო ორმო, რომლის დაცვაც დაახლოებით 2 წელიწადში ერთხელ ხდება, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 300 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

ტერიტორიაზე სულ 2 ტრანსფორმატორია განთავსებული: 1 ერთეული წვევის ტრანსფორმატორი (TMP 3200.6), 1 ერთეული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (TM 63/6).

წვევის ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა 5 400 კგ-ა, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორში 170 კგ.

ტრანსფორმატორებს არ გააჩნია ზეთების შესაგროვებელი მოცულობა.

ზეთიანი ამომრთველებია- 1 ერთეული BMF-133 და BMII-10- 1 ერთეული. თითოეულში ზეთის ტევადობა დაახლოებით 9 ლიტრია. ავტომატური ამომრთველია BAE-28 (არ შეიცავს ზეთს).

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს დასავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო ცეხის სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბანი შეიმჩნეოდა წვევის ტრანსფორმატორის განთავსების ადგილას (დაახლოებით 1 მ<sup>2</sup> ფართობზე).



სატრანსფორმატრო ზეთებით დაბინძურებული  
უბანი

#### 4.3.3.10 ხრესილის წევის ქვესადგური

ხრესილის წევის ქვესადგური მდებარეობს ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხრესილში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 4 500 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-325544, Y-4690176;
2. X-325503, Y-4690118;
3. X-325499, Y-4690207;
4. X-325411, Y-4690163;

ქვესადგური წარმოადგენს გამავალი (იგივე ხიდური ) ტიპის ქვესადგურს 35 კვ ძაბვით. ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა. ქვესადგურის ელექტროენერგიით მარაგდება სოფლებიც.

ობიექტის ინფრასტრუქტურა წარმოდგენილია ორსართულიანი ძველი შენობით და დიდი ეზოთი. ტერიტორია მთლიანად შემოღობილია. არის ღამის განათება. ეზო მოწესრიგებულია. ტერიტორიაზე გამწვანება დაახლოებით 20%-ია. ნარჩენების სახით ტერიტორიაზე არის ლითონის ჯართი, რამდენიმე ერთეული იზოლატორი.

ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ლითონის ჯართი. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე პ/პ ობიექტზე არ არის.

ქვესადგურის შენობაში არის აკუმულატორების ოთახი, სადაც განთავსებულია 60 ერთეული მჟავიანი აკუმულატორი. ოთახში არის გამწოვი სისტემა. გაფრქვევა ხდება დაახლოებით 2.5 მ სიმაღლეზე 30X25 სმ კვადრატული მილით.

შენობის გათბობა ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით ხდება.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ტერიტორიაზე ხდება წყაროს წყლით. გამოყენებული წყლის აღრიცხვა არ ხდება. წყაროს წყლის სინჯი მოკლე ქიმიური ანალიზისთვის აღებულ იქნა ხრესილის საკონტაქტო ქსელის ტერიტორიიდან.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 18 მ<sup>3</sup> მოცულობის ჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში, ორმო მდებარეობს წვევის ქვესადგურის ტერიტორიის გარეთ. ხელშეკრულება ადგილობრივ სამსახურთან გაფორმებული არ აქვთ. გაწმენდა ხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დამბინძურებელ ძირითად, წყაროებს წარმოადგენს ტრანსფორმატორები, სანიაღვრე წყლების სატრანსფორმატორო ზეთებით დაბინძურების რისკით. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიის მიახლოებითი ფართობია 500 მ<sup>2</sup>. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა.

ტერიტორიაზე სულ 4 ტრანსფორმატორია განთავსებული: 3 ერთეული წვევის ტრანსფორმატორი (ТМП-6300/35, 2 წვევის ტრანსფორმატორი სარეზერვოა), 1 ერთეული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი (ТМ 250/35/0.22).

წვევის ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა 5000 კგ-ა, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებში დაახლოებით 700 კგ.

ტრანსფორმატორების განლაგების ტერიტორიას გააჩნია ბეტონის შემოზღუდვა. დაღვრის შემთხვევაში ტრანსფორმატორებთან არის დაახლოებით 2 მ<sup>3</sup> მოცულობის რკინაბეტონის სამი ერთეული ჭა, რომელიც შემდგომ რკინა-ბეტონის დაახლოებით 80 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარს უკავშირდება.

ზეთიანი ამომრთველებია- C-35M-630-10- 10 ერთეული. თითოეულში ზეთის ტევადობა 896 კგ-ა.

ობიექტზე ტრანსფორმატორების ზეთების გამოცვლა/ჩამატებას უზრუნველყოფს დასავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს სარევიზიო ცეხის სპეციალური ჯგუფი, შესაბამისად წარმოქმნილი მეორადი ზეთები გააქვთ ობიექტიდან და იგზავნება ენერგომომარაგების სამმართველოში.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.3.11 ბათუმის საკონტაქტო ქსელის რაიონი

ბათუმის საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს ქ. ბათუმში, ნინოშვილის №3-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის დაახლოებითი ფართობი 600 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-722022; Y-4614067;
2. X-722011; Y-4614078;
3. X-722039; Y-4614105;
4. X-722041; Y-4614102;
5. X-722036; Y-4614093;
6. X-722041; Y-4614084;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. ობიექტის საქმიანობის არეალი ვრცელდება ქ. ბათუმიდან - ქ. ქობულეთის ჩათვლით, ჯამში 24 კმ. ჰყავთ ДМС-809 ტიპის სარელსო ტრანსპორტი, რომელიც საწვავად ბენზინს მოიხმარს.

ობიექტის ტერიტორია ნაწილობრივ შემოღობილია და მეტნაკლებად მოწყობილი, აქვთ 2 საწყობი დაახლოებით 4 მ<sup>2</sup> და 8 მ<sup>2</sup> ფართობის. ტერიტორიაზე არის ნარგავები, ხე-მცენარეები, გამწვანებული ტერიტორიის პროცენტული მაჩვენებელი დაახლოებით 5-7%-ია.

ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების ძირითადი სახეებია: საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ლითონის და იზოლატორების (კერამიკული) ნარჩენები. მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან ხელშეკრულება არ აქვთ გაფორმებული. საყოფაცხოვრებო ნარჩენები იყრება ობიექტის გარეთ მდებარე ურნებში. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე კ/პ არ არის ობიექტზე.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით-30 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 5 მ<sup>3</sup> მოცულობის არაჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში. ორმო იწმინდება დაახლოებით 3 წელიწადში ერთხელ, ერთჯერადი ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე. ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა არ არის.

ობიექტის ტერიტორიაზე არის საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი TM-25/6-ზე, რომელიც შემოუღობავია, არ არის განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნები. ტრანსფორმატორში ზეთის რაოდენობა დაახლოებით 200 კგ-ა.

ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები ტერიტორიაზე არ გვხვდება.

#### 4.3.3.12 ზესტაფონის საკონტაქტო ქსელის რაიონი.

ზესტაფონის საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს ქ. ზესტაფონში, კოსტავას №11-ში. ობიექტის მიერ ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 900 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X – 337667; Y– 4663636;
2. X – 337645; Y– 4663630;
3. X – 337626; Y– 4663618;
4. X – 337634; Y– 4663606;
5. X – 337675; Y– 4663617;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა აჯამეთის სადგურიდან მარტოთუბნის სადგურის ჩათვლით. ობიექტზე ყავთ სარელსო ტრანსპორტი ე.წ. დრეზინა-ДМС-886, რომლის საშუალებითაც ახორციელებენ სამუშაოებს. ტერიტორიაზე არის საწყობები, სადაც ელექტროგადამცემი ხაზების მოვლა/შენახვისათვის საჭირო ხელსაწყო/იარაღები ინახება.

ტერიტორიის ნაწილი შემოღობილია ხის ღობით. არის ღამის განათება, გამწვანება დაახლოებით 5%-ია. ტერიტორიაზე წარმოქმნილი ძირითადი ნარჩენებია

საქმიანობის შედეგად ობიექტზე წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ლითონის ჯართი, იზოლატორები და სხვადასხვა დეტალები. ლითონის ჯართი და იზოლატორები განთავსებულია ობიექტის ეზოში. სათავსი ნარჩენების დროებითი დასაწყობებისათვის არ არის გამოყოფილი. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ არის გაფორმებული. ობიექტზე ნარჩენების მართვაზე კ/პ არ არის.

შენობის გათბობა ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით ხდება. ზამთარში იყენებენ შეშის ღუმელსაც.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 20 მ<sup>3</sup>-ს შეადგენს.

სასმელ-სამეურნეო ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში.

სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა მოწყობილი არ არის ტერიტორიაზე. სანიაღვრე წყლების ძირითადი დამაბინძურებელი წყარო შეიძლება იყოს დრეზინა და მისი შეკეთება/რემონტის შედეგად დაღვრილი ზეთი და ნავთობპროდუქტები, რომლითაც შესაძლოა დაბინძურდეს ნიადაგი და შესაბამისად სანიაღვრე წყლები.

ობიექტის ტერიტორიაზე მდებარე ტრანსფორმატორის ნახვა ვერ მოხერხდა (დალუქული იყო). ტრანსფორმატორის ტერიტორია იყო შემოღობილი.

ობიექტის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ არის.

#### 4.3.3.13 ინგირის საკონტაქტო ქსელის რაიონი

ინგირის საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ინგირში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 800 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-730681; Y-4709533;
2. X-730703; Y-4709539;
3. X-730703; Y-4709578;
4. X-730669; Y-4709575;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. ობიექტის საქმიანობის არეალი ვრცელდება ქ. ზუგდიდიდან სოფ. ხეთის რკინიგზის სადგურამდე, საერთო ჯამში 25 კმ. ადგილზე არ ჰყავთ სარელსო ტრანსპორტი (დრეზინა), გადაადგილება და ტვირთის გადაზიდვა ხდება ΓΑ3-ტიპის სატვირთო მანქანით.

ობიექტის ტერიტორია მთლიანად შემოღობილია, არის ღამის განათება. ტერიტორიის 50% გამწვანებულია და წარმოდგენილია-თუთის, ბზის, პალმის, კომშის და წიწვოვანი ხეებით.

ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებია: საყოფაცხოვრებო ნარჩენი, იზოლატორები, ლითონის ჯართი. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ არის გაფორმებული. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე კ/პ არ არის ობიექტზე.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ინგირის საკონტაქტო ქსელის რაიონი სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით სადგურთან არსებული ჭაბურღილიდან მარაგდებოდა, მაგრამ ამჟამად ტერიტორიაზე წყალმომარაგების წყარო არ არსებობს, რადგან დაზიანებულია წყალმომარაგების მილი. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 4-5 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 6 მ<sup>3</sup> მოცულობის ჩაბეტონებული ორმოში, რომელიც იწმინდება დაახლოებით 5 წელიწადში ერთხელ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების ძირითადი დაზინძურების წყარო არ არის (არ ყავთ დრეზინა). სანიაღვრე სისტემა მოწყობილი არ არის ტერიტორიაზე.

ობიექტის ტერიტორიაზე არის საკუთარი მოხმარების ტსზ-ტიპის ტრანსფორმატორი, 25/10-ზე, რომლის ზეთის ტევადობა შეადგენს 115 კგ-ს. ტრანსფორმატორის ძირი დაფარულია მყარი (ბეტონის) საფარით, შემოუღობავია და მაფრთხილებელი ნიშნები არ არის განთავსებული.

ობიექტზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაზინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.3.14 ლანჩხუთის საკონტაქტო ქსელის რაიონი.

ლანჩხუთის საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს ქ. ლანჩხუთში, სოფი მგელაძის №1-ში. გურიის სალიანდაგო სამმართველოს რეგიონი და დასავლეთ ენერგომომარაგების ლანჩხუთის საკონტაქტო ქსელის რაიონი განთავსებულია ერთ ტერიტორიაზე. მთლიანი ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 1.6 ჰა-ს შეადგენს, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-256354,Y-4663930
2. X-256425,Y-4663999
3. X-256379,Y-4664023
4. X-256195,Y-4664050
5. X-256140,Y-4664040
6. X-256137,Y-4664030
7. X-256233,Y-4664001
8. X-256227,Y-4663984

ლანჩხუთის საკონტაქტო ქსელის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. საკონტაქტო ქსელის სამუშაო არეალი ვრცელდება საჯავახოდან -სუფსამდე, 42 კმ-იანი სალიანდაგო ხაზი. სამუშაოების განსახორციელებლად ობიექტზე ყავთ სარელსო ტრანსპორტი-ე.წ დრეზინა АДМ-813, რომელიც მოიხმარს დიზელის საწვავს. გურიის რეგიონის ადმინისტრაცია და ლანჩხუთის საკონტაქტო ქსელის ადმინისტრაცია ერთ შენობაშია განთავსებული. საერთო ეზო აქვთ.

ობიექტის ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. არის ღამის განათება. ტერიტორიაზე, შემოღობილია რკინა-ბეტონის ანაკრები ფილებით. ნარჩენები წარმოდგენილია ლითონის ჯართით და სხვადასხვა მეორადი დეტალებით. გამწვანებული ტერიტორია დაახლოებით 10%-ია.

ობიექტის (საკონტაქტო ქსელის რაიონი) საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები. საქმიანობის შედეგად ნარჩენის სახით გროვდება ლითონის ჯართი, იზოლატორები და სხვა. ნარჩენების გატანაზე ხელშეკრულება არ აქვთ გაფორმებული მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არ არის გამოყოფილი. ობიექტზე ნარჩენების მართვაზე პ/პ არ არის.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.



სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვიურად დაახლოებით 25 მ<sup>3</sup>-ია. (საერთო მონაცემი) ტერიტორიაზე არის დიდი მოცულობის წყლის სამარაგო რეზერვუარი რომელის გამოყენება არ ხდება.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება 60 ტონიან მეტალის მიწისქვეშა რეზერვუარში. დაცლის სიხშირესთან დაკავშირებით მონაცემები ვერ იქნა მოძიებული. ხელშეკრულება არ არის გაფორმებული ადგილობრივ სამსახურთან.

ეზოს წინა მხარეს მიუყვება არხი, რომელიც შემდგომში უერთდება პატარა ღელეს. ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე.

ტსზ 100/10 ტრანსფორმატორია, რომელშიც ზეთის ტევადობა 210 კგ-ა. ტრანსფორმატორი განთავსებულია შემოღობილ ტერიტორიაზე, გამაფრთხილებელი ნიშნები არ არის განთავსებული.

ობიექტზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.3.3.15 ნატანების საკონტაქტო ქსელის რაიონი

ნატანების საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს სოფ. ნატანებში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 800 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-732302, Y-4646392;
2. X-732320, Y-4646435;
3. X-732290, Y-4646438;
4. X-732295, Y-4646396;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. ობიექტის საქმიანობის მონაკვეთი ვრცელდება ქობულეთი-ოზურგეთი-სუფსის ტერიტორიაზე, საერთო ჯამში 50 კმ. ჰყავთ სარელსო ტრანსპორტი (დრეზინა), AOM-ტიპის, რომელიც მოიხმარს დიზელის საწვავს. საკონტაქტო ქსელის რაიონის ტერიტორიაზე ლიანდაგის ხაზის მცირე მონაკვეთი დაბინძურებულია ნავთობპროდუქტებით დაახლოებით 5 მ-ის მონაკვეთზე. შენობა ცუდ მდგომარეობაშია.

ობიექტის ტერიტორია ნაწილობრივ შემოღობილია. ღობის გარეთ ფიქსირდება უვარგისი იზოლატორების ნარჩენები. შენობა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ტერიტორიაზე გამწვანება შეადგენს 10%-ს, რაც წარმოდგენილია ერთეული ხე-მცენარეების სახით.

ობიექტის ტერიტორიაზე წარმოიქმნება: საყოფაცხოვრებო ნარჩენები, იზოლატორების ნარჩენები, ლითონის ნარჩენები. ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით დასუფთავების სამსახურთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება. ნარჩენების მართვაზე კ/კ არ არის. ტერიტორიაზე ნარჩენებისთვის არ არის გამოყოფილი სათავსი.

საწვავის რეზერვუარი ტერიტორიაზე არ არის. შენობაში არის დიზელის საწვავის საწყობი ოთახი, სადაც ლითონის კასრებით ხდება საწვავის დასაწყობება (მცირე რაოდენობა).

არ აქვთ თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები. შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით და შეშის ღუმელით.

სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგებისთვის ტერიტორიაზე არსებობს არალიცენზირებული 13 მ სიღრმის ჭაბურღილი, რომლის გამოყენებაც ტექნიკური გაუმართაობის გამო ვერ ხერხდება. სასმელი წყალი პერსონალს მოაქვს სახლიდან ან სოფლიდან.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 5 მ<sup>3</sup> მოცულობის არაჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში, რომელიც საჭიროებისამებრ იცლება, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ლიანდაგის ხაზსა და საკონტაქტო ქსელის რაიონის შენობას შორის გადის დაახლოებით 20 მ-ის სიგრძის და 20-25 სმ სიგანისა ბეტონის არხი, რომელიც იცავს შენობას დატბორვისაგან. არხი მიუყვება ლიანდაგს და წვიმის დროს მოსული წყალი საბოლოოდ ჩაედინება ჭაობში, რომელიც დაახლოებით 100 მეტრში მდებარეობს (არხის წყლის ჩაშვების წერტილის დაახლოებითი კოორდინატებია: X-732215; Y-4646604).

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე.

ობიექტის ტერიტორიაზე არის საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი TM- 40/10. ზეთის ტევადობა 134 კგ-ა. ტრანსფორმატორი შემოუღობავია, არ არის გამაფრთხილებელი ნიშნებიც.

ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულია ტერიტორიაზე გამავალი ლიანდაგის ხაზი სარელსო ტრანსპორტის (დრეზინა) სადგომ მონაკვეთზე დაახლოებით 8 მ<sup>2</sup> ფართობზე.



ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბანი

#### 4.3.3.16 სამტრედია 1-ის საკონტაქტო ქსელის რაიონი

სამტრედია 1-ის საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს ქ. სამტრედიაში, ბარათაშვილის №1-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 6296 კმ<sup>2</sup>-ა, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X- 280020; Y- 4670842;
2. X- 280007; Y- 4670929;
3. X- 280082; Y- 4670949;
4. X- 280090; Y- 4670929;

ობიექტის ინფრასტრუქტურა განთავსებულია დასავლეთის ენერგომომარაგების სამმართველოს ეზოში. ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი

ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. სამუშაოების შესასრულებლად ობიექტზე ყავს სარელსო ტექნიკა -ATB, ე. წ.დრეზინა.

ობიექტის ტერიტორია არ არის კეთილმოწყობილი. შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. რაც შეეხება მოპირკეთებას ტერიტორია წარმოდგენილია გრუნტოვანი საფარით. დამის განათება არის. გამწვანება არ არის ტერიტორიაზე. ტერიტორიაზე მიმოფანტულია საყოფაცხოვრებო ნარჩენები-პოლიეთილენის ბოთლები, პარკები და სხვა ნარჩენები, ლითონის ჯართი. ტერიტორიაზე დასაწყობებულია მწყობრიდან გამოსული ტრანსფორმატორები.

ობიექტის საქმიანობიდან გამომდინარე ძირითად ნარჩენს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ლითონის ჯართი, იზოლატორების ნარჩენები და სხვა. ნარჩენებისთვის ცალკე სათავსი არარის გამოყოფილი ტერიტორიაზე. ნარჩენების მართვაზე პ/პ არ არის ობიექტზე.

ობიექტზე არის ძველი საქვაბე, რომელიც მწყობრიდან არის გამოსული და მისი გამოყენება არ ხდება. გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგება ხდება დაახლოებით 7 მეტრის სიღრმეზე მდებარე ჭაბურღილიდან. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობა დაახლოებით 7 მ<sup>3</sup>-ია. ჭაბურღილის ტერიტორია დაბინძურებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. სასმელად გამოყენებულია მიწისქვეშა ჭაბურღილი. არ აქვს სანიტარული დაცვის ზონა მოწყობილი. ჭაბურღილიდან წყალი გროვდება ნახევარ ტონიან მიწისზედა რეზერვუარში. ჭაბურღილიდან მოკლე ქიმიური ანალიზისთვის აღებულ იქნა წყლის სინჯი (სინჯი №1 სინჯის აღების კოორდინატები: X-280034; Y-4670869).

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 2 მ<sup>3</sup> მოცულობის არაჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში, რომელიც პერიოდულად იცლება ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურება შესაძლებელია ტექნიკის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის შედეგად დაღვრილი ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით.

სანიაღვრე წყლების შემკრების სიტემა მოწყობილი არ არის.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლები გროვდება პატარა არხში, რომელიც სასმელად გამოყენებული წყლის ჭაბურღილთან არის ახლოს და შემდეგ ეს წყლები მიუყვება რკინიგზის ლიანდაგს არხის სახით.

ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები გვხვდება დრეზინის შემოსასვლელ ლიანდაგზე, პატარა ფართობზე (რამდენიმე წერტილში).



ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბანი

#### 4.3.3.17 სენაკის საკონტაქტო ქსელის რაიონი

სენაკის საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს ქ. სენაკში, შავი ზღვის №10-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ფართობი დაახლოებით 1400 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია :

1. X-256495; Y-4683574;
2. X-256495; Y-4683594;
3. X-256449; Y-4683610;
4. X-256448; Y-4683575;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. ობიექტის საქმიანობის არეალი ვრცელდება ქ. აბაშიდან - სოფ. ხეთამდე. ჰყავთ სარელსო ტრანსპორტი(დრეზინა), A,DM-ტიპის, რომელიც მუშაობს დიზელზე.

ობიექტის ტერიტორია შემოღობილია, არის ღამის განათება. გამწვანებული ტერიტორია დაახლოებით 30%-ია.

ობიექტის საქმიანობის პროცესში ძირითადად წარმოიქმნება: საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ლითონის ჯართი, იზოლატორები. ხელშეკრულება არ არის გაფორმებული მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. ნარჩენებისთვის დროებითი სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართაზე კ/პარ არის ობიექტზე.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 4-5 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება ახლად მოწყობილ დაახლოებით 3-3,5მ<sup>3</sup> მოცულობის ბეტონის საასენიზაციო ორმოში. ტერიტორიაზე არის ასევე ძველი საასენიზაციო ორმო, რომელიც აღარ გამოიყენება. ორმოს პარამეტრების დადგენა ვერ მოხერხდა. ორმოების დაცლასთან დაკავშირებით ხელშეკრულება არ არის გაფორმებული, დაცლა ხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

დატბორვისაგან დაცვის მიზნით მოწყობილია საწრეტი ღია მიწის არხები. ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე.

ობიექტზე არ არის საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი.

ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ არის ტერიტორიაზე.

#### 4.3.3.18 ფოთის საკონტაქტო ქსელის რაიონი

ფოთის საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს ქ. ფოთში, ლარნაკის I ჩიხში. ობიექტის(შენობის) მიერ დაკავებული ტერიტორია დაახლოებით 150 მ<sup>2</sup>-ია. ფოთის საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს ფოთის ვაგონების სამრეცხაოს მომიჯნავედ. ფოთის საკონტაქტო ქსელის რაიონის შენობის მომიჯნავედ მდებარეობს შპს „ჰაიდელბერგცემენტი“-ს საწარმო. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X-721265; Y-4671157;
2. X-721261; Y-4671142;

3. X-721293; Y-4671132;

4. X-721297; Y-4671146;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. ობიექტის საქმიანობის არეალი ვრცელდება ქ. ფოთიდან - ქ. სენაკამდე. ადგილზე ჰყავთ სარელსო ტრანსპორტი(დრეზინა) АГВ-626 ტიპის, რომელიც მოიხმარს დიზელის საწვავს.

ობიექტის ტერიტორია შემოუღობავია. არის ღამის განათება. ტერიტორიაზე გაშენებულია ახალი ნარგავები. გამწვანება დაახლოებით 5-7%-ია.

ობიექტის ტერიტორიაზე წარმოიქმნება: საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ლითონის ჯართის და იზოლატორების ნარჩენები. ლითონის ჯართისა და იზოლატორების ნარჩენები გროვდება შენობაში სხვადასხვა ადგილზე. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ არის გაფორმებული. ნარჩენების დროებითი განთავსებისთვის სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე კ/კ არ არის ობიექტზე.

შენობაში არის საწყობი, სადაც ინახავენ დიზელის საწვავს ლითონის კასრებით, არაუმეტეს 100-150 ლიტრისა.

ობიექტზე არ არის თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები. შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 70-80 მ<sup>3</sup>-ია ობიექტზე არის მიწისზედა ჰორიზონტალური რეზერვუარი დაახლოებით 3 მ<sup>3</sup> მოცულობის, რომელსაც სასმელი წყლისთვის არ გამოიყენებენ.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 10 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისქვეშა ლითონის რეზერვუარში, რომელიც ცუდ მდგომარეობაშია, არ გააჩნია სარქველი და არის თავდია მდგომარეობაში. ავზის დაცლა ხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე. ობიექტზე საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი არ არის.

ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ არის.

#### 4.3.3.19 ქუთაისი 2-ის საკონტაქტო ქსელი რაიონი

ქუთაისი 2-ის საკონტაქტო ქსელი რაიონი მდებარეობს ქ. ქუთაისში, გუგუნავას №8გ-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 1300 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X – 308414; Y– 4680473;

2. X – 308353; Y– 4680502;

3. X – 308345; Y– 4680490;

4. X – 308404; Y– 4680453.

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა წყალტუბოდან-კოპიტნარამდე. ობიექტზე ყავთ შესაბამისი ტექნიკა ე.წ. დრეზინა-ДМС-095-, რომლის საშუალებითაც ახორციელებენ სამუშაოებს. ტერიტორიაზე არის საწყობები,

დაახლოებით 6 მ<sup>2</sup> ფართობის, სადაც გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვისათვის საჭირო იარაღები ინახება.

ტერიტორია მთლიანად შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. ტერიტორიაზე არის ღამის განათება, გამწვანება დაახლოებით 10%-ია. ობიექტზე წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ასევე ლითონის ჯართი და სხვა დეტალები (ძირითადად იზოლატორები). ტერიტორიაზე ლითონის ჯართი, ხის ნარჩენები და იზოლატორებია განთავსებული. ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით ხელშეკრულება არ არის გაფორმებული მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. ნარჩენების მართვაზე კ/კ არ არის ობიექტზე.

შენობის გათბობა ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით ხდება.

სასმელ-სამურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება 6 მეტრი სიღრმის ჭაბურღილიდან. უახლოეს მომავალში ობიექტის წყალმომარაგება მოხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ტერიტორიაზე არის წყლის სამარაგო მიწისზედა ჰორიზონტალური პლასტმასის რეზერვუარი, დაახლოებით 1 მ<sup>3</sup> მოცულობის. გამოყენებული სასმელ-სამურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 3 მ<sup>3</sup>-ს შეადგენს.

სასმელ-სამურნეო ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 3 მ<sup>3</sup> მოცულობის საასენიზაციო ორმოში. დაცლა ხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე.

ობიექტზე არის TM 25/6 ზეთიანი ტრანსფორმატორი, არ არის შემოღობილი, დგას ბეტონის შემადგენლობაზე (1მ) ზეთის ტევადობა 158 კგ-ა. გამაფრთხილებელი ნიშნები არ არის განთავსებული.

ობიექტის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ არის.

#### 4.3.3.20 ჭიათურის საკონტაქტო ქსელის რაიონი

ჭიათურის საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს ქ. ჭიათურაში, ჭავჭავაძის №16-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 1000 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-358259; Y-4682904;
2. X-358250; Y-4682915;
3. X-358284; Y-4682940;
4. X-358294; Y-4682926.

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. საქმიანობის არეალი(მონაკვეთი) ვრცელდება ქ.საჩხერიდან-მარტოთუბნამდე (ზესტაფონი). ადგილზე გააჩნიათ სარელსო ტექნიკა (დრეზინა) - ДМС, რომელიც მუშაობს ბენზინის საწვავზე.

ობიექტის ტერიტორია მთლიანად შემოღობილია, არის ღამის განათება. ინფრასტრუქტურა ძველია და ცუდ მდგომარეობაშია, გამწვანება დაახლოებით 10%-ია (ახალი ნარგავებია: ცაცხვი, კაკალი).

ძირითად ნარჩენებს წარმოადგენს: საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ლითონის ჯართი, იზოლატორების ნარჩენები და სხვა. ნარჩენებისთვის სათავსი არ არის გამოყოფილი. ნარჩენების მართვაზე კ/კ არ არის გამოყოფილი. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ არის გაფორმებული.

ტერიტორიაზე არის მიწისზედა ლითონის რეზერვუარი, რომელიც ობიექტის საკუთრებას არ წარმოადგენს და დროებით არის განთავსებული ტერიტორიაზე.

თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი ობიექტზე არ არის, შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ცენტრალიზებულია. გამოყენებული სასმელ სამეურნეო წყლის რაოდენობა არის 25-30 მ<sup>3</sup>/თვეში. წყლის გამოყენება ხდება მხოლოდ საყოფაცხოვრებო დანიშნულებით.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო სისტემაში.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყალშემკრები სისტემა არ არის. სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე.

ობიექტის ტერიტორიაზე არ არის საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი.

ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ არის.

#### 4.3.3.21 ხრესილის საკონტაქტო ქსელის რაიონი

ხრესილის საკონტაქტო ქსელის რაიონი მდებარეობს ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხრესილში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი შეადგენს დაახლოებით 1500 მ<sup>2</sup>-ს, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X –325798; Y–4690408;
2. X –325800; Y–4690432;
3. X –325736; Y–4690431;
4. X –325734; Y–4690411;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მოვლა/შენახვა/ექსპლუატაცია. საქმიანობის არეალი ვრცელდება სადგურ ქუთაისი 1-დან - ტყიბულის სამგზავრო სადგურამდე და დამატებით შახტების სალიანდაგო ხაზზე. არ ჰყავთ სარელსო ტრანსპორტი(დრეზინა), გადასაადგილებლად და ტვირთის გადასატანად იყენებენ სატვირთო მანქანას.

ობიექტის ტერიტორია შემოღობილია, არის დამის განათება, გამწვანებული ტერიტორია შეადგენს 15-20%-ს. ინფრასტრუქტურა მოძველებულია.

ობიექტის ტერიტორიაზე ძირითადად წარმოიქმნება: საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ლითონის ჯართის და მწყობრიდან გამოსული იზოლატორების ნარჩენები. ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით ხელშეკრულება არ არის გაფორმებული მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. ტერიტორიაზე არ არის გამოყოფილი სათავსი ნარჩენების დროებითი განთავსებისთვის. ნარჩენების მართვაზე კ/კ არ არის ობიექტზე.

თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი არ აქვთ, გათბობა ხდება ელექტრო ენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით. აქვთ ასევე შეშის ღუმელი.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება წყაროს წყლით. გამოყენებული სასმელ სამეურნეო დანიშნულების წყლის მიახლოებითი რაოდენობაა 5 მ<sup>3</sup>/თვეში. ადგილზე აღებულია სასმელი წყლის სინჯი, რომელსაც გაუკეთდა მოკლე ქიმიური ანალიზი (სინჯის აღების კოორდინატია: X-325805; y-46903730).

ტერიტორიაზე, შენობის გარეთ მოწყობილია აბანო და საპირფარეშო, სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩაედინება ობიექტის გვერდით გამავალ მცირე დელეში, რომელიც 50-100 მეტრში უერთდება მდინარე მთისჭალას, აღნიშნული მდინარე წარმოადგენს მდ. წყალწითელას მარცხენა შენაკადს (ჩამდინარე წყლების ჩაშვების კოორდინატები: X-325732; Y-4690399).

ტერიტორიაზე არის სანიაღვრე-საწრეტი მცირე ბეტონის არხი, რომელიც სიგრძეზე მიუყვება ტერიტორიას, არხში შეგროვილი წყალი ასევე, ზემოთაღნიშნულ მცირე დელეში ჩაედინება.

ობიექტის ტერიტორიაზე საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი არ არის.

ობიექტის ტერიტორიაზე არ არის ნავთობპროდუქტებით, ზეთებით ან სხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული უბნები.

#### 4.4 სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის ინფრასტრუქტურა

##### 4.4.1 ხაშურის სავაგონო დეპო

სატვირთო გადაზიდვების ხაშურის სავაგონო-საექსპლუატაციო დეპო მდებარეობს ქ. ხაშურში, თევდორე მღვდლის ქ N1-ში. დეპოს ძირითად დანიშნულებას სატვირთო ვაგონების ტექნიკურ-სანიტარული მომზადება წარმოადგენს. სამუშაოები აგრეთვე მოიცავს ვაგონების გაწმენდას, ვაგონებიდან შეგროვებული ნარჩენების გატანას.

პირველ რიგში ხდება შემოსული ვაგონების სრულიად გაწმენდა ნარჩენებისგან. შეგროვილი ნარჩენები გროვდება ეზოში მოწყობილ სანაყაროზე და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გააქვს მუნიციპალური დასუფთავების სამსახურს.

სავაგონო-საექსპლუატაციო დეპოში ფუნქციონირებს:

1. ავტოსაკონტროლო პუნქტი მუხრუჭების გასასინჯი სტენდი;
2. ამწყობის საამქრო და წყვითვალების საშემდუღებლო საამქრო. საამქროში ფუნქციონირებს 3 ელექტროსაშემდუღებლო აპარატი.
3. საკისრების სარეცხის საამქროში საკისარების გასარეცხად მოწყობილია ცხელი წყლის რეზერვუარები. რეზერვუარებში გაცხელება ხდება ელექტროგამაცხებლებით. ტექნიკურ წყალი მიღებით გადაედინება ეზოში მოწყობილ გამწმენდ ნაგებობაში.
4. ურიკის დეტალების აღდგენის უბანზე შემოსული ურიკა გადის დიაგნოსტიკა. უბანზე მოწყობილია გაცვეთილი ზედაპირების დადუღების საამქრო. საამქროში ფუნქციონირებს 3 ელექტროსაშემდუღებლო აპარატი. საამქროში არ მუშაობს ვენტილაცია. მუშაობის პროცესში წარმოქმნილი ლითონის ბურბუშელა დღის განმავლობაში გროვდება და გადადის ვაგონებში.
5. სარემონტო პოზიციაზე ერთდროულად შესაძლებელია 12 ვაგონის დათვალიერება.
6. ხის საამქრო ფუნქციონირებს 4 დაზგა, დაგროვილი ბურბუშელა გროვდება და გადადის სანაყაროზე. საამქროში არ არის ვენტილაცია.
7. ვაგონების კაპიტალური შეკეთების უბანზე მიმდინარეობს ვაგონების ლუქების, კარების გასწორება (ჰაერით დაპრესვა). უბანზე ფუნქციონირებს სამჭედლო.



სამჭედლოში მოწყობილი ღუმელი მუშაობს ნახშირზე, აქვე ფუნქციონირებს ელექტრო ურო და მექანიკური დამუშავების საჩარხი დაზგები. სამჭედლოში არ არის ვენტილაცია.

ძველი შენობის მიმდებარედ აშენებულია ახალი შენობა, სადაც იგეგმება საამქროების გადატან და ახალი საამქროების მოწყობა და ტექნიკის დამატება.

ახალ მოწყობილ შენობაში არის სავენტილაციო და საკანალიზაციო სისტემები. შენობაში არის საშხაპეები მუშებისთვის. შენობის წინ მოწყობილია პროდუქციის ღია სანაყარო (თვლები, ღერძები). ახალი შენობის წინ არის შენობა სადაც მოწყობილია საქვაბე მეურნეობა და საკომპრესორო. შენობაში განთავსებულია 2 საქვაბე და 2 კომპრესორი. 1 საქვაბე მოემსახურება შენობის გათბობას, ხოლო მეორე ცხელი წლის უზრუნველყოფას. ორივე იმუშავებს გაზზე.

როგორც აღინიშნა, დეპოში გამოყენებული ტექნიკური წყალი შიდა საკანალიზაციო სისტემით გროვდება და გადადის გამწმენდ ნაგებობაში. გამწმენდი ნაგებობა წარმოადგენს სამსაფეხურიან სალექარს, რომლის მოცულობა შეადგენს 100 მ<sup>3</sup>. გაწმენდის შემდგომ წყალი უერთდება ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემას. სალექარის ტერიტორია შემოსაზღვრულია მავთულ ბადით, მიმდებარე ტერიტორია დაფარულია მცენარეული საფარით. სალექარი სავსეა ნავთობპროდუქტებით და საჭიროებს ამოწმენდას.

სავაგონო დეპოს არ გააჩნია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების დადგენილი წესით შეთანხმებული დოკუმენტაცია. არ ხდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და არ გააჩნიათ შესაბამისი მარკირებული კონტეინერები. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე კ/პირი.

**სურათი 4.4.1.1. სავაგონო დეპოს ტერიტორიის ხედები**



გამწმენდ ნაგებობაში დაგროვილი ნავთობპროდუქტების ნალექი



ვაგონებიდან ჩამოცლილი ნარჩენების სანაყარო

**4.4.2 თბილისის ვაგონების სარემონტო დეპო**

თბილისის ვაგონების სარემონტო დეპო მდებარეობს ქ. თბილისში. დეპოს ძირითად დანიშნულებას სატვირთო ვაგონების ტექნიკურ-სანიტარული მომზადება წარმოადგენს. სამუშაოები აგრეთვე მოიცავს ვაგონების გაწმენდას, ვაგონებიდან შეგროვებული ნარჩენების გატანას. თვის განმავლობაში დეპოში გეგმიური და პროფილაქტიკური სამუშაოების ჩასატარებლად შემოდის საშუალოდ 60-70 ვაგონი.

დეპოში შემოსული ვაგონიდან პირველ რიგში ხდება ნაყარი ტვირთების ნარჩენების (სილა, ღორღი, მადანი, ნახშირი და სხვ.) ჩამოცლა. ვაგონებიდან ჩამოცლილი ნარჩენები გროვდება

დეპოს ეზოში სპეციალურად გამოყოფილ სანაყაროზე და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გააქვს მუნიციპალური დასუფთავების სამსახურს.

დეპოში ფუნქციონირებს შემდეგი საამქროები: აწვევითი საამქრო, სადაც მიმდინარებს ვაგონების პირველადი დათვალიერება და სავალი ნაწილების შეკეთება. ავტომატური საბმელების შემკეთებელ საამქროში ფუნქციონირებს 4 საჩარხი და 1 სალესი დაზგა. საამქროში ძირითადად მიმდინარეობს ელექტროსაშემდუღებლო სამუშაოები. საამქროში გამართულად მუშაობს სავენტილაციო სისტემა. ტერიტორიაზე წარმოქმნილ ძირითად ნარჩენებს წარმოდგენს ლითონის წვრილი ნარჩენები (ლითონის ბურბუშელა) და გამოუსადეგარი ლითონის ნაწილები. ნარჩენები გროვდება და გადადის ეზოში არსებულ სანაყაროზე.

საამქროში აგრეთვე ფუნქციონირებს კაპრონის ჩამოსხმის საამქრო. შემოტანილი კაპრონის შემცველი გრანულები იყრება სპეციალურ ღუმელში და ხდება მისი დნობა და ჩამოსხმა ყალიბებში. ღუმელის განთავსების ტერიტორიაზე ძირითადი ნარჩენებია დაყრილი გრანულები და ჩამოღვეთილი კარონი. ნარჩენები გროვდება და ხელახლა ხდება მათი გადადნობა ყალიბებში. კაპრონის ჩამოსხმის ღუმელი განთავსებულია საამქროში არსებულ პატარა ოთახში, სადაც არ არის მოწყობილი სავენტილაციო სისტემა.

წყვილთვლების შემკეთებელ საამქროში ძირითადად მიმდინარეობს წყვილთვლების პირველადი დათვალიერება, ზეთით დამუშავება და ჩარხვა, ჩარხვის პროცესში წარმოქმნილი ლითონის ბურბუშელა გროვდება და გადადის ეზოში სანაყაროს ტერიტორიაზე არსებულ ძველ, გამოუყენებელ ვაგონებში.

საამქროს გვერდით ფუნქციონირებს ხის საამქრო. ხის საამქროში მუშაობს 5 საჩარხი დაზგა ოთახში მოწყობილია სავენტილაციო სისტემა. საამქროში წარმოქმნილი ნარჩენები ძირითადად მოიცავს ნახერხებს, ხის ნარჩენებს და გამწოვში დაგროვილ მტვერს. ნარჩენები გროვდება ეზოში სანაყაროზე არსებულ ძველ გამოუსადეგარ ვაგონებში და შემდეგ გააქვს მუნიციპალურ დასუფთავების სამსახურს.

საკუმულატოროში მიმდინარეობს აკუმულატორების რეცხვა, დამუხტვა და მჟავის დამატება. სააკუმულატოროში დაგროვებულია გამოუსადეგარი აკუმულატორები, აუცილებელია უტილიზაციისთვის მათი გადაცემა შესაბამის ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიაზე. აკუმულატორების ნარეცხი წყლები აგრეთვე გაწმენდის აგრეთვე ჩაედინება კანალიზაციაში.

საამქროს ნაწილში მოწყობილია სამღებრო კამერა. სამღებრო კამერა განკუთვნილია ვაგონების შეღებვისა და ლაქსაღებავიანი საფარის გაშრობისთვის. მაგრამ, შენობა ავარიულია და სამღებრო კამერის გამოყენება არ ხდება. შესაბამისად, დღეისთვის სამღებრო სამუშაოები მიმდინარეობს შენობის მიმდებარედ ღია ტერიტორიაზე. ტერიტორიის ნაწილი დაბინძურებულია დაღვრილი საღებავებით.

ავტოსაკონტროლო პუნქტის ნაწილში ფუნქციონირებს მუხრუჭების შემკეთებელი საამქრო. საამქროში ამუშავებენ ვაგონების სამუხრუჭე სისტემას (ჰაერ გამანაწილებლებს). საამქროში ფუნქციონირებს 5 ჩარხი. მუშაობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებიდან აღსანიშნავია მაღალი წნევის რეზინების ნარჩენები და დასვრილი ხელთათმანები. საამქროში დასაწყობებულია საპოხი მასალები, რომელიც ინახება კასრებში.

დეპოს არ გააჩნია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების დადგენილი წესით შეთანხმებული დოკუმენტაცია. არ ხდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და არ გააჩნიათ შესაბამისი მარკირებული კონტეინერები. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პ/პირი.

**სურათი 4.5.2.1.**



ძველ ვაგონებში დაგროვებული ნახერხი



კაპრონის ჩამოსხმის ღუმელი

**4.4.3 სატვირთო გადაზიდვების ფილიალის ხაშურის სალოკომოტივო დეპო**

სალოკომოტივო დეპო მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ოსიაურის ტერიტორიაზე. დეპო უზრუნველყოფს მოძრავი შედგენილობის (ვაგონები, ლოკომოტივები, რკინიგზისა და მეტროპოლიტენის მოტორვაგონიანი სექციები და სხვა) ექსპლუატაციასა და რემონტს.

ხაშურის სალოკომოტივო დეპოს კომპლექსი შედის დაწესებულების ადმინისტრაციული შენობა, ლოკომოტივების ტექნიკური მომსახურების საამქრო და ქვიშის საშრობი.

დეპოში არის ლიანდაგები მოძრავი შედგენილობის თავშესაფრად და ყველა სახის რემონტის ჩასატარებლად, დასათვალიერებლად და სხვა ოპერაციების ჩასატარებლად.

ელმავლებისა და თბომავლების სარემონტო ბაზაზე თვის განმავლობაში საშუალოდ ხდება 200 ერთეულის ტექნიკური დათვალიერება და 15-20 ერთეულის შეკეთება.

შემოსული ელმავალი პირდაპირ შემოდის დასათვალიერებლად ხაზზე და დათვალიერების შედეგად საჭიროების მიხედვით 3 სხვადასხვა ხაზზე (მიმდინარე შეკეთების, ტექნიკური დათვალიერების და წყვილთვლების გაჩარხვის ხაზები). წყვილთვლების გაჩარხვის ხაზზე წყვილთვლების მოხსნის გარეშე ხდება მათი ჩარხვა. ხაზის ქვემოთ მოთავსებულია ლითონის ყუთი, სადაც ხდება ჩარხვის პროცესში ნარჩენი ლითონის ბურბუშელას შეგროვება და შემდეგ გატანა ეზოში მოწყობილ სანაყაროზე. გოგოწყვილების საჩარხი ხაზის მიმდებარედ მოწყობილია დამატებითი საჩარხი, სადაც მიმდინარეობს დამუშავებისთვის რთული, მოხსნილი გოგოწყვილების გაჩარხვა.

გეგმიური შემოწმებისთვის გამოყოფილი სალიანდაგო ხაზი დაბინძურებულია დაღვრილი ნავთობპროდუქტებით და საჭიროებს ამოწმენდას.

ლოკომოტივების ტექნიკური მომსახურების საამქროს ტერიტორიაზე განთავსებულია ელექტროსაშემდუღებლო საამქრო, სახარატო ჩარხი, 2 გოგოწყვილების ჩარხი, საწვავ-საპოხი საცხების საწყობი (დიზელი, ზეთი, საპოხი მასალა).

აგრეთვე ფუნქციონირებს სადურგლო, სადაც განთავსებულია 2 ჩარხი, 1 საბურღი და სახერხი დანადგარები. სადურგლოში არ არის ვენტილაცია. მიმდინარე სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ძირითადი ნარჩენია ნახერხი, რომელიც გროვდება დღის განმავლობაში და გადის სანაყაროზე.

სადურგლოს გვერდით მოწყობილია სააკუმულატორო ოთახი. სააკუმულატოროში დასაწყობებულია უვარგისი ტუტე აკუმულატორები ( $\approx 20$  ც).

სადურგლოს გვერდით განთავსებულია ბაბიტის საკისარების საამქრო. საამქროში ფუნქციონირებს 3 საშემდუღებლო აპარატი. ბაბიტის ჩამოსხმის პროცესში გროვდება ბაბიტის ნარჩენები. ნარჩენები აგროვებენ და ინახება საწყობში, დღეისთვის დასაწყობებული ნარჩენების რაოდენობა შეადგენს  $\approx 200$  კგ-ს. ოთახში არის სავენტილაციო სისტემა.

ელექტროსაშემდუღებლო საამქროში მუშაობს 1 საშემდუღებლო აპარატი, ოთახში არ არის სავენტილაციო სისტემა. ოთახის ნაწილში განთავსებულია სამუხრუჭე საამქრო.

გვერდით ფუნქციონირებს სახარატო საამქრო, სადაც მოწყობილია 2 ლითონმჭრელი, 1 სარანდი და 1 სხვრეტი დაზგა. საამქროში არ არის ვენტილაცია. მიმდინარე სამუშაოების დროს წარმოქმნილი ძირითადი ნარჩენი ბურბუშელა გროვდება და გადადის სანაყაროზე.

საამქროში აგრეთვე მოწყობილია მოტორღერძული საკისარების საპოხი ადგილი. მოტორღერძული საკისარების ცვეთის შესამცირებლად საკისრებს აწყობენ გაცხელებულ ზეთში. გაცხელებული, ნახმარი ზეთით დაბინძურებული კასრები განთავსებულია საამქროს ტერიტორიაზე.

ადმინისტრაციული შენობის ეზოში მოწყობილია ლითონის სამაგრებზე შემდგარი 3 მ<sup>3</sup> მოცულობის ბუნკერი, რომელიც მუნიციპალური ნარჩენების შესაგროვებლად არის განკუთვნილი. ბუნკერში დაგროვებული ნარჩენები შესაბამის ხელშეკრულების საფუძველზე გააქვს მუნიციპალური დასუფთავების სამსახურს.

ტერიტორიაზე მოწყობილია საწვავ-საპოხი მასალების ბაზა. ბაზაზე მოწყობილ საწვავით გასამართ სადგურზე შემოსული თბომავლებში ხდება საწვავით გამართვა და საჭიროების შემთხვევაში ზეთის ჩამატება.

საწვავი და ზეთები ინახება ბაზაზე განთავსებულ რეზერვუარებში. ბაზაზე განთავსებულია 6 რეზერვუარი საერთო მოცულობით  $\approx 100$  ტონა. ყველაზე დიდი მოცულობის რეზერვუარში (20 ტ) დარჩენილია საწვავი. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში ჩატარებული ანალიზების დასკვნის მიხედვით რეზერვუარში არის დიზელისა და წყლის ნარევი, რომელიც საწვავად გამოსაყენებლად უვარგისია. დაცლილი ზეთის 10 ლიტრიანი კასრები ინახება საწყობში.

ქვიშის მეურნეობაში მიმდინარეობს ქვიშის გაშრობა, რომელიც გამოიყენება სამუხრუჭე ხუნდების დამზადებისთვის. ქვიშის შემოტანა ხდება ვაგონებით, იყრება და კონვეიერის საშუალებით გადადის საშრობში. ღუმელში გამომწვარი ქვიშა იყრება ბარაბანზე და წნევით მიღების საშუალებით გადადის სარეზერვო ბუნკერებში. ბუნკერიდან ქვიშა მიეწოდება მეორე შენობაში მოწყობილ ელმავლების სამუხრუჭე საამქროს. ნარჩენი ქვიშა გროვდება და გადადის სანაყაროზე.

საშრობი ღუმელი მუშაობს გაზზე, ხოლო დოლი ელექტროენერგიაზე. სილის გამწოვი 2 მილიდან მუშაობს მხოლოდ ერთი. მილის სიმაღლე შეადგენს 6 მ-ს.

დეკოს არ გააჩნია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების დადგენილი წესით შეთანხმებული დოკუმენტაცია. არ ხდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და არ გააჩნიათ შესაბამისი მარკირებული კონტეინერები. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პ/პირი.

**სურათი 4.4.3.1. დეპოს ტერიტორიის ხედები**



ლითონის ბურბუშელას სანაყარო



სარეზერვუარო პარკი

**4.4.4 სამტრედიის სავაგონო დეპო**

სამტრედიის სავაგონო დეპო მდებარეობს ქ. სამტრედიაში, კაკაბაძის №33-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 18000 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-280350; Y-4670967;
2. X-280360; Y-4670900;
3. X-280302; Y-6708815;
4. X-280296; Y-4670900;
5. X-280278; Y-4670894;
6. X-280271; Y-4670902;
7. X-280118; Y-4670863;
8. X-280066; Y-4670838;
9. X-280045; Y-4670852;
10. X-280110; Y-4670914;

სამტრედიის სავაგონო დეპოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მხოლოდ სატვირთო ვაგონების გეგმიური და მიმდინარე შეკეთება. დეპოს ტერიტორია წარმოადგენილია შემდეგი შენობა-ნაგებობებით: ადმინისტრაციული შენობა (2 სართული); წყვილთვლების საამქროს 2 შენობა, რომელშიც განთავსებულია წყვილთვლების საჩარხი დანადგარი და საკისრების სარეცხი დანადგარი; ტერიტორიაზე განთავსებულია დაცვის პოლიციის 2 პოსტი; აწვევითი საამქრო, სადაც მიმდინარეობს ვაგონების შეკეთების ძირითადი სამუშაოები; საკომპრესორო ოთახი; საწყობები (ჯამში 5 სასაწყობე შენობა ტერიტორიის სხვადასხვა ადგილას); საზეინკლო საამქრო; სამჭედლო (არ ფუნქციონირებს); საპირფარეშო და სატრანსფორმატორის შენობები;

ობიექტი მთლიანად შემოღობილია რკინაბეტონის ანაკრები ფილებით, ადმინისტრაციული შენობის ეზოს დაახლოებით 30%-ია გამწვანებული ძირითადად, წიწვოვანი მცენარეებით. ტერიტორიაზე მოწყობილია ღამის განათება. ტერიტორია მეტნაკლებად კეთილმოწყობილია, ტერიტორიაზე მცირე რაოდენობით მიმოფანტულია საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

ობიექტის საქმიანობის პროცესში დიდი რაოდენობით წარმოიქმნება რკინის ბურბუშელა. ნარჩენის სახით, საშუალოდ თვეში 10 ტონა. ნარჩენი ჯართი გროვდება ჯერ პატარა კონტეინერებში და შემდგომ ვაგონებში. ნარჩენის სახით გროვდება საპოხი მასალებიც

(წყვილთვლების საამქროდან), რომლებსაც იყენებენ მეორადად (იყენებს ძირითადად მომუშავე პერსონალი ან მოსახლეობა), სავაგონო დეპოში ნარჩენების დასაწყობებისთვის სპეციალური სათავსი ან კუთხე არ არის გამოყოფილი. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი ობიექტზე.

ტერიტორიაზე საწვავის რეზერვუარები არ არის. საწვავის შექმნა საბარათე სისტემით ხდება და ადგილზე მოაქვთ საჭირო მცირე რაოდენობის საწვავი.

ტერიტორიაზე ტექნოლოგიური პროცესიდან დარჩენილი საპოხი მასალების განთავსებისათვის გამოყოფილია კასრები (200 ლ) წყვილთვლების საამქროში.

ტერიტორიაზე არის სადურგლო საამქრო, რომელიც შედგება ოთხი დანადგარისგან: 1 ჰორიზონტალური ხერხი, 1 ქანქარა ხერხი, 1 სალაშინი, 1 კოტის ამოსაყვანი დანადგარი. სადურგლოს ოთახში ვენტილაციის სისტემა არ არის მოწყობილი. დამუშავებული მასალის(ყოველდღიურად ან თვეში) რაოდენობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

წყვილთვლების საამქროში, რომელიც ორი შენობით არის წარმოდგენილი განთავსებულია UBB-112 rafamet-წყვილთვლების ჩარხ-დანადგარი (ორივე საამქროში). წყვილთვლების საამქროში საშუალოდ 300 წყვილთვალას შეკეთება ხდება თვეში.

აწევით საამქროში წარმოდგენილია შედულების პოსტი (პატარა ოთახი). შედულება ხდება აწევით საამქროშიც საჭიროებისამებრ. შედულების საამქროში ვენტილაციის სისტემა წარმოდგენილია 25X25 სმ ლითონის კვადრატული მილით, რომლიდანაც ნამწვი აირები გაიფრქვევა 3 მეტრის სიმაღლეზე. ამას გარდა, საამქროს ოთახში ფანჯარაში ჩამონტაჟებულია დაახლოებით 40 სმ დიამეტრის ვენტილატორი. შედულების საამქროს გვერდით არის შედულების შემდეგ ლითონის დასამუშავებელი დანადგარები-2 ერთეული. ელექტროშედულების სამუშაოებისთვის წლიურად დაახლოებით 2500 კგ ელექტროდი გამოიყენება.

წყლის გაცხელება ხდება ელექტროგამაცხელებლებით, ხოლო შენობების გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება დაახლოებით 20 მეტრი სიღრმის ლიცენზიის მქონე ჭაბურღილიდან, რომელიც დეპოს ტერიტორიაზე მდებარეობს, მაგრამ ეკუთვნის ქალაქის წყალმომარაგებას. ჭაბურღილიდან წყალი გროვდება 50 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისზედა რეზერვუარში. ტერიტორიაზე განთავსებულია მეორე ჭაბურღილი, დაახლოებით 16 მეტრ სიღრმეზე. ჭაბურღილიდან წყალი გროვდება 50 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისზედა რეზერვუარში. ეს ჭაბურღილი ლიცენზირებული არ არის. მისი გამოყენება სასმელი დანიშნულებით არ ხდება. გამოიყენება ტექნიკური მიზნებისთვის. აღნიშნული ორი ჭაბურღილიდან აღებულ იქნა სინჯები წყლის მოკლე ქიმიური ანალიზისათვის:

- წყლის სინჯი №3 X-280320, Y-4670909 (ლიცენზირებული ჭაბურღილი);
- წყლის სინჯი №4 X-280093, Y-4670873 (არალიცენზირებული ჭაბურღილი).

ობიექტი ტექნიკური წყლით მომარაგდება არალიცენზირებული ჭაბურღილიდან, წყლის მიწოდება საჭირო უზნამდე ხდება რეზინის მილით. ტექნიკური წყლის გამოიყენება წყვილთვლების სარეცხ დანადგარში წყლის შეცვლა/ჩამატებისათვის. ტექნიკური მიზნებისთვის გამოიყენებული წყლის ხარჯი თვეში დაახლოებით 80 მ<sup>3</sup>-ია.

ადმინისტრაციული შენობის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში. დეპოს ტერიტორიაზე არის 5 მ<sup>3</sup> მოცულობის არაჰერმეტიული საასენიზაციო ორმო (ძველი მოწყობილი), რომელსაც ძირითადად, მომსახურე პერსონალი იყენებს. საასენიზაციო ორმო პერიოდულად იცლება ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ქ. სამტრედიის წყალკანალის მუნიციპალური სამსახურის მიერ.

ტექნოლოგიური პროცესი, სადაც ხდება ტექნოლოგიური წყლის გამოყენება არის საკისრების სარეცხი დანადგარი წყვილთვლების საამქროში, რომელიც ციკურია და გარკვეული პერიოდულობით საჭიროებს მხოლოდ წყლის დამატებას. იშვიათად ხდება წყლის გამოცვლა. შესაბამისად ადგილი აქვს საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას. ტერიტორიაზე წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლები ჩადის დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში.

ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა. სანიაღვრე წყლების დამბინძურებლებს წარმოადგენს ძირითადად ზეთები და ნავთობპროდუქტები. მაღალი რისკის ტერიტორიას წარმოადგენს დეპოში შემომავალი სალიანდაგო ხაზი, რომელიც შესაძლოა დაბინძურდეს ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით, ლოკომოტივის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის შედეგად ადგილზე.

ობიექტზე არის სატრანსფორმატორო ქვესადგურის შენობა. მოწოდებული ინფორმაციით TM-400/6 ტრანსფორმატორი ზეთიანი ამომრთველით. უსაფრთხოების წესების დაცვის გამო ვერ მოხერხდა შესვლა და მარკის დადგენა (რუსული დანადგარია), ტრანსფორმატორში ზეთის ტევადობა დაახლოებით 400 ლიტრია. ტრანსფორმატორი შენობაშია განთავსებული, რომელიც დაკეტილია. შენობაზე დატანილია მაფრთხილებელი ნიშნები. დაცულია უსაფრთხოების ნორმები.

ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულია ძირითადად სალიანდაგო ხაზი, საიდანაც ხდება ვაგონების გაყვანა-შემოყვანა აწევით საამქროში შეკეთებისათვის. სალიანდაგო ხაზის სიგრძე დაახლოებით 15 მეტრია, დაბინძურებულია ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით. დაბინძურების დაახლოებითი სიღრმე 10 სმ-ა.



ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულია ტერიტორია დეპოს ტერიტორიაზე

**4.4.5 ფოთის ვაგონების მიმდინარე-ახსნითი შეკეთების საამქრო.**

ფოთის ვაგონების მიმდინარე-ახსნითი შეკეთების საამქრო მდებარეობს ქ. ფოთში, ტაბიძის ჩიხში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 6000 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-721814; Y-4670433;
2. X-721831; Y-4670567;
3. X-721871; Y-4670561;

## 4. X-721849; Y-4670423;

ფოტის ვაგონების მიმდინარე-ახსნითი შეკეთების საამქროს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ვაგონების მიმდინარე შეკეთება. ინფრასტრუქტურა ძველია, საწყობში და საამქროების ოთახები დაზიანებულია და ჩამოდის წყალი. შენობაში განთავსებულია სამჭედლო, სადურგლო, ლითონის დამუშავების საამქრო, არის საწყობები, მათ შორის ზეთების, საწვავის და საპოხი მასალებისთვის.

ობიექტის ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. ეზოს ტერიტორია მოწესრიგებულია, დაფარულია ბალახეული საფარით, მოწყობილია ღამის განათება.

ტერიტორიაზე ნარჩენების სახით განთავსებულია წყვილთვლების გარკვეული რაოდენობა (დაახლოებით 50 ერთეული) რომელიც გამოუსადეგარია და დასაწყობებულია ეზოში.

ობიექტის საქმიანობიდან გამომდინარე ძირითად ნარჩენს წარმოადგენს ლითონის ჯართი, რომელიც საწყობდება ტერიტორიაზე და თვითონ რკინიგზას გააქვს ტერიტორიიდან.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე ხელშეკრულება გაფორმებულია მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. ეზოში განთავსებულია ურნა საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსებისათვის.

სამჭედლოში განთავსებულია სადნობი ღუმელი, რომელიც გამოიყენება ლითონის დამუშავებისთვის, რომლის ენერჯის წყაროს წარმოადგენს ქვანახშირი. თვითონად გამოყენებული ქვანახშირის რაოდენობა დაახლოებით 15 კგ-ა, სამჭედლოში არის ვენტილაციის სისტემა, რომელიც წარმოდგენილია 35X30 სმ კვადრატული მილით, მილის სიმაღლე დაახლოებით 6 მ-ია.

სადურგლოში დგას სამი ჩარბ-დანადგარი (ლენტური სახერხი, ჰორიზონტალური სახერხი, სალაშინი). ფუნქციონირებს მხოლოდ ლენტური სახერხი, რომლითაც წლიურად დაახლოებით 2 მ<sup>3</sup> მასალა შეიძლება დამუშავდეს. ვენტილაციის სისტემა არის ოთახში. გაფრქვევა ხდება 40X40 სმ კვადრატული მილით, დაახლოებით 7-8 მეტრის სიმაღლეზე განთავსებულ ციკლონის ტიპის გამწმენდიდან (მტვერდამჭერი), რომელსაც გააჩნია დაჭერილი მტერის ბუნკერი. გამწმენდი დამზადებულია კუსტარულად, არ გააჩნია პასპორტი, ვერ მოხერხდა გამწმენდის წარმადობის განსაზღვრა.

ლითონის დამუშავების საამქროში განთავსებულია 2 ჩარბ-დანადგარი: ლითონის საჭრელი დაზგა და საბურღი დაზგა, სადაც შესაძლოა წელიწადში დაახლოებით 200 კგ ლითონი დამუშავდეს. სავენტილაციო სისტემა არ არის.

შედულების საამქრო არ არის, თუმცა შედულება ხდება მიმდინარე-ახსნითი შეკეთების საამქროში საჭიროებისამებრ. თვითონად გამოყენებული ელექტროდების რაოდენობა დაახლოებით 15 კგ-ა.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვითონად დაახლოებით 4 მ<sup>3</sup>-ია. ტერიტორიაზე არის 6.4 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისზედა, ჰორიზონტალური წყლის რეზერვუარი (დაახლოებით 8-10 მ სიმაღლეზე), საიდანაც წყალი მიეწოდება აბანოს.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 55 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისქვეშა ლითონის რეზერვუარში. ხელშეკრულება შესაბამის სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული.



ობიექტის ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების წყაროები არ არის, შესაბამისად ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა არ არის მოწყობილი.

ობიექტის ეზოში განთავსებულია ტრანსფორმატორი TM-63/10, 100 კვ ზეთის ტევადობით. ტრანსფორმატორის განთავსების ტერიტორია შემოღობილია მაფრთხილებელი ნიშნები არ არის.

ობიექტის ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.4.6 ფოთის ვაგონების სამრეცხაო პუნქტი

ფოთის ვაგონების სამრეცხაო პუნქტი მდებარეობს ქ. ფოთში, ლარნაკის I ჩიხში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი არის დაახლოებით 12 000 მ<sup>2</sup>. ადმინისტრაციული შენობის ფართობი დაახლოებით 380 მ<sup>2</sup>-ია. შენობის პირველ სართული დაკავებული აქვს ფოთის ვაგონების სამრეცხაო პუნქტის ადმინისტრაციას და მომსახურე პერსონალს, ხოლო მეორე სართული ჰაიდელბერგცემენტის საწარმოს ადმინისტრაციას.

ადმინისტრაციული შენობის კუთხის კოორდინატებია:

1. X-721263; Y-4671133;
2. X-721259; Y-4671118;
3. X-721234; Y-4671126;
4. X-721237; Y-4671140

სამრეცხაოს ტერიტორიის კუთხის კოორდინატები:

1. X-721268; Y-4671194;
2. X-721261; Y-4671176;
3. X-720934; Y-4671247;
4. X-720938; Y-4671275;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საქართველოს რკინიგზის სატვირთო ვაგონების რეცხვა. ვაგონები ირეცხება მხოლოდ შიგნიდან, ცივი წყლის ჭავლით. სამრეცხაო მონაკვეთი დაახლოებით 300 მეტრია, სადაც ორი სალიანდაგო ზოლი გადის.

ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილია ბაქანი, სადაც გადის წყლის მილი, წყალი წნევით მიეწოდებათ ვაგონების გასარეცხად. ბაქნის ორივე მხარეს არის ლიანდაგი, რომელზეც ვაგონების რეცხვა მიმდინარეობს. სამრეცხაო მოედნის ნაპირებში არის ბეტონის ფილებით ძველი მოპირკეთებული ტერიტორია, რომელიც დაფარულია ვაგონების რეცხვის შედეგად წარმოქმნილი ნალექებით (ზოგიერთ ადგილას არ შეიმჩნევა ბეტონის ფილები). სამრეცხაოს ტერიტორიას ორივე მხარეს სიგრძეზე მიუყვება ბეტონის არხი, რომლებში დაგროვილი წყალი საბოლოოდ უერთდება ტერიტორიის ბოლოში გამავალ მეორე არხს და ჩადის დასახლებული ჩაედინება ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში. არხები ცუდ მდგომარეობაშია, ამოვსებულია სხვადასხვა მასალების და საყოფაცხოვრებო (ძირითადად პოლიეთილენის) ნარჩენებით. ტერიტორიაზე არის უსიამოვნო სუნი.

ობიექტის ტერიტორია ნაწილობრივ შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით (სამრეცხაოს სიგრძეზე), არის ღამის განათებაც. ტერიტორიაზე ამოსულია ეკალ-ბარდები და სხვადასხვა ბუჩქოვანი სარეველა მცენარეები.

ობიექტის ტერიტორიაზე საქმიანობის პროცესში ადგილი აქვს ვაგონებში დარჩენილი სხვადასხვა მასალის ნარჩენებით დაბინძურებას, აღნიშნული ნარჩენები დაყრილია სამრეცხაოს

ტერიტორიაზე, ტერიტორიაზე გაფანტულია საყოფაცხოვრებო (უმეტესად პოლიეთილენის) ნარჩენები. ზემოთ აღნიშნული ნარჩენები უშუალოდ სამრეცხაო მოედანზეა დაყრილი. ნარჩენების შეგროვება არ ხდება, ასევე არ არის გამოყოფილი მათთვის დროებითი სათავსი.

ადმინისტრაციული შენობის გვერდით განთავსებულია 3 ერთეული 60 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისზედა რეზერვუარები. რეზერვუარები წყლის სარეზერვო მარაგისთვის არის გათვლილი.

არ აქვთ თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები. შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო წყლის რაოდენობაა დაახლოებით 7-9 მ<sup>3</sup>/თვეში.

ობიექტზე ტექნიკური წყალმომარაგება არ არის. ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება ხდება ვაგონების გარეცხვისთვის. ვაგონების სამრეცხაოში გამოყენებული წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 890 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 10 მ<sup>3</sup> მოცულობის ჰერმეტიკლ ორმოში. ორმოს დაცლასთან დაკავშირებით ხელშეკრულება არ არის გაფორმებული შესაბამის სამსახურთან.

ვაგონების რეცხვის დროს წარმოქმნილი წყალი იკრიბება ღია ბეტონის არხების საშუალებით, რომელიც სამრეცხაოს ბოლოს უერთდება მეორე არხს და ჩაედინება ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში. თვითრად წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლების რაოდენობა დაახლოებით 800 მ<sup>3</sup>-ია.

ტერიტორიაზე მოსული სანიაღვრე წყალი იკრიბება ვაგონების რეცხვის დროს წარმოქმნილი წყლის შეგროვების სისტემით, სამრეცხაოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების წყაროს წარმოადგენს სარელსო ტრანსპორტი და მასში დარჩენილი სხვადასხვა სახეობის ტვირთის ნარჩენი.

ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები შეიმჩნევა ვაგონების რეცხვის ადგილზე. დაბინძურება შეიმჩნევა თითქმის მთლიან სალიანდაგო ხაზებზე (დაბალი ხარისხის დაბინძურება) წყვეტილად. მნიშვნელოვნად დაბინძურებულია მარჯვენა ლიანდაგის ხაზის ტერიტორია დაახლოებით 10 მ<sup>2</sup> ფართობზე, დაბინძურების სიღრმის განსაზღვრა ვერ მოხერხდა (რეცხვის დროს წარმოქმნილი ლამის ქვეშ მოხრეშილია ლიანდაგი).



ზეთებით, ნავთობპროდუქტებით და სხვ. სხვადასხვა ნარჩენებით დაბინძურებული დაბინძურებული ლიანდაგი ნარეცხი წყლის შემკრები არხი

#### 4.4.7 ფოთის ვაგონების ტექნომსახურების პუნქტი

ფოთის ვაგონების ტექნომსახურების პუნქტი მდებარეობს ქ. ფოთში, რეკავას №1-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი არის დაახლოებით 80 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-721252, Y-4669954;
2. X-721250, Y-4669960;
3. X-721263, Y-4669961;
4. X-721264, Y-4669957;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ლიანდაგებზე მატარებლების და ერთეული ვაგონების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება.

ადგილზე არის ტექნიკური ჯგუფი, რომელიც ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებს ასრულებს.

ობიექტის წარმოდგენილია პატარა შენობით. არ არის შემოღობილი, არის ღამის განათება. ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ძირითადი ნარჩენებია საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ხელშეკრულება არ არის გაფორმებული დასუფთავების სამსახურთან.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 2 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვებისათვის სისტემა მოწყობილია შენობაში, მაგრამ არ ხდება გამოყენება და გაუქმებულია.

ობიექტის ტერიტორიაზე არის ტრანსფორმატორი TM-40/10-ზე. 160 ლიტრი ზეთის ტევადობით. ტრანსფორმატორის განთავსების ტერიტორია შემოღობილია.

ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ არის.

#### 4.4.8 ქუთაისის ვაგონების ტექნომსახურების პუნქტი

ქუთაისის ტექნომსახურების პუნქტი მდებარეობს ქ. ქუთაისში, თამარ მეფის №102-ში. ობიექტის წარმომადგენლობა დაახლოებით 120 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე შენობის პირველ სართულზეა (3 ოთახი) განთავსებული. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X-311338; Y-4681214;
2. X-311338; Y-4681205;
3. X-311325; Y-4681207;
4. X-311325; Y-4681215;

ობიექტი წარმოადგენს სავაგონო სამსახურს. ადგილზე არის ტექნიკური ჯგუფი, რომელიც ჰაერგამანაწილებლებს უცვლიან ტყიბულის უბანზე მოძრავ ვაგონებს, ზამთრის პერიოდში ვაგონებს უცვლიან სამუხრუჭე ხუნდებსაც.

ობიექტის ტერიტორია მხოლოდ ერთი შენობით არის წარმოდგენილი, სადაც შენობის პირველ სართულზე სამი ოთახია სავაგონო დეპოს მომსახურე პერსონალისთვის გამოყოფილი. შენობას ეზო არ აქვს.

ობიექტის საქმიანობიდან გამომდინარე ნარჩენები ძირითადად შეიძლება იყოს სამუხრუჭე ხუნდები, დაზიანებული დეტალები, ლითონის ჯართი და საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ნარჩენების მართვაზე გამოყოფილი კ/პარ არის ობიექტზე.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალიზებული წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვიურად დაახლოებით 2-3 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში.

ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება ტერიტორიაზე.

#### 4.4.9 სამტრედიის სალოკომოტივო დეპო

სამტრედიის სალოკომოტივო დეპო მდებარეობს სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელი ეწერში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 6.6 ჰა-ა, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-285059; Y-4672349;
2. X-285049; Y-4672373;
3. X-285441; Y-4672595;
4. X-285556; Y-4672601;
5. X-285782; Y-4672559;
6. X-285779; Y-4672541;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ლოკომოტივების მიმდინარე და გეგმიური შეკეთება. ლოკომოტივების მეშვეობით ხორციელდება სატვირთო გადაზიდვები და მგზავრთა გადაყვანა. ობიექტზე არ ხდება ჩქაროსნული მატარებლების შეკეთება/რემონტი.

სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს ტერიტორიაზე განთავსებულია:

1. ადმინისტრაციული შენობა (4 სართული).
2. ტექნიკური მომსახურების საამქრო.
3. მიმდინარე შეკეთების საამქრო.
4. დამხმარე საამქრო.
5. ქვიშის საშრობი.
6. ნავთობპროდუქტების საწყობი.
7. სამჭედლო შენობა, რომელიც არ ფუნქციონირებს.
8. სამრეცხაო შენობა;

ობიექტზე არის 31 ელმავალი და 30 თბომავალი, აქედან, მუშა მდგომარეობაშია 22 ელმავალი და 16 თბომავალი. ტექნიკური მომსახურების საამქრო თვეში დაახლოებით 200-220 ლოკომოტივს ემსახურება. 20-მდე ლოკომოტივის შეკეთება ხდება გეგმიურად. სალოკომოტივო დეპოს ტერიტორიაზე არის სამრეცხაო შენობა, სადაც ირეცხება სპეცტანსაცმელი და თეთრეული.

ტერიტორია შემოღობილი არ არის. არის ღამის განათება, ეზოს ტერიტორიაზე ძირითადად არის გრუნტის საფარი, ტექნიკური მომსახურების საამქროები მოპირკეთებულია ფილებით. ტერიტორიაზე არის რამდენიმე ერთეული ხე, გამწვანება დაახლოებით 2-5 %-ია.

ობიექტის საქმიანობიდან გამომდინარე, ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით არის ლითონის კასრების ნარჩენები, რომლებიც დაბინძურებულია ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით. ლითონის კასრები განთავსებულია როგორც ღიად, ასევე, ძველი ქვიშის საწყობ ორ შენობაში.

ტერიტორიაზე ნარჩენის სახით წარმოიქმნება დიდი რაოდენობით რკინის ბურბუშეა, რომელიც განთავსებულია დეპოს ტერიტორიაზე. განსაკუთრებით დიდი რაოდენობა დასაწყობებულია სასმელი წყლის ჭაბურღილთან დაახლოებით 40 მ<sup>2</sup> ფართობზე. ბურბუშეა ღიად არის გრუნტზე დასაწყობებული.

ტერიტორიაზე წარმოიქმნება ლითონის ჯართი, რომელიც გროვდება ვაგონებში, შემდგომ ტენდერის საფუძველზე ხდება სხვა კომპანიისთვის გადაცემა. ჯართის სახით განთავსებულია მწყობრიდან გამოსული ვაგონები და ვაგონის შემადგენელი ნაწილები.

ობიექტზე ნარჩენის სახით განთავსებულია მეორადი აკუმულატორები ღია ცის ქვეშ. ნარჩენის სახით წარმოიქმნება ასევე ქვიშა და ნახერხის ბურბუშეა, რომელსაც აბსორბენტად იყენებენ დასათვალისწინებლ თხრილებში. ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება სამტრედიის მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ნარჩენების მართვაზე კ/კ არ არის ობიექტზე.

ტერიტორიაზე არის საწვავის მიწისზედა ჰორიზონტალური რეზერვუარები:

- 3 ერთეული რეზერვუარი- 50.8 ტონიანი დიზელის საწვავისთვის;
- 2 რეზერვუარი 10 ტონიანი დიზელის საწვავისათვის;
- 1- 20 ტონიანი რეზერვუარი ზეთისთვის;
- 1-8 ტონიანი რეზერვუარი-ზეთისთვის;
- ორი ერთეული 6 ტონიანი-მეორადი ზეთისთვის.

ავარიული დაღვრებისთვის არ არის შემკრები სისტემა მოწყობილი რეზერვუარების განთავსების ადგილას.

ტერიტორიაზე არის ქვიშის საშრობი, რომელშიც საწვავად გამოიყენება მეორადი ზეთი. საწვავად გამოყენებული ზეთის ხარჯი დღიურად დაახლოებით 70 ლიტრს შეადგენს. საშრობი დოლის წარმადობა დაახლოებით 1.5 ტ/სთ-ია (პასპორტის მონაცემი) და კვირაში 3-4 დღე მუშაობს. ქვიშის ბუნკერის მოცულობა 40 მ<sup>3</sup>-ია. ნაძწვი აირები გაიფრქვევა 12 მეტრზე, 300 მმ დიამეტრის მქონე მილის მეშვეობით, ზეთის საწვავი ღუმელი კუსტარულადაა დამზადებული. გამომშრალი ქვიშა პნევმოჩამტვირთველის მეშვეობით გადაიტვირთება სალოკომოტივო დეპოს შენობის სახურავზე მოწყობილ სილოსებში საიდანაც ხდება ლოკომოტივებში ჩატვირთვა.

დამხმარე საამქროში ხდება ლითონის დამუშავება, სადაც დგას გერმანული წარმოების ჩარხ-დანადგარები (ძველი): სახარატო დაზგა (7635), გამსალაშინებელი ჩარხი, გამსალაშინებელი ჩარხი (P3650ra), სახარატო ჩარხი 2532 (ДТ10), სათლელი დაზგა პვ-650, მბურღავი ჩარხი (2a726), ჰორიზონტალური ფრეზერული ჩარხი (6M82), ვერტიკალური ბურღი (10-27), სახარატო ხრახნსაჭრელი ჩარხი, პლაზმური ჭრის დანადგარი, პნევმატური ურო, დაზგა სალესი 4,6 კვტ 1430 ბრ/წთ (სამეზაზიანი).

წყვილთვალეების საჩარხი დაზგა (6TY-01 000) (технорейл) (ტექნიკური მომსახურების საამქრო). სავენტილაციო სისტემა არ არის.

სამღებრო საამქრო არ არის, შეღებვა ხდება წერტილოვნად საჭიროებისამებრ.

შედულების პოსტი არ არის გამოყოფილი, შედულება ხდება მიმდინარე შეკეთების საამქროში საჭიროებისამებრ. თვეში იხარჯება დაახლოებით 200 კგ ელექტროდი. სავენტილაციო სისტემა არ არის.

ტერიტორიაზე თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი და საქვაბე არ არის. წყლის გაცხელება ხდება ტენებით. შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყლის გამოყენება ხდება ჭაბურღილიდან (დაახლოებით 11 მ სიღრმე), რომელიც არ არის ლიცენზირებული, ჭაბურღილი განთავსებულია დეპოს ტერიტორიაზე რკინის ბურბუშელას სანაყაროს გვერდით. რადგან ჭაბურღილი ახლოს მდებარეობს ნავთობპროდუქტებით დაბინძურების წყაროსთან (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული რკინის ბურბუშელას სანაყარო ) ჭაბურღილიდან აღებულ იქნა სინჯი წყლის მოკლე ქიმიური ანალიზისთვის და ნავთობპროდუქტებით დაბინძურების ხარისხის განსასაზღვრად (წყლის სინჯი №6. X-285422; Y-4672561).

ტექნიკური წყალმომარაგება არ ხორციელდება. დეპოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები არ საჭიროებს წყლის მუდმივ მიწოდებას. ტექნიკური მიზნებისთვის წყალი შეიძლება გამოყენებულ იქნას თბომავლების გაგრილების სისტემისთვის, საჭიროებისამებრ.

ადმინისტრაციული შენობის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში. მოწოდებული სქემიდან გამომდინარე ტერიტორიაზე მოწყობილია ჭები ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვებისთვის, რომელიც გაუწმენდავად ჩაედინება პატარა მდინარე ჭერეხაში, რომელიც შემდეგ უერთდება მდინარე რიონს.

საკანალიზაციო სისტემაშია ჩართული ნავთობპროდუქტების საწყობის ტერიტორიაზე წარმოქმნილი წყლები, რომელიც ერთი არხით იკრიბება და სალექარის გავლით ჩაედინება საკანალიზაციო ჭაში. (მოწოდებული ინფორმაცია+სქემა). არხი ამოსვებულია ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ქვიშით. ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების წერტილის მიახლოებითი კოორდინატი (მდ. ჭერეხა): X-285056; Y-4672383

ეზოს ტერიტორიაზე არის საასენიზაციო ორმო დაახლოებით 4 მ<sup>3</sup> მოცულობის, რომელიც იცლება პერიოდულად ერთჯერადი ხელშეკრულების საფუძველზე.

სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკი არსებობს საწვავის რეზერვუარების ტერიტორიაზე, სადაც მოწყობილია სალექარი. სალექრიდან გამოსული წყალი ჩაედინება ჩამდინარე წყლებისთვის განკუთვნილ კოლექტორებში. სანიაღვრე წყლების სიტემა არ არის მოწყობილი.

ობიექტის ტერიტორიაზე არის ორი ტრანსფორმატორი: TM 630/10 და TM 400/10. TM 400/10 ტრანსფორმატორი არის სარეზერვო. ტრანსფორმატორები განთავსებულია შენობაში. ტრანსფორმატორების დათვალიერება ვერ მოხერხდა, ასევე ვერ დადგინდა ზეთის ტევადობები ტრანსფორმატორებში.

ობიექტზე დაბინძურების თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. აღნიშნება ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურების უბნები, ზოგიერთი ადგილიდან, შესაძლებლობის მიხედვით აღებულია ნიადაგის სინჯები, განსაზღვრულია დაბინძურების ფართობები და აღებულია დაბინძურებული ადგილების კოორდინატები.

ტერიტორიაზე არის ნავთობპროდუქტებით დაბინძურების საკმაოდ დიდი უბნები. განსაკუთრებით ნავთობპროდუქტების საწყობის ტერიტორიაზე, სადაც განლაგებულია საწვავის რეზერვუარები. ასევე, რკინის ბურბუშელას სანაყაროს ტერიტორია.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ტექნიკური დათვალიერების უბანზე არის გარკვეული მოცულობის ორმო, სადაც წვიმების დროს ხდება ორმოს წყლით შევსება გრუნტის წყლებით, რომელიც ბინძურდება ნავთობპროდუქტებით და რკინის ბურბუშელით. რის გამოც ზოგჯერ ადგილი აქვს ლოკომოტივების შეკეთების ტექნიკურ უბანში აღნიშნული ორმოდან ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლის გადმოსვლას.

ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტებით ძირითადად, დაბინძურებულია გარკვეული ფართობის მქონე უბნები. დაბინძურების ხარისხი საკმაოდ მაღალია სალიანდაგო ხაზზე .

დეპოს ტერიტორიაზე მოხდა ნიადაგის სინჯების აღება. სადაც, ვერ მოხერხდა აღებულ იქნა კოორდინატები და განისაზღვრა დაბინძურების სავარაუდო ფართობი და დაბინძურების სიღრმე.

ტერიტორიიდან აღებულ იქნა ნიადაგის 2 სინჯი:

**სინჯი №2** -X-285513, Y-4672518.

ნავთობპროდუქტების საწყობის მიმდებარე ტერიტორია. დაბინძურების სიღრმე დაახლოებით 10 სმ, ფართობი- 20 მ<sup>2</sup>.

**სინჯი №3**- X-285496, Y-4672519.

ნავთობპროდუქტების საწყობის წინ, ლიანდაგებს შორის ტერიტორია. დაბინძურების სიღრმე დაახლოებით 30 სმ. ფართობი -30 მ<sup>2</sup>-ია .

დაბინძურებული ტერიტორიის კოორდინატები და სავარაუდო ფართობები:

1.სილის ძველ სილოსებთან, ელმავლების შეკეთების საამქროსთან.

X-285480, Y-4672498. დაახლოებით 15 მ<sup>2</sup> ფართობი. დაბინძურების სიღრმე დაახლოებით 5 სმ.

2.ქვიშის ძველი საწყობის შენობები (2 დიდი მრგვალი შენობა).

X-285503, Y-4672483. დაახლოებით 15 მ<sup>2</sup> ფართობზე. დაბინძურებულია ნავთობპროდუქტების ბლანტი ფენით. სავარაუდო სიღრმის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. ქვიშის ძველი საწყობები ამჟამად გამოყენებულია ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული კასრების შესანახად. კასრები უწესრიგოდ არის შეყრილი საწყობებში.

3.მეტალის ბურბუმელას სანაყაროს ტერიტორია(სასმელი წყლის ჭაბურღილი).

X-285415, Y-4672535. დაახლოებით 40 მ<sup>2</sup> ფართობი. დაბინძურების სიღრმის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

4. საამქროებში შემავალი სალიანდაგო ხაზები.

X-285396, Y-4672528. ჯამში დაახლოებით 130-150 მ<sup>2</sup>.

ვიანაიდან, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული კასრები და სხვადასხვა დეტალები თითქმის მთელ ტერიტორიაზეა განთავსებული, ადგილი აქვს ნავთობპროდუქტებით მცირე (წერტილოვან) დაბინძურებებს.



ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ლიანდაგი



ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბანი

#### 4.4.10 ბათუმის მოსაბრუნებელი პუნქტი

ბათუმის მოსაბრუნებელი პუნქტი მდებარეობს ქ. ბათუმში, ქიქავას №7ა-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 3300 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-721768; Y-4613900;
2. X-721720; Y-4613909;
3. X-721716; Y-4613920;
4. X-721835; Y-4613966;
5. X-721838; Y-4613959;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ლოკომოტივების მემანქანების და მათი თანაშემწეების გაშვება ლოკომოტივებზე. მოსაბრუნებელი პუნქტის ადმინისტრაცია განთავსებულია შენობის მეორე სართულზე. შენობაში არის მოსასვენებელი ოთახები მემანქანებისთვის და თანაშემწეებისთვის. შენობის მესამე სართულზე განთავსებულია ბათუმის ელექტროცენტრალიზაციის ადმინისტრაცია.

შენობა ახალი გარემონტებულია, ტერიტორია შემოღობილი არ არის, მოწყობილია ღამის განათება, შენობა უშუალოდ ესაზღვრება სალიანდაგო ხაზს, სადაც განთავსებულია სცბ-ს და მოსაბრუნებელი პუნქტის ადმინისტრაცია.

ტერიტორიაზე ძირითადად ადგილი აქვს საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნას. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან არ არის გაფორმებული.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვიურად დაახლოებით 100 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება საასენიზაციო ორმოში. ორმოს მოცულობის შესახებ ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული. ხელშეკრულება შესაბამის სამსახურთან არ არის გაფორმებული.

სანიაღვრე წყლებისთვის მოწყობილია არხი, რომელიც მიუყვება რკინიგზის ლიანდაგს. სანიაღვრე წყალი საბოლოოდ ჩადის ბათუმის პორტში მდებარე გამწმენდ ნაგებობაში.

ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებულია ტრანსფორმატორი, მის შესახებ ინფორმაციის მოძიება და იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.



ობიექტზე ზეთებით, ნავთობპროდუქტებით ან სხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.4.11 გურჯაანის მოსაბრუნებელი პუნქტი

გურჯაანის მოსაბრუნებელი პუნქტი მდებარეობს ქ. გურჯაანში, თუმანიშვილის №25-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორია დაახლოებით 13000 მ<sup>2</sup>-ია, რომის კუთხის კოორდინატებია:

1. X -566001; Y-4622800;
2. X -565989; Y-4622820;
3. X -565895; Y-4622849;
4. X -565882; Y-4622841;
5. X -565965; Y-4622608;
6. X -565979; Y-4622612;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ლოკომოტივების ტექნიკური დათვალიერება და შეკეთება. ობიექტი წარმოადგენს ლოკომოტივების გასაჩერებელ პუნქტსაც. ობიექტზე ყავთ 3-ელმავალი და 3 თბომავალი მუშა მდგომარეობაში. მოსაბრუნებელი პუნქტის შენობის გვერდით ადრე ფუნქციონირებდა ქვიშის საშრობი შენობა, დღეს მხოლოდ შენობის კარკასია შემორჩენილი.

ობიექტის ტერიტორიის საფარი გრუნტოვანია, შემოღობილია ბეტონის ანაკრები ფილებით. ტერიტორიაზე არის ღამის განათება. ეზო გამწვანებულია სხვადასხვა ნარგავებით, გამწვანება დაახლოებით 30%-ია.

ობიექტზე ძირითად ნარჩენს წარმოადგენს ლითონის ბურბუშელა, ლითონის სხვა ნარჩენები, მეორადი აკუმულატორები. წარმოქმნილი ლითონის ჯართი გროვდება ტერიტორიაზე და შემდგომ ტერიტორიიდან გააქვს კონტრაქტორ კომპანიას.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე ხელშეკრულება არ არის გაფორმებული მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. საყოფაცხოვრებო ნარჩენები იყრება ეზოში (სატრანსფორმატოროს შენობასთან), რომლის განთავსებასაც მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე თავად ახორციელებენ. საყოფაცხოვრებო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისთვის არანაირი ინფრასტრუქტურა არ არის მოწყობილი და ნარჩენები ღიად ყრია ნიადაგზე. არ არის ურნები. საყოფაცხოვრებო ნარჩენებით წერტილოვნად არის დაბინძურებული დეპოს ტერიტორია.

ტერიტორიაზე არის საწვავის მიწისქვეშა 2 რეზერვუარი (თითოეული 2 მ<sup>3</sup> მოცულობის), რომელიც ამჟამად ცარიელია და აღარ გამოიყენება.

შენობაში განთავსებულია 6 ჩარხ-დანადგარი. ეს დანადგარები გამოიყენება ლითონის დამუშავებისათვის. ობიექტზე არის ხიდურა ამწე 10 ტონიანი, ფრეზერულ-ჰორიზონტალური დაზგა, უნივერსალური დაზგა, გოგორწყვილების საჩარხი დაზგა, საჩარხი დაზგა, საბურღი დაზგა, ჰორიზონტალური მჭრელი დაზგა და სალესი დაზგა. არ არის ვენტილაცია.

შედუდება ხდება ტექნიკური დათვალიერების საამქროში. თვითრად გახარჯული ელექტროდების რაოდენობა დაახლოებით 180 კგ-ა. არ არის ვენტილაცია.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ჭაბურღილიდან, რომელსაც ამჟამად არ გააჩნია ლიცენზია. აღნიშნული ჭაბურღილი მდებარეობს მოსაბრუნებელი პუნქტის ეზოში (ჭაბურღილის სიღრმე -450 მ.). ტერიტორიაზე არის 2 რეზერვუარი: ერთი 53 მ<sup>3</sup> (განთავსებულია მიწაზე), მეორე 25 მ<sup>3</sup> (განთავსებულია 10-12 მ სიმაღლეზე) მოცულობებით. აღნიშნული ჭაბურღილის წყლით მარაგდება მოსაბრუნებელი პუნქტის გვერდით მდებარე

გურჯაანის საკონტაქტო ქსელის რაიონი. ჭაბურღილიდან აღებულ იქნა წყლის სინჯი მოკლე ქიმიური ანალიზისთვის. (სინჯი №1. წყლის სინჯის აღების კოორდინატი: X-565967; Y-4622796).

ობიექტზე ტექნიკური მიზნებისთვის წყალი გამოიყენება თბომავლების გაგრილების სიტემაში ჩასამატებლად. გამოყენებული წყლის რაოდენობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ქ. გურჯაანის საკანალიზაციო კოლექტორში.

ობიექტის ტერიტორიაზე, შენობის წინ და გვერდით მხარეს არის ადრე მოწყობილი, მწყობრიდან გამოსული სანიაღვრე არხი, რომელიც რკინის გისოსებით არის გადახურული. არხი დაერთებულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორზე. სანიაღვრე არხი დაბინძურებულია სხვადასხვა ნარჩენებით (ზეთებით, ნავთობპროდუქტებით, საყოფაცხოვრებო ნარჩენებით).

ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები დაფიქსირდა ტერიტორიაზე შემავალ სალიანდაგო ხაზზე. დაბინძურების სავარაუდო ფართობი დაახლოებით 8 მ<sup>2</sup>-ია, დაბინძურების სიღრმე დაახლოებით 6 სმ. ამას გარდა დეკოს ტერიტორიაზე არსებულ სალიანდაგო ხაზზე შეიმჩნევა ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებები წერტილოვნად (დაბალი ხარისხი).



ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბანი



საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორია.

#### 4.4.12 ზესტაფონის მოსაბრუნებელი პუნქტი

ზესტაფონის მოსაბრუნებელი პუნქტი მდებარეობს ქ. ზესტაფონში, კოსტავას №13-ში. მოსაბრუნებელი პუნქტის ადმინისტრაციული შენობის ფართობი დაახლოებით 135 მ<sup>2</sup>-ია. მემანქანების მოსასვენებელი ოთახები განთავსებულია გვერდით მდებარე დაახლოებით 500 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე შენობაში, რომელიც სრულად არ აქვთ ათვისებული.

ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X-337453; Y-4663631;
2. X-337468; Y-4663629;
3. X-337469; Y-4663637;
4. X-337453; Y-4663639;

ობიექტი წარმოადგენს სამგზავრო და სატვირთო ლოკომოტივების მემანქანების და მათი თანაშემწეების მოსასვენებელ პუნქტს. აქედან ხდება მემანქანების და მათი თანაშემწეების გაშვება ლოკომოტივების სამართავად განრიგის მიხედვით. ადმინისტრაცია განთავსებულია პატარა შენობაში, მემანქანების მოსასვენებელი ოთახები განთავსებულია გვერდით შენობაში, სადაც უწყვეტ ღამის გათევა საჭიროების შემთხვევაში. ადმინისტრაციულ შენობაში ყავთ ექთანნი, რომელსაც ცალკე ოთახი აქვს ადმინისტრაციის ოთახის გვერდით.

ობიექტი შემოღობილი არ არის. მოსაბრუნებელი პუნქტის ადმინისტრაციის ოთახი წარმოდგენილია ერთსართულიანი პატარა შენობით, ხოლო მემანქანეების მოსასვენებელი შენობა დაახლოებით 150 მეტრის მოშორებით მდებარეობს.

ტერიტორიაზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რის გატანაზეც ხელშეკრულება არ არის გაფორმებული მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. ნარჩენების მართვაზე კ/პ არ არის.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ქ. ზესტაფონის საკანალიზაციო კოლექტორში.

ობიექტზე ნავთობპროდუქტებით და ზეთებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.4.13 ფოთის მოსაბრუნებელი პუნქტი

ფოთის მოსაბრუნებელი პუნქტი მდებარეობს ქ. ფოთში, ტაბიძის ჩიხში. ობიექტის მეორე დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 1700 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-721661; Y-4670195;
2. X-721640; Y-4670215;
3. X-721638; Y-4670231;
4. X-721677; Y-4670248;
5. X-721698; Y-4670228;

ფოთის მოსაბრუნებელი პუნქტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს თბომავლების გეგმიური და არაგეგმიური შეკეთება. ობიექტს ემსახურება 4 თბომავალი. ტექნიკური დათვალიერების საამქროში ორი სალიანდაგო ხაზი შედის, სადაც თავსდება თბომავლები და უტარდებათ ტექნიკური დათვალიერება ან/და შეკეთება. შენობაში, ტექნიკური დათვალიერების საამქროს წინ, განთავსებულია ოთახები ადმინისტრაციისა და მომსახურე პერსონალისათვის.

ობიექტის ტერიტორია შემოღობილი არ არის და უშუალოდ ესაზღვრება სარკინიგზო ხაზს. ღამის განათება არის ტერიტორიაზე, შეიმჩნევა ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურების უბნები.

ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ძირითადი ნარჩენებია საყოფაცხოვრებო ნარჩენები, სხვადასხვა დეტალები (ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული) და ლითონის ჯართი. ნარჩენის სახით არის წარმოდგენილი ლითონი საწვავის დიდი მოცულობის რეზერვუარი, რომელიც ცარიელი და გამოუყენებელია. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე ხელშეკრულება არ აქვთ გაფორმებული მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. ობიექტზე ნარჩენების მართვაზე კ/პ არ არის.

მოსაბრუნებელი პუნქტის შენობის გვერდით განთავსებულია 120 ტონიანი მიწისზედა რეზერვუარი (ვერტიკალური), რომელიც გამოიყენებოდა ნავთობპროდუქტის შესანახად. დროთა განმავლობაში რეზერვუარში ჩაიჟონა წყალი და დაზიანდა. ამჟამად ეს რეზერვუარი არ გამოიყენება და უფუნქციოა. ნავთობპროდუქტების ნარჩენი, რომელიც 120 ტონიან რეზერვუარში იყო განთავსეს გადატანილია მცირე ზომის 10 ტონიან მიწისზედა ჰორიზონტალურ რეზერვუარში. ამჟამად, გამოყენებაშია 49 ტონიანი დიზელის მიწისზედა

ჰორიზონტალური რეზერვუარი. 10 და 49 ტონიანი რეზერვუარები განთავსებულია გვერდიგვერდ ნახევრად შემოღობილ ტერიტორიაზე. დიზელის საწვავის რეზერვუართან შეიმჩნევა საწვავის დაღვრა მცირე ფართობზე.

მოსაბრუნებელ პუნქტში ჩარხ-დანადგარები არ არის. მხოლოდ დამხმარე ხელსაწყოები აქვთ რითაც უზრუნველყოფენ თბომავლების შეკეთებას.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ობიექტის სასმელ-სამურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 20 მ<sup>3</sup>-ს თვეურად.

ტექნიკური წყალმომარაგება არ არის ტერიტორიაზე. ტექნიკური მიზნებისთვის წყალი გამოიყენება მხოლოდ თბომავლების გაგრილების სისტემისთვის (ჩასამატებლად). გამოყენებული ტექნიკური წყლის რაოდენობა დაახლოებით 40 მ<sup>3</sup>-ია თვეში.

სამურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება 32მ<sup>3</sup> მოცულობის სასენიზაციო ორმოში. ხელშეკრულება ადგილობრივ სამსახურთან გაფორმებული არ არის და გატანა ხდება ერთჯერადი შეთანხმების საფუძველზე.

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა არ არის. სანიაღვრე წყლების დაბინძურების წყაროებს წარმოადგენს საწვავის რეზერვუარები, ლოკომოტივების საწვავით გამართვის უბნები.

შენობაში განთავსებულია TM-100/10 -ზეთიანი ტრანსფორმატორი, რომელშიც ზეთის ტევადობა 129 კგ-ა. ტრანსფორმატორი განთავსებულია ტექნიკური შეკეთების საამქროში, მავთულის ბადით შემოღობილ ტერიტორიაზე. სატრანსფორმატოროსთან მაფრთხილებელი ნიშანი არ არის განთავსებული.

ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულია შენობა-თბომავლების ტექნიკური შეკეთების უბანი. კონკრეტულად დაბინძურებულია სალიანდაგო ზოლი, რომელიც დაფარულია ზეთებისა და ნავთობპროდუქტების ბლანტი ფენით. ლიანდაგის დაბინძურების ფართობი დაახლოებით 12 მ<sup>2</sup>-ია.

ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით საკმაოდ დაბინძურებულია, შენობის წინ გამავალი სალიანდაგო ხაზიც, ჯამში დაახლოებით 20 მ<sup>2</sup> ფართობზე, დაბინძურების სიღრმე დაახლოებით 10-15 სმ-ა. ობიექტის ხელმძღვანელის თქმით დაბინძურებული ლიანდაგის ხაზი არ ეკუთვნის მოსაბრუნებელ პუნქტს.

ტერიტორია დაბინძურებულია დიზელის საწვავის რეზერვუართან, საიდანაც ხდება საწვავის გადმოსხმა. დაბინძურებულია დაახლოებით 3 მ<sup>2</sup>-ტერიტორია, აღნიშნულ ფართობზე შეიმჩნევა საწვავის ბლანტი ფენა მცირე მონაკვეთზე. ტერიტორიის დაბინძურების სიღრმე დაახლოებით 15 სმ-ა.



ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები

#### 4.4.14 ქუთაისის მოსაბრუნებელი პუნქტი

ქუთაისის მოსაბრუნებელი პუნქტი მდებარეობს ქ. ქუთაისში, თამარ მეფის №102-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 350 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-311328, Y-4680984;
2. X-311340; Y-4680983;
3. X-311340; Y-4680983;
4. X-311328; Y-4680960;

ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სატვირთო გადაზიდვების უზრუნველყოფა. შენობაში ძირითადად საოფისე სამუშაოები ხორციელდება. ადგილზე ხდება მემანქანების და მათი თანაშემწეების გაშვება მატარებლებზე.

ობიექტის ტერიტორია წარმოდგენილია ერთი შენობით, სადაც მოსაბრუნებელი პუნქტის მომსახურე პერსონალს რამდენიმე ოთახი უკავია. შენობა ძველია. გამწვანება არ არის ტერიტორიაზე.

ობიექტზე, საქმიანობიდან გამომდინარე ძირითადი ნარჩენი შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო ნარჩენები, მათ შორის საოფისე ნარჩენები. ნარჩენებისთვის სპეციალური სათავსი გამოყოფილი არ არის. ნარჩენების მართვაზე გამოყოფილი კ/პარ არის.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალიზებული წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვიურად დაახლოებით 2-3 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში.

ობიექტის ტერიტორიაზე სატრანსფორმატორო ქვესადგური არ არის.

ობიექტზე ნავთობპროდუქტებით და ზეთებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.4.15 სატვირთო სადგურები

##### 4.4.15.1 სადგური კაჭრეთი (სატვირთო)

სადგური კაჭრეთი (სატვირთო) მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელი კაჭრეთში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 100 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-557224, Y-4609708;
2. X-557225, Y-4609713;
3. X-557234, Y-4609710;
4. X-557232, Y-4609705;

სადგური ემსახურება სატვირთო გადაზიდვებს. ტერიტორიაზე ხდება ვაგონების დაცლა/დატვირთვა/დახარისხება.

სადგურის შენობა ძველია. ბაქანი მობეტონებულია. არის ღამის განათება და გამწვანება (დაახლოებით 10 %).

ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ხელშეკრულება არ აქვთ გაფორმებული მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან.

ტერიტორიაზე არ არის წყალმომარაგების წყარო. სასმელი წყალი მოაქვთ დასახლებული პუნქტიდან.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება არაპერმეტულ სასენიზაციო ორმოებში. ტერიტორიაზე მოწყობილია ორი საპირფარეშო ძველი და ახალი. ძველი შენობა აგებულია აგურით და ორგანოფილებიანია, ხოლო ახალი კონტეინერული ტიპის ერთგანყოფილებიანია. თითოეული ორმოს მოცულობა დაახლოებით 8 მ<sup>3</sup>-ია. ორმოების დაცლასთან დაკავშირებით შესაბამის სამსახურთან ხელშეკრულება არ არის გაფორმებული.

ობიექტზე არ არის თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები. შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიით.

ობიექტის ტერიტორიაზე ტრანსფორმატორი არ არის განთავსებული

ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები აუდიტის პროცესში არ დაფიქსირებულა.

##### 4.4.15.2 სადგური მარნეული (სატვირთო)

სადგური მარნეული (სატვირთო) მდებარეობს ქ. მარნეულში, აღმაშენებლის ქუჩა №16-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 110 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია :

1. X-483883, Y-4592927;
2. X-483889, Y-4592934;
3. X-483896, Y-4592929;
4. X-483892, Y-4592922;

სადგური ემსახურება სატვირთო გადაზიდვებს. ტერიტორიაზე ხდება ვაგონების დაცლა/დატვირთვა/დახარისხება. სატვირთო სადგურის გვერდით არის სამგზავრო სადგურის შენობა.

შენობა საკმაოდ მოძველებულია, ტერიტორია მოპირკეთებულია ფილებით, არის ღამის განათება. ტერიტორიის დაახლოებით 10%-ია გამწვანებული.

ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე გააქვს ქალაქის მუნიციპალური დასუფთავების სამსახურს. სატვირთო სადგურის უფროსის თქმით, სადგურის ტერიტორია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით ბინძურდება მოსახლეობის მიერ.

სასმელი წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 3-4 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება არაჰერმეტიულ საასენიზაციო ორმოში. ორმოს მოცულობა დაახლოებით 8 მ<sup>3</sup>-ია. დაცლა ხდება საჭიროებისამებრ, ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ობიექტზე არ არის თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები. შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ობიექტზე არის ტრანსფორმატორი, რომლის პარამეტრების დადგენა ვერ მოხერხდა. ტრანსფორმატორი შემოუღობავია და გამაფრთხილებელი ნიშნები არ არის განთავსებული.

ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები აუდიტის პროცესში არ დაფიქსირებულა.

#### 4.4.15.3 სადგური რუსთავი.(სატვირთო)

სადგური რუსთავი.(სატვირთო) მდებარეობს ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა №7-ში. სადგურის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 5000 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-503525, Y-4598047;
2. X-503454, Y-4598144;
3. X-503487, Y-4598166;
4. X-503558, Y-4598071;

სადგურის შენობა ორ სართულიანია კარგ მდგომარეობაშია, ტერიტორია კეთილმოწყობილია, სადგურის შენობის გვერდით არის სამორიგეო შენობა. სადგურის ტერიტორია მოპირკეთებულია ფილებით, არის გამწვანება (დაახლოებით 15%), ასევე არის ღამის განათება.

ობიექტის საქმიანობის პროცესში ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენები წარმოიქმნება. მუნიციპალური ნარჩენი გააქვს ქ. რუსთავის მუნიციპალური დასუფთავების სამსახურს ხელშეკრულების საფუძველზე.

ობიექტის სასმელი წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვიურად დაახლოებით 50 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში.

ტერიტორიაზე არ არის თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი. შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ტერიტორიაზე არის ტრანსფორმატორი, რომელიც შემოღობილია, გამაფრთხილებელი ნიშნები არ არის განთავსებული. ტრანსფორმატორის პარამეტრების დადგენა ვერ მოხერხდა.

ობიექტზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ აღინიშნება.

#### 4.4.15.4 სადგური საგარეჯო (სატვირთო)

სადგური საგარეჯო (სატვირთო) მდებარეობს ქ. საგარეჯოში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 80 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-529704, y-4617648;
2. X-529700, y-4617653;
3. X-529709, y-4617661;
4. X-529713, y-4617656;

სადგური ემსახურება სატვირთო გადაზიდვებს. ტერიტორიაზე ხდება ვაგონების დაცლა/დატვირთვა/დახარისხება.

სადგურის ბაქანი მოპირკეთებულია, ტერიტორიაზე არის ღამის განათება. გამწვანებული ტერიტორია დაახლოებით 10%-ს შეადგენს.

ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენები. არ აქვთ ხელშეკრულება გაფორმებული მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურთან და ნარჩენებისათვის არ არის გამოყოფილი დროებითი განთავსების ადგილი.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება დასახლებული პუნქტის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის ხარჯის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება საასენეზაციო ორმოში (ორმოს მოცულობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა). ორმოს დაცლასთან დაკავშირებით შესაბამის სამსახურთან არ აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ტერიტორიაზე საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი არ არის.

ობიექტის ტერიტორიაზე არ არის ნავთობპროდუქტებით, ზეთებით ან სხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული უბნები.

#### 4.4.15.5 სადგური სამტრედია 1-ის ტექნიკური კანტორა

სადგური სამტრედია 1-ის ტექნიკური კანტორა მდებარეობს ქ. სამტრედია, სამგზავრო სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე. შენობის მიერ დაკავებული ტერიტორიის მიახლოებითი ფართობი 300 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-280939; Y-4671150 ;
2. X-280959; Y- 4671159;
3. X-280965; Y- 4671147;
4. X-280946; Y-4671138 ;

ობიექტი ემსახურება სამგზავრო და სატვირთო მატარებლების მიღება, გაშვება, დახარისხებას.

შენობა ძველია. ობიექტის კუთვნილებაშია ერთი ახალი თბომავალი და კომპურა, რომელიც ორ კილომეტრში მდებარეობს.

საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება ძირითადად, საყოფაცხოვრებო ნარჩენები. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმებულია დასუფთავების სამსახურთან. ნარჩენებისთვის დროებითი განთავსების ადგილი არ არის გამოყოფილი.



სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. სასმელ სამეურნეოდ გამოყენებული წყლის რაოდენობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 3 მ<sup>3</sup> მოცულობის საასენიზაციო ორმოში. ხელშეკრულება შესაბამის სამსახურთან არ არის გაფორმებული.

ობიექტზე არ არის თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები. შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ტერიტორიაზე არ არის საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი.

ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულია ობიექტის წინ მდებარე სალიანდაგო ხაზები. განსაკუთრებით დაბინძურებული იყო ერთი ლიანდაგის ხაზი, დაახლოებით 30 მ<sup>2</sup> ფართობზე. სიღრმის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.



ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ლიანდაგი

#### 4.4.15.6 სადგური ქუთაისი I (სატვირთო)

სადგური ქუთაისი I (სატვირთო) მდებარეობს ქ. ქუთაისში, სადგურის მოედანი №5-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის მიახლოებითი ფართობი 200 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-311352; Y-4681215;
2. X-311353; Y-4681199;
3. X-311340; Y-4681200;
4. X-311340; Y-4681215;

სადგური ემსახურება სატვირთო გადაზიდვებს. ტერიტორიაზე ხდება ვაგონების დაცლა/დატვირთვა/დახარისხება.

სატვირთო და სამგზავრო სადგურების შენობები გვერდიგვერდ მდებარეობს. სადგურის ბაქანი მოპირკეთებულია, არის ღამის განათება. ტერიტორიაზე გამწვანება არ არის.

სადგურის საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით ხელშეკრულება არ არის გაფორმებული დასუფთავების სამსახურთან. არ არის გამოყოფილი სათავსი ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მარაგდება ქალაქ ქუთაისის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში.

ტერიტორიაზე არ არის თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები. შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ტერიტორიაზე საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი არ არის.

ობიექტის ტერიტორიაზე არ არის ნავთობპროდუქტებით, ზეთებით ან სხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული უბნები.

#### 4.4.15.7 სადგური ქუთაისი II (სატვირთო)

სადგური ქუთაისი II (სატვირთო) მდებარეობს ქ. ქუთაისში. ჭავჭავაძის №37-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის მიახლოებითი ფართობი-250 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-307777; Y-4680895;
2. X-307791; Y-4680887;
3. X-307784; Y-4680873;
4. X- 307768; Y-4680884;

სადგური ემსახურება სატვირთო გადაზიდვებს. ტერიტორიაზე ხდება ვაგონების დაცლა/დატვირთვა/დახარისხება.

სადგურის ინფრასტრუქტურა მოძველებულია. ბაქანი მოპირკეთებულია ფილებით. ტერიტორიაზე არის ღამის განათება და გამწვანება დაახლოებით 10%-ია.

ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომელიც ურნებში გროვდება. ხელშეკრულება გაფორმებულია მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან.

ობიექტის სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 7 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში.

ობიექტზე არ არის თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები. შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ტერიტორიაზე განთავსებულია TM100/6 ზეთიანი ტიპის ტრანსფორმატორი, რომელშიც ზეთის წონა 220კგ-ია. ტრანსფორმატორი შემოღობილი არ არის. გამაფრთხილებელი ნიშნები არის განთავსებული.

ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.4.15.8 სატვირთო გადაზიდვების სადგური სამტრედია

სატვირთო გადაზიდვების სადგური სამტრედია მდებარეობს ქ. სამტრედიაში, გრიბოედოვის მეორე შესახვევის №1-ში, ობიექტის მიერ დაკავებული შენობის ფართობი 2833 მ<sup>2</sup>, მთლიანი

მიწის ფართი 4292 მ<sup>2</sup>. სალიანდაგო ხაზის სიგრძე ჯამში 4890 მ (2 მთავარი ლიანდაგი). ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X-284257, Y-4672188;
2. X-284258, Y-4672169;
3. X-284204, Y-4672192;
4. X-284200, Y-4672179;

სამტრედიის სატვირთო გადაზიდვების სადგურს ექვემდებარება სამტრედია ერთი- ტექნიკური კანტორა და სამორიგეო კოშკი. სადგურზე ხდება სატვირთო მატარებლების მიღება, გაგზავნა, განფორმირება, ფორმირება, დაცლა-დატვირთვა.

ობიექტის ტერიტორია არ არის კეთილმოწყობილი. ბაქანი მოპირკეთებულია ფილებით. ტერიტორიაზე არის ღამის განათება. რაც შეეხება გამწვანებას ტერიტორიაზე მცენარეული საფარი არ არის.

ობიექტზე წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ძირითადად საოფისე ინვენტარის ნარჩენები. შენობასთან განთავსებულია ურნა, რომელიც შემდგომ გააქვს სამტრედიის მუნიციპალური დასუფთავების სამსახურს, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ტერიტორია დაბინძურებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით.

ობიექტზე მაჟამად სასმელი წყალი არ არის. მომსახურე პერსონალს სასმელი წყალი მოაქვთ დასახლებული პუნქტიდან.

სამუერნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში.

შენობაში არ არის თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი. შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ობიექტის ტერიტორიაზე სატრანსფორმატორო ქვესადგური არ არის. სადგურის ელექტროენერგიით მომარაგება ხდება გვერდით მდებარე ქვესადგურიდან.

სადგურის შენობის მიმდებარე ტერიტორია ნავთობპროდუქტებით და ზეთებით დაბინძურებული უბნები არ არის.



ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორია

**4.4.15.9 სადგური ფოთი (სატვირთო)**

სადგური ფოთი (სატვირთო) მდებარეობს ქ. ფოთში, რეკავას №1-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 180 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-721293; Y-4669960;
2. X-721273; Y-4669955;
3. X-721270; Y-4669965;
4. X-721290; Y-4669968;

ტერიტორიაზე ხდება ვაგონების დაცლა/დატვირთვა/დახარისხება. ობიექტი წარმოადგენს მთავარ სადგურს, მის დაქვემდებარებაშია 11 სადგური. სატვირთო სადგურის გვერდით მდებარეობს სამგზავრო სადგური.

ობიექტის ტერიტორია მოპირკეთებულია და კარგ მდგომარეობაშია, არის ღამის განათება. გამწვანებული ტერიტორია დაახლოებით 10%-ია.

საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ ფოთის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურთან, ნარჩენებისათვის არ არის გამოყოფილი სათავსი.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ქალაქ ფოთის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ სამეურნეო დანიშნულების წყლის მიახლოებითი რაოდენობა არის 121 მ<sup>3</sup>.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში.

ობიექტზე არ არის თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები. შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გაათბობლებით.

ობიექტის ტერიტორიაზე საკუთარი მოხმარების ტრანსფორმტორი არ არის. მომარაგება ხდება ქალაქის ენერგო სისტემიდან.

ობიექტის ტერიტორიაზე არ არის ნავთობპროდუქტებით, ზეთებით ან სხვა დამაბინძურებლებით დაბინძურებული უბნები.

**4.4.15.10 სადგურ ფოთის კომერციული განყოფილება**

სადგურ ფოთის კომერციული განყოფილება მდებარეობს ქ. ფოთში, აღმაშენებლის №54-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის მიახლოებითი ფართობი - 500 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-719623; Y-4670040;
2. X-719599; Y-4670042;
3. X-719598; Y-4670064;
4. X-719623; Y-4670066;

სადგურ ფოთის კომერციული განყოფილების საქმიანობას წარმოადგენს ვაგონების დატვირთვა-დაცლა. სათანადო საბუთების მომზადება.

კომერციულ განყოფილებას გააჩნია პოსტები ფოთის პორტში და ტერმინალზე, ადგილზე მოწყობილია კონტეინერული ტიპის მცირე შენობები (4x2) არსებული პერსონალისთვის (მწონავები და სხვა).

ობიექტის ტერიტორია შემოღობილია, არის ღამის განათება, გამწვანებული ტერიტორია დაახლოებით 15%-ია.

ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენები. აქვთ ხელშეკრულება გაფორმებული ფოთის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურთან. ნარჩენებისათვის არ არის გამოყოფილი სათავსი.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 23 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება 3 მ<sup>3</sup> მოცულობის ბეტონის ორმოში ხელშეკრულება არ არის გაფორმებული შესაბამის სამსახურთან.

არ აქვთ თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები. შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ტერიტორიაზე საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი არ არის,

ობიექტის ტერიტორიაზე არ არის ნავთობპროდუქტებით, ზეთებით ან სხვა დამაბინძურებლებით დაბინძურებული უბნები.

#### 4.4.15.11 სადგური შორაპანი (სატვირთ)

სადგური შორაპანი მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, დაბა შორაპანში. ობიექტის ტერიტორიის (შენობა) ფართობი დაახლოებით 250 მ<sup>2</sup>-ია. სადგურის კუთვნილებაშია 2 კმ-იანი სალიანდაგო ხაზი. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის (შენობა) კუთხის კოორდინატებია:

1. X-341045, Y-4662398;
2. X-341011, Y-4662439;
3. X-341018, Y-4662446;
4. X-341053, Y-4662406;

ობიექტი ემსახურება სატვირთო გადაზიდვებს.

სადგურის ტერიტორია მოპირკეთებულია, არის ღამის განათება. ობიექტზე გამწვანებული ტერიტორია დაახლოებით 8%-ს შეადგენს.

ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება მცირე რაოდენობის საყოფაცხოვრებო ნარჩენი. ტერიტორიაზე არ არის ურნები განთავსებული. ხელშეკრულება არ არის გაფორმებული მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან.

ტერიტორიაზე არ არსებობს წყალმომარაგების წყარო, მომუშავე პერსონალს სასმელი წყალი მოაქვს სოფლიდან.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაედინება ჭაში, რომელიც მოძველებული და მწყობრიდან გამოსულია. ადგილზე მომუშავე პერსონალის თქმით სამეურნეო ფეკალური ჩამდინარე წყლები საბოლოოდ ჩაედინება სადგურიდან დაახლოებით 100 მ-ში მდ. ყვირილაში ( ჩაშვების წერტილის სავარაუდო კოორდინატები: Y-340907; Y-4662491).

ობიექტზე არ არის თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები. გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ობიექტის ტერიტორიაზე საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი არ არის. სადგურს ენერგიას აწვდის შპს „ენერგოპრო ჯორჯია“.

ობიექტის ტერიტორიაზე არ გამოვლენილა ნავთობპროდუქტებით, ზეთებით ან სხვა დამაბინძურებლებით დაბინძურებული უბნები.

#### 4.4.15.12 სადგური აგარა (სატვირთო)

სადგური აგარა (სატვირთო) მდებარეობს დაბა აგარაში, ნინოწმინდის ქუჩაზე. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი 200 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-403313, Y-4654148;
2. X-403313, Y-4654154;
3. X-403314, Y-4654156;
4. X-403316, Y-4654161;
5. X-403331, Y-4654160;
6. X-403329, Y-4654148;

სადგური ემსახურება სატვირთო გადაზიდვებს. ტერიტორიაზე ხდება ვაგონების დაცლა/დატვირთვა/დახარისხება.

სატვირთო სადგურის შენობა ძველია. ბაქანი მოპირკეთებულია, ტერიტორიაზე არის ღამის განათება.

ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება ძირითადად, საყოფაცხოვრებო ნარჩენები. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით არ აქვთ ხელშეკრულება გაფორმებული მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. ნარჩენებისათვის არ არის გამოყოფილი სათავსი.

ობიექტის ტერიტორიაზე სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება ხდება ჭაბურღილიდან, რომელსაც ლიცენზია არ აქვს. გამოყენებული წყლის რაოდენობა უცნობია. ჭაბურღილიდან აღებულ იქნა სინჯი წყლის მოკლე ქიმიური ანალიზისთვის (სინჯი N1. სინჯის აღების კოორდინატები: X-4040248; Y-4654170).

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 3-4 მ<sup>3</sup> მოცულობის სასენიზაციო ორმოში. ხელშეკრულება შესაბამის სამსახურთან არ არის გაფორმებული.

ობიექტზე არ არის თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები. გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სადგურის ტერიტორიაზე არის საკუთარი მოხმარების ტსზ ტიპის ტრანსფორმატორი- 25/10, რომელშიც ზეთის ტევადობა 155 კგ-ა. ტრანსფორმატორი შემოუღობავია და გამაფრთხილებელი ნიშნები არ არის განთავსებული.

ობიექტის ტერიტორიაზე არ არის ნავთობპროდუქტებით, ზეთებით ან სხვა დამაბინძურებლებით დაბინძურებული უბნები.

#### 4.4.15.13 სადგური გურჯაანი (სატვირთო)

სადგური გურჯაანი (სატვირთო) მდებარეობს ქ. გურჯაანში, გურამიშვილის №15-ში. ობიექტის მიერ დაკავებულ ფართობი დაახლოებით 200 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-566508, Y-4621950;
2. X-566516, Y-4621957;
3. X-566525, Y-4621950;
4. X-566518, Y-4621941;

სადგური ემსახურება სატვირთო გადაზიდვებს. ტერიტორიაზე ხდება ვაგონების დაცლა/დატვირთვა/დახარისხება.

სადგურის შენობა რკინიგზის შვილობილი კომპანიის შპს „რელიევი ფროფერტი მენეჯმენტი“-ს მფლობელობაშია. სატვირთო სადგურის კუთვნილებაშია ოთხი ოთახი. ობიექტზე არის ღამის განათება. ტერიტორიის 5-7% გამწვანებულია.

სადგურის საქმიანობის პროცესში ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენები წარმოიქმნება. ნარჩენებისთვის არ არის გამოყოფილი დროებითი განთავსების ადგილი. სადგურის მიმდებარე ტერიტორია დაბინძურებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. ხელშეკრულება არ არის გაფორმებული დასუფთავების სამსახურთან.

სადგურის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემა არ არის. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებისთვის წყალი მომუშავე პერსონალს მოაქვს დასახლებული პუნქტიდან.

სადგურის ტერიტორიაზე სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებისათვის მოწყობილია საასენიზაციო ორმო, რომელიც სადგურის ადმინისტრაციას არ ეკუთვნის.

შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სადგურის ტერიტორიაზე ტრანსფორმატორი არ არის. ტრანსფორმატორი საიდანაც სადგურს ელექტროენერგია მიეწოდება, სადგურიდან დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს. КТП ტიპის ტრანსფორმატორია 63/10, რომელშიც ზეთის წონა 155 კგ-ია. ტრანსფორმატორი შემოღობილია, გამაფრთხილებელი ნიშნები არ არის განთავსებული.

ობიექტის ტერიტორიაზე არ აღინიშნება ნავთობპროდუქტებით, ზეთებით ან სხვა დამაბინძურებლებით დაბინძურებული უბნები.

#### 4.4.15.14 სადგური ზესტაფონი (სატვირთო)

სადგური ზესტაფონი (სატვირთო) მდებარეობს ქ. ზესტაფონში, აღმაშენებლის №6-ში. სატვირთო სადგურის ადმინისტრაცია განთავსებულია სამგზავრო სადგურის გვერდით არსებულ სამ სართულიან შენობაში. დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 900 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-337374; Y-4663554;
2. X-337405; Y-4663550;
3. X-337403; Y-4663525;
4. X-337369; Y-4663531;

სადგური ემსახურება სატვირთო გადაზიდვებს. ტერიტორიაზე ხდება ვაგონების დაცლა/დატვირთვა/დახარისხება.

ობიექტის ტერიტორიაზე ბაქანი მოპირკეთებულია, არის ღამის განათება. ტერიტორიაზე გამწვანება არ არის.

ობიექტის საქმიანობის პროცესში, ძირითადად, საყოფაცხოვრებო ნარჩენები წარმოიქმნება. ხელშეკრულება გაფორმებულია მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ქალაქის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ქ. ზესტაფონის საკანალიზაციო კოლექტორში.

არ აქვთ თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი. გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სადგურის ტერიტორიაზე ტრანსფორმატორი არ არის განთავსებული

ობიექტის ტერიტორიაზე არ არის ნავთობპროდუქტებით, ზეთებით ან სხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული უბნები.

#### 4.4.15.15 სადგური ბროწეულა (სატვირთო)

სადგური მდებარეობს წყალტუბოს რაიონი სოფ. ბროწეულაში. ობიექტის შენობის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 380მ<sup>2</sup>. სალიანდაგო ხაზი, რომელიც სადგურს ეკუთვნის დაახლოებით 3 კმ-ა.

ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X-306782; Y-4674742;
2. X-306813; Y-4674738;
3. X-306812; Y-4674727;
4. X-306780; Y-4674730;

სადგურის შენობა ძველია, ბაქნის ტერიტორია მოპირკეთებულია ფილებით, არის ღამის განათება. გამწვანებული ფართობი დაახლოებით 20%-ია.

ობიექტის საქმიანობიდან გამომდინარე ძირითადად საყოფაცხოვრებო სახის ნარჩენი წარმოიქმნება. ტერიტორიაზე არ არის ნარჩენები განთავსებული. არ არის გამოყოფილი მათი დროებითი განთავსებისათვის ადგილი. ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან გაფორმებული არ არის.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. წყალი გამოიყენება მხოლოდ სასმელად. გამოყენებული სასმელი წყლის რაოდენობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. ტერიტორიაზე არ არის სასმელი წყლის რეზერვუარი

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაედინება დაახლოებით 10მ<sup>3</sup> მოცულობის, სასენიზაციო ორმოში. ორმოს გაწმენდასთან დაკავშირებით შესაბამის სამსახურთან ხელშეკრულება არ არის გაფორმებული, დაცლა ხდება საჭიროებისამებრ.

სადგურის შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ობიექტის ტერიტორიაზე არის ორი საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი მათი მონაცემების იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

ტრანსფორმატორების განთავსების ტერიტორია არ არის შემოღობილი. გამაფრთხილებელი ნიშნები არ არის განთავსებული.

ობიექტის ტერიტორიაზე არ არის ნავთობპროდუქტებით, ზეთებით ან სხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული უბნები.

#### 4.4.15.16 სადგური დედოფლისწყარო (სატვირთო)

დედოფლისწყაროს სადგური მდებარეობს - ქ. დედოფლისწყარო, შირაქის ქუჩა №37-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 4000 მ<sup>2</sup>-ია.

ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია:

1. X-593078, Y-4590434;



2. X-593060, Y-4590451;
3. X-593223; Y-4590484;
4. X-593239, Y-4590466;

ობიექტის ტერიტორია და ბაქანი მოპირკეთებულია. სადგურის შენობა ძველი და ცუდ მდგომარეობაშია, არის ღამის განათება, გამწვანებული ტერიტორია დაახლოებით 45%-ია.

სადგურის საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რაზეც ხელშეკრულება არ არის გაფორმებული მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. ობიექტზე არ არის ურნები საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის.

სადგური სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მარაგდება ქალაქის წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის ხარჯი თვეში დაახლოებით 10-15 მ<sup>3</sup>-ია. წყლის გარკვეული რაოდენობა გამოიყენება ორთქლმავლების გაგრილების სისტემისთვის. ობიექტზე არ არის სასმელი წყლის რეზერვუარი.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები, ჩაედინება დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში.

ობიექტზე თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი არ არის, შენობის გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებულია КТП-ტიპის ტრანსფორმატორი 63-10/04. ზეთის წონა შეადგენს 160კგ. ტრანსფორმატორი შემოღობილია. განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნები.

ობიექტის ტერიტორიაზე არ არის ნავთობპროდუქტებით, ზეთებით ან სხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული უბნები.

#### 4.4.15.17 სადგური რიონი (სატვირთო)

სადგური რიონი მდებარეობს ქ. ქუთაისში, რკ. სადგური რიონი, სადგურის შენობის მიერ დაკავებული ფართობი არის 575,97მ<sup>2</sup>.

ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის(შენობა) კუთხის კოორდინატებია:

1. X-310946; Y-4674356;
2. X-310960; Y-4674350;
3. X-310954; Y 4674335;
4. X-310939; Y-4674342;

სამგზავრო და სატვირთო სადგურის შენობები გვერდიგვერდ მდებარეობს და ცუდ მდგომარეობაშია. სატვირთო სადგურის შენობა საქართველოს რკინიგზას ეკუთვნის. სამგზავრო სადგურში არ არის სალაროები.

სატვირთო სადგურიდან ხდება სატვირთო ვაგონების დახარისხება ქუთაისი I, ქუთაისი II და სამტრედიის მიმართულებით. სადგურს ექვემდებარება 10კმ-იანი სალიანდაგო ხაზი.

ობიექტის ტერიტორია მოპირკეთებულია, არის ღამის განათება, გამწვანებული ტერიტორია დაახლოებით 10%-ია.

საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რისთვისაც განთავსებულია ურნები, ხელშეკრულება გაფორმებულია ქუთაისის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურთან, რომელსაც კვირაში 2-ჯერ გააქვს დაგროვილი ნარჩენი.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგება ხდება მიმდებარე ჭაბურღილიდან. აღნიშნული ჭაბურღილიდან მარაგდება დასახლებული პუნქტები. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო წყლის რაოდენობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

აღებულია სინჯი წყლის მოკლე ქიმიური ანალიზისთვის.

სინჯი №7

სინჯის აღების კოორდინატები:

X - 310877;

Y - 4674337;

სადგურის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემა არ არსებობს. სატვირთო სადგურის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება ჭაში, მოცულობით 5მ<sup>3</sup> და ერთჯერადი ხელშეკრულების საფუძველზე იწმინდება წელიწადში დაახლოებით 2 -ჯერ.

ცალკეა სამგზავრო სადგურის საპირფარეშო, რისთვისაც მოწყობილია 2 ორმო, ჯამში 10მ<sup>3</sup> მოცულობით, რომელიც ასევე ერთჯერადი ხელშეკრულების საფუძველზე იწმინდება წელიწადში დაახლოებით 6-ჯერ.

ობიექტზე არ არის თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები ან ქვაბი. გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ტერიტორიაზე განთავსებულია 2 ტრანსფორმატორი, რომელიც რკინიგზის კუთვნილებაშია:

25/6კვ (გათბობა/განათებისთვის)-110ლ ზეთი.

63/10კვ (სცბ/სამორიგეოსთვის)-180ლ ზეთი.

ტრანსფორმატორები შემოუღობავია და არ არის განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნები.

ტერიტორიაზე არ არის ნავთობპროდუქტებით, ზეთებით ან სხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული უბნები.

#### 4.4.15.18 სადგური ბათუმი (სატვირთო)

ბათუმის სადგური მდებარეობს მისამართზე - ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის №2. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 1000მ<sup>2</sup>-ია.

ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატები:

1. X-721009; Y-4613651;
2. X-721005; Y-4613624;
3. X-720965; Y-4613632;
4. X-720968; Y-4613645;
5. X-720977; Y-4613643;
6. X-720980; Y-4613655;

სადგურის ტერიტორია შემოღობილია და განთავსებულია სამ სართულიანი შენობა. შენობა კარგ მდგომარეობაშია, არის ღამის განათება, გამწვანებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 30%-შეადგენს.

ბათუმის სატვირთო სადგურის საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

ხელშეკრულება გაფორმებულია ბათუმის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურთან. სადგური სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალით მარაგდება ქალაქის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან.

გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 102მ<sup>3</sup>-ია. ადმინისტრაციული შენობის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაედინება ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში.

ობიექტზე არ არის თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები. გათბობა ხდება ელექტროენერგიით.

ობიექტის ტერიტორიაზე არ არის საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი.

ობიექტის ტერიტორიაზე არ არის ნავთობპროდუქტებით, ზეთებით ან სხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული უბნები.

## 4.5 მგზავრთა გადაყვანის ფილიალის ინფრასტრუქტურა

### 4.5.1 თბილისის სალოკომოტივო დეპო

მგზავრთა გადაყვანის ფილიალის თბილისის სალოკომოტივო დეპო მდებარეობს ქ. თბილისში . დეპო უზრუნველყოფს მოძრავი შედგენილობის ექსპლუატაციასა და რემონტს.

მგზავრთა გადაყვანის ფილიალის თბილისის სალოკომოტივო დეპოს ტერიტორიაზე განლაგებულია ტექნოლოგიის, ენერგეტიკის მოწყობილობებით და ამწესატრანსპორტო საშუალებებით აღჭურვილი საწარმოო შენობები, საწყობები, ლიანდაგები და დამხმარე მოწყობილობები. დეპოში არის სათავსები მოძრავი შედგენილობის თავშესაფრად და ყველა სახის რემონტის ჩასატარებლად, დასათვალიერებლად და სხვა ოპერაციების ჩასატარებლად.

დეპოში ფუნქციონირებს შემდეგი საამქროები: პერიოდული შემოწმების საამქრო, ტექნიკური მომსახურების საამქრო, ელექტრომექანიკური (ლითონმჭრელი, საავტომატო), თუჯის ხუნდების ჩამოსხმის საამქრო და სხვ.

ელექტრომექანიკურ საამქროში ფუნქციონირებს 12 ლითონის საჩარხი. საამქროს მუშაობის პროცესში დიდი რაოდენობით გროვდება ლითონის წვრილი ნარჩენები (ლითონის ბურბუშეა). შეგროვებული ნარჩენები დღის ბოლოს გადააქვთ ეზოში მოწყობილ სანაყაროზე. წვევის ბლოკების დამუშავებისთვის გამოყოფილი ტერიტორია დაბინძურებულია დაღვრილი ზეთებით.

საკუმულატორო განყოფილებაში ხდება აკუმულატორების შემოწმება/შეკეთება. აკუმულატორების სითხე ნეიტრალიზაციის გარეშე პირდაპირ ჩაედინება კანალიზაციაში.

დენმიმღების შეკეთების უბანზე ასევე მიმდინარეობს სამღებრო სამუშაოებიც. ტერიტორიაზე დასაწყობებულია მცირე რაოდენობით ნარჩენი საღებავები და დასვრილი სპეცტანსაცმელი.

ბაბიტის ჩამოსხმის უბანზე მუშაობს 1 ელექტროღუმელი. ტყვის შემცველი ბაბიტის გადადნობა ხდება ელექტროღუმელში. საამქროში გამართულად მუშაობს სავენტიაციო სისტემა.

გოგონწყვილების (წყვილთვლების) საამქროში ძირითადად მიმდინარეობს გოგონწყვილების ჩარხვა. გოგონწყვილების ჩარხვა ასევე ხდება ადგილზეც, გოგონწყვილების მოხსნის გარეშეც. საამქროს გვერდით განთავსებულია გოგონწყვილების აღდგენის საამქრო. საამქროში დღეისთვის სამუშაოები არ მიმდინარეობს.

სამმართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ელმავლებისა და ელექტრომატარებლების თუჯის ხუნდების ჩამოსხმის საამქრო. საამქროში არის გამწოვი ვენტილაცია. ხუნდების დასამზადებლად ძირითადად გამოიყენება ქვიშა, თიხა და გრაფიტი. საამქროს ტერიტორიაზე რჩება თუჯის ნალვენთის ნარჩენები. ნარჩენებს აგროვებენ და ადნობენ ხელახლა. თუჯის საამქროს გვერდით ფუნქციონირებს სადურგლო საამქრო.

სამმართველოს ტერიტორიაზე ელმავლების ტექნიკური დათვალიერების პროცესის შემდეგ ხდება ელმავლების თვლების ზეთით დამუშავება. ზეთით დამუშავების ადგილას არ არის მოწყობილი ზეთშემკრები, შესაბამისად გამოყენებული ზეთი იღვრება ტექნიკური დათვალიერებისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე და პერიოდულად საჭიროებს ამოწმენდას.

საამქროს ნაწილში განთავსებულია სააკუმულატორო განყოფილება. სააკუმულატოროში მიმდინარეობს წყლის გამოხდა და გამოხდილი წყლის ჩამატება აკუმულატორებში. გამოიყენება მხოლოდ ტუტე აკუმულატორები. გამოუსადეგარი აკუმულატორები დასაწყობებულია საამქროს ერთ ნაწილში.

საამქროს ნაწილში მოწყობილია ვაგონების სამრეცხაო. ნარეცხი წყლები ჩაედინება კანალიზაციაში.

საამქროების ნაწილი გამოყენებულია სამღებრო სამუშაოების ინვენტარის განთავსებისთვის. ტერიტორიაზე არის დაღვრილი საღებავები, დასაწყობებული დაცლილი საღებავების ტარა და საღებავებით დასვრილი ჩვრები.

ადმინისტრაციული შენობის ეზოში გადის რკინიგზის ხაზი. რკინიგზის ხაზის გრუნტის ნაწილი დაბინძურებულია დაღვრილი ნავთობპროდუქტებით.

ვაგონებიდან ჩამოცლილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები გროვდება ბუნკერებში და ხელშეკრულების საფუძველზე გააქვს მუნიციპალური დასუფთავების სამსახურს.

სამმართველოს ეზოს ფარგლებში მოწყობილია ჯართის სანაყარო. სანაყაროზე გროვდება სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში წარმოქმნილი ლითონის „ბურბუმელას“ ნარჩენები და გამოუსადეგარი ლითონის ნაწილები.

ეზოს ტერიტორიაზე განთავსებულია გაუქმებული წყლის რეზერვუარი. რეზერვუარის ქვემოთ ნიადაგი დაბინძურებულია ზეთებით. აღნიშნული ტერიტორია საჭიროებს გაწმენდას.

დეპოს არ გააჩნია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების დადგენილი წესით შეთანხმებული დოკუმენტაცია. არ ხდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და არ გააჩნიათ შესაბამისი მარკირებული კონტეინერები. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პ/პირი.

**სურათი 4.6.1.1.**



გაუქმებული წყლის რეზერვუარი



დაბინძურებული უბანი

#### 4.5.2 მგზავრთა გადაყვანის ფილიალის თბილისის სავაგონო-საექსპლუატაციო დეპო

თბილისის სავაგონო-საექსპლუატაციო დეპო მდებარეობს ქ. თბილისში, ასკურავას ქ N1-ში. დეპოს ძირითად დანიშნულებას სამგზავრო ვაგონების ტექნიკურ-სანიტარული მომზადება წარმოადგენს. სამუშაოები აგრეთვე მოიცავს ვაგონების გაწმენდას, ვაგონებიდან შეგროვებული ნარჩენების გატანას.

ეზოში მოწყობილია თბილისის სამგზავრო მატარებლების ტექნიკური მომსახურების პუნქტი. პუნქტზე შემოსული ვაგონები ამწე მექანიზმით იწევა და პირველადი დათვალიერების შემდეგ გადის შეკეთების პროცესს. დეტალები, რომლებიც აღარ ექვემდებარება შეკეთებას იხსნება და ინახება ტექნიკური დათვალიერების პუნქტის მიმდებარედ დასაწყობებულ ლითონის კონტეინერებში. კონტეინერებში დღეისათვის ძირითადად შენახულია ლითონის დეტალები, რეზინის ნარჩენები, თუჯის და კომპოზიტური ხუნდები, გამოუსადეგარი გოგორ წყვილები, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ლითონის ნაჭრები და სპეცტანსაცმელი. ლითონის მცირე კონტეინერების უმეტესობა დალუქულია. ტექნიკური მომსახურების პუნქტის ტერიტორიაზე ნიადაგი დაბინძურებულია დაღვრილი ნავთობპროდუქტებით.

დეპოში შემოსული ვაგონების დალაგება ხორციელდება მშრალი წესით. ვაგონიდან ჩამოვლილი ნარჩენების შეგროვება ხდება ეზოს ფარგლებში მოწყობილ სანაყაროზე. სანაყარო გამოიყენება გამოყენებული მურა ნახშირის დასაწყობებისთვის. სანაყაროს მიმდებარედ განთავსებულია ბუნკერები საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისთვის და შემდეგ გაქვს მუნიციპალური დასუფთავების სამსახურს.

დეპოს შენობაში ფუნქციონირებს მექანიკური საამქრო. საამქროში განთავსებულია 1 საბურღი, 1 საჩარხი და 1 სალესი დაზგა. ოთახში არ არის მოწყობილი სავენტილაციო სისტემა.

საამქროს გვერდით განთავსებულია სააკუმულატორო ოთახი. აკუმულატორებს ამატებენ გამოხდილ წყალს და გამოხდილ წყალში გახსნილ ტუტე-კალიუმის ხსნარს. სააკუმულატორო ოთახის ნაწილი გამოყენებულია უვარგისი აკუმულატორების დასაწყობებისთვის. დღეისთვის დასაწყობებული აკუმულატორების რაოდენობა შეადგენს ≈300 ცალს. სააკუმულატორის ნაწილში, მუყაოს ყუთებში შეგროვებულია გამოცვლილი ვარვარა და ლუმინესცენტური ნათურები.

დეპოს ტერიტორიაზე განთავსებულია 3 სასაწყობე მეურნეობა. საწყობების უმეტესი ნაწილი გამოყენებულია დასუფთავების და ჰიგიენური ნივთების დასაწყობებისთვის. საწყობის ერთ ნაწილში დასაწყობებულია გამოუსადეგარი ლითონის დეტალები.

შენობის ნაწილში გაუქმებული სამრეცხაოს ტერიტორიაზე დასაწყობებულია ძველი გამოუყენებელი ლეიბები, ბალიშები და თეთრეული.

დეპოს არ გააჩნია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების დადგენილი წესით შეთანხმებული დოკუმენტაცია. არ ხდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და არ გააჩნიათ შესაბამისი მარკირებული კონტეინერები. არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პ/პირი.

**სურათი 4.6.2.1.**



დასაწყობებული ძველი ლეიბები და ბალიშები



მურა ნახშირის და საყოფაცხოვრებო ნარჩენების სანაყარო

**4.5.3 მგზავრთა გადაყვანის ფილიალის ქუთაისის სალოკომოტივო დეპო**

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს მგზავრთა გადაყვანის ფილიალის მოძრავი შემადგენლობისა და ინფრასტრუქტურის დარგის ტექნიკური დეპარტამენტის ქუთაისის სალოკომოტივო დეპო მდებარეობს ქ. ქუთაისში, ხაბეიშვილის II-ე შესახვევის №4-ში.

დაკავებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 11300 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-311434; Y-4680725;
2. X-311427; Y-4680690;
3. X-311391; Y-4680696;
4. X-311389; Y-4680596;
5. X-311345; Y-4680580;
6. X-311327; Y-4680559;
7. X-311306; Y-4680565;
8. X-311366; Y-4680770;
9. X-311378; Y-4680765;
10. X-311379.; Y-4680738;

დეპოს ტერიტორიაზე წარმოებს სამგზავრო ვაგონების რეცხვა და ელმავლების გეგმიური და არაგეგმიური შეკეთება.

ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს ტერიტორიაზე განთავსებულია: ძრავა-ვაგონიანი სექციების შემკეთებელი საამქრო, სადაც ხდება შედუღება საჭიროებისამებრ; ტექნიკური დათვალიერების საამქრო, სადაც დასათვალიერებელი თხრილებია მოწყობილი; მექანიკური საამქრო, სადაც ხდება დეტალების დამუშავება და წყვილთვლების საჩარხი უზანი, სადაც ხდება წყვილთვლების შეკეთება. ობიექტის ტერიტორიაზე ადრე მოწყობილი იყო ქვიშის საშრობი ინფრასტრუქტურა, რომელიც ამჟამად აღარ ფუნქციონირებს.

ობიექტის მფლობელობაშია 5 ელმავალი (მუშა მდგომარეობაში მყოფი).

დეპოს ტერიტორიაზე ელმავლების რეცხვა ხდება სასმელი წყლით, სამრეცხაოსთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოწყობილი არ არის, ნარეცხი წყალი ჩადის ჭებში იკრიბება და ჩაედინება ქ. ქუთაისის კოლექტორში.

დეპოს ტერიტორია არ არის შემოღობილი. ინფრასტრუქტურა წარმოდგენილია ძველი შენობებით. ძრავა-ვაგონიანი სექციების შემკეთებელი საამქროს შენობის სახურავი დაზიანებულია და ზოგიერთ ადგილზე წყალი ჩამოდის. ადმინისტრაციის შენობა ძრავა-ვაგონიანი სექციების შემკეთებელი საამქროდან მოშორებით არის განთავსებული. ტერიტორიაზე არის ღამის განათება. გამწვანება დაახლოებით 10 %-ია.

ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებია აკუმულატორები, ასევე, საყოფაცხოვრებო ნარჩენები, მეტალის ბურბუშეა. ტერიტორიაზე ღიად არის დასაწყობებული ნავთობპროდუქტების ცარიელი კასრები, ასევე აზბესტშემცველი სახურავის ნარჩენები, ლითონის ნარჩენები. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული ქუთაისის მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. ნარჩენების მართვაზე გამოყოფილი 3/3 არ არის.

მექანიკურ საამქროში განთავსებულია ჩარხ დანადგარები, რომლებიც გამოიყენება ლითონის დამუშავებისთვის: 2 ერთეული საბურღი ჩარხი, სახარატო დაზგა K-62, დომკრატი. ხიდურა ამწე განთავსებულია-ძრავა-ვაგონიანი სექციების შემკეთებელ საამქროში. საჩარხ უბანზე განთავსებულია წყვილთვლების გამოუგორებლად საჩარხი დანადგარი A-41. ვენტილაციის სისტემა არ არის. შედუღების პოსტი განთავსებულია ძრავა-ვაგონიანი სექციების შემკეთებელ საამქროში, სადაც შედუღება ხდება საჭიროებისამებრ. გამოყენებული ელექტროდების რაოდენობა თვეში შეადგენს დაახლოებით 4 კგ-ს. ვენტილაციის სისტემა არ არის მოწყობილი.

დეპოს შენობების გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით, 60-70 მ<sup>3</sup>-ია. სან. კვანძის ტერიტორიაზე არის წყლის 2 მიწისზედა ჰორიზონტალური რეზერვუარი, 16 მ<sup>3</sup> და 5 მ<sup>3</sup> მოცულობის.

სამგზავრო ვაგონების სამრეცხაო ტერიტორიაზე ვაგონები ირეცხება შიგნიდან და გარედან. ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენებული წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 230-240 მ<sup>3</sup>.

სამეურნეო-ფეკალური წყლები ჩართულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში. დეპოს ტერიტორიასთან საკმაოდ ახლოს არის საცხოვრებელი სახლები, რომლებიც განლაგებულია ფერდობზე. მოსახელობის საკანალიზაციო სისტემა მოძველებულია და მწყობრიდან გამოსული, ადგილი აქვს დეპოს ტერიტორიის სამეურნეო-ფეკალური წყლებით დაბინძურებას.

ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება სამგზავრო ვაგონების რეცხვის შედეგად, წყლის დამაბინძურებელი ძირითადი კომპონენტებია: ზეთები და ნავთობპროდუქტები, ვაგონების გარეცხვისთვის გამოყენებული სხვადასხვა სარეცხი საშუალებები. ვაგონების სამრეცხაოს ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ნარეცხი წყალი პირდაპირი გზით ხვდება ნიადაგზე და შემდგომ ჩადის სანიაღვრე სისტემის ჭებში. ტერიტორია არ არის დაფარული მყარი საფარით. ობიექტის ტერიტორიაზე არ ხდება ჩამდინარე წყლის გაწმენდა, ჭებში მოხვედრილი წყალი პირდაპირ ჩადის დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში.

დეპოს ტერიტორიაზე შემორჩენილია ძველი ნავთობდამჭერი, რომელიც მწყობრიდან არის გამოსული და არ ფუნქციონირებს. გამწმენდი დაბინძურებულია სხვადასხვა სახის ნარჩენებით (ნავთობპროდუქტები, საყოფაცხოვრებო ნარჩენები).

ობიექტის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნებს წარმოადგენს სალიანდაგო ხაზი, საიდანაც შედის ლოკომოტივები ძრავა-ვაგონიანი სექციების შემკეთებელ საამქროში.



ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული სალიანდაგო ხაზი



ასბესტშემცველი ნარჩენები დეპოს ტერიტორიაზე

#### 4.5.4 ბათუმის სავაგონო დეპო

ბათუმის სავაგონო დეპო მდებარეობს ქ. ბათუმში, ქიქავას №7-ში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობია 13000 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-721515; Y-4613859;
2. X-721268; Y-4613797;
3. X-721280; Y-4613765;
4. X-721410; Y-4613796;
5. X-721416; Y-4613780;
6. X-721437; Y-4613782;
7. X-721444; Y-4613760;
8. X-721483; Y-4613771;
9. X-721480; Y-4613787;
10. X-721528; Y-4613799;

ბათუმის სავაგონო დეპოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ვაგონების მიმდინარე და გეგმიური შეკეთება. სავაგონო დეპოს ტერიტორიაზე განთავსებულია:

- ადმინისტრაციული შენობა;
- ვაგონების ტექნომსახურების პუნქტი, სადაც სპეციალური ჯგუფი უზრუნველყოფს ვაგონების ტექნიკურ შემოწმებას;
- საკომპრესოროს შენობა;
- სავაგონო დეპოს შენობა, სადაც უშუალოდ მიმდინარეობს ვაგონების შეკეთება და შეკეთებისთვის საჭირო პროცესები;
- სამეურნეო საამქრო, სადაც განთავსებულია სადურგლო ოთახი;
- სამჭედლო;
- გასახდელი და საშხაპე მომსახურე პერსონალისათვის;
- იარაღების და ხელსაწყოების საწყობი ოთახები;
- სასადილოს შენობა;
- სატრანსფორმატოროს შენობა, სადაც განთავსებულია ტრანსფორმატორები;
- ავტომობილების ფარეხი და საკუჭნაო.

უშუალოდ სავაგონო დეპოს შენობა შედგება (სადაც მიმდინარეობს ვაგონების შეკეთება):

- წყვილთვლების საამქროსგან;
- ამწყობი საამქროსგან;
- მონტაჟის უბნისგან;
- საკისარების შეკეთებისა და შემოწმების განყოფილებისაგან;



- საწყობისგან; სამუშაო ოთახებისგან;
- ტრიანგელების შემკეთებელი უბნისგან;
- სახარატო განყოფილებისგან;
- არმატურის შემკეთებელი უბნისგან;
- ავტოგადაბმულობის საამქროსგან;
- ამწყობი საამქროს ფარდულისგან;
- ხიდურა ამწყობისგან (10 და 20 ტონიანი) და ელ.დომკრატებისგან.

დეპოს ტერიტორია შემოღობილია ნაწილობრივ, ღამის განათება არის. გამწვანება დაახლოებით 30 %-ია.

ობიექტის საქმიანობიდან გამომდინარე ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად წარმოიქმნება, ლითონის ბურბუშელა, მეორადი ზეთები, ლითონის ჯართი და სხვ. ტერიტორიაზე ნარჩენების სახით დასაწყობებულია მწყობრიდან გამოსული სარელსო ტრანსპორტი, ლითონის ჯართი და სხვა. ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „ბათუმის სანდასუფთავება“-სთან. ობიექტზე ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი კ/პ არ არის.

ბათუმის სავაგონო დეპოს ტერიტორიაზე მდებარე ვაგონების ტექნომსახურების პუნქტის შენობაში, სააკუმულატორო ოთახში (პატარა ხელის აკუმულატორები-მეშახტის ფანარი) არის ვენტილაციის სისტემა. გაფრქვევა ხდება 20 სმ დიამეტრის მქონე მილით, დაახლოებით 10 მეტრის სიმაღლეზე.

დეპოს სამჭედლოში არის სადნობი ღუმელი, რომელიც გამოიყენება ლითონის დამუშავებისათვის. სადნობი ღუმელის ენერჯის წყაროს წარმოადგენს ქვანახშირი. გამოყენებული ქვანახშირის ხარჯი თვიურად დაახლოებით 250-300 კგ-ა. სადნობი ღუმელიდან ნამწვი აირების გაფრქვევა ხდება 35 სმ დიამეტრის მქონე მილით, დაახლოებით 14 მეტრის სიმაღლეზე.

სადურგლოში არის 4 დანადგარი (სახერხი, სალაშინი, საკოტავი), სადურგლოში წელიწადში დაახლოებით 10-15 მ<sup>3</sup> მასალა მუშავდება. ნარჩენის სახით რჩება დაახლოებით 80 კგ-მდე ნახერხი. ოთახში არის ვენტილაცია, კვადრატული მილით (პარამეტრებით -40X40 სმ) ხდება გაფრქვევა დაახლოებით 5 მეტრის სიმაღლეზე.

ცალკე სახარატო ოთახი, სადაც წარმოდგენილია ლითონის დამუშავების ჩარხ-დანადგარები: საფრეზი ჩარხი (6P82), საბურღი ჩარხი (HC-12), ქანჩსაჭრელი ჩარხი (1K62), საღარავი ჩარხი (P3650), სალესი დანადგარი (3B633).

წყვილთვლების საამქროში არის თვითნაკეთი საკისარებისა და ბუქსების დანადგარი. ასევე, 2 ერთეული წყვილთვლების საჩარხი დაზგა (1836A და UBB-112). არის ვენტილაცია. გაფრქვევა ხდება 20X25 სმ კვადრატული მილით, დაახლოებით 2.5 მეტრის სიმაღლეზე.

საკომპრესორო ოთახში არის 2 სატაციონარული ჰაერის კომპრესორი - 2BM2,5-12/9 და 2 კომპრესორი -HBჰ-10.07M.

შედულების საამქროში არის შედულების პოსტი და ავტოგადაბმულობის საამქრო (შედულების პოსტი)- სადაც, ელექტროშედულების შემდეგ ხდება ლითონის დამუშავება. შედულების პოსტიდან ნამწვი აირების გაფრქვევა ხდება 30 სმ დიამეტრის მილით, რომლის სიმაღლე დაახლოებით 3 მ-ია. ავტოგადაბმულობის საამქროშიც არის შედულების პოსტი, საიდანაც ნამწვი აირები გაიფრქვევა კვადრატული მილით, პარამეტრებით 25X25 სმ, დაახლოებით 7 მეტრის სიმაღლეზე. წლიურად გამოყენებული ელექტროდების რაოდენობა 3842 კგ-ია.

თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამათბობელი ან გათბობის ქვაბი ტერიტორიაზე არ არის. გათბობა ხდება ელექტროენერჯიაზე მომუშავე გამათბობლებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა თვიურად დაახლოებით 100-150 მ<sup>3</sup>-ს შეადგენს.

სავაგონო დეპოში ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება ხდება წყვილთვლების საამქროში-ბოქსების და საკისრების სარეცხ დანადგარში, წყალი შესაძლოა გამოყენებულ იქნას ვაგონების დეტალების გასარეცხად. ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენებული წყლის რაოდენობა თვეში დაახლოებით 150-200 მ<sup>3</sup>-ია.

სამეურნეო ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება დაახლოებით 20 მ<sup>3</sup> მოცულობის სასენიზაციო ორმოში, რომელიც იწმინდება წელიწადში დაახლოებით ორჯერ, შესაბამის სამსახურთან ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოო ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება საკისრების და ბოქსების სარეცხი დანადგარიდან წყლის გამოცვლის შედეგად, წყალი სარეცხი დანადგარებიდან დაახლოებით თვეში ერთხელ იცვლება. წყლის დამბინძურებლებს წარმოადგენს ზეთები, ნავთობპროდუქტები, საპოხი მასალების შემადგენელი ნივთიერებები. საწარმოო ჩამდინარე წყლების ხარჯი თვეში დაახლოებით 1 მ<sup>3</sup> შეიძლება იყოს. დანადგარებიდან გამოცვლილი წყალი მიდის სანიაღვრე არხში, რომელიც გაივლის სავაგონო დეპოს ტერიტორიაზე და შემდგომ ჩაედინება გამწმენდ დანადგარში, რომელიც მდებარეობს ბათუმის პორტის ტერიტორიაზე. სანიაღვრე არხში ჩაედინება საშხაპეში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლებიც.

სავაგონო დეპოს ტერიტორიაზე გადის სანიაღვრე არხი, რომელიც მიუყვება რკინიგზას და საბოლოოდ ჩადის ბათუმის პორტში მდებარე გამწმენდ ნაგებობაში. რაც შეეხება სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ფართობს, უშუალოდ ტერიტორიაზე ასეთი რისკის მქონე უბნები არ არის, სანიაღვრე წყლებში მოხვედრილი წყლები რომლებიც ბოქსების და საკისრების სარეცხი დანადგარიდან ისხმება ზეთებით და ნავთობპროდუქტების სხვადასხვა დამბინძურებლებით იქნება დაბინძურებული, მაგრამ წყალი მხოლოდ სანიაღვრე არხში ხვდება და არ მოიცავს რაიმე კონკრეტულ ფართობს დეპოს ტერიტორიაზე. პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის მიერ სანიაღვრე არხის დაბინძურება სამურნეო-ფეკალური წყლებით და მომსახურე პერსონალის უსიამოვნო სუნით შეწუხება.

ობიექტის ტერიტორიაზე არის სატრანსფორმატორო, სადაც განთავსებულია 2 ძალოვანი ტრანსფორმატორი 400/6, ერთი სარეზერვო ტრანსფორმატორია. ზეთის ტევადობა თითოეულში 350 კგ-ია. ტრანსფორმატორები განთავსებულია გადახურულ შენობაში, რომელიც არის ჩაკეტილი და იზოლირებული მომსახურე პერსონალისაგან.

ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული უბნები არ შეიმჩნევა.

## 4.5.5 სადგურები

### 4.5.5.1 სამტრედიის სამგზავრო სადგური

სამტრედიის სამგზავრო სადგური (სერვის ცენტრი) მდებარეობს ქ. სამტრედიაში, თამარ მეფის №3-ში. შენობის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი 2700 მ<sup>2</sup>-ია, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X- 280585; Y- 4671124;
2. X- 280596; Y- 4671101;
3. X- 280483; Y- 4671071;
4. X- 280482; Y- 4671096;
5. X- 280510; Y- 4671102;

6. X- 280512; Y- 4671112
7. X- 280550; Y- 4671121;
8. X- 280553; Y- 4671112;

სამტრედიის სამგზავრო სადგური ემსახურება მგზავრთა გადაყვანას.

ობიექტის ტერიტორია კეთილმოწყობილია, მოპირკეთებულია ფილებით. სადგურის შენობის გვერდით არის სკვერი. გამწვანებული ტერიტორია დაახლოებით 10%-ია.

ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ძირითადი ნარჩენებს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ნარჩენები. სადგურის შენობაში და ტერიტორიაზე განთავსებულია ურნები, რომელიც გააქვს ქალაქის დასუფთავების სამსახურს, ხელშეკრულების საფუძველზე.

სამგზავრო სადგური სასმელი წყლით მარაგდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში.

თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი არ აქვთ შენობაში. გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ტერიტორიაზე სატრანსფორმატორო ქვესადგური არ არის.

ობიექტის ტერიტორიაზე ზეთით, ნავთობპროდუქტებით და სხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.5.5.2 წიფის რკინიგზის სადგური

წიფის რკინიგზის სადგური მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ წიფაში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი 2165 მ<sup>2</sup>, რომლის კუთხის კოორდინატებია:

1. X-370652; Y-4650863;
2. X-370644; Y-4650873;
3. X-370671; Y-4650877;
4. X-370680; Y-4650877;

ობიექტის ტერიტორია არ არის კეთილმოწყობილი. ტერიტორიის გამწვანებული ფართობი მიახლოებით 40%-ია.

ობიექტზე საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ ძირითად ნარჩენებს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ნარჩენები. სადგურის ტერიტორიაზე განთავსებულია პატარა ურნები, რომელიც გააქვს მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურს.

ობიექტის წყალმომარაგება ხდება წყაროს წყლით, რომელიც დაკაპტაჟებულია. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობის შესახებ მონაცემები არ არის.

ტერიტორიაზე ორი საასენიზაციო ორმოა, ერთი ახალი აშენებული (ბეტონის ორმო, მოცულობა დაახლოებით 2 მ<sup>3</sup>), ხოლო მეორე ძველი (მიწის ორმო, მოცულობა დაახლოებით 6 მ<sup>3</sup>).

გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ობიექტის ტერიტორიაზე ორი ტრანსფორმატორია. ტრანსფორმატორზე ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული, სავარაუდოდ ტრანსფორმატორების მონაცემებია: КТП 67/10, 160-კვტ, ზეთის

რაოდენობა 195 კვ. ერთი ტრანსფორმატორი შემოღობილია ხის ღობით, ხოლო მეორე ტრანსფორმატორზე არ არის დაცული უსაფრთხოების წესები.

ობიექტის ტერიტორიაზე ზეთით, ნავთობპროდუქტებით და სხვა დამაბინძურებლებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.5.5.3 სადგური გორი

გორის სადგური მდებარეობს ქ. გორში, გორიჯვრის ქ. №19. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი 2163 მ<sup>2</sup>-ია.

სადგურის კოორდინატებია:

1. X - 4216182; Y - 4647081;
2. X - 426132; Y - 4647121;
3. X - 426149; Y - 4647138;
4. X - 426193; Y - 4647096;

ობიექტის ტერიტორია კეთილმოწყობილია, მოპირკეთებულია ფილებით. ტერიტორიის გამწვანებული ფართობი მიახლოებით 10%-ია.

ობიექტზე საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ ძირითად ნარჩენებს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო და საკანცელარიო ნარჩენები. სადგურის ტერიტორიაზე განთავსებულია ურნები, ნარჩენები გააქვს ქალაქის დასუფთავების სამსახურს.

ობიექტს სასმელ-სამეურნეო წყლით ამარაგებს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.

გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა დაახლოებით 10მ<sup>3</sup>/თვეში. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში.

თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი არ აქვთ შენობაში. გათბობა ძირითადად ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით. ასევე, შენობაში არის ერთი, ბუნებრივ აირზე მომუშავე გამათბობელი, ხარჯით დაახლოებით 0.47 მ<sup>3</sup>/სთ. ტერიტორიაზე სატრანსფორმატორო ქვესადგური არ არის.

ობიექტის ტერიტორიაზე ზეთით, ნავთობპროდუქტებით და სხვა დამაბინძურებლებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.5.5.4 სადგური ვალე

ვალეს რკინიგზის სადგური მდებარეობს - ქ. ვალე, მეორე შახტის დასახლებაში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი 26103 მ<sup>2</sup>-ია.

სადგურის შენობის კოორდინატი:

1. X - 324845; Y - 4611754;
2. X - 324823; Y - 4611763;
3. X - 324827; Y - 4611773;
4. X - 324848; Y - 4611764;

ობიექტის ტერიტორია არ არის კეთილმოწყობილი. სადგურის შენობა ძველია და ძალიან ცუდ მდგომარეობაშია; გამწვანებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 20%-ს შეადგენს.

საქმიანობის პროცესში ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომელიც მოსახლეობის ნარჩენებთან ერთად გააქვს ქალაქის დასუფთავების სამსახურს.

ტერიტორიის ნარჩენებით დაბინძურება არ ფიქსირდება. ობიექტზე საჭირო წყალი მოაქვთ მოსახლეობიდან. მოსახლეობა მარაგდება მდ. ფოცხოვისწყლის წყლით. გამოყენებული წყალი იღვრება ტერიტორიაზე.

მომსახურე პერსონალის მიერ გამოყენებული წყალი დაახლოებით 6-7 მ<sup>3</sup>/წელ. ფეკალური მასები გროვდება საასენიზაციო ორმოში, რომლის მოცულობა უცნობია, ორმო არაჰერმეტიულია.

თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი არ არის შენობაში. გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით, არის ასევე შეშის ღუმელი.

ობიექტზე არის ტრანსფორმატორი, რომელზეც ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული, სავარაუდოდ ტრანსფორმატორის მონაცემებია: КТП 67/10, 160-კვტ, ზეთის რაოდენობა 195 კგ. უსაფრთხოების ზომები არ არის დაცული. ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტებით და ზეთებით დაბინძურება არ ფიქსირდება.

#### 4.5.5.5 სადგური კავთისხევი

კავთისხევის რკინიგზის სადგური მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში - სოფ. კავთისხევი თამარ მეფის გამზირი №15. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი 63729 მ<sup>2</sup>-ია. შენობის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი 240 მ<sup>2</sup>.

სადგურის შენობის კოორდინატი:

1. X - 456679; Y - 4638963;
2. X - 456685; Y - 4638976;
3. X - 456695; Y - 4638972;
4. X - 456689; Y - 4638959;

რკინიგზის ბაქნის ტერიტორია მოპირკეთებულია ფილებით, ხოლო შენობა ნაგებობები არ არის კეთილმოწყობილი. გამწვანებული ტერიტორია მიახლოებით 30%-ია. არის ღამის განათება.

ობიექტზე საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ ძირითად ნარჩენებს, წარმოადგენს საყოფაცხოვრებო, საოფისე ნარჩენები. ნარჩენები გააქვს ქალაქის დასუფთავების სამსახურს მოსახლეობის ნარჩენებთან ერთად.

წყალმომარაგება არ არის. წყალი პერსონალს მოაქვს დასახლებული პუნქტებიდან. მოხმარებული წყალი იღვრება ტერიტორიაზე.

ფეკალური მასები გროვდება საასენიზაციო ორმოში, რომლის მოცულობა და ჰერმეტიულობა უცნობია, მისი გასუფთავება ხდება წელიწადში ერთხელ.

თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი ან გათბობის ქვაბი არ არის შენობაში. ძირითადად გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით. სადგურს ელექტროენერგიით ამარაგებს „ენერგო-პრო ჯორჯია“.

ობიექტის ტერიტორიაზე ზეთით, ნავთობპროდუქტებით და სხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### 4.5.5.6 სადგური მარელისი

მარელისის რკინიგზის სადგური მდებარეობს ხარაგაულის რაიონ სოფელ მარელისში. ობიექტის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი 32 611 მ<sup>2</sup>-ია.

სადგურის შენობის კოორდინატი:

1. X- 358850; Y- 4648468;
2. X – 358855; Y – 4648482;
3. X – 358878; Y – 4648472;
4. X – 358874; Y – 4648460;

ობიექტის ტერიტორია არ არის კეთილმოწყობილი. ტერიტორიის გამწვანებული ფართობი მიახლოებით 40%-ია.

ობიექტზე საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ ძირითად ნარჩენებს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო და საკანცელარიო ნარჩენები. სადგურის ტერიტორიაზე განთავსებულია ურნები, დაგროვილი ნარჩენი გააქვს მუნიციპალიტეტის დასუფთავებას.

ობიექტის წყალმომარაგება ხდება წყაროს წყლით, რომელიც დაკაპტაჟებულია. მოხმარებული წყლის რაოდენობის შესახებ მონაცემები არ არის.

ფეკალური მასები გროვდება საასენიზაციო ბეტონის ორმოში, რომლის მოცულობა უცნობია.

თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი არ აქვთ შენობაში. გათბობა ხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით.

ობიექტის ტერიტორიაზე გვერდიგვერდ ორი ტრანსფორმატორია, ერთით სარგებლობს ობიექტი, ხოლო მეორე ტრანსფორმატორით სოფ. მარელისი. ტრანსფორმატორზე ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული, სავარაუდოდ ტრანსფორმატორის მონაცემებია: КТП 67/10, 160-კვტ, ზეთის რაოდენობა 195 კგ. უსაფრთხოების ზომები არ არის დაცული.

ობიექტის ტერიტორიაზე ზეთით, ნავთობპროდუქტებით და სხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული უბნები არ გვხვდება.

#### **4.6 სარკინიგზო მაგისტრალის დერეფნებში არსებული მდინარეების და ბუნებრივი ხევების გადაკვეთის წერტილების აუდიტის შედეგები**

აუდიტის პროცესში ჩატარებული იქნა ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი სარკინიგზო მაგისტრალის დერეფნებში არსებული მდინარეების და ბუნებრივი ხევების გადაკვეთის წერტილების დათვალიერება და არსებული მდგომარეობის დაფიქსირება. შესრულებული სამუშაო მიზნად ისახავდა გადაკვეთის წერტილებში არსებული ხიდების და მილხიდების ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გარემოსდაცვითი რისკების შეფასება, კერძოდ: აუდიტის პროცესში შეწავლილი იქნა ხიდების მილხიდების განთავსების ადგილებზე მდინარეების და ბუნებრივი ხევების კალაპოტების მდგომარეობა მეწყრული და ეროზიული პროცესების იდენტიფიცირების მიზნით, ასევე ხიდებისა და მილხიდების წყალგამტარი ღიობების ცვლილება საპროექტო პარამეტრებთან შედარებით. კვლევის პერიოდში სულ შესწავლილი იქნა 298 გადაკვეთის წერტილი, შედეგები მოცემულია დანართში N1.

კვლევის შედეგების მიხედვით უმრავლეს გადაკვეთის წერტილებში დაფიქსირებული იქნა ხიდებისა და მილხიდების გამტარიანობის შემცირების ფაქტები, რაც გამოწვეულია მცენარეული საფარის არსებობით, მყარი ნატანის დაგროვებით და ხშირ შემთხვევაში საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უსუსტემოთ ჩაყრით. ხიდებისა და მილხიდების გამტარიანობის შემცირებამ წყალუხვობის პერიოდში შესაძლებელია გამოიწვიოს წყლის გატარების შეზღუდვა, რაც დააზიანებს სარკინიგზო მაგისტრალს და მის მიმდინარე ინფრასტრუქტურას. ყოველივე აღნშნული ქმნის ავარიული შემთხვევების და შესაბამისად გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მაღალ რისკებს.

დანართ N1-ში მოცემულ ცხრილში გადაკვეთის ყველა წერტილის მდგომარეობის აღწერასთან ერთად მოცემულია ინფორმაცია, თითოეულ კონკრეტულ წერტილში გასატარებელი ტექნიკური ღონისძიების შესახებ.

## 5 საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი გარემოზე ზემოქმედების რისკების ანალიზი

### 5.1 ზოგადი მიმოხილვა

მიმდინარე საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი რისკების განსაზღვრისათვის და ზემოქმედების მასშტაბების შესაფასებლად გაანალიზდა მიმდინარე საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესი, გათვალისწინებული იქნა ეკოლოგიური აუდიტის დროს მოგროვილი ინფორმაცია გარემოს ფონური მდგომარეობის და ფაქტიური გარემოსდაცვითი გარემოებების შესახებ. აღნიშნულის საფუძველზე განისაზღვრება გარემოში მოსალოდნელი ცვლილებების მასშტაბები და გავრცელების არეალი, გამოვლინდა ამ ზემოქმედების მიმდები ობიექტები - რეცეპტორები და შეფასდება მათი მგრძობელობა. ზემოქმედების მნიშვნელოვნების განსაზღვრის შემდეგ კი დადგინდება შემარბილებელი ზომების საჭიროება.

მიმდინარე საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებია:

- ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, მათ შორის მოძრავი შემადგენლობებიდან არასასიამოვნო სუნის გავრცელება;
- ხმაურის ზენომარული გავრცელება;
- ზედაპირული და გრუნტის წყლების, ასევე გრუნტის (ნიადაგის) დაბინძურების რისკები;
- ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე;
- ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება;
- ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები და ა.შ.

წინამდებარე ანგარიშის მე-4 პარაგრაფში განხილულია სს „საქართველოს რკინიგზას დაქვემდებარებაში არსებული ძირითადი ინფრასტრუქტურის მოკლე მიმოხილვა და თითოეული ობიექტის საქმიანობის სფეციფიკიდან გამომდინარე გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების სახეები. ცალკეული ობიექტისათვის განსაზღვრულია გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიის წყაროები, ჩატარებულია ობიექტების ტერიტორიებზე არსებული ნარჩენების სახეობრივი და რაოდენობრივი შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებებით და მავნე ნივთიერებები დაბინძურებული ტერიტორიები და სხვა.

ქვემოთ მოცემულია თითოეულ გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად შემოღებული კრიტერიუმები, ზემოქმედების დახასიათება და შემოღებული კრიტერიუმების გამოყენებით ზემოქმედების მნიშვნელოვნების და მასშტაბების დადგენა, ასევე შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და ამ შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით მოსალოდნელი ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება და მასშტაბები.

### 5.2 ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე

სს საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურული ობიექტების ეკოლოგიური აუდიტის ფარგლებში ჩატარდა ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების იდენტიფიცირების და მათი პარამეტრების დადგენის სამუშაოები.

ზოგადად შედიძლება ითქვას, რომ სს „საქართველოს რკინიგზა“-ს დაქვემდებარებული ინფრასტრუქტურის ობიექტები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების მაღალი

რისკებით არ გამოირჩევა. სხვადასხვა ობიექტებზე განთავსებულია მხოლოდ მცირე სიმძლავრის თუჯის სადნობი ღუმელები, სამჭედლო საამქროები, ლითონის დამუშავების მექანიკური საამქროები და სადურგლო საამქროები. ზოგიერთი ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილია საწვავ-საპოხი მასალების დასაწყობების ადგილები და საწვავის და ზეთების შესანახი რეზერვუარები.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე უმნიშვნელო ზემოქმედებით გამოირჩევიან: სამგზავრო და სატვირთო სადგურები, სცბ-ები, ენერგომომარაგების სამმართველოები და მათ დაქვემდებარებაში მყოფი ცენტრები, წვევის ქვესადგურები, ელექტრომომარაგების რაიონები და რაიონებს დაქვემდებარებული განათების ჯგუფები. აღნიშნული ინფრასტრუქტურული ობიექტები ეწევიან მცირე ტექნიკურ/სარემონტო სამუშაოებს, რომლის დროსაც ადგილი არ აქვს (თუ არ ჩავთვლით წვევის ქვესადგურებიდან მყავაზე მომუშავე აკუმულატორების ოთახის ვენტილაციის მცირე გაფრქვევას) ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედებას.

ეკოლოგიური აუდიტის პროცესში აღნიშნულ ობიექტებზე არ დაფიქსირებულა თხევად, აირად ან მყარ საწვავზე მომუშავე საქვებზე მეურნეობა ან სხვა სახის გამათბობლები, სათავსების გასათბობად უპირატესად გამოყენებულია ელექტროენერგია. საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე ობიექტებს არ გააჩნიათ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროები.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე შედარებით მაღალი რისკით გამოირჩევა სალიანდაგო სამმართველოების სათაო საწარმოები, სავაგონო და სალოკომოტივო დეპოები, მექანიზებული ბაზები და სხვა. აღნიშნული ობიექტებში განთავსებულია სხვადასხვა პროფილის ისეთი მცირე საამქროები, როგორცაა: ლითონების დამუშავების საამქროები, სადურგლო საამქროები, სამუხრუჭე ხუნდების დამუშავების საამქროები, სამჭედლო საამქროები, სამღებრო საამქროები და შედუღების საამქროები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სს „საქართველოს რკინიგზა“-ს დაქვემდებარებულ ობიექტებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების აღრიცხვა დღემდე ყოფილა ყოფილა ჩატარებული და არ არის მომზადებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშები და შესაბამისად არ ყოფილა შესათანხმებლად წარდგენილი საქარტველოს გაერემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.

ქვემოთ მოცემულია სს „საქართველოს რკინიგზა“-ს დაქვემდებარებული იმ ობიექტების ნუსხა, სადაც წარმოდგენილია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროები და აუცილებლობას წარმოადგენს ატმოსფერული ჰაერის დაცვის ნორმატიული დოკუმენტაციის მომზადება.

აუდიტის პროცესში ჩატარებული გამოკითხვებით დადგინდა, რომ სტერტო სადგურების და სარკინიგზო ხაზების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს არასასიამოვნო სუნის გავრცელებასთან დაკავშირებით. სუნის გავრცელება უპირატესად დაკავშირებულია ნავთობის და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების წესების დარღვევასთან, კეროდ: არის შემთხვევები, როცა აღნიშნული პროდუქტების ტრანსპორტირება ხდება გაურეცხავი დაბინძურებული ზედაპირის ან არაჰერმეტიული ხუფის მქონე ვაგონისტერნებით.

აუდიტის შედეგების მიხედვით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რისკების მინიმიზაციის ზოგადი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების მქონე ყველა კონკრეტული ობიექტისათვის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის



სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშების მომზადება და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმება;

- მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროების მქონე ობიექტებზე სავენტილაციო სისტემების მოწყობა ან არსებული სისტემების რეაბილიტაცია;
- ლითონის სადნობი ღუმელების აღჭურვა შესაბამისი აირგამწმენდი სისტემებით;
- რკინიგზის სადგურების ტერიტორიებიდან და სარკინიგზო მაგისტრალებიდან არასასიამოვნო სუნის გავრცელების პრევენციის მიზნით უზრუნველყოფილი იქნას:
  - ნავთობის, ნავთობპროდუქტების და სხვა ქიმიური ნივთიერებების ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული ვაგონ ცისტერნების ჰერმეტიკობა და სითხეების ჟონვის რისკების მინიმუმადე შემცირება;
  - ნავთობით, ნავთობპროდუქტებით და სხვა ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებული ზედაპირების მქონე (გაურეცხავი) ვაგონ ცისტერნების ექსპლუატაციის აკრძალვა.

**ცხრილი 5.2.1.** ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიის სტაციონარული წყაროების მქონე ობიექტების ნუსხა

№	ობიექტის დასახელება	გაფრქვევის წყაროების სახეები
1	დასავლეთის სალიანდაგო სამმართველო	სადურგლო, შედუღების პოსტი, სადნობი ღუმელი, საწვავის რეზერვუარები.
2	სამტრედიის სავაგონო დეპო	სადურგლო, მექანიკური საამქრო, შედუღების პოსტი
3	სამტრედიის სალოკომოტივო დეპო	ქვიშის საშრობი ღუმელი, საწვავის ავზები, ელ. შედუღება, მექანიკური საამქრო, შედუღების პოსტი
4	სამტრედიის ელექტროსამონტაჟო სამმართველო	სადურგლო, საშემდუღებლო, სამღებრო პოსტები
5	ბათუმის სავაგონო დეპო	სადურგლო, შედუღების პოსტი, სადნობი ღუმელი
6	ფოთის ვაგონების მიმდინარე-ახსნითი შეკეთების საამქრო	სადურგლო, სადნობი ღუმელი, მექანიკური საამქრო
7	ქუთაისის სალოკომოტივო დეპო	შედუღების პოსტი
8	გურჯაანის მოსაბრუნებელი პუნქტი	ელ. შედუღება, მექანიკური საამქრო.
9	ფოთის მოსაბრუნებელი პუნქტი	საწვავის ავზები,
10	ბროწეულას მექანიზირებული ბაზა	დიზელის საქვავე, საწვავის ავზები, ელ შედუღება
11	აჭარის რეგიონი	სადნობი ღუმელი, სადურგლო, შედუღების პოსტი, საწვავის რეზერვუარები.
12	გურიის რეგიონი	სადურგლო, შედუღების პოსტი.
13	ზესტაფონის რეგიონი	სადურგლო, შედუღების პოსტი.
14	სამეგრელოს რეგიონი	შედუღების პოსტი.
15	აღმოსავლეთ სალიანდაგო სამმართველო	მექანიკური საამქრო, 2 სადნობი ღუმელი, ელექტროშედუღება, სადურგლო საამქრო, საწვავის რეზერვუარები.
16	საუღელტეხილო სალიანდაგო სამმართველო	ელექტროშედუღება, მექანიკური საამქრო, საწვავის რეზერვუარები, სადურგლო საამქრო
17	გურიის სალიანდაგო რეგიონი	ელექტროშედუღება, მექანიკური საამქრო, სადურგლო საამქრო.
18	სამტრედიის სალიანდაგო რეგიონი	ელექტროშედუღება, მექანიკური საამქრო, სადურგლო საამქრო.
19	აღმოსავლეთ ელექტრომომარაგების სამმართველო	სადურგლო საამქრო, სამჭედლო, მექანიკური საამქრო.
22	ულელტეხილის ელექტრომომარაგების	მექანიკური საამქრო, ელექტროშედუღება.

	სამმართველო	
23	თბილისის სალოკომოტივო დეპო	მექანიკური საამქრო, შედუღების პოსტი, სამღებრო, ექსპლუატაციული
24	თბილისის სავაგონო დეპო	მექანიკური საამქრო, შედუღების პოსტი, კაპრონის ჩამოსხმის ღუმელი, სადურგლო საამქრო, სამღებრო კამერა.
25	დასავლეთ ენერგომომარაგების სამმართველო	მექანიკური საამქრო
26	აღმოსავლეთ სალიანდაგო სამმართველო	საწვავის რეზერვუარები, მექანიკური საამქრო, სადნობი ღუმელები, სადურგლო საამქრო, შედუღების პოსტი და სამჭედლო.
27	უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველო	სამემდუღებლო საამქრო, ხის სახერხი, სამჭედლო და მექანიკური საამქრო.
28	დასავლეთ სალიანდაგო სამმართველო	სადნობი ღუმელი, სადურგლო საამქრო, ლითონის დამუშავების საამქრო, შედუღების პოსტი.
29	დასავლეთ სალიანდაგო სამმართველოს აჭარის რეგიონი	საწვავის რეზერვუარები, სადნობი ღუმელი, სადურგლო საამქრო, მექანიკური საამქრო, შედუღების პოსტი.
30	დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს სამტრედიის რეგიონი	სადნობი ღუმელი, სადურგლო საამქრომ მექანიკური საამქრო, შედუღების პოსტი.
31	ბროწეულას მექანიზებული ბაზა	საქვაბე, საწვავის რეზერვუარები.
32	სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ხაშურის სამმართველო	მექანიკური საამქრო
33	ხაშურის სავაგონო დეპო	საქვაბე, შედუღების პოსტი, მექანიკური საამქრო, სადნობი ღუმელი
34	სატვირთო გადაზიდვების ფილიალის ხაშურის სალოკომოტივო დეპო	მექანიკური საამქრო, სადურგლო საამქრო, საწვავის რეზერვუარები, ქვიშის საშრობი ღუმელი
35	მგზავრთა გადაყვანის ფილიალის თბილისის სავაგონო-საექსპლუატაციო დეპო	მექანიკური საამქრო, შედუღების პოსტი
36	მგზავრთა გადაყვანის ფილიალის ქუთაისის სალოკომოტივო დეპო	მექანიკური საამქრო, შედუღების პოსტი

**5.3 ზემოქმედება წყლის გარემოზე**

ეკოლოგიური აუდიტის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა რკინიგზის ინფრასტრუქტურის ობიექტების წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მართვის მდგომარეობის შესწავლა; დადგენილია ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების სავარაუდო მიზეზები; განსაზღვრულია ჩამდინარე წყლების შემადგენლობაში არსებული სავარაუდო მავნე ნივთიერები.

სასმლი წყლის ხარისხის განსაზღვრისათვის, ლაბორატორიული კვლევისათვის რამდენიმე ობიექტზე აღებულია წყლის სინჯები. სინჯების უმეტესობა აღებულია ჭაბურღილებიდან.

აუდიტის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე, გამოვლენილია ინფრასტრუქტურული ობიექტების წყალმომარაგებასთან და ჩამდინარე წყლებთან (სამეურნეო-ფეკალური, საწარმოო და სანიაღვრე) დაკავშირებული გარემოსდაცვითი პრობლემები და დაბინძურების წყაროები; იდენტიფიცირებულია ჩამდინარე წყლების პოტენციური დამბინძურებლები; შემუშავებულია რეკომენდაციები არსებული სიტუაციის გამოსწორებისა და დაბინძურების რისკების თავიდან აცილების ღონისძიებებზე.

**5.3.1 წყალმომარაგება**

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს ინფრასტრუქტურული ობიექტების ეკოლოგიური აუდიტის ჩატარების შედეგად გამოიკვეთა ობიექტების წყალმომარაგების სახეები:

- ობიექტები, რომელთა წყალმომარაგება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან;
- ობიექტები, რომელთა წყალმომარაგება ხდება ჭაბურღილებიდან ან და წყაროებიდან;
- ობიექტები, სადაც წყალმომარაგება არ არის.

რკინიგზის ინფრასტრუქტურული ობიექტების სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება, რომლებიც ძირითადად ქალაქებში (თბილისში, ბათუმში, ზესტაფონში, სამტრედიისში, ფოთში, ქუთაისში, კასპში, რუსთავში, დედოფლისწყაროში, ლანჩხუთში, სენაკში, ჭიათურაში, გორში და სხვ.) ან მის გარეუბანში მდებარეობს, ხორციელდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან.

მნიშვნელოვანია ის ფაქტის, რომ საქართველოს რკინიგზის ზოგიერთ ინფრასტრუქტურულ ობიექტზე წყლის სისტემა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები არ შეესაბამება გარემოსდაცვით მოთხოვნებს. დასავლეთ საქართველოს ინფრასტრუქტურული ობიექტების უმეტესობა, რომლებიც ძირითადად სოფლებსა და დაბებშია, სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით იყენებს ჭაბურღილის წყალს, რომელთა უმეტესობასაც არ გააჩნია ლიცენზია და არ არის განსაზღვრული და შემოღობილი სანიტარიული დაცვის პირველი ზონები.

ზოგიერთი ინფრასტრუქტურული ობიექტები მარაგდება წყაროს წყლით.

რკინიგზის ობიექტების გარკვეულ რაოდენობას არ მიეწოდება სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალი. არის ობიექტები სადაც წვიმის წყლის შეგროვება ხდება რეზერვუარებში, რომ სამეურნეო დანიშნულებით მოახდინონ მისი გამოყენება.

საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურული ობიექტების არცერთ ობიექტზე არ არის ტექნიკური წყალმომარაგება. ობიექტები, რომლებიც საჭიროებენ ტექნიკურ წყალმომარაგებას, წყალაღებას ძირითადად ახორციელებენ სასმელი წყლის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან ან/და ჭაბურღილებიდან. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე რკინიგზის ინფრასტრუქტურის ობიექტები მნიშვნელოვანი რაოდენობის ტექნიკური წყლის გამოყენებას არ საჭიროებს. ტექნიკური წყალი უპირატესად გამოიყენება ვაგონების და ლოკომოტივების სარეცხად.

ქვემოთ მოცემულია ინფრასტრუქტურული ობიექტების გარკვეული რაოდენობა, სადაც წარმოდგენილია ზემოთ ხსენებული წყალმომარაგების სახეები (გარდა ცენტრალური წყალმომარაგების ქსელებისა): ჭაბურღილები, წყაროს წყლით მომარაგება და ობიექტები სადაც არ ხდება სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება(იხ. ცხრილი 5.3.1.1.).

**ცხრილი 5.3.1.1.** რკინიგზის ინფრასტრუქტურული ობიექტების წყალმომარაგების ტიპები

ლიცენზირებული ჭაბურღილები/ადგილმდებარეობა	
სამტრედიის სავაგონო დეპო	დაახლოებით 20 მეტრი სიღრმის ჭაბურღილი, დეპოს

	ტერიტორიაზე მდებარეობს, მაგრამ ეკუთვნის ქალაქის წყალმომარაგებას. ჭაბურღილიდან წყალი გროვდება დაახლოებით 50 მ <sup>3</sup> მოცულობის მიწისზედა რეზერვუარში, რომელსაც გააჩნია სარქველი.
დასავლეთის ენერგომომარაგების სამმართველო	სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგება ხდება დაახლოებით 7 მეტრის სიღრმეზე მდებარე ჭაბურღილიდან. ჭაბურღილის ტერიტორია დაბინძურებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით.
აგარას საკონტაქტო ქსელის რაიონი	აგარას საკონტაქტო ქსელის რაიონში ჭაბურღილიდან წყალი მიეწოდება შენობაში არსებულ სანიტარულ კვანძებს.
<b>არალიცენზირებული ჭაბურღილები/ადგილმდებარეობა</b>	
გურჯაანის მოსაბრუნებელი პუნქტი	სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ჭაბურღილიდან, რომელსაც ამჟამად არ გააჩნია ლიცენზია. აღნიშნული ჭაბურღილი მდებარეობს მოსაბრუნებელი პუნქტის ეზოში (ჭაბურღილის სიღრმე - 450 მ.). ჭაბურღილების ტიპი არის მიწისზედა. ტერიტორიაზე არის 2 რეზერვუარი: ერთი 53 მ <sup>3</sup> (განთავსებულია მიწაზე), მეორე 25 მ <sup>3</sup> (განთავსებულია 10-12 მ სიმაღლეზე) მოცულობებით. ამ ჭაბურღილის წყლით მარაგდება მოსაბრუნებელი პუნქტის გვერდით მდებარე გურჯაანის საკონტაქტო ქსელის რაიონი.
სამტრედიის სალოკომოტივო დეპო	სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყლის გამოყენება ხდება ჭაბურღილიდან (დაახლოებით 11მ სიღრმე), რომელიც არ არის ლიცენზირებული, ჭაბურღილი განთავსებულია დეპოს ტერიტორიაზე რკინის ბურბუშელას სანაყაროს გვერდით. რადგან ჭაბურღილი ახლოს მდებარეობს ნავთობპროდუქტებით დაბინძურების წყაროსთან (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული რკინის ბურბუშელას სანაყარო) ჭაბურღილიდან აღებულ იქნა სინჯი წყლის მოკლე ქიმიური ანალიზისთვის და ნავთობპროდუქტებით დაბინძურების ხარისხის განსასაზღვრად. <b>წყლის სინჯის წერტილის აღების კოორდინატები</b> <b>X-285422</b> <b>Y-4672561</b>
ქუთაისი 2-ი საკონტაქტო ქსელის რაიონი	სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება 6 მეტრი სიღრმის ჭაბურღილიდან (არალიცენზირებული). ტერიტორიაზე არის წყლის სამარაგო მიწისზედა ჰორიზონტალური პლასტმასის რეზერვუარი, დაახლოებით 1 მ <sup>3</sup> მოცულობის.
სადგური რაიონი	სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგება ხდება სადგურის წინ(მეორე მხარეს)მდებარე ჭაბურღილიდან. აღნიშნული ჭაბურღილიდან მარაგდება მიმდებარე დასახლებული პუნქტები. ჭაბურღილი არალიცენზირებულია. ჭაბურღილიდან აღებულია სინჯი წყლის მოკლე ქიმიური ანალიზისთვის.

	<p><b>წყლის სინჯის წერტილის ადების კოორდინატები</b>  <b>X-310877</b>  <b>Y-4674337</b></p>
სადგური აგარა	<p>ობიექტის ტერიტორიაზე სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება ხდება ჭაბურღილიდან, რომელსაც ლიცენზია არ აქვს.          ჭაბურღილთან სანიტარული ზონა არ არის მოწყობილი. აღებულია სინჯი წყლის მოკლე ქიმიური ანალიზისთვის;  <b>წყლის სინჯის წერტილის ადების კოორდინატები</b>  <b>X-4040248</b>  <b>Y-4654170</b></p>
სამტრედია 2-ის საოსტატო	<p>ობიექტის სასმელი წყლით მომარაგება ხდება მიწისქვეშა ჭაბურღილიდან, რომელიც საოსტატოს ტერიტორიაზეა.</p>
<b>წყაროს წყლით მომარაგება/ადგილმდებარეობა</b>	
ხრესილის წევის ქვესადგური, ხრესილის საკონტაქტო ქსელის რაიონი	<p>სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება წყაროს წყლით. გამოყენებული სასმელ სამეურნეო დანიშნულების წყლის მიახლოებითი რაოდენობაა 5მ<sup>3</sup>/თვეში.          ადგილზე აღებულია სასმელი წყლის სინჯი, რომელსაც გაუკეთდა მოკლე ქიმიური ანალიზი.  <b>წყლის სინჯის წერტილის ადების კოორდინატები</b>  <b>X-325805</b>  <b>Y-4690373</b></p>
წიფას საკონტაქტო ქსელის რაიონი	<p>სასმელ-სამეურნეო დანიშნულებისთვის გამოიყენება წყაროს წყალი, რომელსაც სასმელად იყენებს სოფელი. გამოყენებული სასმელ სამეურნეო წყლის აღრიცხვა არ ხდება.</p>
მოლითის წევის ქვესადგური	<p>სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ტერიტორიაზე ხდება წყაროს წყლით, რომელსაც სოფელი იყენებს სასმელად. გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა დაახლოებით თვეში 2-3 მ<sup>3</sup>-ია.</p>
<b>წყალმომარაგება არ არის</b>	
მადაროს საკონტაქტო ქსელი	<p>ობიექტის ტერიტორიაზე არ არის სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგების სისტემა, სასმელი წყალი მოაქვთ დასახლებიდან.          წვიმის წყალს აგროვებენ 2 მ<sup>3</sup> მოცულობის ჰორიზონტალურ რეზერვუარში და იყენებენ არასასმელი დანიშნულებისათვის.</p>
ბოლნისის წევის ქვესადგური	<p>სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან არ ხდება. მომსახურე პერსონალს სასმელი წყალი მოაქვს დასახლებიდან.          ტერიტორიაზე არის დაახლოებით 2 მ დიამეტრის ჭა (ჭის სიღრმის შესახებ ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული) ჭის წყალი გამოიყენება სამეურნეო დანიშნულებით.</p>
ვაზიანის წევის ქვესადგური	<p>სასმელი წყალი არ არის ტერიტორიაზე. სასმელი წყალი მოაქვთ დასახლებული პუნქტიდან.</p>
იორას (იორი) წევის ქვესადგური	<p>ობიექტის სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ტერიტორიაზე არ ხდება.          სასმელი წყალი მოაქვთ დასახლებული პუნქტიდან.</p>

კაჭრეთის წევის ქვესადგური, სადგური კაჭრეთი	სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ტერიტორიაზე არ არის. სასმელი წყალი მოაქვთ დასახლებული პუნქტიდან.
კუმისის წევის ქვესადგური	სასმელი წყალი ტერიტორიაზე არ არის. მომსახურე პერსონალს მოაქვთ დასახლებული პუნქტიდან.
ნატანების საკონტაქტო ქსელის რაიონი	სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგებისთვის ტერიტორიაზე არსებობს ულიცენზიო 13მ-იანი სიღრმის ჭაბურღილი, რომლის გამოყენებაც ტექნიკური გაუმართაობის გამო ვერ ხერხდება. სასმელი წყალი პერსონალს მოაქვს სახლიდან ან სოფლიდან.
სადგური გურჯაანი	სადგურის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემა არ არის. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებისთვის წყალი მომუშავე პერსონალს მოაქვს.
სადგური სამტრედია	ობიექტზე სასმელი წყალი არ არის. მომსახურე პერსონალს სასმელი წყალი თვითონ მოაქვთ.
სადგური შორაპანი	ტერიტორიაზე არ არსებობს წყალმომარაგების სისტემა, მომუშავე პერსონალს სასმელი წყალი მოაქვს სოფლიდან.
თეთრიწყაროს წევის ქვესადგური	ტერიტორიაზე არ არსებობს წყალმომარაგების სისტემა, მომუშავე პერსონალს სასმელი წყალი მოაქვს დასახლებიდან.
ნადარბაზევის წევის ქვესადგური	ტერიტორიაზე არ არსებობს წყალმომარაგების სისტემა, მომუშავე პერსონალს სასმელი წყალი მოაქვს დასახლებიდან.

**5.3.1.1 წყლის ნიმუშების ანალიზი**

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის ნიმუშებში ჩატარებულია მოკლე ქიმიური ანალიზი. წყლის ნიმუშებში, სადაც ნავთობპროდუქტებით დაბინძურების რისკი არსებობდა (მდებარეობა ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ტერიტორიებთან ახლოს), განსაზღვრულია ასევე ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების შემცველობა.

წყლის ნიმუშების აღების ადგილის დასახელება და კოორდინატები მოცემულია ცხრილში 5.3.1.1.1.

**ცხრილი 5.3.1.1.1. წყლის ნიმუშების აღების ადგილის დასახელება, კოორდინატები**

წყლის სინჯის აღების ადგილი	სინჯის აღების კოორდინატები	აღწერა /დანიშნულება
სამტრედიის სალოკომოტივო დეპო	X-285422 Y-4672561	არალიცენზირებული 11 მ სიღრმის ჭაბურღილი. გამოიყენება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით.
რკინიგზის სადგური რიონი	X-310877 Y-4674337	4-5 მ სიღრმის შახტური ჭა, გამოიყენება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. აღნიშნული ჭიდან მარაგდება მიმდებარე დასახლებული პუნქტები.
რკინიგზის სადგური აგარა	X-4040248 Y-4654170	ჭაბურღილის წყალი, გამოიყენება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. ჭაბურღილთან სანიტარული ზონა არ არის მოწყობილი.
ხრესილის საკონტაქტო ქსელის რაიონი.	X-325805 y-4690373	წყაროს წყალი, გამოიყენება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით.

წყლის ნიმუშები აღებულია საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის - ტექნიკური რეგლამენტი „წყლის სინჯის აღების სანიტარული წესების“ დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის №26 დადგენილების (2014 წლის 3 იანვარი ქ. თბილისი) შესაბამისად.

ნიმუშების ქიმიური ანალიზები ჩატარდა სამეცნიერო კვლევითი ფირმა „გამა“-ს ლაბორატორიაში (აკრედიტაციის ატესტატი - GAC-TL-0067, 26.06.2014-26.06.2018) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

წყლის ნიმუშებში განსასაზღვრი კომპონენტები, დასაშვები მნიშვნელობები, ანალიზის შედეგები და მეთოდები მოცემულია ცხრილში 5.3.1.1.3.

**ცხრილი 5.3.1.1.2.** წლის ნიმუშების ქიმიური ანალიზის შედეგები

განსასაზღვრი პარამეტრები	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები ნდ <sup>1</sup> -ის მიხედვით არა უმეტეს	მიღებული შედეგები				განსაზღვრის მეთოდი
		სამტრედიის სალოკომოტივო დეპო	რკინიგზის სადგური რიონი	რკინიგზის სადგური აგარა	ხრესილის საკონტაქტო ქსელის რაიონი	
სიმღვრივე, FTU	3,5	<0.1	<0.1	1,34	0,32	ისო 7027-1999
სულფატი (SO <sub>4</sub> <sup>2-</sup> ), მგ/ლ	250	30,40	47,60	244.0	18,0	ისო 9280-1990
ქლორიდები (Cl <sup>-</sup> ), მგ/ლ	250	14,18	17,73	122.70	5.67	გოსტ 23268.17-78
სიხისტე, მგ-ეკვ/ლ	7-10	5,88	7,88	13.85	2.29	ისო 6059-1984
კალციუმი (Ca), მგ/ლ	140	90,0	130,0	202,0	34,0	გოსტ 23268.5-1978
მაგნიუმი (Mg), მგ/ლ	85	16,80	16,80	45,60	7,20	გოსტ 23268.5-1978
ნატრიუმი (Na), მგ/ლ	200	5,50	15,40	55,0	17,71	ისო 9964-3-1993
კალიუმი (K), მგ/ლ	-	0,50	2,81	5,28	1,10	ისო 9964-3-1993
წყალბადის მაჩვენებელი pH	6 – 9	7,40	7,15	8,05	7,50	ისო 10523-2008
პერმანგანატული ჟანგვადობა, მგ O <sub>2</sub> /ლ	3	0,72	0,72	1,12	0,32	გოსტ 23268.12-78
საერთო მინერალიზაცია, მგ/ლ	1000-1500	466,84	647,34	1171.90	239,80	გოსტ 18164-72
ნიტრატები (NO <sub>3</sub> ), მგ/ლ	50	6,9	14,4	89,7	<0,5	გოსტ 18826-1973
ნიტრიტები (NO <sub>2</sub> ), მგ/ლ	0,2	<0,02	<0,02	<0,02	<0,02	გოსტ 23268.8-78
ჰიდროკარბონატი (HCO <sub>3</sub> )	-	302,56	402,60	407,50	156,20	გოსტ 23268.3-78

**შენიშვნა:** წყლის ნიმუშებში ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების შემცველობა არ აღინიშნა, მეთოდის განსაზღვრის ზღვარზე 0.04 მგ/ლ, ნაკლებია.

წყლის ნიმუშების ქიმიური ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს, ხრესილის საკონტაქტო ქსელის რაიონის და რკინიგზის სადგური რიონის ტერიტორიებიდან აღებული წყლის ნიმუშების ქიმიური შემადგენლობა, აკმაყოფილებს სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით (№58, 2014 წ. 15 იანვარი) განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო რკინიგზის სადგური აგარას ტერიტორიიდან აღებული წყლის ნიმუში არ აკმაყოფილებს აღნიშნული დოკუმენტით დადგენილ ნორმებს.

<sup>1</sup> ნორმატიული დოკუმენტი (ნდ) - სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი №58. საქართველოს მთავრობის დადგენილება 2014 წ. 15 იანვარი.

რკინიგზის სადგური აგარას ტერიტორიიდან აღებულ წყლის ნიმუშში ნიტრატ იონების ( $\text{NO}_3$ ) და კალციუმის (Ca) მაღალი შემცველობის გამო, აღნიშნული წყალი შესაძლებელია მხოლოდ ტექნიკური დანიშნულებით იქნას გამოყენებული.

### 5.3.2 ჩამდინარე წყლები

როგორც ყველა საწარმოო ობიექტის ტერიტორიაზე, საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის ობიექტებზე ადგილი აქვს შემდეგი სახის ჩამდინარე წყლების წარმოქმნას.

- სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები;
- საწარმოო ჩამდინარე წყლები;
- სანიაღვრე ჩამდინარე წყლები;

იმ უნფრასტრუქტურის ობიექტების უმრავლესობის ჩამდინარე წყლები, რომლებიც დისლოცირებული არიან მსხვილ დასახლებულ პუნქტებში, ჩართულია ამ დასახლებული პუნქტების შესაბამის საკანალიზაციო კოლექტორებში.

ობიექტების უმრავლესობა, რომლებიც სოფლის ტიპის დასახლებულ პუნქტებშია განთავსებული, იყენებს საასენიზაციო ორმოებს.

სასენიზაციო ორმოების დაცლა ხდება საჭიროებისამებრ, შესაბამის სამსახურთან ერთჯერადად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

როგორც 5.3.1. პარაგრაფშია მოცემული ტექნიკური დანიშნულების წყლის მნიშვნელოვანი რაოდენობის წყლის გამოყენება ხდება ვაგონ სამრეცხაოებში, სადაც შესაბამისად ადგილი აქვს საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას. სხვა ობიექტებზე საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს ან წარმოიქმნება ძალზე მცირე რაოდენობით და მათი ადგილზე ნეიტრალიზაციის ან გაწმენდის შემდეგ შესაძლებელია დასახლებული პუნქტების საკანალიზაციო კოლექტორებში ჩაშვება.

აღსანიშნავია, რომ ეკოლოგიური აუდიტის შედეგების მიხედვით, საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის ობიექტზე სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემები და გამწმენდი ნაგებობები არ არის მოწყობილი.

ზოგიერთი ობიექტის ტერიტორიაზე საწარმოო-სანიაღვრე წყლებისთვის მოწყობილია სანიაღვრე არხები, რომლებიც ობიექტის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ დასახლებული პუნქტების საკანალიზაციო კოლექტორებში. ასეთი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: ბათუმის სავაგონო დეპო, ფოთის ვაგონების სამრეცხაო, გურჯაანის მოსაბრუნებელი პუნქტი, და ქ. თბილისის და ქ. ხაშურის ტერიტორიაზე არსებული ყველა ობიექტი.

რამდენიმე ობიექტზე წარმოდგენილი იყო არხები (ძირითადად სანიაღვრე წყლებისაგან ტერიტორიის დატბორვის თავიდან აცილების მიზნით), ასევე ჭები, რომლებიც ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გაუწმენდავად ჩაედინებოდა ზედაპირული წყლის ობიექტებში (პატარა არხები, ჭაობი და სხვ.). ასეთი ობიექტებია: სამტრედიის სალოკომოტივო დეპო, ნატანების საკონტაქტო ქსელის რაიონი, ხრესილის საკონტაქტო ქსელის რაიონი და სხვ.

არის ობიექტები სადაც, სანიაღვრე ჩამდინარე წყლები ბინძურდებოდა მოსახლეობის სამეურნეო-ფეკალური წყლებით. რაც თავისათვად პრობლემას წარმოადგენს მოსახურე პერსონალისათვის (უსიამოვნო სუნის გავრცელება). ასეთ ობიექტებს წარმოადგენს ქუთაისის სალოკომოტივო დეპო, ბათუმის სავაგონო დეპო.



ცალკე პრობლემა არსებული სანიაღვრე წყალშემკრები არხების დაბინძურება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით, ასევე, არხების შეტივნარებული ნაწილაკებით და ხის ნარჩენებით ამოვსება.

ცხრილში 5.3.2.1. წარმოდგენილია ობიექტები სადაც აღინიშნებოდა საწარმოო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების არხები და მასთან დაკავშირებული პრობლემები,

**ცხრილი 5.3.2.1.** ინფრასტრუქტურული ობიექტების ჩამდინარე წყლების (გარდა სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებისა) მართვა და პრობლემები

№	ინფრასტრუქტურული ობიექტი	საწარმოო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლები	არსებული პრობლემა
1	ბათუმის სავაგონო დეპო	<p>საწარმოო ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება საკისურების და ბოქსების სარეცხი დანადგარიდან წყლის გამოცვლის შედეგად, წყალი სარეცხი დანადგარებიდან დაახლოებით თვეში ერთხელ იცვლება. საწარმოო ჩამდინარე წყლების ხარჯი თვეში დაახლოებით 1 მ<sup>3</sup> შეიძლება იყოს.</p> <p>დანადგარებიდან გამოცვლილი წყალი მიდის სანიაღვრე არხში, რომელიც გაივლის სავაგონო დეპოს ტერიტორიაზე და შემდგომ ჩაედინება რკინიგზის გამწმენდ ნაგებობაში, რომელიც მდებარეობს ბათუმის პორტის ტერიტორიაზე.</p> <p>სანიაღვრე არხში ჩაედინება საშხაპეში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლებიც.</p> <p>რაც შეეხება სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ფართობს, უშუალოდ ტერიტორიაზე ასეთი რისკის მქონე უბნები არ არის, სანიაღვრე წყლებში მოხვედრილი წყლები რომლებიც ბოქსების და საკისურების სარეცხი დანადგარიდან ისხმევა ზეთებით და ნავთობპროდუქტების სხვადასხვა დამაბინძურებლებით იქნება დაბინძურებული, მაგრამ წყალი მხოლოდ სანიაღვრე არხში ხვდება და არ მოიცავს რაიმე კონკრეტულ ფართობს დეპოს ტერიტორიაზე.</p>	<p>წყლის დამაბინძურებლებს წარმოადგენს ზეთები, ნავთობპროდუქტები, საპოხი მასალების შემადგენელი ნივთიერებები. არხის გადაუხურავი ნაწილი დაბინძურებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის მიერ სანიაღვრე არხის დაბინძურება სამეურნეო-ფეკალური წყლებით და მომსახურე პერსონალის უსიამოვნო სუნით შეწუხება.</p>
2	სამტრედიის სავაგონო დეპო	<p>სავაგონო დეპოს ტერიტორიაზე სისტემატიურად არ წარმოიქმნება ტექნოლოგიურ პროცესებში გამოყენებული ჩამდინარე წყლები.</p> <p>ტექნოლოგიური პროცესი, სადაც ხდება ტექნოლოგიური წყლის გამოყენება არის საკისარების სარეცხი დანადგარი წყვილთვლების საამქროში, რომელიც ციკლურია და გარკვეული პერიოდულობით საჭიროებს მხოლოდ წყლის დამატებას. იშვიათად ხდება წყლის გამოცვლა. შესაბამისად ადგილი აქვს საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას.</p> <p>ტერიტორიაზე წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლები ჩადის დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში.</p> <p>ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დამაბინძურებლებს წარმოადგენს</p>	<p>ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე სისტემა.</p> <p>სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკის ტერიტორიად წარმოადგენს დეპოში შემომავალი სალიანდაგო ხაზი, რომელიც შესაძლოა დაბინძურდეს ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით, ლოკომოტივის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის შედეგად ადგილზე.</p>

		ძირითადად ზეთები და ნავთობპროდუქტები.	
3	ფოთის ვაგონების სამრეცხაო	ვაგონების რეცხვის დროს წარმოქმნილი წყალი იკრიბება ღია ბეტონის არხების საშუალებით, რომელიც სამრეცხაოს ბოლოს უერთდება მეორე არხს და ჩაედინება დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში. ტერიტორიაზე მოსული სანიაღვრე წყალი იკრიბება ვაგონების რეცხვის დროს წარმოქმნილი წყლის შეგროვების სისტემით.	სამრეცხაოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების წყაროს წარმოადგენს სარელსო ტრანსპორტის მოძრაობა და მასში დარჩენილი სხვადასხვა სახეობის ტვირთის ნარჩენი.
5	სამტრედიის სალოკომოტივო დეპო	ტერიტორიაზე მოწყობილია ჭები ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვებისთვის, რომელიც გაუწმენდავად ჩაედინება პატარა მდინარე ჭერეხაში, რომელიც შემდეგ უერთდება მდინარე რიონს. სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალი რისკი არსებობს საწვავის რეზერვუარების ტერიტორიაზე, სადაც მოწყობილია სალექარი. სალექრიდან გამოსული წყალი ჩაედინება ჩამდინარე წყლებისთვის განკუთვნილ კოლექტორებში.	საკანალიზაციო სისტემაშია ჩართული ნავთობპროდუქტების საწყობის ტერიტორიაზე წარმოქმნილი წყლები, რომელიც ერთი არხით იკრიბება და სალექარის გავლით ჩაედინება საკანალიზაციო ჭაში. არხი ამოსვებულია ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული სილით. ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების წერტილის მიახლოებითი კოორდინატი (მდ.ჭერეხა): <b>X-285056; Y-4672383</b>
6	ქუთაისის სალოკომოტივო დეპო	ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება სამგზავრო ვაგონების რეცხვის შედეგად, წყლის დამაბინძურებელი ძირითადი კომპონენტი ზეთები და ნავთობპროდუქტები, ვაგონების გარეცხვისთვის გამოყენებული სხვადასხვა სარეცხი საშუალებებია. ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენებული ჩამდინარე წყლების ხარჯი თვიურად დაახლოებით 230 მ <sup>3</sup> -ია. ობიექტის ტერიტორიაზე არ ხდება ჩამდინარე წყლის გაწმენდა, ჭებში მოხვედრილი წყალი პირდაპირ ჩადის დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორში. ვაგონების სამრეცხაოს ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ნარეცხი წყალი პირდაპირ გზით ხვდება ნიადაგზე და შემდგომ ჩადის სანიაღვრე სისტემის ჭებში. ტერიტორია არ არის	მოხეტონებული. ვაგონების რეცხვა ხდება ლიანდაგზე დეპოს ტერიტორიაზე შემორჩენილია ძველი ნავთობპროდუქტების გამწმენდი რომელიც მწყობრიდან არის გამოსული და არ ფუნქციონირებს. გამწმენდი დაბინძურებულია სხვადასხვა სახის ნარჩენებით (ნავთობპროდუქტები, საყოფაცხოვრებო ნარჩენები).ტერიტორიაზე მოწყობილია სანიაღვრე სისტემა, რომელიც საბოლოოდ ჩადის დასახლებული პუნქტის გამწმენდ კოლექტორში.

7	გურჯაანის მოსაბრუნებელი პუნქტი	ობიექტზე საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. შენობის წინ და გვერდით მხარეს არის ძველი გაკეთებული, მწყობრიდან გამოსული სანიაღვრე არხი, რომელიც რკინის გისოსებით არის გადახურული. არხი დაერთებულია დასახლებული პუნქტის საკანალიზაციო კოლექტორზე.	სანიაღვრე არხი ამოვსებულია სხვადასხვა ნარჩენებით (ზეთებით, ნავთობპროდუქტებით, საყოფაცხოვრებო ნარჩენებით)
8	ნატანების საკონტაქტო ქსელის რაიონი	ლიანდაგის ხაზსა და საკონტაქტო ქსელის რაიონის შენობას შორის გადის ბეტონის არხი, რომელიც დაახლოებით 20 მ-ის სიგრძის და 20-25 სმ სიგანისაა, არხი იცავს შენობას დატბორვისაგან. ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სავარაუდო დაბინძურების წყაროს წარმოადგენს დრეზინა-სარელსო ტრანსპორტი. სარელსო ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან შეკეთება/რემონტის დროს ადგილი შეიძლება ქონდეს ტერიტორიის ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას მცირე ფართობზე.	არხი მიუყვება ლიანდაგს და წვიმის დროს მოსული წყალი საბოლოოდ ჩაედინება ჭაობში (გაუწმენდავად), რომელიც დაახლოებით 100 მეტრში მდებარეობს. არხის წყლის ჩაშვების წერტილის დაახლოებითი კოორდინატებია: <b>X-732215</b> <b>Y-4646604</b>
9	დასავლეთის სალიანდაგო სამმართველო	ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს ისეთი ტექნოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც ადგილი ექნება საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას. ტერიტორიაზე არის პატარა არხი სანიაღვრე წყლებისთვის, რომელიც ჩაედინება ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში. ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დამაბინძურებელ წყაროებს წარმოადგენს სარელსო ტრანსპორტის მოძრაობის ზოლი (ტექნიკის სადგომი). ტექნიკის საწვავით გამართვის ან შეკეთების დროს შესაძლოა ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით, შემდგომ კი სანიაღვრე წყლების დაბინძურება.	სანიაღვრე არხი დაბინძურებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე წყლების არხის კოორდინატები: <b>X-280048 Y-4670680;</b>
10	ბროწეულას მექანიზირებული ბაზა	ტერიტორიაზე არ წარმოიქმნება საწარმოო ჩამდინარე წყლები. ბაზის ტერიტორიაზე სანიაღვრე სისტემა არ არის მოწყობილი. ტერიტორიას გარშემორტყმული აქვს 9კმ-მდე არხი, რომელიც იცავს ტერიტორიას ტერიტორიის გარეთ არსებული სანიაღვრე წყლებისგან.	არხი დროთა გამავლობაში ბინძურდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით და ივსება ნაშალი მასალით.

		ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ტერიტორიაზე დასაწყობებული ლიანდაგის რელსები და სხვა დეტალები, შპალები, რომლებიც დაბინძურებულია ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით.	
11	ზესტაფონის რეგიონი	სანიაღვრე სისტემა არ არის. ტერიტორიაზე არის სანიაღვრე ბეტონის არხი, საიდანაც სანიაღვრე წყლები ჩადის დასახლებული პუნქტის კოლექტორში.	არხი დაბინძურებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით.
12	ხრესილის საკონტაქტო ქსელის რაიონი	სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩაედინება მცირე ღელეში, რომელიც 50-100 მეტრში უერთდება მდინარე მთისჭალას, აღნიშნული მდინარე წარმოადგენს მდ. წყალწითელას მარცხენა შენაკადს. ტერიტორიაზე, შენობის გარეთ მოწყობილია აბანო და საპირფარეშო, ტერიტორიაზე არის სანიაღვრე-საწრეტი მცირე ბეტონის არხი, რომელიც სიგრძეზე მიუყვება ტერიტორიას, წყალი ასევე ზემოთაღნიშნულ მცირე ღელეში ჩაედინება.	სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაედინება ობიექტის გვერდით გამავალ მცირე ღელეში, რომელიც უერთდება მდ. მთისჭალას. ჩამდინარე წყლების ჩაშვების კოორდინატები: <b>X-325732</b> <b>Y-4690399</b>

### 5.3.2.1 ზემოქმედების შემცირების ღონისძიებები

1. სს „საქართველოს რკინიგზა“-ს დაქვემდებარებაში არსებულ იმ ობიექტებზე რომელთა წყალმომარაგება არ ხორციელდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელებიდან, საჭიროა მოეწყოს წყალმომარაგების წყაროების სანიტარიული დაცვის პირველი ზონები და დაწესდეს პრესონალისათვის მიწოდებული წყლის ხარისხის კონტროლი;
2. ჩატარდეს სასმელი დანიშნულებით გამოყენებული ჭაბურღილების ინვენტარიზაცია და არალიცენზირებულ ჭაბურღილებზე მომზადდეს ლიზენხის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის პაკეტი;
3. უზრუნველყოფილი იქნას რკინიგზის შემადგენლობაში შემავალი ყველა ობიექტის სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით წყალმომარაგება, ხოლო იქ სადაც ამის საშუალება არ არის მოწყოს სასმელი წყლის სამარაგო რეზერვუარები და გამოიყოს სპეციალური სატრანსპორტო საშუალებები სასმელი წყლით მომარაგებისათვის;
4. სს „საქართველოს რკინიგზა“-ს დაქვემდებარებაში არსებულ ყველა ობიექტზე ჩამდინარე წყლების მართვის სისტემების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება გეგმა გრაფიკიში მოცემული კონკრეტული ღონისძიებების გათვალისწინებით;
5. ჩამდინარე წყლოების არსებული გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია და ყველა ობიექტზე გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა;
6. გამწმენდი ნაგებობიდან ამოღებული ლამის მართვის წესების დაცვა ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისად;
7. ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ხარისხის კონტროლი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;
8. იმ საწარმო ობიექტებზე სადაც არ არსებობს საწარმო-სანიაღვე წყლების გამწმენდი ნაგებობები უზრუნველყოფილი იქნას მათი მოწყობა გეგმა გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში;
9. არაკანალიზებულ ობიექტზე არსებული სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შემწოვი საასენიზაციო ორმოები შეიცვალოს ჰერმეტიკული საასენორმოებით.

### 5.4 ნიადაგის/გრუნტის ნავთობპროდუქტებით და ზეთებით დაბინძურება

ეკოლოგიური აუდიტის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა აღნიშნული ობიექტების ტერიტორიის რეკოგნოსცირება, ნიადაგების და გრუნტის ნავთობპროდუქტებით დაბინძურების ვიზუალური იდენტიფიცირების; დაბინძურების სავარაუდო ფართობის და დაბინძურებული ნიადაგის /გრუნტის სავარაუდო მოცულობის დადგენის მიზნით.

დაბინძურების ხარისხის განსაზღვრისთვის, რამდენიმე ადგილას, სადაც აღინიშნებოდა ნავთობპროდუქტებით დაბინძურება, აღებულია ნიადაგის ნიმუშები საანალიზოდ.

აუდიტის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე, გამოვლენილია დაბინძურების არსებული და პოტენციური წყაროები; დადგენილია გარემო ობიექტებზე ზემოქმედების შესაძლო რისკები და საფრთხეები; შემუშავებულია რეკომენდაციები არსებული სიტუაციის გამოსწორებისა და დაბინძურების რისკების თავიდან აცილების ღონისძიებებზე.

ელექტრომომარაგების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი ობიექტები:  
ელექტრომომარაგების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი ობიექტების (საკონტაქტო ქსელის რაიონები; წევის ქვესადგურები; სარემონტო-სარევიზიო უბნები; საგზაო ელექტროტექნიკური ლაბორატორიები და სხვ.) ტერიტორიებზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურება ძირითადად აღინიშნება ტრანსფორმატორების ქვეშ, რკინიგზის ლიანდაგებზე და სარელსო ტრანსპორტის (დრეზინა) სადგომზე, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნალექები დაფიქსირდა სარემონტო-სარევიზიო

უბანზე. დაბინძურება ძირითადად ლოკალური ხასიათისაა, ფიქსირდება წერტილოვანი დაბინძურებაც.

ნავთობპროდუქტებით ნიადაგის/გრუნტის მნიშვნელოვანი დაბინძურება აღინიშნა აღმოსავლეთის ელ. მომარაგების სამმართველოს ტერიტორიაზე; წვევის ქვესადგურების: მადარო, ვაზიანი, ბათუმი, ტყიბული, მოლითი და საკონტაქტო ქსელის რაიონების: კასპი, ნატანები, სამტრედია 1-ის ტერიტორიებზე.

ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნიადაგის/გრუნტის სავარაუდო ფართობი შეადგენს 110-160 მ<sup>2</sup>, სიღრმითი გავრცელება - 10-30 სმ, სავარაუდო მოცულობა - 27 - 48 მ<sup>3</sup>-ია.

დაბინძურება ძირითადად დაკავშირებულია ტრანსფორმატორების ზეთებით შევსების პროცესთან; ტრანსფორმატორებიდან, სატრანსპორტო საშუალებებიდან და ტექნიკიდან საწვავისა და ზეთების ჟონვასთან; ნავთობპროდუქტების და ზეთების დასაწყობების პირობების დარღვევასთან; სარემონტო-სარევიზიო უბანზე ზეთების ცენტრიფუგირების პროცესთან, რომლის შემდგომ უბანზე რჩება ნალექები.

ადგილზე მოძიებული ინფორმაციით, კასპის საკონტაქტო ქსელის დისტანციის უბანზე, დროთა განმავლობაში ხდება ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ფენის (ხრეში) მოხსნა და ახლით ჩანაცვლება. თუმცა აღნიშნული ნარჩენის მართვის შესახებ სხვა ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული.

სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების (სცბ) დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი სამმართველოების (თბილისი, ხაშური, სამტრედია) ტერიტორიებზე ნავთობპროდუქტებით დაბინძურება თითქმის არ შეინიშნება.

რისკ-ფაქტორს წარმოადგენს აღნიშნული სამმართველოების საქმიანობის პროცესში ჯემპერების (ზღუდარების) გასაპოხად გამოიყენებული საპოხი მასალები.

სალიანდაგო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი ობიექტების (აღმოსავლეთის, დასავლეთის, უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოები; ლიანდაგის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს თბილისის, ბროწეულას და გომის სამშენებლო-სარემონტო ბაზები; რეგიონები, საოსტატოები, საბრიგადიროები და სხვ.) ტერიტორიებზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურება ძირითადად აღინიშნება რკინიგზის ლიანდაგებზე, ნავთობპროდუქტების და საპოხი მასალების შენახვის ადგილებში; ნავთობპროდუქტების ცარიელი კასრების დასაწყობების ადგილებში. დაბინძურება ძირითადად ლოკალური ხასიათისაა, ფიქსირდება წერტილოვანი დაბინძურებაც. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აუდიტის პერიოდში დაფიქსირდა ნავთობპროდუქტების ახლად დაღვრის ფაქტები (გურიის რეგიონი. ლანჩხუთი, სოფი მგელაძის №1)

ნავთობპროდუქტებით ნიადაგის/გრუნტის მნიშვნელოვანი დაბინძურება აღინიშნა აღმოსავლეთის, დასავლეთის და უღელტეხილის სამმართველოების ტერიტორიაზე; ზესტაფონის რეგიონში, ბროწეულას მექანიზებულ ბაზაზე, სამტრედიის და აჭარის რეგიონების საოსტატოების ტერიტორიაზე .

უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს (ქ. ხაშური) ტერიტორიაზე, სახერხის მიმდებარედ არსებულ ორმოში, ჩაყრილია შპალის ნახერხი, რომელიც დაბინძურებულია ქვანახშირის ზეთით. წვიმის დროს ხდება ორმოს წყლით შევსება და ადგილი აქვს წყლის ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას.

ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნიადაგის/გრუნტის სავარაუდო ფართობი შეადგენს 350-400 მ<sup>2</sup>, სიღრმითი გავრცელება - 10-30 სმ, სავარაუდო მოცულობა - 75 - 120 მ<sup>3</sup>-ია.

დაბინძურება ძირითადად დაკავშირებულია სალიანდაგო რელსების დამუშავების პროცესთან (რელსების მრუდე კუთხეების დამუშავება), სარელსო ტრანსპორტის მოძრაობასთან,

სატრანსპორტო საშუალებებიდან და ტექნიკიდან საწვავისა და ზეთების ჟონვასთან; ნავთობპროდუქტების და ზეთების დასაწყობების პირობების დარღვევასთან; ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული რელსების, მათი დეტალების, შპალების არასათანადო დასაწყობებასთან. რისკფაქტორს წარმოადგენს ასევე უზნეუბე ბენზინგასამართი სადგურების და საწვავის რეზერვუარების არსებობა.

არსებული ინფორმაციით (ზესტაფონის რეგიონი), დაბინძურებული ნიადაგის ფენა იხსნება დაახლოებით 6 თვეში ერთხელ, დროებით საწყობდება ტერიტორიაზე, შემდგომ გააქვთ მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

სალოკომოტივო და სავაგონო დეპოების და მათ დაქვემდებარებაში მყოფი ობიექტების ტერიტორიაზე ზეთებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურება ძირითადად აღინიშნება რკინიგზის ლიანდაგებზე, ნავთობპროდუქტების შენახვის ადგილებში; ნავთობპროდუქტების ცარიელი კასრების დასაწყობების ადგილებში. დაბინძურება ძირითადად ლოკალური ხასიათისაა, ფიქსირდება წერტილოვანი დაბინძურებაც.

ნავთობპროდუქტებით ნიადაგის/გრუნტის მნიშვნელოვანი დაბინძურება აღინიშნა შემდეგ ტერიტორიაზე:

- სამტრედიის სავაგონო დეპო;
- თბილისის სავაგონო-საექსპლუატაციო დეპო;
- სატვირთო გადაზიდვების ხაშურის სავაგონო დეპო;
- ხაშურის სალოკომოტივო დეპო ოსიაურის დასახლება;
- სამტრედიის სალოკომოტივო დეპო;
- ქუთაისის სალოკომოტივო დეპო;
- თბილისის სალოკომოტივო დეპო ;
- ფოთის ვაგონების სამრეცხაო პუნქტი;
- გურჯაანის მოსაბრუნებელი პუნქტი;
- ფოთის მოსაბრუნებელი პუნქტი;
- თბილისის სავაგონო დეპოები;
- თბილისის სალოკომოტივო დეპოები.

ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნიადაგის/გრუნტის სავარაუდო ფართობი შეადგენს 400-600 მ<sup>2</sup>, სიღრმითი გავრცელება - 10-40 სმ, სავარაუდო მოცულობა - 140 -220 მ<sup>3</sup>ია.

აღსანიშნავია ასევე, რომ სატვირთო გადაზიდვების ხაშურის სავაგონო დეპოს ტერიტორიაზე არის 100 მ<sup>3</sup> მოცულობის ამორტიზებული, უმოქმედო გამწმენდი ნაგებობა, რომელიც სავსეა ნავთობპროდუქტებით; ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს (ქ. ქუთაისი, ხაბეიშვილის II-ე შესახვევი №4) ტერიტორიაზეც შემორჩენილია უმოქმედო, ამორტიზებული ნავთობპროდუქტების გამწმენდი, რომელიც დაბინძურებულია ნავთობპროდუქტებით და ასევე საყოფაცხოვრებო ნარჩენებით.

ხაშურის სალოკომოტივო დეპოს (ოსიაურის დასახლება) ტერიტორიაზე განთავსებულია ნავთობპროდუქტების 6 რეზერვუარი საერთო მოცულობით ≈100 ტონა. ერთ-ერთ რეზერვუარში რომლის მოცულობაა 20 ტ. დარჩენილია საწვავი. აღნიშნული საწვავის ანალიზი ჩატარდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში, ჩატარებული ანალიზების დასკვნის მიხედვით, რეზერვუარში არის დიზელისა და წყლის ნარევი, რომელიც საწვავად გამოსაყენებლად უვარგისია.

ნავთობპროდუქტები/წყლის ნარევის არსებობა დაფიქსირდა ასევე, ფოთის მოსაბრუნებელი პუნქტის ტერიტორიაზე არსებულ 10 ტონიან მიწისზედა ჰორიზონტალურ რეზერვუარში.

სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს (სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ეწერი) ტერიტორიაზე არსებული ორმოში არის შლამები, რომლებიც დაბინძურებულია ნავთობპროდუქტებით. წვიმის დროს ხდება ორმოს წყლით შევსება გრუნტის წყლებით,



ზოგჯერ ადგილი აქვს ლოკომოტივების შეკეთების ტექნიკურ უბანზე ორმოდან ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლის გადმოსვლას.

თბილისის სალოკომოტივო დეპოს ტექნიკური დათვალერებისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე არის ზეთშემკრები, სადაც იღვრება გამოყენებული ზეთი. აღნიშნული ზეთშემკრები საჭიროებს პერიოდულად ამოწმენდას.

ტერიტორიებზე (სამტრედიის სალოკომოტივო დეპო, ფოთის მოსაბრუნებელი პუნქტი) ფიქსირდება ზეთებისა და ნავთობპროდუქტების ბლანტი ფენით დაბინძურება.

დაბინძურება ძირითადად დაკავშირებულია რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის სარემონტო სამუშაოებთან, სამგზავრო ვაგონების ტექნიკურ მომზადებასთან, სარელსო ტრანსპორტის მოძრაობასთან, სატრანსპორტო საშუალებებიდან და ტექნიკიდან საწვავისა და ზეთების ჟონვასთან; ნავთობპროდუქტების, ზეთების და საპოხი მასალების დასაწყობების პირობების დარღვევასთან; ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული რელსების, მათი დეტალების, შპალების, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ბურბუმელას და სხვ. არასათანადო დასაწყობებასთან; უმოქმედო ამორტიზებული, ნავთობპროდუქტების გამწმენდი ნაგებობების არსებობასთან. რისკფაქტორს წარმოადგენს ასევე ტერიტორიაზე განთავსებული ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული სპეცტანსაცმელი, საწმენდი ნაჭრები და სხვ.; ბენზინგასამართი სადგურების და საწვავის რეზერვუარების არსებობა; თბომავლების საწვავით გამართვა და ზეთების შევსება.

სატვირთო და სამგზავრო სადგურების ტერიტორიებზე ნავთობპროდუქტებით დაბინძურება არ აღინიშნება, დაბინძურება შეინიშნება მხოლოდ სადგურების წინ გამავალ სალიანდაგო ხაზებზე.

სატვირთო სადგურების ტერიტორიებზე კი ლიანდაგის ხაზები მეტ-ნაკლები ხარისხით, თითქმის ყველგან დაბინძურებულია. ნავთობპროდუქტებით მნიშვნელოვანი დაბინძურება აღინიშნა, სატვირთო სადგური სამტრედია 1-ის ტექნიკური კანტორის ტერიტორიაზე არსებულ სალიანდაგო ხაზზე. ვიზუალურად მნიშვნელოვანად დაბინძურებულია ერთ-ერთი სალიანდაგო ხაზი, დაახლოებით 30 მ<sup>2</sup> ფართობზე.

**5.4.1 ნიადაგში და გრუნტში დამაბინძურებელი ნვთიერებების ანალიზი**

ეკოლოგიური აუდიტის პროცესში ზოგიერთ ადგილას, სადაც აღინიშნებოდა ნავთობპროდუქტებით დაბინძურება, აღებულია ნიადაგის ნიმუშები და განსაზღვრულია მათში ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების (TPH) მძიმე მეტალების (Cu, Zn, Ni, Cd, Pb, As) შემცველობა.

სინჯების აღების ადგილის დასახელება და კოორდინატები მოცემულია ცხრილში 5.4.1.1.

**ცხრილი 5.4.1.1.** ნიადაგის ნიმუშების აღების ადგილის დასახელება, კოორდინატები

ნიადაგის სინჯის აღების ადგილი	სინჯის აღების კოორდინატები
დასავლეთის სალიანდაგო სამმართველო	X-280012 Y-4670658
სამტრედიის სალოკომოტივო დეპო 1	X-285513 Y-4672518
სამტრედიის სალოკომოტივო დეპო 2	X-285496 Y-4672519
დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს, ზესტაფონის რეგიონი	X-337413 Y-4663633

ნიადაგის ნიმუშები აღებულია ნორმატიული დოკუმენტის „დასახლებული ადგილების ნიადაგის მდგომარეობის ჰიგიენური შეფასება მეთოდური მითითებები მმ 2.1.7.003-02“ და სამეცნიერო კვლევითი ფირმა "გამა"-ს ლაბორატორიის - ინსტრუქცია GL – QI-1- 15-G-14 „ნიადაგის ნიმუშების აღება“ - შესაბამისად

ნიმუშების ანალიზები ჩატარდა სამეცნიერო კვლევითი ფირმა "გამა"-ს ლაბორატორიაში (აკრედიტაციის ატესტატი - GAC-TL-0067, 26.06.2014-26.06.2018), საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ნიადაგის ნიმუშებში განსასაზღვრი კომპონენტები, მათი დასაშვები მნიშვნელობები, ანალიზის შედეგები და მეთოდები მოცემულია ცხრილში 5.4.1.2.

**ცხრილი 5.4.1.2. ნიადაგის ნიმუშების ქიმიური ანალიზის შედეგები**

განსასაზღვრი პარამეტრები	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები ნდ <sup>2</sup> -ის მიხედვით არა უმეტეს	მიღებული შედეგები				განსაზღვრის მეთოდი
		დასავლეთის სალიანდაგი სამმართველო	სამტრედიის სალოკომოტივო დეპო 1	სამტრედიის სალოკომოტივო დეპო 2	დსს-ს ზესტაფონის რეგიონი	
ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადები (TPH) მგ/კგ	1000	173 110.0	36570.0	36610.0	70190.0	TNRCC method 1006 - Total Petroleum Hydrocarbons, 10/10/2000, US EPA Method 418.1 Total Petroleum Hydrocarbons
Cu, მოძრ. მგ/კგ	3	1,25	7,95	1,35	1,05	САН ПиН 42-128-4433-87, გოსტ რ 50683-90
Zn, მოძრ. მგ/კგ	37	71,5	17,5	27,5	97,0	
Ni, მოძრ. მგ/კგ	4	1,05	1,30	1,35	7,80	
Cd ჯამ. მგ/კგ	2	<2,0	<2,0	<2,0	<2,0	ისო 14869-01
Pb ჯამ. მგ/კგ	32	61	47	53	440	ისო 14869-01
As, ჯამ. მგ/კგ	10	4,4	6,4	1,4	8,2	ისო 14869-1995

**\*საორიენტაციო დასაშვები კონცენტრაცია**

როგორც 5.4.1.2. ცხრილიდან ჩანს, ნიადაგის ნიმუშებში აღინიშნა ნავთობპროდუქტებით დაბინძურების ძალზე ძლიერი დონე (>5000 მგ/კგ), ასევე დაფიქსირდა ტყვის შემცველობა.

თუთიის შემცველობა აღინიშნა დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს და ზესტაფონის რეგიონებში აღებულ ნიადაგის ნიმუშებში; ზესტაფონის რეგიონში ასევე დაფიქსირდა ნიკელის შემცველობა.

ნიადაგის ნიმუშებში განსაზღვრული სხვა მეტალების შემცველობა არ ფიქსირდება ან/და დასაშვები ნორმის ფარგლებშია.

<sup>2</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №54 2014 წლის 14 იანვარი. ქ. თბილისი. ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდისა“ დამტკიცების შესახებ; მეთოდური მითითებები ნიადაგების ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების საშიშროების ხარისხის შეფასებაზე. მმ 2.1.7. 004-03. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის # 38/ნ ბრძანება, 2003 წ. 24 თებერვალი.

#### 5.4.1.1 შემარბილებელი ღონისძიებები

აუდიტის შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სს „საქართველოს რკინიგზა“-ს დაქვემდებარებულ ობიექტებზე მავნე ნივთიერებებით დაბინძურებული ნიადაგის/გრუნტის მნიშვნელოვანი მოცულობები არ ყოფილა იდენტიფიცირებული, მაგრამ მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ დარღვეულია დაბინძურებული ნიადაგების მოხსნის და შემდგომი მართვის წესები, კერძოდ: უმეტეს შემთხვევაში წლების განმავლობაში არ ხდება დაბინძურებული გრუნტის ფენის მოხსნა და გატანა ან და მოხსნილი დაბინძურებული გრუნტის განთავსება წინასწარი გაწმენდის გარეშე ხდება არალიცენზირებულ ნაგავსაყრელებზე.

მავნე ნივთიერებებით დაბინძურებული ნიადაგის და გრუნტის მართვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აუცილებლობას წარმოადგენს შემდეგი რონიძიებების გატარება:

1. გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის თავიდან ასაცილებლად, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია დაბინძურებული ნიადაგის/გრუნტის ფენის მოხსნა შესაბამისი წესების დაცვით და შემდგომი მართვისათვის ამ საქმიანობაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ნებარტვის მქონე კვონტრაქტორზე გადაცემა;
2. ზედაპირული წყლების ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურების მაღალი რისკის საწარმოებში მოეწიოს კომპაქტური ნავთობდამწერი დანადგარები, ხოლო არსებულ უმოქმედო ნავთობდამწერ დანადგარებს გაუკეტდეს დემონტაჟი და მათ ნაცვლად მოეწიოს ახალი დანადგარები;
3. მოხსნილი ნიადაგი/გრუნტი, რომელიც დაბინძურებულია ნავთობპროდუქტებით და ნავთობპროდუქტები/წყალთან ნარევები; ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამები - წარმოადგენს სახიფათო ნარჩენს და მისი მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსით (2015 წ. 15 იანვარს) დადგენილი წესით, კერძოდ აღნიშნული ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით უნდა გადაეცეს კონტრაქტორ კომპანიებს, რომელსაც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონის "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" ფარგლებში, გააჩნია ნარჩენების გაუვნებლობის ნებართვა. კონტრაქტორ კომპანიაზე გადაცემამდე უნდა მოხდეს აღნიშნული ნარჩენებში ნავთობპროდუქტებით დაბინძურების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა;
4. უნდა შემუშავდეს პროექტი, რომელშიც გაწერილი იქნება ნავთობპროდუქტებით/ზეთებით დაბინძურებული ადგილებიდან დაბინძურებული ფენის მოხსნის; მათ დროებითი განთავსების ტერიტორიების შერჩევისა და მოწყობის; შემდგომი მართვისა და საბოლოო განთავსების საკითხები;
5. ტრანსფორმატორებში ზეთების ჩასხმა/ჩამოსხმის დროს, დაღვრილი ნავთობის მოცულობის შეკავების უზრუნველყოფისთვის, მათ ძირში უნდა განთავსდეს შემაკავებელი აუზები/მოცულობები;
6. მწყობრიდან გამოსული ტრანსფორმატორების დასაწყობებამდე, უნდა მოხდეს მათი დაცლა სატრანსფორმატორო ზეთებისგან;
7. ნიადაგის დაბინძურების რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით აუცილებელია ტრანსფორმატორების, სატრანსპორტო საშუალებების, ტექნიკის და დანადგარ-მექანიზმების გამართულობის სისტემატური კონტროლი, რათა თავიდან იქნას აცილებული საწვავისა და ზეთების ჟონვა; გაუმართაობის დაფიქსირებისთანავე დროულად უნდა იქნას ზომები მიღებული;
8. დაცული უნდა იყოს ზეთების/ნავთობპროდუქტების შენახვის პირობები:
  - o ზეთები/ნავთობპროდუქტები, მათ შორის ნარჩენი/გამოცვლილი, შენახული უნდა იქნას სპეციალურ, დახურულ ავზებში ან კონტეინერებში;
  - o ზეთის და საწვავის დაცლილი ავზები, უნდა დასაწყობდეს სისტემატურად. ბეტონის საფარიან ადგილზე;

- გაჟონვის თავიდან ასაცილებლად, ნავთობპროდუქტების/ზეთების შენახვისთვის დაზიანებული კონტეინერების გამოყენება მკაცრად უნდა იყოს აკრძალული;
- ავზების დასაწყობების ადგილს უნდა ჰქონდეს ბეტონის საფარი; დაღვრების შემთხვევებში ნავთობპროდუქტების შეგროვებისთვის, საფარს უნდა ქონდეს დაქანება დამწრეტი არხების მიმართულებით, რომელიც დაკავშირებული იქნება ნავთობპროდუქტების შემკრებ აუზთან;
- საწვავის/ზეთების შესანახ ადგილზე განთავსებული უნდა იყოს ნავთობპროდუქტების დაღვრის შედეგების სალიკვიდაციო ნაკრები;
- შენახვის ადგილი დაცული უნდა იქნას ატმოსფერული ნალექებისაგან;
- შენახვის ადგილას გამოკრული უნდა იყოს მაფრთხილებელი ნიშნები და და აღჭურვილი უნდა იყოს ხანძარქრობის საშუალებებით;
- უსაფრთხოების თვალსაზრისით საწვავის დასაწყობების ადგილები დაცული უნდა იყოს უცხო პირობის ხელყოფისაგან და ტერიტორიაზე განთავსდეს ხანძარქრობის სისტემები.

### 5.5 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სს „საქართველოს რკინიგზა“-ს დაქვემდებარებაში არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტების მიმდინარე საქმიანობა ახალი ტერიტორიების ათვისებას ან მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს არ ითვალისწინებს. საქმიანობა ხორციელდება ათეული წლების წინ შექმნილ საწარმოო ტერიტორიებზე და შენობა-ნაგებობებში და შესაბამისად ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების რისკებს ადგილი არ აქვს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ძირითადი ინფრასტრუქტურის ობიექტები განკავებულია მსხვილი დასახლებული პუნქტების ტერიტორიებზე, შესაბამისდად მათი განტავსების ტერიტორიები მნიშვნელოვანი ურბანული და ტექნოგენური დატვირთვიდან გამომდინარე ბიომრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ზემოქმედების რისკებიდან შეიძლება გამოვყოთ ფრინველებზე ზემოქმედების რისკები, რაც დაკავშირებულია ღამის განათების სისტემების ექსპლუატაციასთან.

ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით აღსანიშნავია სარკინიგზო ხაზების არსებობით გამოწვეული ჰაბიტატების ფრაგმენტაციით გამოწვეული ზემოქმედება. ზემოქმედების შემცირების ერთადერთი არსებული შემარბილებელი ფაქტორია მდინარეებზე და ბუნებრივ ხევებზე გადასასვლელი ხიდები და მილხიდები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ძირითადი სარკინიგზო მაგისტრალეები დაახლოებით 1.5 საუკუნის განმავლობაში ფუნქციონირებს არსებული მდგომარეობით, მიმდებარე ტერიტორიებზე მობინადრე ცხოველთა სახეობები გარკვეულად ადაპტირებულია ჰაბიტატების ფრაგმენტაციით გამოწვეულ ზემოქმედებასთან.

ცხოველთა სამყაროზე ნეგატიური ზემოქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რკინიგზის ინფრასტრუქტურის ობიექტებზე ნარჩენების მართვის მდგომარეობის მოწესრიგება, კერძოდ: აუდიტის შედეგების მიხედვით თითქმის ყველა ინფრასტრუქტურის ობიექტზე დარღვეულია ნარჩენების მართვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც ნეგატიურად აისახება ცხოველთა სამყაროზე.

არსებობს ასევე ფრინველების სარკინიგზო ხაზების ხიმინჯებზე და ელექტროსადენებზე შეჯახების რისკები, მაგრამ აუდიტის პროცესში ცატარებული გამოიკითხვის შედეგების მიხედვით, მომსახურე პერსონალი ფრინველთა დაღუპვის ან დაზიანების ფაქტებს არ ადასტურებს.

6 დანართები

6.1 დანართი N1

სარკინიგზო მაგისტრალის მონაკვეთი	ნომერი რიგზე	ობიექტის დასახელება	გეოგრაფიული კოორდინატები	ობიექტის (ხევის გადაკვეთის ადგილის) მდგომარეობა, დახასიათება	რეკომენდაციები
1	2	3	4	5	6
თბილისი-ხაშურის მონაკვეთი	1	მდ. გლდანულას ხიდი (ავჭალა)	X=482924 Y=4628185	რკინიგზის ხიდის ქვეშ, მარჯვენა ნაპირზე აღინიშნება ჩამდინარე წყლების ჩაშვება. მდინარის მარჯვენა ნაპირზე სტიქიური ნაგავსაყრელია	სასურველია წყლების ჩაშვების წერტილების გატანა ხიდის გარეთ, აიკრძალოს ხიდის ქვეშ ნაგვის დაყრა
-//-	2	მდ. მტკვარი (ზაჰესი)	X=480470 Y=4630273	ნორმალურია	_____
-//-	3	მდ. მტკვარი (ძეგვის ხიდი)	X=466913 Y=4633443	რკინიგზის ხიდის ქვეშ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე აღინიშნება სტიქიური ნაგავსაყრელი	სასურველია ტერიტორიის გაწმენდა და ნაგვის დაყრის აკრძალვა
-//-	4	მდ. ქსანი	X=463689 Y=4634805	რკინიგზის ხიდის I თალი ატარებს მდინარეს, ხოლო II თალის ქვეშ გადის მეორე ხარისხოვანი საავტომობილო გზა. რკინიგზის მარჯვენა, მდინარის მარჯვენა ნაპირზე ნაგავსაყრელია, ხოლო მდინარის მარცხენა ნაპირზე ფიქსირდება ნახევრად გაჩეხილი ბუჩქები	მდინარის კალაპოტში ნაგავსაყრელების აკრძალვა, ბუჩქნარის გაკაფვა
-//-	5	მდ. ლეხურა	X=460865 Y=4635733	მდინარის მარჯვენა ნაპირზე, უშუალოდ რკინიგზის ხიდთან ფიქსირდება ეკალბარდები, ბუჩქნარი, რომელნიც ზღუდავენ მდინარის გამტარიანობას. ხიდის პარალელურად გადის წყალგამტარი მილი	ტერიტორია საჭიროებს გაწმენდას ეკალბარდებისა და ბუჩქნარისაგან
თბილისი-ხაშური	6		X=460350 Y=4636015	ნორმალურია	_____

-//-	7		X=459738 Y=4637515	დროებითი ნაკადების გამტარი. გაედინება მცირე ზომის ნაკადულით. ნორმალურია	_____
-//-	8		X=459642 Y=4637726	დროებითი ნაკადების წყალგამტარი (მშრალი ხევი). ბუჩქნარით დაფარული ხევი	ხევი საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას
-//-	9		X=458768 Y=4638274	დროებითი ნაკადების წყალგამტარი (მშრალი ხევი). ბუჩქნარით დაფარული ხევი	ხევი საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას
-//-	10		X=457738 Y=4638712	დროებითი ნაკადების წყალგამტარი (მშრალი ხევი). ბუჩქნარით დაფარული ხევი	ხევი საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას
-//-	11		X=453984 Y=4640200	დროებითი ნაკადების წყალგამტარი (მშრალი ხევი). ბუჩქნარით დაფარული ხევი	ხევი საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას
-//-	12		X=452190 Y=4640841	დროებითი ნაკადების წყალგამტარი. ხვინჭიანი ფსკერით (მშრალი ხევი), ნორმალურია	_____
-//-	13		X=448113 Y=4643304	დროებითი ნაკადების წყალგამტარი (მშრალი ხევი). კალაპოტის ფსკერი აგებულია კენჭნარით. ხიდი აგებულია 1923 წელს, ნორმალურია	_____
-//-	14		X=447366 Y=4643534	დროებითი ნაკადების წყალგამტარი (მშრალი ხევი). წყლის საწრეტის მილი გაყვანილია ტრანსპორტის გამტარი გვირაბის ქვემოთ, ნორმალურია	_____
-//-	15		X=443735 Y=4644160	დროებითი ნაკადების წყალგამტარი (მშრალი ხევი), ნორმალურია	_____
-//-	16		X=442220 Y=4643910	დროებითი ნაკადების წყალგამტარი (მშრალი ხევი). თიხოვანი ქანებისაგან აგებული კალაპოტი, ნორმალურია	_____
-//-	17	მდ. მტკვარი	X=440564 Y=4644218	ნორმალურია	_____

-//-	18	მდ. ტანა	X=427817 Y=4646417	ხიდი განთავსებულია მდინარე ტანის შესართავთან. მდ. ტანას მარჯვენა ნაპირას ფიქსირდება სტიქიური ნაგავსაყრელი. მდ. ტანას მარცხენა ნაპირას მდ. მტკვართან შეერთებისას ფიქსირდება ნაგავი.	სასურველია ტერიტორიის ნაგვისაგან გაწმენდა და ნაგვის დაყრის აკრძალვა
-//-	19		X=417437 Y=4650465	ნაკადულის კალაპოტი ხიდის ქვეშ ამოვსებულია საყოფაცხოვრებო ნაგვით და რკინიგზის ვაკისიდან გადმოყრილი ღორღით. მდინარის ხიდის ქვეშ სივრცე თითქმის ამოვსებულია მდინარის მიერ მოტანილი შლამითა და ქვიშიანი მასით (შემადლებულია). მდინარიდან ხიდამდე სიმაღლე ≈ 0,5 მ.-ია.	ტერიტორია საჭიროებს ვაკისის ნაყარისა და მდინარის ნატანისაგან გაწმენდას, წყალდიდობისას გამტარუნარიანობის უზრუნველსაყოფად
-//-	20		X=416845 Y=4650585	ნაკადულის წყალგამტარი. გვირაბთან ფიქსირდება რკინიგზის ვაკისიდან გადმოყრილი ღორღი	ტერიტორია საჭიროებს ნაყარისაგან გაწმენდას
-//-	21	მდ. მტკვარი	X=405336 Y=4653941	ნორმალურია	_____
ხაშური-ვალე	22		X=381390 Y=4649591	სარწყავი არხის წყალგამტარი. ნორმალურია	_____
-//-	23		X=377378 Y=4647155	სარწყავი არხის წყალგამტარი. გვირაბთან ბუჩქნარია	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას
-//-	24		X=377148 Y=4647035	მდინარის მარჯვენა ნაპირზე, უშუალოდ ხიდთან ფიქსირდება ხეების, ბუჩქების არსებობა.	მდინარის ადიდების შემთხვევაში შეიზღუდება წყლის გამტარიანობა. რეკომენდებულია ამ ადგილის გაწმენდა.
-//-	25	მდ. მტკვარი	X=376494 Y=4644835	მდინარის მარცხენა მხარეს, ხიდთან, ფერდობზე ფიქსირდება საყოფაცხოვრებო ნაგვის მამუტაბური საყარი. ასევე მდინარის მარჯვენა მხარესაც დაფიქსირდა ასეთივე სურათი.	სასურველია ტერიტორიის ნაგვისაგან გაწმენდა და ნაგვის დაყრის აკრძალვა

-//-	26	მდ. ნემვისწყალი	X=374581 Y=4643271	ხეობის მარჯვენა მხარეს ფიქსირდება შენობა-ნაგებობები (საქათმეები, სალორები). ასევე მდინარის მარჯვენა მხარეს, ხიდთან, ფიქსირდება საყოფაცხოვრებო ნაგვის საყარი. ხიდის ქვეშ გადის გაზის მილი. რკინიგზის მარჯვნივ, მდინარის მარჯვნივ ფიქსირდება ბუჩქნარი. მდინარის მარცხენა მხარეს, მოსახლეს გაბიონად გამოყენებული აქვს დიდი ოდენობით ავტო- საბურავები, რამაც შესაძლოა მდინარის ადიდებისას წაღებულ იქნას.	ტერიტორია საჭიროებს რკინიგზის ხიდის ქვეშ არსებული ნაგვისა და ნატანისაგან გაწმენდას
-//-	27		X=371384 Y=4639205	დროებითი ნაკადის წყალგამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	28	მდ. ყვიბისწყალი	X=368556 Y=4635547	მდინარის ორივე მხარეს, ხიდის ქვეშ ფიქსირდება ბუჩქნარი, ასევე საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელი. ხოლო მარჯვენ მხარეს კანალიზაციის ჩაშვება.	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას
-//-	29	მდ. გუჯარეთისწყალი	X=367940 Y=4634095	გუჯარეთის წყლის შესართავი მდ. მტკვართან, ნორმალურია	_____
-//-	30		X=363276 Y=4630958	მცირე ხევის დროებითი ნაკადების წყალგამტარი (მშრალი ხევი). ნორმალურია	_____
-//-	31		X=362651 Y=4630389	მცირე ხევი. მცირე ზომის მდინარე, რომელიც უერთდება მტკვარს მარჯვნიდან. ხიდის ქვეშ ხეები და ბუჩქნარია.	ტერიტორია საჭიროებს გაწმენდას
-//-	32		X=361951 Y=4630114	მცირე ზომის ნაკადულის წყალგამტარი ხიდი. ხიდის სიმაღლე ნაკადულიდან ≈ 6 მ-ია.	ტერიტორია საჭიროებს გაწმენდას
-//-	33		X=360330 Y=4629088	დროებითი ნაკადების წყალგამტარი (მშრალი ხევი). ნორმალურია	_____



-//-	34		X=359176 Y=4628465	მცირე ზომის ნაკადულის წყალგამტარი. ნაკადულის მარჯვენა მხარეს, ხიდთან დაფიქსირდა საპირფარეშო, საიდანაც ჩაშვება ნაკადულში პირდაპირ ხდება. ნაკადულიდან ხიდამდე სიმაღლე ≈ 2მ.-ია. ხიდის ქვეშ სივრცე თითქმის ამოვსებულია ქვა-ღორღით.	ტერიტორია საჭიროებს გაწმენდას მდინარის ნატანისაგან
-//-	35		X=358704 Y=4627681	მცირე ზომის ნაკადულის წყალგამტარი. ნაკადულის ორივე მხარეს ფიქსირდება საყოფაცხოვრებო ნაგვის დიდი ოდენობა. ნაგავი, მდინარის მიერ მოტანილი ქვა-ღორღი, დაგროვებულია ხიდის ქვეშ. ფიქსირდება ეკალბარდები, ხეები.	ტერიტორია საჭიროებს გაწმენდას საყოფაცხოვრებო ნაგვის, მდინარის ნატანისა და ბუჩქნარისაგან
-//-	36	მდ. დვირულა	X=356115 Y=4626513	მდინარის ორივე ნაპირას, ხიდთან, ფიქსირდება ხეები. ნორმალურია	_____
-//-	37	მდ. მტკვარი	X=353756 Y=4624871	ნორმალურია	_____
-//-	38		X=352319 Y=4624768	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი). გვირაბში ფიქსირდება დიდი ოდენობით ნაგავი და ბუჩქნარი	ტერიტორია საჭიროებს გაწმენდას
-//-	39		X=351471 Y=4624609	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი), ნორმალურია	_____
-//-	40		X=348613 Y=4622592	მდინარის მარჯვენა მხარეს, ნაპირზე ფიქსირდება ბუჩქნარი, მცირე ზომის ხეები და მდინარის ნატანი	ტერიტორია საჭიროებს გაწმენდას
-//-	41		X=346436 Y=4620306	მცირე ზომის ნაკადულის გამტარი. ხიდის გვირაბი თითქმის ამოვსებულია ნაგვითა და ნაყარით. ნაკადული უერთდება მდ. მტკვარს მარცხენა მხრიდან.	ტერიტორია საჭიროებს გაწმენდას
-//-	42		X=344267 Y=4617569	ნორმალურია	_____

-//-	43		X=339724 Y=4617787	დროებითი ნაკადების გამტარი, მცირე ზომის ნაკადულით. ნაკადულის მარჯვნივ მე-2 საავტომობილო გზაა. ნორმალურია	_____
-//-	44		X=339059 Y=4617624	მცირე ზომის ნაკადულის გამტარი. კალაპოტის სივრცე უკავია მცირე-საშუალო ზომის ბუჩქნარს, ხეებს. ნაკადის პარალელურად გადის მეორეხარისხოვანი საავტომობილო გზა, რომელიც მიდის სოფ. გიორგიწმინდაში. ხიდის მიმდებარედ მდგომარეობა ნორმალურია	_____
-//-	45		X=339095 Y=4615641	რკინიგზის ხიდის ქვეშ არის ორი გვირაბი მდინარის წყლის გამტარად. რკინიგზის მარცხნივ ხიდთან, მდინარის მარჯვენა მხარეს ყრია დიდი ოდენობით ნაკელი, ხოლო რკინიგზის მარჯვენა მხარეს მდინარის კალაპოტის ორივე მხარეს ყრია დამტვრეული ტოტები, ბუჩქები, საყოფაცხოვრებო ნაგავი.	ტერიტორია საჭიროებს ნაგვისაგან გაწმენდას
-//-	46		X=337919 Y=4614721	მცირე ზომის ნაკადულის გამტარი. ნორმალურია	_____
-//-	47		X=333501 Y=4612420	მცირე ზომის ნაკადულის გამტარი. ნაკადულის მარჯვენა ფერდობი დამეწყრილია. შეინიშნება შვავები, რაც იწვევს კალაპოტის ამოვსებას. ასევე ფიქსირდება ბუჩქნარის, მცირე ხეების არსებობა (რკინიგზის მარცხნივ).	ტერიტორია საჭიროებს გაწმენდას ნაგვისაგან და ასევე დამეწყრილი ფერდობის გაბიონით გამაგრებას
-//-	48		X=329965 Y=4611950	მცირე ზომის ნაკადულის წყალგამტარი. რკინიგზის ხიდის ქვეშ მოწყობილია მაშტაბური ნაგავსაყრელი.	სასურველია ტერიტორიის ნაგვისაგან გაწმენდა
-//-	49		X=329658 Y=4612008	მცირე ზომის ნაკადულის გამტარი. ხიდის ქვეშ ნაკადული და საავტომობილო გზა გვერდიგვერდაა. ნორმალურია	_____

-//-	50	მდ. ფოცხოვის წყალი	X=328279 Y=4612238	მდინარის კალაპოტის მარჯვენა მხარე სავსეა ნაგვით, სამშენებლო მასალების ნარჩენებით, საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ქვებით, ნატეხი ბუჩქნარითა და ტოტებით. ხიდის ქვეშ მდინარე და მეორეხარისხოვანი საავტომობილო გზა გვერდიგვერდაა.	სასურველია ტერიტორიის ნაგვისაგან გაწმენდა და ნაგვის დაყრის აკრძალვა
-//-	51		X=327660 Y=4612033	მცირე ზომის მდინარის წყალგამტარი. მდინარის ორივე ნაპირას ფიქსირდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების (ნაგავსაყრელი) დიდი ოდენობა. ხიდის ქვევით ამოვსებულია, ნაგვით, ნაყარით.	საჭიროა ტერიტორიის გაწმენდა ნატანისა და ნაგვისაგან
თბილისი-დედოფლისწყარო	52	მდ. ლოჭინი	X=501249 Y=4617005	ნორმალურია	_____
-//-	53		X=502113 Y=4616972	რკინიგზის ორივე მხარეს $\approx 20$ მ. რადიუსში ბუჩქნარი გაკაფულია, ნაკადულის ნაპირებზე. ნაკადულის ხარჯი $\approx 4-5$ ლ/წმ. რკინიგზის ხიდის ქვეშ გვირაბის მდგომარეობა კარგია, არ ფიქსირდება წყლის მიერ წარეცხილი და დანგრეული კედლები, რაც გვავარაუდებინებს, რომ ნაკადულის რეჟიმი სტაბილურია. ნორმალურია	_____
-//-	54	მდ. საცხენისის წყალი	X=502629 Y=4617230	მდინარის ხარჯი $\approx 1-2$ მ <sup>3</sup> /წმ-ია. გვირაბიდან $\approx 20$ მ-ის ზევით ჭალა ფართოვდება (მდინარის მარჯვენა). ნორმალურია	_____
-//-	55		X=512905 Y=4614515	მცირე ზომის მდინარის წყალგამტარი. მდინარე და მეორეხარისხოვანი გზა გვერდიგვერდაა. ხარჯი $\approx 2,5$ მ <sup>3</sup> /წმ-ია. ნორმალურია	_____
-//-	56		X=516274 Y=4616700	მცირე ზომის მდინარის წყალგამტარი. მდინარის მარჯვენა ხიდთან, ფიქსირდება ბუჩქნარი. ხარჯი $\approx 1$ მ <sup>3</sup> /წმ-ია. ხიდის ორივე მხარეს ეკალბარდება.	საჭიროა ტერიტორიის ეკალბარდებისგან გაწმენდა

-//-	57	მდ. იორი	X=517443 Y=4617289	ნორმალურია	_____
-//-	58		X=525770 Y=4616878	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი), ნორმალურია	_____
-//-	59	პატარძელის ხევი	X=523023 Y=4617019	რკინიგზის ხიდის მიმდებარედ ფიქსირდება მდინარის ნატანი	ტერიტორია საჭიროებს მდინარის ნატანისაგან გაწმენდას
-//-	60		X=526949 Y=4616965	მდინარის მშრალი კალაპოტი. ხეობაში ფიქსირდება კაჭარ-კენჭნარი. კალაპოტიდან ხიდანდე სიმაღლე ≈ 5 მ-ია. ხიდის ქვეშ კალაპოტის ორივე მხარეს მეორეხარისხოვანი საავტომობილო გზაა. კალაპოტის სიგანე ≈ 8-10 მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	61		X=530470 Y=4618199	სარწყავი არხი (მშრალია). ნორმალურია	_____
-//-	62	ანთოკის ხევი	X=530996 Y=4618335	მდინარის მშრალი კალაპოტი, (სელური ნაკადის გამტარი) კალაპოტი ამოვსებულია კაჭარ-კენჭნარის დიდი მასით. ხიდიდან ფსკერამდე სივრცე ≈ 1-1.5 მ-ია. უშუალოდ ხიდზე შეინიშნება მდინარის მიერ მოტანილი კაჭარ-კენჭნარის მასის დაგროვება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ წყალდიდობისას მდინარის წყალი გადადის ხიდზე, სადაც დატოვებულია ნატანი, ხიდის მარჯვნივ კალაპოტი ფართოვდება და ამოვსებულია კაჭარ-კენჭნარით. კალაპოტის რელიეფის მდგომარეობა მიუთითებს, რომ წყალდიდობისას მდინარის ნაკადის დიდი სიჩქარით გადაადგილების და დიდი მოცულობის ნატანის გადატანა ხდება დინების მიმართულებით. რკინიგზის გამტარუნარიანობის აღსადგენად საჭირო	ტერიტორია საჭიროებს პერიოდულად სელური ნატანისაგან გაწმენდას

				იქნება დიდი მოცულობის ნატანი მასალის გატანა, კალაპოტის ჩაღრმავება, ხიდის ორივე მხარეს.	
თბილისი-თელავი -//-	63	მდ. ხრუკიასხევი	X=542874 Y=4641963	მცირე ზომის მდინარის გამტარი, რკინიგზის ორივე მხარეს, მდინარის ნაპირები დაბინძურებულია ნაგვისაგან. ხიდის ქვეშ ორივე მხარეს გადის გაზის მილები. მდინარიდან ხიდამდე სიმაღლე ≈ 5 მ-ია.	ტერიტორია საჭიროებს ნაგვისა და ნატანისაგან გაწმენდას.
-//-	64	მდ. სათლიანისხევი	X=544296 Y=4641057	დროებითი ნაკადის გამტარი (მშრალი ხევი). ფსკერიდან ხიდამდე სიმაღლე ≈ 4 მ-ია. ხიდთან მდინარის ხევში ორივე მხარეს მოწყობილია სტიქიური ნაგავსაყრელია. ხიდის ქვეშ გადის მეორეხარისხოვანი გზა	სასურველია ხეობის ნაგვისაგან გაწმენდა
-//-	65	მდ. კისისხევი	X=548471 Y=4639709	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ხეობაში არის წყლის ადიდებისას მოტანილი დიდი ოდენობით კაჭარ-კენჭნარი. ფსკერიდან ხიდამდე სიმაღლე ≈ 6 მ-ია. ხეობის სიგანეა ≈ 200 მ. მდინარეს ახასიათებს წყალმოვარდნა. ხიდთან არის პატარა (ხელოვნური) ტბორი. ხიდის ქვეშ გადის გაზის მილი. ნორმალურია	_____
-//-	66		X=549101 Y=4638956	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი). ხეობაში აღინიშნება ნაგავსაყრელი. ხიდის ქვემოთ გადის გაზის მილები და ფიქსირდება ეროზიული პროცესები. ხეობაში დიდი ოდენობით კაჭარ-კენჭნარია.	ტერიტორია საჭიროებს ნაგვისაგან, სამრეწველო ნარჩენებისა და ნატანისაგან გაწმენდას. საჭიროა ხიდის მიმდებარედ მდინარის კალაპოტში ხელოვნური ტერასების მოწყობა
თბილისი-თელავი -//-	67		X=549616 Y=4638257	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი) მცირე ზომის გვირაბი. ხიდიდან ორივე მხარეს ხევში ეკალბარდები და ბუჩქნარია. ხიდის ზედა მხარეს ნაგავსაყრელია.	ტერიტორია საჭიროებს გაწმენდას ბუჩქნარისაგან და ნაგვისაგან

-//-	68	მდ. ბუშათისხევი	X=550185 Y=4637905	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი). კალაპოტში არის კაჭარ-კენჭნარი. ფსკერიდან ხიდანმდე სიმაღლე ≈ 1,5 მ-ია.	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას
-//-	69	მდ. განთისხევი	X=552526 Y=4636897	მცირე ზომის ნაკადულის გამტარი - განიერი ხეობით, სიგანე ≈ 60 მ-ია. ხეობაში არის დიდი ოდენობით კაჭარ-კენჭნარი. ფსკერიდან ხიდანმდე სიმაღლე ≈ 0,5 მ-ია. წყლის ადიდებისას შესაძლებელია ხიდის ქვეშ არსებული სივარითე ამოივსოს სელური ნატანით.	ტერიტორია საჭიროებს პერიოდულ გაწმენდას სელური ნატანისაგან
-//-	70		X=553488 Y=4635478	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი). ხევი სავსეა კაჭარ-კენჭნარით. ფსკერიდან ხიდანმდე სიმაღლე ≈ 1 მ-ია. ხიდის ორივე მხარეს ნაპირებზე ბუჩქნარია.	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისა და ნატანისაგან გაწმენდას
თბილისი-თელავი -//-	71		X=555723 Y=4634334	პატარა მდინარის გამტარი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა და მდინარე გვერდიგვერდაა. მდინარის ფსკერიდან ხიდანმდე ≈ 5 მ-ია. ხარჯი ≈ 1,5 მ <sup>3</sup> /წმ. ხევში მდინარის ფსკერზე კაჭარ-კენჭნარია. ნორმალურია	_____
-//-	72		X=556302 Y=4633191	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი). ნაკადის კალაპოტი და მე-2 გზა გვერდიგვერდაა. ფსკერიდან ხიდანმდე სიმაღლე ≈ 2 მ-ია. ხეობა გზიდან გამოყოფილია ≈ 0,5 მ-იანი ბეტონის კედლით. კალაპოტში დიდი ოდენობით ნაგავია.	ტერიტორია საჭიროებს ნაგვისაგან გაწმენდას
-//-	73		X=556531 Y=4632951	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი). ხიდანმდე სიმაღლე ≈ 1 მ-ია. ხიდის ორივე მხარეს ეკალ-ბარდები და ბუჩქნარია.	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას
-//-	74	მდ. მღვრიეხევი	X=558722 Y=4632070	მცირე ზომის მდინარის გამტარი. სიმაღლე ≈ 10 მ-ია. ხევში ფიქსირდება ეროზიული პროცესები. წყლის ადიდებისას	რეკომენდირებულია არსებული კალაპოტში ხელოვნური ტერასების გამაგრება

				მოტანილია დიდი ოდენობით წვრილმარცვლოვანი ნატანი - ბეტონის ნატეხები.	
თბილისი-თელავი -//-	75		X=559376 Y=4630937	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი). სიმაღლე ხიდამდე $\approx 1,7$ მ-ია. მდინარეს ადიდებისას მოტანილი აქვს ქვა-ლორღი. კალაპოტი სავსეა საყოფაცხოვრებო ნაგვით. ხიდის ქვეშ კალაპოტიდან გზა გამოყოფილია $\approx 0,5$ მ-იანი ბეტონის კედლით.	ტერიტორია საჭიროებს ნატანისაგან გაწმენდას
-//-	76	მდ. ჭემისხევი	X=561455 Y=4628235	მცირე ზომის მდინარის გამტარი. სიმაღლე $\approx 15$ მ-ია, კალაპოტის სიგანე კი $\approx 50$ მ. ხეობაში მდინარის ადიდებისას მოტანილია წვრილმარცვლოვანი ქვა-ლორღი. ნორმალურია	_____
თელავი-გურჯაანი-დედოფლისწყარო -//-	77	მდ. ფაფრისხევი	X=564625 Y=4624635	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ხარჯი $\approx 1$ მ <sup>3</sup> /წმ. ხიდამდე სიმაღლე $\approx 15-20$ მ-ია. ხეობაში წყლის ადიდებისას მოტანილია ქვა-ლორღი და ბეტონის ნამტვრევები. ხიდის ქვემოთ გვერდითა კედლები გამაგრებულია ბეტონის ჯებირებით. ხიდის ქვეშ გადის წყლის მილი. ხეობაში ნაგავსაყრელია. კალაპოტში ფიქსირდება ეროზიული მოვლენები.	ტერიტორია საჭიროებს ნატანისაგან გაწმენდას და გასამაგრებელია მდინარის მარცხენა ნაპირი ეროზიისაგან დასაცავად
-//-	78		X=565756 Y=4623055	მცირე ზომის წყალგამტარი. მდინარის კალაპოტი მოქცეულია ბეტონის ჯებირებში. ხიდის ზედა მხარეს, მარჯვენა ნაპირზე ბუჩქნარია. ხიდის ქვეშ გადის გაზისა და (სავარაუდოდ წყლის) 2 მილი. სიმაღლე $\approx 2$ მ.	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას
თელავი-გურჯაანი-დედოფლისწყარო -//-	79		X=567161 Y=4620743	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი). გვირაბის სიმაღლე $\approx 2$ მ-ია, ხოლო მის ქვეშ გადის წყლის მილი. გვირაბის შესასვლელთან ბუჩქნარია. ყრია ნაგავი და დამტვრეული ტოტები.	ტერიტორია საჭიროებს გაწმენდას ნაგვისაგან

-//-	80		X=567834 Y=4619712	მცირე ზომის ნაკადის გამტარი. ნაკადი და მე-2 ტბა გვერდიგვერდაა. სიმაღლე 3 მ-ია. ხარჯი ≈ 2 ლ/წმ. ნორმალურია	_____
-//-	81		X=568507 Y=4618330	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი). მცირე ზომის გვირაბი, სიმაღლით ≈ 1 მ. გვირაბში ფიქსირდება შლამი	ტერიტორია საჭიროებს ნატანისაგან გაწმენდას
-//-	82		X=569001 Y=4617301	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი). ხევიში ნაგავსაყრელია.	საჭიროა ხევის გაწმენდა ნაგვისაგან
თელავი-გურჯაანი-დედოფლისწყარო	83		X=569682 Y=4616095	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი), ნორმალურია	_____
-//-	84	მდ. ჩალაუბნისხევი	X=572561 Y=4617128	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი). ხიდის ქვეშ ორივე მხარეს გადის მილები. ხიდანდე სიმაღლე ≈ 15 მ-ია. ხიდის ქვეშ ფიქსირდება ეროზიული პროცესები	საჭიროა ნაპირების გაბიონით გამაგრება ეროზიული პროცესებისაგან დასაცავად
-//-	85		X=572119 Y=4615738	მცირე ზომის ნაკადულის გამტარი. ხარჯი ≈ 2 ლ/წმ-ია. ხიდანდე სიმაღლე ≈ 2 მ-ია. ხიდის ორივე მხარეს ბუჩქნარია	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას
-//-	86		X=575071 Y=4615290	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი). ხიდანდე სიმაღლე ≈ 10 მ-ია. ხიდის ორივე მხარეს ბუჩქნარი, ჯაგნარია. (ხიდი არ ფუნქციონირებს)	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას
თელავი-გურჯაანი-დედოფლისწყარო -//-	87		X=585256 Y=4592604	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი ხევი). ხევი ამოვსებულია ბუჩქნარით, ხეებით, ეკალბარდებით. გვირაბის სიმაღლე ≈ 1,5 მ-ია.	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას
-//-	88		X=568965 Y=4602753	დროებითი ნაკადის გამტარი (მშრალი ხევი). სადერივაციო არხის გამტარი. (არხი არ ფუნქციონირებს). ხიდის სიმაღლე ≈ 2 მ-ია და მის ქვეშ გადის მეორეხარისხოვანი გზა. ნორმალურია	_____



-//-	89		X=568449 Y=4603369	დროებითი ნაკადის გამტარი (მშრალი ხევი). სადერივაციო არხის გამტარი. (არხი არ ფუნქციონირებს). ხიდის სიმაღლე ≈ 1,5 მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	90		X=564367 Y=4606027	დროებითი ნაკადის გამტარი (მშრალი ხევი). გვირაბის სიმაღლე ≈ 2 მ. ნორმალურია	_____
-//-	91	მდ. ლაკბე	X=562178 Y=4608790	დროებითი ნაკადის გამტარი (მშრალი ხევი). ხიდის ქვეშ გადის წყლის მილი. ხიდამდე სიმაღლე ≈ 5 მ-ია.	რეკომენდირებულია არსებული ტერასის გამაგრება
-//-	92		X=558505 Y=4609627	დროებითი ნაკადის გამტარი (მშრალი ხევი). ხიდამდე სიმაღლე ≈ 4 მ-ია. ხიდის ქვეშ გადის წყლის ორი მილი. წყალს ადიდებისას მოტანილი აქვს მცირე კაჭარ-კენჭნარი. ნორმალურია	_____
-//-	93		X=542577 Y=4613440	მცირე ზომის ხევი, მცირე ზომის ნაკადულით. ხარჯი ≈ 1 ლ/წმ-ია. ხიდამდე სიმაღლე ≈ 4 მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	94	მდ. ჩაილური	X=539062 Y=4616775	მცირე ზომის მდინარე, ხარჯი ≈ 2 მ3/წმ. მდინარის ხეობაში დიდი ოდენობით კაჭარ-კენჭნარია. ხიდამდე სიმაღლე ≈ 1 მ-ია. წყლის ადიდებისას მდინარეს გადავლილი აქვს რკინიგზაზე (რაზეც გვაფიქრებინებს დაღუნული ჯებირები). ხელოვნურად კალაპოტის გვერდებზე ამოტანილია და დაყრილია მდინარის ნატანი (ხიდის ორივე მხარეს). მდინარეს ახსიათებს სელური პროცესები.	ტერიტორია საჭიროებს ამ დროისათვის და შემდგომ ეტაპობრივ გაწმენდას სელური ნატანისაგან
თელავი-გურჯაანი-დედოფლისწყარო -//-	95		X=538149 Y=4618075	მცირე ზომის ნაკადის გამტარი (მშრალი ხევი). ხიდის ქვემოთ სიცარიელე თითქმის ამოვსებულია. ხეობის ნაპირებზე ეკალბარდებია. წყლის გამტარი საჭიროებს გაწმენდას. წყალმოვარდნისას შესაძლოა წყლის ნატანით ამოივსოს ხიდის გამტარი	ტერიტორია საჭიროებს ეკალბარდებისგან და ნატანისაგან გაწმენდას

				და წყალი გადავიდეს რკინიგზაზე.	
-//-	96		X=537580 Y=4618100	მცირე ზომის წყლის გამტარი. სიმაღლე ხიდამდე $\approx 2$ მ-ია. წყლის ხარჯი $\approx 20$ ლ/წმ-ია. ხიდის ორივე მხარეს ეკალბარდებია.	ტერიტორია საჭიროებს ეკალბარდებისგან გაწმენდას
-//-	97		X=536092 Y=4617809	მცირე ზომის ხევის გამტარი, მცირე ზომის ნაკადულით. სიმაღლე ხიდამდე $\approx 0,50$ მ-ია. ხიდის ქვეშ წყლის მიერ მოტანილი შლამით თითქმის ამოვსებულია.	ტერიტორია საჭიროებს ნატანისა და ბუჩქნარისაგან გაწმენდას
-//-	98	თოხლაურის ხევი	X=533352 Y=4618888	მცირე ზომის ნაკადულის გამტარი. წყალმოვარდნისას ხევში მოტანილია კაჭარ-კენჭნარი. ხიდამდე სიმაღლე $\approx 4$ მ-ია. ხიდის ქვეშ გადის მე-2 გზა. ნორმალურია	_____
თბილისი-გარდაბანი-ბოლნისი-მარნეული	99	მდ. მტკვარი	X=490783 Y=4612216	მდინარის გამტარი. ნორმალურია	_____
-//-	100	მდ. ლოჭინი	X=495978 Y=4609747	მდინარის გამტარი. ხიდამდე სიმაღლე $\approx 2$ მ-ია. კალაპოტში ბუჩქნარი და ნატანია	ტერიტორია საჭიროებს ნატანისა და ბუჩქნარისაგან გაწმენდას
-//-	101		X=498078 Y=4607167	მცირე ზომის არხის გამტარი. ხარჯი $\approx 1$ მ <sup>3</sup> /წმ. სიმაღლე ხიდამდე $\approx 4$ მ-ია. ხიდის ქვეშ გადის ელექტრო კაბელი. ხიდის ორივე მხარეს ბუჩქნარია. ხიდის ქვეშ ასევე გადის გაზის მილი.	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას.
-//-	102		X=500519 Y=4604245	სადერივაციო არხის გამტარი. წყლის ზედაპირიდან ხიდამდე სიმაღლე $\approx 2$ მ-ია. ხიდის ქვეშ გადის მილები და არხი უერთდება მდ. მტკვარს. ნორმალურია	_____
-//-	103		X=504903 Y=4596055	სადერივაციო არხის გამტარი. წყლის ზედაპირიდან ხიდამდე სიმაღლე $\approx 1$ მ-ია. ხიდის ქვეშ მცენარეული საფარია. ხიდის ორივე მხარეს, ნაპირებზე ბუჩქნარია. მის ქვეშ გადის გაზის მილი	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას.

თბილისი-ბოლნისი -//-	104		X=482542 Y=4596449	მცირე ზომის არხის გამტარი გვირაბი. გვირაბამდე სიმაღლე $\approx 1$ მ-ია. წყლის ხარჯი $\approx 0,8$ მ <sup>3</sup> /წმ-ია.	ტერიტორია საჭიროებს გვირაბთან მიწის ნაყარისაგან გაწმენდას.
-//-	105		X=483670 Y=4591681	არხის გამტარი. ნორმალურია	_____
-//-	106		X=485357 Y=4585645	არხის გამტარი. ხიდის ქვეშ გადის წყლის მილი. ხიდის ორივე მხარეს, არხის ნაპირებზე ბუჩქნარია. ნორმალურია	_____
-//-	107	მდ. ხრამი	X=485887 Y=4583688	ხიდის ქვეშ მდინარე და მეორეხარისხოვანი გზა გვერდიგვერდაა. ხიდამდე სიმაღლე $\approx 15\sim 20$ მ-ია. უშუალოდ ხიდთან მდინარეს ზევით, კალაპოტში ბეტონის ნამტვრევებისაგან მცირე ზომის „კუნძულია“ შექმნილი. ნორმალურია	_____
-//-	108	მდ. ბანოვჭა	X=483269 Y=4567179	მცირე ზომის მდინარე. ნორმალურია	_____
-//-	109		X=476967 Y=4587833	მცირე ზომის წყალგამტარი გვირაბი. ხიდიდან ორივე მხარეს, ნაპირებზე დიდი ოდენობით ბუჩქნარი და ჯაგნარია.	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას.
-//-	110	მდ. ხრამი	X=476817 Y=4587692	ხიდის ქვეშ მდინარე და მეორეხარისხოვანი გზა გვერდიგვერდაა. ხიდის ქვეშ პატარა „კუნძულია“ და წარმოდგენილია ეკალბარდებით, ასევე ფიქსირდება ბეტონის დიდი ნამსხვრევები. (ხიდის გასამაგრებელი ჯებირები). ნორმალურია	_____
-//-	111		X=472338 Y=4586544	სადერივაციო არხის გამტარი (მშრალი არხი). ნორმალურია	_____
თბილისი-ბოლნისი -//-	112		X=472234 Y=4586494	დროებითი ნაკადის გამტარი (მშრალი ხევი). ხიდის ქვეშ სიცარიელე ამოვსებულია ნაგვით, მცირე ზომის ხეებითა და ჯაგნარით. ხიდის	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას.

				მიმდებარედ მოწყობილია ნაგავსაყრელი.	
-//-	113		X=468328 Y=4586641	არხის გამტარი. რკინიგზის ორივე მხარეს, არხის ნაპირებზე ფიქსირდება დიდი ოდენობის ბუჩქნარი და ჯაგნარი. წყლის ზედაპირიდან ხიდამდე სიმაღლე ≈ 60-70 მ-ია.	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას.
-//-	114		X=455295 Y=4587905	სადერივაციო არხის გამტარი. ნორმალურია	_____
თბილისი-ხარაგაული-ქუთაისი	115	მდ. სურამულა	X=383727 Y=4650541	მდინარის გამტარი. მდინარის ორივე მხარე მოქცეულია ბეტონის ჯებირებში. ნორმალურია	_____
-//-	116	მდ. ჩხერიმელა	X=371397 Y=4651320	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	117	მდ. თორძილათწყალი	X=369702 Y=4650728	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	118		X=368959 Y=4650630	მცირე მდინარის გამტარი. რკინიგზის ხევამდე სიღრმე ≈ 20 მ-ია. ხევი დაფარულია ხე-ტყით. გვირაბი გასაწმენდია ნატეხი და მოჭრილი ხეებისაგან.	ტერიტორია გასაწმენდია მოტეხილი და მოჭრილი ხეებისაგან.
-//-	119		X=368050 Y=4650405	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ხიდამდე სიმაღლე ≈ 30 მ-ია. ნორმალური	_____
-//-	120		X=367802 Y=4650482	მცირე ზომის მდინარის გამტარი, ხიდამდე სიმაღლე ≈ 30 მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	121	მდ. ჩხერიმელა	X=366460 Y=4649876	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	122	მდ. ზვარულა	X=366353 Y=4649316	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____

-//-	123	მდ. ჩხერიმელა	X=363845 Y=4648784	მდინარის გამტარი. ხიდამდე სიმაღლე წყლის ზედაპირიდან ≈ 3 მ-ია. მდინარე და მეორეხარისხოვანი გზა გვერდიგვერდაა.	ტერიტორია საჭიროებს მდინარის მიერ მოტანილი ხეებისაგან გაწმენდას.
-//-	124	მდ. ჩხერიმელა	X=360481 Y=4647771	მდინარის გამტარი. სიმაღლე ≈ 3 მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	125		X=359408 Y=4648271	ღვარსაშვები. მცირე ზომის გვირაბით გადის რკინიგზის ქვეშ. ნორმალურია	_____
-//-	126		X=359165 Y=4648350	ღვარსაშვები - გადადის რკინიგზის ზევიდან. ნორმალურია	_____
-//-	127		X=357930 Y=4649145	ღვარსაშვები - გადადის რკინიგზის ზევიდან. ნორმალურია	_____
-//-	128		X=357474 Y=4649027	ღვარსაშვები - გადადის რკინიგზის ზევიდან. ნორმალურია	_____
-//-	129		X=356595 Y=4649067	ღვარსაშვები - გადადის რკინიგზის ზევიდან. ნორმალურია	_____
-//-	130		X=356066 Y=4649423	ღვარსაშვები - გადადის რკინიგზის ზევიდან. ნორმალურია	_____
-//-	131		X=355334 Y=4649911	ღვარსაშვები - გადადის რკინიგზის ზევიდან. ნორმალურია	_____
-//-	132		X=355080 Y=4650289	ღვარსაშვები - გადადის რკინიგზის ზევიდან. ნორმალურია	_____
-//-	133		X=354828 Y=4650654	ღვარსაშვები - გადადის რკინიგზის ზევიდან. ნორმალურია	_____
-//-	134		X=354512 Y=4650847	ღვარსაშვები - გადადის რკინიგზის ზევიდან. ნორმალურია	_____
-//-	135	მდ. ჯირჯაულასა და მდ. ჩხერიმელას შესართავი	X=353480 Y=4651168	ხიდის ქვეშ ყრია ნატანი. ხიდამდე სიმაღლე ≈ 3 მ-ია.	ტერიტორია საჭიროებს მდინარის ნატანისაგან გაწმენდას.

-//-	136	მდ. ჩხერიმელა	X=352907 Y=4651430	მდინარის გამტარი ხიდი. საავტომობილო გზის ხიდი და რკინიგზის ხიდი გვერდიგვერდაა. ხიდამდე სიმაღლე ≈ 3 მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	137	მდ. ჩხერიმელა	X=352855 Y=4651564	მდინარის გამტარი ხიდი. საავტომობილო გზა და მდინარე გვერდიგვერდაა. სიმაღლე ≈ 3 მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	138	მდ. ჩხერიმელა	X=352710 Y=4651837	მდინარის გამტარი ხიდი. საავტომობილო გზა და მდინარე გვერდიგვერდაა. ნორმალურია	_____
-//-	139	მდ. ჩხერიმელა	X=349497 Y=4656539	მდინარის გამტარი. ხიდამდე სიმაღლე ≈ 5 მ-ია. ხიდის გვერდით მიმდინარეობს სამუშაოები. ნორმალურია	_____
-//-	140	მდ. ჩხერიმელა	X=349194 Y=4657208	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდამდე სიმაღლე ≈ 5 მ-ია.	_____
-//-	141	მდ. ძირულა	X=349137 Y=4657840	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდამდე სიმაღლე ≈ 3 მ-ია. ხიდის ორივე მხარეს მდინარის ნატანია დაგროვებული (საავტომობილო გზა და მდინარე გვერდიგვერდაა). გავრცელებულია ბუჩქნარი და ხეები. მიმდინარეობს სამუშაოები ახალი ხიდის ასაშენებლად.	_____
-//-	142		X=348772 Y=4659010	ნაკადის გამტარი. მცირე ზომის ნაკადული. გვირაბის სიმაღლე ≈ 4 მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	143		X=348211 Y=4660047	ღვარსაშვები - გადადის რკინიგზის ზევიდან. ნორმალურია.	_____
-//-	144	მდ. ძირულა	X=347453 Y=4660362	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მდინარე და გზა გვერდიგვერდაა. ნორმალურია	_____

-//-	145	მდ. ძირულა (წევა)	X=345312 Y=4661884	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მდინარე და მეორეხარისხოვანი გზა გვერდიგვერდაა. მდინარის ნაპირებზე ბუჩქნარი და ხეებია. ნორმალურია	_____
-//-	146	მდ. ძირულა	X=344981 Y=4661995	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მდინარე და მეორეხარისხოვანი გზა გვერდიგვერდაა. ნორმალურია	_____
-//-	147	მდ. ძირულა	X=344758 Y=4662039	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ გზა და მდინარე გვერდიგვერდაა. ნორმალურია	_____
-//-	148	მდ. ძირულა	X=344374 Y=4662110	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ გზა და მდინარე გვერდიგვერდაა. ნორმალურია	_____
ქუთაისი-საჩხერე -//-	149	მდ. ყვირილა	X=341365 Y=4662277	მდინარის გამტარი ხიდი. გვერდიგვერდ არის ორი ხიდი, რომელთაგანაც ერთი არ ფუნქციონირებს. ნორმალურია	_____
-//-	150	მდ. ყვირილა	X=340997 Y=4662710	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ჩრდილოეთით ფერდობზე ფიქსირდება ნაგავსაყრელი. ნორმალურია	_____
-//-	151	მდ. ყვირილა	X=341798 Y=4663128	მდინარის გამტარი ხიდი. მდინარის მარჯვნივ (ფერდობზე), ხიდის ქვეშ ფიქსირდება ნაგვის დაყრის ფაქტები, (სტიქიური ნაგავსაყრელი). ნორმალურია	_____
-//-	152		X=342347 Y=4664143	მცირე ზომის ნაკადულის გამტარი.	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას.
-//-	153		X=342364 Y=4664142	დროებითი ნაკადების გამტარი. ნორმალურია	_____
-//-	154		X=342421 Y=4664193	მცირე ზომის ნაკადის გამტარი. ნორმალურია	_____
-//-	155		X=343136 Y=4664447	დროებითი ნაკადების გამტარი (მშრალი).	ტერიტორია საჭიროებს ბუჩქნარისაგან გაწმენდას.

-//-	156		X=343438 Y=4664769	მცირე ზომის ნაკადულის გამტარი (მცირე ზომის ხევი).	ტერიტორია საჭიროებს ნატანისა და ბუჩქნარისაგან გაწმენდას.
-//-	157	მდ. ყვირილა	X=344085 Y=4665392	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა და მდინარე გვერდიგვერდაა. ნორმალურია	_____
-//-	158		X=345917 Y=4667516	ღვარსაშვები - გადის რკინიგზის ქვეშ. ნორმალურია	_____
-//-	159	მდ. ყვირილა	X=347016 Y=4669326	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	160		X=346953 Y=4668758	მცირე ზომის ნაკადულის გამტარი გვირაბი. ნორმალურია	_____
-//-	161	მდ. ყვირილა	X=346783 Y=4668316	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	162	მდ. ყვირილა	X=347746 Y=4671876	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	163	მდ. ყვირილა	X=348742 Y=4673392	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	164	მდ. ყვირილა	X=348863 Y=4674066	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	165	მდ. ყვირილა	X=349088 Y=4674215	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	166		X=349261 Y=4675026	მცირე ზომის ნაკადის გამტარი. ნორმალურია	_____
-//-	167		X=349519 Y=4675404	მცირე ზომის ნაკადულის გამტარი.	ტერიტორია საჭიროებს ნატანისაგან გაწმენდას.
-//-	168		X=349495 Y=4675709	მცირე ზომის ნაკადულის გამტარი.	ტერიტორია საჭიროებს ნატანისა და რკინიგზის ვაკისიდან ჩამოყრილი ღორღისგან გაწმენდას.
-//-	169	მდ. ყვირილა	X=349715 Y=4676189	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____



-//-	170	მდ. ყვირილა	X=350511 Y=4676341	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	171	მდ. ყვირილა	X=350775 Y=4676807	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	172	მდ. ყვირილა	X=353175 Y=4679476	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	173	მდ. ყვირილა	X=354602 Y=4680590	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	174	მდ. ყვირილა	X=354613 Y=4680736	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	175	მდ. ყვირილა	X=363161 Y=4686131	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	176	მდ. ჯრუჭულა	X=363863 Y=4686784	მდინარის გამტარი ხიდი. მდინარე ჯრუჭულას შესართავი მდინარე ყვირილასთან. ნორმალურია	_____
ქუთაისი-ტყიბული -//-	177		X=335563 Y=4691868	მდინარის გამტარი ხიდი. მდინარე ხიდის ქვეშ შედის გვირაბში. მდინარე უერთდება მდინარე ტყიბულას. გვირაბის შესასვლელში, გარშემო ხე-მცენარეებია. ნორმალურია	_____
-//-	178	მდ. ტყიბულა	X=335113 Y=4690930	მდინარის გამტარი ხიდი. მდინარიდან ხიდამდე სიმაღლე ≈ 3 მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	179	მდ. მთისჭალა	X=326116 Y=4690356	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდამდე სიმაღლე ≈ 3 მ-ია. ხიდის ზედა მხარეს მდინარის მარჯვნივ ბეტონის კედელია. ნორმალურია	_____
-//-	180		X=325727 Y=4690406	მცირე ზომის ხევი, მცირე ნაკადით. გვირაბის ქვეშ გადის ელექტრო კაბელები.	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	181	მდ. წყალწითელა	X=323526 Y=4689121	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდამდე სიმაღლე ≈ 4 მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	182	მდ. წყალწითელა	X=322414 Y=4688246	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდამდე სიმაღლე ≈ 5 მ-ია. ნორმალურია	_____

-//-	183	მდ. წყალწითელა	X=321922 Y=4688175	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	184	მდ. წყალწითელა	X=321411 Y=4688098	მდინარის გამტარი. ხიდთან მდინარის ნაპირებზე ხეებია. ნორმალურია	_____
-//-	185	მდ. ჭალა	X=319310 Y=4688327	მდინარის გამტარი ხიდი. სიმაღლე ხიდამდე ≈ 10 მ-ია. მდ. ჭალას შესართავი მდინარე წყალწითელასთან. ნორმალურია	_____
-//-	186	მდ. რიონი	X=310316 Y=4674474	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	187		X=312289 Y=4674433	არხის გამტარი. არხი შედის რკინიგზის ქვეშ გვირაბში და გამოდის „რიონჰესიდან“. ნორმალურია	_____
-//-	188	მდ. წყალ-//-ითელა	X=312784 Y=4674518	ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა და მდინარე გვერდიგვერდაა. ნორმალურია	_____
-//-	189	მდ. ჯორისფსელა	X=314708 Y=4674158	მცირე ზომის მდინარის გამტარი. მდინარის ქვედა მხარეს, ნაპირებზე ბუჩქნარია, ხიდამდე სიმაღლე ≈ 2 მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	190	მდ. ყვირილა	X=316616 Y=4674220	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა და მდინარე გვერდიგვერდაა. ნორმალურია	_____
ქუთაისი-ბათუმი	191	მდ. გუბისწყალი	X=287701 Y=4673005	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მდინარე და მეორეხარისხოვანი გზა გვერდიგვერდაა. ნორმალურია	_____
-//-	192		X=279783 Y=4669544	მცირე ზომის წყალგამტარი. ნორმალურია	_____
-//-	193	მდ. რიონი	X=279112 Y=4666325	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მდინარე და მეორეხარისხოვანი გზა გვერდიგვერდაა. ნორმალურია	_____

-//-	194		X=277236 Y=4665011	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა და მდინარე გვერდიგვერდაა. ნორმალურია	_____
-//-	195	მდ. ხევისწყალი	X=272956 Y=4664285	მდინარე და საგზაო ხიდი გვერდიგვერდ გადის. მდინარის მარცხენა ნაპირზე ხიდის ქვეშ და მიმდებარედ ბუჩქნარია. ფიქსირდება სტიქიური ნაგავსაყრელი. ნორმალურია	_____
-//-	196		X=270723 Y=4664082	მცირე ზომის წყალგამტარი. ხიდის მიმდებარედ, ნაკადულის მხარეს, მარჯვენა ნაპირას ბუჩქნარია. ნორმალურია	_____
-//-	197		X=268661 Y=4664316	მცირე ზომის წყალგამტარი. ხიდის ქვეშ გადის მილები. ხიდის ქვეშ ფიქსირდება ნატანი.	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	198		X=267011 Y=4664141	მცირე ზომის წყალგამტარი. ნორმალურია	_____
-//-	199		X=266330 Y=4664069	მცირე ზომის წყალგამტარი. ხიდთან, მდინარის მარჯვენა ნაპირას ფიქსირდება ბუჩქნარი. ნორმალურია	_____
-//-	200		X=265520 Y=4664006	მცირე ზომის წყალგამტარი. წყლის ზედაპირიდან ხიდამდე სიმაღლე 0,5 მ-ია. გვირაბის სიცარიელე თითქმის ამოვსებულია შლამით.	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	201		X=263832 Y=4663840	მცირე ზომის წყალგამტარი. მდინარის ნაპირებზე, ხიდის მიმდებარედ ფიქსირდება ბუჩქნარი. სტიქიური ნაგავსაყრელია.	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	202		X=262632 Y=4663726	მცირე ზომის წყალგამტარი. ხიდის მიმდებარედ ბუჩქნარია (ნაპირებზე).	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	203		X=259958 Y=4663481	მცირე ზომის წყალგამტარი. ხიდთან, მდინარის მარჯვენა ნაპირას ბუჩქნარია. გვირაბთან ვაკისიდან ჩამოვარდნილია	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.

				ხრეშის დამჭერი ბოძი.	
-//-	204	მდ. უკანდელე	X=257693 Y=4663361	მცირე ზომის მდინარის გამტარი. მდინარის კალაპოტში ფიქსირდება ნატანი კაჭარ-კენჭნარი. ხიდის მიმდებარედ, მდინარის ნაპირას ბუჩქნარია და ფიქსირდება სტიქიური ნაგავსაყრელი.	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	205		X=256622 Y=4663788	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ხიდის ქვეშ ხელოვნურად გაკეთებულია ხერგილი.	გასათავისუფლებელია ხერგილისგან, ხერგილმა შესაძლებელია გამოიწვიოს წყლის შეგუბება.
-//-	206		X=255945 Y=4664062	მცირე ზომის წყალგამტარი. სიმაღლე ≈ 1 მ-ია.	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	207		X=254800 Y=4664497	მცირე ზომის წყალგამტარი.	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	208		X=254339 Y=4664684	მცირე ზომის წყალგამტარი. ნორმალურია	_____
-//-	209	მდ. ორაგვისხევი	X=254198 Y=4664755	მცირე ზომის მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	210		X=252391 Y=4664702	მცირე ზომის წყალგამტარი.	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	211		X=252092 Y=4664651	მცირე ზომის წყალგამტარი. ნორმალურია	_____
-//-	212		X=747969 Y=4664584	მცირე ზომის წყალგამტარი. ნორმალურია	_____
-//-	213		X=747641 Y=4664505	მცირე ზომის წყალგამტარი.	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	214		X=747221 Y=4664401	მცირე ზომის წყალგამტარი. ნორმალურია	_____
-//-	215		X=746757 Y=4664281	მცირე ზომის წყალგამტარი. ნორმალურია	_____
-//-	216		X=745859 Y=4664061	მცირე ზომის წყალგამტარი. ნორმალურია	_____
-//-	217		X=745386 Y=4663935	მცირე ზომის წყალგამტარი. ნორმალურია	_____

-//-	218	მდ. ლესის წყალი	X=743497 Y=4663323	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ნორმალურია	_____
-//-	219		X=742245 Y=4662934	მცირე ზომის წყალგამტარი. გვირაბის მიმდებარედ, გზის მხარეს ხეობაში, წარმოდგენილია ხე-მცენარეების ნატეხები და ტოტების ნაყარი. გვირაბში გადის ელექტრო კაბელი.	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	220		X=741221 Y=4662614	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის მიმდებარედ კალაპოტი მოქცეულია ბეტონის ჯებირებში. ნორმალურია	_____
-//-	221		X=739991 Y=4661871	მცირე ზომის წყალგამტარი. ნორმალურია	_____
-//-	222		X=739238 Y=4661448	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ხიდის მიმდებარედ, რკინიგზის ხიდიდან გზისაკენ, კალაპოტში გაკეთებულია ბეტონის ტერასები. ნორმალურია	_____
-//-	223		X=738632 Y=4661184	მცირე ზომის წყალგამტარი. გვირაბის ქვემოთ, ფსკერზე ტერასებია გაკეთებული.	ტერიტორია გასაწმენდია ბუჩქნარისაგან.
-//-	224		X=738366 Y=4661083	მცირე ზომის წყალგამტარი. გვირაბის ქვემოთ, ფსკერზე ტერასებია გაკეთებული. ნორმალურია	_____
-//-	225	მდ. უსკუბანი	X=736776 Y=4660445	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ნორმალურია	_____
-//-	226		X=734668 Y=4659498	მცირე ზომის წყალგამტარი. ფსკერზე ფიქსირდება ნატანი (კაჭარ-კენჭნარი). ნორმალურია	_____
-//-	227	მდ. სუფსა	X=732811 Y=4657612	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მდინარე და მეორეხარისხოვანი გზა გვერდიგვერდაა. ნორმალურია	_____
-//-	228		X=730409 Y=4655883	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ნორმალურია	_____

-//-	229		X=730082 Y=4630350	მცირე ზომის წყალგამტარი. ნორმალურია	_____
ქუთაისი-ბათუმი	230	მდ. ყოროლისწყალი	X=723458 Y=4615954	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	231		X=723599 Y=4616246	მცირე ზომის ნაკადის გამტარი. გვირაბის ქვეშ გადის გაზისა და წყლის მილები. რკინიგზასა და წყალს შორის გადის საფეხმავლო ბილიკი. ნორმალურია	_____
-//-	232		X=724558 Y=4617777	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ხიდის ქვეშ გადის ელექტრო კაბელი. ნორმალურია	_____
-//-	233	მდ. ჩაქვის წყალი	X=726924 Y=4621948	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა და მდინარე გვერდიგვერდაა. ნორმალურია	_____
-//-	234		X=727045 Y=4622771	მდინარის გამტარი ხიდი. ფიქსირდება სტიქიური ნაგავსაყრელი. ნორმალურია	_____
-//-	235		X=727165 Y=4623359	მცირე ზომის წყალგამტარი. ნორმალურია	_____
-//-	236	მდ. დეხვა	X=730416 Y=4631167	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	237	მდ. კინტრიში	X=7330651 Y=4631669	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდთან მდინარის ზედა მხარეს, მარჯვენა ნაპირას, ფიქსირდება სტიქიური ნაგავსაყრელი. ნორმალურია	_____
-//-	238		X=731151 Y=4632741	დროებითი ნაკადების გამტარი. ნორმალურია	_____
-//-	239		X=731585 Y=4633207	მცირე ზომის მდინარის (ნაკადის) გამტარი ხიდი.	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	240	მდ. ოჩხამურა	X=735266 Y=4639225	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____

-//-	241	მდ. შაველეუ	X=734376 Y=4640263	მდინარის გამტარი ხიდი (გვირაბში). ნორმალურია	_____
-//-	242		X=734030 Y=4640270	დროებითი ნაკადების გამტარი. ნორმალურია	_____
-//-	243		X=733643 Y=4642292	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ნორმალურია	_____
-//-	244	მდ. ჩოლოქი	X=733930 Y=4641517	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მდინარე და მეორეხარისხოვანი გზა გვერდიგვერდაა. ნორმალურია	_____
-//-	245	მდ. ნატანები	X=732991 Y=4644235	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მდინარის მარცხენა მხარეს გადის მილი და მეორეხარისხოვანი გზა. ნორმალურია	_____
-//-	246		X=730492 Y=4651074	დროებითი ნაკადების გამტარი.	ტერიტორია გასაწმენდია რკინიგზის ვაკისიდან ჩამოყრილი ღორღისგან.
-//-	247		X=730579 Y=4651473	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ნორმალურია	_____
-//-	248	მდ. სეფა	X=730564 Y=4652060	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	249		X=730243 Y=4654175	დროებითი ნაკადების გამტარი (წყალგამტარი).ნორმალურია	_____
-//-	250	მდ. რიონი	X=723222 Y=4674693	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	251		X=724677 Y=4675666	არხის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. ნორმალურია	_____
-//-	252		X=727272 Y=4677091	დროებითი ნაკადების გამტარი. ნორმალურია	_____
-//-	253		X=731964 Y=4678686	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ხიდის ქვეშ, ნაპირებზე ფიქსირდება ბუჩქნარი. ქვეშ გადის მეორეხარისხოვანი გზა.	_____

				ნორმალურია	
-//-	254	მდ. ჩაიგრუზია	X=734995 Y=4679598	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. მდინარის ნაპირებზე ბუჩქნარია. სიმაღლე ≈ 7 მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	255	მდ. ცივი	X=254624 Y=4682916	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. მდინარის ნაპირებზე ბუჩქნარია, ფიქსირდება სტიქიური ნაგავსაყრელი. ნორმალურია	_____
-//-	256		X=258211 Y=4683654	მდინარის გამტარი ხიდი. სიმაღლე ხიდამდე ≈ 2 მ-ია. მდინარის ხეობაში ფიქსირდება დიდი ოდენობით ნატანი, ნაყარი, სტიქიური ნაგავსაყრელი.	ამ დროისთვის ტერიტორია საჭიროებს და შემდგომ ეტაპობრივ გაწმენდას ნატანისაგან.
-//-	257	მდ. ტეხურა	X=260643 Y=4683427	მდინარის გამტარი ხიდი. მდინარის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. მდინარის ხეობაში ფიქსირდება კაჭარ-კენჭნარის ნატანი. ნორმალურია	_____
-//-	258		X=261591 Y=4682995	მცირე ზომის ნაკადის გამტარი. ნორმალურია	_____
-//-	259		X=263582 Y=4681414	მცირე ზომის არხის გამტარი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. სიმაღლე ≈ 2 მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	260	მდ. აბაშა	X=266084 Y=4679037	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. ნორმალურია	_____
-//-	261	მდ. ნოღელა	X=271033 Y=4674626	მდინარის გამტარი ხიდი. მდინარის კალაპოტში ფიქსირდება ბუჩქნარი. ნორმალურია	_____
-//-	262	მდ. ცხენისწყალი	X=276833 Y=4670605	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. ნორმალურია	_____



-//-	263	მდ. ოჩოპა	X=281613 Y=4671389	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ხიდამდე სიმაღლე ≈ 1 მ-ია. ხიდთან ფიქსირდება ნატანი (შლამი, კაჭარ-კენჭნარი). ნორმალურია	
-//-	264		X=281127 Y=4671262	მცირე ზომის მდინარის გამტარი. სიმაღლე ≈ 1,5 მ-ია. ნაპირებზე მცენარეებია და ფიქსირდება ნატანი და ნაგავი.	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	265	მდ. ჩეროხე	X=285056 Y=4672411	მდინარის გამტარი გვირაბი. მდინარის მარჯვენა ნაპირას, უშუალოდ ხიდთან ფიქსირდება სტიქიური ნაგავსაყრელი. ნორმალურია	_____
ქუთაისი- ზუგდიდი -//-	266		X=256114 Y=4683841	არხის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. ნორმალურია	_____
-//-	267		X=254899 Y=4684920	დროებითი ნაკადების გამტარი. მიმდებარე ტერიტორიაზე ფიქსირდება სტიქიური ნაგავსაყრელი.	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	268	მდ. ცივი	X=254016 Y=4685495	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. ხიდის ქვეშ გზასთან, ფიქსირდება სტიქიური ნაგავსაყრელი. ნორმალურია	_____
-//-	269	მდ. სკურია	X=746893 Y=4686522	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდთან ნაპირებზე ფიქსირდება ბუჩქნარი. ნორმალურია	_____
-//-	270		X=745185 Y=4687394	დროებითი ნაკადების გამტარი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის.	ტერიტორია გასაწმენდია ხე-მცენარეებისაგან.
-//-	271		X=743232 Y=4688428	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	272		X=741619 Y=4689291	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. ნაპირები დაფარულია ხეებითა და ბუჩქნარით. ნორმალურია	_____

-//-	273		X=742076 Y=4689029	მცირე ზომის მდინარის გამტარი. ხიდის ქვეშ ხელოვნურად გაკეთებულია ჯებირი (პიუტყვისათვის).	გასათავისუფლებელია ხერგილისგან, ხერგილმა შესაძლებელია გამოიწვიოს წყლის შეგუბება.
-//-	274	მდ. ხობისწყალი	X=739180 Y=4690488	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. ნორმალურია	_____
-//-	275		X=736016 Y=4691594	მცირე ზომის წყალგამატრი. (მცირე ზომის მდინარე). ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. ნორმალურია	_____
-//-	276		X=735564 Y=4692170	დროებითი ნაკადების გამტარი - მცირე ზომის ნაკადით. ნორმალურია	_____
-//-	277	მდ. მუნჩია	X=735790 Y=4691886	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	278		X=733256 Y=4694256	ნაკადის გამტარი ხიდი. სიმაღლე ≈ 1,5 მ-ია. ხიდის ქვეშ და მიმდებარედ ფიქსირდება სტიქიური ნაგავსაყრელი, ნატანი კენჭნარი.	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	279		X=732479 Y=4694654	ნაკადის გამტარი ხიდი (ნაკადული). ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. ნორმალურია	_____
-//-	280		X=732003 Y=4695344	ნაკადის გამტარი ხიდი. სიმაღლე ≈ 3 მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	281		X=731794 Y=4695761	ნაკადის გამტარი ხიდი. სიმაღლე ≈ 3 მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	282		X=731117 Y=4696449	ნაკადის გამტარი ხიდი. სიმაღლე ≈ 3 მ-ია. კალაპოტში ფიქსირდება კირქვის ნატანი. ნორმალურია	_____
-//-	283	მდ. ჯუმი	X=729665 Y=4700483	მდინარის გამტარი ხიდი. მდინარის კალაპოტში ფიქსირდება ნატანი კაჭარ-კენჭნარი. ნორმალურია	_____

-//-	284	მდ. ჩხოლუში	X=731184 Y=4704665	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	285		X=734173 Y=4710117	მცირე ზომის მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
ქუთაისი-წყალტუბო -//-	286		X=304395 Y=4681851	დროებითი ნაკადების გამტარი. ხიდთან და მიმდებარე ტერიტორიაზე ფიქსირდება მიწაყრილი, ნაგავი. გვირაბის სიცარიელე ამოვსებულია შლამითა და ნატანით.	ტერიტორია გასაწმენდია ნატანისაგან.
-//-	287		X=298977 Y=4685068	მცირე ზომის მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. მდინარის მარცხენა ნაპირას, ხიდთან ფიქსირდება ეროზია. ნორმალურია	_____
-//-	288		X=300705 Y=4683546	ნაკადულის გამტარი ხიდი. ხიდის მიმდებარედ, ნაპირებზე ფიქსირდება ბუჩქნარი. ნორმალურია	_____
-//-	289		X=299822 Y=4685672	ნაკადულის გამტარი ხიდი (საწრეტი არხი). სიმაღლე $\approx 4$ მ-ია. ნორმალურია	_____
-//-	290		X=301727 Y=4686435	ნაკადულის გამტარი ხიდი (საწრეტი არხი). სიმაღლე $\approx 3$ მ-ია. ნაპირებზე, ხიდის ორიგვე მხარეს, ფიქსირდება ბუჩქნარი და ხეები.	ტერიტორია გასაწმენდია ხე-მცენარეებისაგან.
ნატანები-ოზურგეთი -//-	291	მდ. ჭახვათა	X=734078 Y=4646031	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	292	მდ. ბოგილა	X=736871 Y=4646353	მდინარის გამტარი ხიდი.	ხიდთან აღინიშნება მცირე ზომის მეწყერი, რაც უნდა გამაგრდეს გაბიონით.
-//-	293	მდ. მერია	X=739713 Y=4647228	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	294		X=740245 Y=4647333	დროებითი ნაკადის გამტარი. ნორმალურია	_____

-//-	295		X=741292 Y=4647288	მცირე ზომის მდინარის გამტარი ხიდი. ნაპირები დაფარულია ბუჩქნარით.	ტერიტორია გასაწმენდია ხე- მცენარეებისაგან.
-//-	296	მდ. სკურლუმი	X=743043 Y=4648155	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. ნორმალურია	_____
-//-	297	მდ. ნატანები	X=747416 Y=4646878	მდინარის გამტარი ხიდი. ნორმალურია	_____
-//-	298	მდ. ყვირილა	X=327940 Y=4669485	მდინარის გამტარი ხიდი. ხიდის ქვეშ მეორეხარისხოვანი გზა გადის. ნორმალურია	_____